

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო
მეზობელ სახელმწიფოთა
გეოპოლიტიკური ინტერესების
კონტექსტში

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების
130 წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის
მასალები



გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2009

კრებულში წარმოდგენილია 2007 წ. 11-12 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ინიციატივით ჩატარებული საქართველოსა და რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილე სახელმწიფოთა საარქივო და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

წიგნში მოცემული თეორიული დებულებები კარგ სამსახურს გაუწევს აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველს.

სარედაქციო საბჭო: ტარიელ აბულაძე (თავმჯდომარე), თამაზ ფუტკარაძე (რედაქტორი), თეონა იაშვილი, სანდრო ბერიძე, ნაზი ფუტკარაძე, ზურაბ ჟვანია, როზეტა გუჯეჯიანი, მარიანა პისკოვა, ლუბა სოლოვიოვა.

1877-1978 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ აჭარა დედამშობლოს-საქართველოს დაუბრუნდა. მოწინავე ქართული საზოგადოება სიხარულით შეხვდა „სამუსლიმანო საქართველოს“ დაბრუნებას.

სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ მსჯელობას მიეძღვნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ინიციატივით ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის, ღიაცის ქვეშ მუზეუმის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, საქართველოს ეროვნული არქივის, ქუთაისის უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიური კვლევის ცენტრის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის, ასევე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიკლუხო მაკლაის სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის (რუსეთი) ბლაგოვერადის სამხარეო არქივისა (ბულგარეთი) და ნოფიტი-რილსკის უნივერსიტეტის (ბულგარეთი) წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა და მონაწილეებს მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი ტარიელ აბულაძე, სხალთის ეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი, პოეტი ვახტანგ ღლონტი. კონფერენციაზე დასმული პრობლემების ირგვლივ თავიანთი აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: ზ. ჟვანიამ, ტ. ფუტკარაძემ, რ. თოფჩიშვილმა, ბ. დიასამიძემ, ნ. კახიძემ, ასევე არქივის თანამშრომლებმა: ს. ბერიძემ, თ. ფუტკარაძემ, მ. რურუამ, ჟ. ტაკიძემ და სხვებმა. დისკუსიები მწვავედ და საინტერესოდ წარიმართა, რაც, ვფიქრობთ, აისახა კიდევ წარმოდგენილ კრებულში. რიგ შემთხვევებში სტატიების ავტორთა თვალსაზრისი განსხვავებულია ერთმანეთისაგან. მათი დაბეჭდვა საშუალებას მისცემს მკითხველს თავად შეაფასოს არგუმენტაციის საფუძვლიანობა.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 2 (ისტორიისა და ეთნოლოგიის) სექცია. წაკითხული მოხსენებები იბეჭდება უცვლელად (ავტორისეული სტილით).

თ. ფუტკარაძე
ს. ბერიძე

შესავალი სიტყვა

დღევანდელი კონფერენცია მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენი მშობლიური კუთხის - აჭარის, არამედ სრულიად საქართველოსთვის, რადგან იგი ეძღვნება აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავს. სიმბოლურია, რომ იგი ტარდება ჩვენს დაწესებულებაში, საარქივო სამმართველოში, სადაც დაუჩვენებელია ჩვენი წარსულის, ჩვენი ხალხის მიერ აჭარის გათავისუფლებისათვის ბრძოლის ამსახველი დოკუმენტები. სიმბოლურია ისიც, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ ჩვენი ბულგარელი და რუსი კოლეგები-ქალბატონები: ნურიე მურატოვა, მარიანა პისკოვა, ანასტასია პაშოვა, მილენა ანგელოვა, კრისტინა პოპოვა, - ჩვენ ხომ ბულგარელებთან გვაკავშირებს საერთო ისტორიული ბედი, ერთობლივი ბრძოლის საინტერესო ეპიზოდები ოსმალთაგან გათავისუფლებისათვის.

ჩვენს კონფერენციაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე ქ-ნი ლუბა სოლოვიოვა მოსკოვიდან, ჩვენი თბილისელი და ქუთაისელი კოლეგები.

საარქივო სამმართველოს სახელით მინდა მივესალმო კონფერენციის მონაწილეებს და ამ მნიშვნელოვან სამეცნიერო ფორუმზე ვუსურვო ნაყოფიერი მუშაობა, ჯანსაღი კამათი და აზრთა გაზიარება.

კადნიერებად არ ჩაგვეთვლება თუ ვიტყვით, რომ მსოფლიო რუკაზე იშვიათია ქვეყანა, რომელსაც თვითმყოფადობის, გადარჩენისა და ერთიანობისათვის იმდენი ბრძოლა გადაეტანოს, რამდენიც ჩვენს ქვეყანას, ჩვენს საყვარელ საქართველოს. ქართველი კაცისთვის შრომა და ბრძოლა განუყრელი ცნებებია, რადგან იგი შრომის დროსაც იბრძოდა და ბრძოლის დროსაც შრომობდა.

ვინ იცის, რამდენჯერ ააოხრა მტერმა საქართველო და სისხლის გუბეებით მორწყო საქართველოს მიწა, რამდენჯერ გადაწვა საქართველოს გული – თბილის-ქალაქი, მიწასთან გაასწორა ეკლესია-მონასტრები, შერყვნა სიწმინდეები, აჩეხა ბალ-ვენახები, ტყვედ წაასხა ქართველი ქალ-ვაჟები, მაგრამ საქართველო ვერ დააჩოქა. თუმცა ყოფილა ისეთი დროებაც მამულის გადარჩენი-

სათვის, მიწა-წყალის შენარჩუნებისათვის მტერს რომ დაუზავდა ქართველი.

საქართველოს კუთხეებს შორის მტრის შემოსევებით ყველაზე მეტად მაინც კახეთი და აჭარა დაზარალდა, თუმცა აჭარას უფრო მეტად ტრაგიკული ბედი ერგო: სამი საუკუნის მანძილზე დედასამშობლოსგან მოწყვეტილი და ტრადიციებით, ენით, ზნე-ჩვეულებითა და, რაც მთავარია, რელიგიურად განსხვავებული მტრის ბატონობის ქვეშ მოქცეული იბრძოდა, გმინავდა, კვნესოდა, მაგრამ ჩუმად, ფარულად მაინც ინახავდა ქართულ სიტყვას, ქართული ჯიშისა და სისხლისადმი პატივისცემას და ეს სიყვარული, მონატრება 300 წლის მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

დანარჩენი საქართველო არასოდეს ყოფილა გულხელდაკრეფილი - როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდათ, ქართველი მეფეები თუ მთავრები ცდილობდნენ შებრძოლებოდნენ ოსმალებს და დაებრუნებინათ მამულს მოწყვეტილი კუთხე.

მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, ამის ისტორიული შესაძლებლობა XIX საუკუნის ბოლოს რუსეთ-თურქეთის ომის დროს შეიქმნა.

სამი საუკუნე საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, რომ ერი გადაგვარდეს, სხვა ჯიშსა და სისხლში აღირიოს, ამიტომ გმირობის ტოლფასია სამშობლოს მოწყვეტილ იმ ქართველთა ერთგულება, რომლებმაც თურქეთში საშინელ დევნასა და ტერორში შემლეს ქართული მეხსიერების, ტრადიციების, ადათ-წესების შენარჩუნება. ჩვენმა ხალხმა უმძიმეს პერიოდში შეძლო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, ამ რეგიონში არასოდეს ჩამკვდარა ქართული სიტყვა და საშინელი ტერორის პირობებში აქ შეიქმნა საიდუმლო დამწერლობა „დედაბრული“, რომლითაც უხდებოდათ ერთმანეთთან წერილობითი ურთიერთობის დამყარება.

მკვიდრმა მოსახლეობამ შეინარჩუნა ქართული ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რაც გამოიხატა აქაურთა ქორწილში, სამეურნეო საქმიანობაში, მატერიალურ კულტურაში, ხალხურ სამზარეულოში, ჩაცმულობაში და ა.შ. ყოფის თითოეულ ელემენტს დაეკისრა ეროვნული ფუნქცია.

ქვეყნის დამდგენიდან ვითარება ორ სახელმწიფოს შორის რადიკალურად შეიცვალა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გამოიწვია ქართული დიპლომატიის აღორძინება და საერთაშორისო კავშირების აღდგენა-გაფართოება. ეს ეხებოდა უპირველესად თურქეთს, როგორც უშუალოდ მოსაზღვრეს, ევროპასთან დამაკავშირებელ უმოკლეს გზას და როგორც ნატოს ერთ-ერთ უძლიერეს წევრს.

დღეს საქართველოსა და თურქეთს შორის მეგობრული ვითარებაა. ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები კიდევ ევრო აახლოებს თურქ და ქართველ ხალხს ერთმანეთთან. დღეს არავისთვის წარმოადგენს დაბრკოლებას თავისუფლად, კანონიერებით დადგენილ ნორმებში, გადალახონ საზღვრები, ითანამშრომლონ ერთმანეთთან, მოინახულონ წლების წინ დაკარგული ნათესავები და აღადგინონ ეს კავშირები.

პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ დასახული ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და გაძლიერების კურსი თავის პროგრამაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თურქეთის სახელმწიფოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

დედასამშობლოსთან აჭარის შემოერთების ისტორიის მიმოხილვისას, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ცნობილი თუ უცნობი ადამიანები, რომლებიც, თურქთა ბატონობის ქვეშ მოქცეულნი, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა როგორმე აღედგინათ „თავისი მამული“.

რწმენისა და რჯულის ერთგულებისათვის მტრის მიერ სასტიკად იდევენებოდა, გაუსადმლისი ტკივილებითა და წამებით სიკვდილით აღესრულებოდა ათიათასობით ადამიანი, სწორედ მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად 1985 წლის 24 ივნისს გამოიცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ბრძანება: „1726 წელს აჭარაში ქრისტეს რწმენის აღიარებისათვის მუსულმანი თურქების მიერ წამებული ქართველნი აღიარებულ იქნა წმინ-

დანებად. მათი ხსენება ზეიმით აღინიშნოს საქართველოს ეკლესიის მიერ ყოველ წელიწადს, ივნისის თვის პირველ კვირას, დაიწეროს მათი საგალობელი აღიწეროს ისტორია მათი წამებისა“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შეიქმნა „წმ. მამათა და დედათა აჭარაში თურქთაგან წამებულთა“ ხატი.

დღეს მართლაც განსაკუთრებული დღეა, დღე - აღსავსე სევდით, ტკივილით, მწარე მოგონებებით, მაგრამ მაინც სიხარულითა და ბედნიერებით, რადგან აჭარა კვლავ დედასამშობლოს წიაღშია და რომ დიდაჭარიდან შემობრძანებული ანდრია პირველწოდებულის მიერ ნაქადაგები უფლის სიტყვა სწორედ ჩვენი კუთხიდან მოეფინა საქართველოს და რომ ეს წმინდა ადგილი, უცხო ტომთა ბატონობისა და შეურაცხყოფისაგან თავისუფალი, ამაყი და ღირსეული დგას საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ კარიბჭესთან.

კიდევ ერთხელ მინდა მოგესალმოდ და მოგილოცოდ აჭარის საქართველოთან დაბრუნების 130 წლის იუბილე. გამოვხატავ ჩვენი კოლეგების საერთო აზრს და მწამს, რომ ჩვენი ურთიერთობები, სამეცნიერო-კულტურული კონტაქტები ბულგარეთთან, რუსეთთან, სხვა ქვეყნებთან კიდევ უფრო განმტკიცდება. დღევანდელი დღე, ჩვენი სტუმრების ჩამობრძანება ნათლად სახავს ამის პერსპექტივას. გისურვებთ წარმატებებს.

ტარიელ აბულაძე

ცენტრალური საისტორიო არქივის დოკუმენტები აჭარის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების შესახებ

რუსეთის იმპერიის უმაღლეს წრეებში ადრე გაიღვიძა ინტერესმა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ძველი ქართული ისტორიული ოლქების მიმართ, რომლებიც თავის დროზე მიიტაცა ოსმალეთმა. მეტად მიმზიდველი იყო აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს ჰქონოდა მის უკიდურეს სამხრეთში, თურქეთთან საზღვარზე, იმ დროის ტექნიკურ მოთხოვნათა დონეზე აგებული საზღვაო პორტი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ბოსფორ-დარდანელის სრუტით, უმოკლეს დროში, ხმელთაშუა ზღვაში გასვლას და გარე სამყაროსთან დაკავშირებას. სწორედ ამიტომ იყო, რომ რუსეთმა, როდესაც იგი გამაგრდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო შემდგომ გატეხა ირანის წინააღმდეგობა და ფეხი მოიკიდა ამიერკავკასიაშიც, მეტი აქტიურობით და სიმძაფრით წარმართა თავისი ადრევე დაწყებული დიპლომატიური და სამხედრო მოქმედებები თურქეთის წინააღმდეგ. თითქმის რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მზადდებოდა ნიადაგი გადამწყვეტი შეტევისათვის. ამას, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ის რევანშისტული განწყობილება, რომელიც გაჩნდა საზოგადოებაში ყირიმის ომში რუსეთის დამარცხების შემდეგ.

ამ დროიდან მოყოლებული, მკვეთრად იზრდება აგენტურული ცნობების, სხვადასხვა სახის მოხსენებითი ბარათების, შეტყობინებების, საიდუმლო ცნობების და სხვა ამგვარი ხასიათის დოკუმენტების რიცხვი, რომლებსაც უხვად გზავნიან კავკასიის მეფისნაცვლის დიპლომატიურ კანცელარიაში და ე.წ. აზიის დეპარტამენტში თურქეთის მთელი ტერიტორიიდან აქ მრავლად დანერგილი და როგორც ჩანს მჭიდროდ ფეხმოკიდებული რუსული საიდუმლო სამსახურების აგენტები. ამ მხრივ განსაკუთ-

რებული აქტიურობით გამოირჩევიან რუსეთის საკონსულოები ტრაპიზონში, არზრუმში, ყარსში.

რუსეთის ხელისუფლება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისადმი, არმიის – მისი შემადგენლობისა და აღჭურვილობის, სამხედრო დაწესებულებებისადმი. კავკასიის არმიის გენერალურ შტაბში დროდადრო დგებოდა კრებულები, რომლებიც შეიცავდა დაწვრილებით ცნობებს თურქეთის არმიის შესახებ. ეს კრებულები, ვფიქრობთ, განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს იმ მკვლევარებისათვის, რომლებიც მუშაობენ ისეთ საკითხებზე, როგორც არის რუსეთის პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობები თურქეთთან უშუალოდ აჭარა-ქობულეთის შემოერთების წინ, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომი და სხვა. დოკუმენტებიდან ცხადი ხდება, რომ რუსეთს ჰქონდა შემუშავებული კონკრეტული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმა, რომლის განხორციელების შედეგად, მას უნდა უზრუნველყო თავისი ინტერესები ამ რეგიონში. რუსეთი, ერთი მხრივ, აქტიურად ემზადებოდა საომარი მოქმედებებისათვის, რაზეც მოწმობს გაცხოველებული მიწერ-მოწერა პოლიტიკური, დიპლომატიური სამხედრო წრეების წარმომადგენლებს შორის. მეორე მხრივ, იგი არ ერიდება და, უფრო მეტიც, იყენებს ყოველ ხელსაყრელ მომენტს სიტუაციის დასაძაბად, გეგმავს და ახორციელებს პროვოკაციულ ქმედებებს სხვადასხვა მიმართულებით.

განსაკუთრებით ხშირად, თუ შეიძლება ასე ითქვას, თამაშდება „სომხური კარტა“. რუსეთი გამოდის თურქეთში მცხოვრები სომხების ინტერესების დამცველის როლში. იგი აღშფოთებას ვერ მალავს იმასთან დაკავშირებით, რომ თურქები ავიწროებენ სომხებს, რომ ეს უკანასკნელნი განიცდიან პოლიტიკურ დევნას და შევიწროებას, ილახება მათი უფლებები. ამ საკითხებზე აქტიური მიმოწერა იწყება განსაკუთრებით XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ამ მიმოწერის შედეგად დაგროვდა და საისტორიო არქივში დაცულია მეფისნაცვლის დიპლომატიური კანცელარიის, კავკასიის არმიის მთავარსარდლის, რუსეთის საკონსულოების ფონდებში უამრავი დოკუმენტები. როგორც ჩანს, საგულდაგულოდ მომზადებული მომავალი სამხედრო

მოქმედებების, ანუ სხვაგვარად ომის შედეგად შემოერთებული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ისტორიული მიწების შემდგომში, როგორც ეს ყოველთვის სჩვეოდა რუსეთის პოლიტიკას, ათვისებას თან ახლდა იმპერიის გეგმის მიხედვით კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, საჭირო იყო ისე, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, გატარებულიყო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდა აქ ფაქტობრივად ქართული მოსახლეობის, როგორც მართლმადიდებლების, ასევე, განსაკუთრებით მაჰმადიანების შემცირებას. მრავლადაა დოკუმენტი, რომლებიც მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლება არათუ ეწინააღმდეგებოდა კავკასიელების, მათ შორის ქართველების გადასახლებას თურქეთში (ძირითადად), არამედ, როგორც წესი, აქტიურად უჭერდა მათ მხარს ამაში. უფრო მეტიც – ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას აიძულებდნენ დაეტოვებინათ თავიანთი მიწები და გადასახლებულიყვნენ მეზობელ ქვეყანაში. სხვა თემაა ის, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს გადასახლების პროცესი. ადამიანები გადაჰყავდათ მცირე ზომის ისედაც გადატვირთული გემებით, სიცხე-ჰაჰანაქებაში და აუტანელ სიცივეში. ხშირი იყო სხვადასხვა ინფექციური დაავადებების შემთხვევა, რის გამოც ბევრი ვერ აღწევდნენ დანიშნულების ადგილას. განსაკუთრებულ სისასტიკეს და შეურიგებლობას იჩენდნენ რუსი მოხელეები იმათ მიმართ, ვინც ამა თუ იმ მიზეზით უკან, სამშობლოში დაბრუნებას გადაწყვეტდა – ზოგიერთი იმიტომ, რომ წაწყდა იქ დიდ სიმწელებს, ვერ მოაწყო ცხოვრება და არსებობის არანაირი პირობები არ ჰქონდა. დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც გლეხებმა, ხელისუფლებასთან შეთანხმებით, დატოვეს აქ თავიანთი ოჯახები, ხოლო თვითონ წავიდნენ თურქეთში, რათა მოესინჯათ ნიადაგი, დამკვიდრებულიყვნენ და შემდეგ წაეყვანათ ცოლ-შვილი. იმის გამო, რომ ოჯახების გამგზავრება სხვადასხვა მიზეზების, მათ შორის ხელისუფლების მხრიდან, რაღაც დაბრკოლებების შექმნის გამო ვერ ხერხდება, გლეხები მოითხოვენ მათს უკან დაბრუნებას, რაშიც მოხელეების წინააღმდეგობას აწყდებიან.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის მოახლოებასთან ერთად, იზრდება რუსეთის საიდუმლო აგენტების, გენერალური

შტაბის სადაზვერვო სამმართველოს ოფიცრების, დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლების მოხსენებები, შეტყობინებები, სხვადასხვა ხასიათის და შინაარსის ცნობები.

უნდა ითქვას, რომ ამ ომის მსვლელობის ამსახველი დოკუმენტები, ისე, როგორც სხვა ე.წ. სამხედრო ხასიათის მასალები, ჯერ კიდევ 1964 წელს, მაშინდელი სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, ყველა საარქივო წესის დარღვევით, გადასცეს საქართველოს საისტორიო არქივიდან რუსეთის ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო-საისტორიო არქივს (მოსკოვში). ეს დოკუმენტები დღესაც იქ ინახება, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათი უმრავლესობა ჯერაც ხელმიუწვდომელია მკვლევარებისათვის. მიუხედავად ამისა, საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში მაინც არის, და საკმაო რაოდენობით, ამ მოვლენების ამსახველი დოკუმენტები. საინტერესოა ბათუმის ვიცე-კონსულის პატაკები, რომლებსაც ის უგზავნის კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს. ისინი შეიცავს ცნობებს ბათუმში სამხედრო-საფორტიფიკაციო სამუშაოების ჩატარების, თურქეთის არმიის ნაწილების განლაგების, მათი სამხედრო მდგომარეობაზე გადაყვანის, დისლოკაციის, მომარაგების, სარეზერვო სისტემის განვითარების, ციხე-სიმაგრეების მდგომარეობის შესახებ და სხვა.

რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობათა დამაბვის უკიდურესი გამოხატულება იყო თბილისში თურქეთის გენერალური კონსულის ბეგჟეტ ეფენდის და მისი მეუღლის მკვლელობა. ამას ეძღვნება საკმაოდ ფართო მიმოწერა როგორც მხარეებს შორის, ისე კავკასიის ადმინისტრაციის ცალკეულ უმაღლეს დაწესებულებათა შორის. საგულისხმო ცნობებს ვხვდებით ერთ დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება „Военные соображения на случай войны с Турцией со стороны Кавказа“, რომლის ავტორია კავკასიის არმიის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, გენერალ-მაიორი და რომელსაც ერთვის აგრეთვე ძალიან კარგად მომზადებული რუსეთისა და თურქეთის პოლიტიკური მდგომარეობის ამსახველი მოკლე მიმოხილვა. განსაკუთრებით ბევრია დოკუმენტები თვით ამ ომის (1877-1878 წწ.) მიმდინარეობის შესახებ, აღწერილია

ცალკეული ბრძოლები, სამხედრო ოპერაციები. საყურადღებოა დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს რუსების მიერ არტანის შტურმით აღების შესახებ, ბაიაზეთის ციხეში ალყაში მოქცეული რუსული გარნიზონისა და თურქების მოიერიშე სამხედრო ნაწილების სარდლობის მიმოწერა იარაღის დაყრისა და ტყვედ ჩაბარების პირობების შესახებ და მრავალი სხვა.

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ომის მსვლელობის დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა დაპირისპირება თურქეთში ოდითგანვე მცხოვრებ სომხებსა და ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობას შორის. სომხები ცდილობდნენ დახმარება აღმოეჩინათ რუსული ჯარების ნაწილებისათვის, პირველ რიგში, სარდლობისათვის აგენტურული ცნობების მიწოდებით. შემორჩენილია დოკუმენტები, რომლებშიც ისინი, ომის დამთავრების შემდეგ, მოითხოვენ მათ მიერ გაწეული სამსახურისათვის ფულად ანაზღაურებას. სომხებში, გარდა ამისა, ნელ-ნელა გავრცელდა და მალე განმტკიცდა აზრი თურქების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლების შესაძლებლობის შესახებ. ამას, რუსი სამხედრო მოხელეების გარდა, იტყობინებიან აგრეთვე თურქები. კერძოდ, არზრუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი თავის წერილში ატყობინებს ყარსის სამხედრო რაზმის უფროსს იმის შესახებ, რომ სომხები დერსიმელ ქუთუბთან ერთად ამზადებენ შეიარაღებულ აჯანყებას თურქების წინააღმდეგ. კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის უფროსის მიმოწერიდან საგანგებო დავალებათა ჩინოვნიკთან ირკვევა, რომ ასეთივე სურვილს გამოთქვამდნენ რუსეთის ქვეშევრდომი სომხები, რომლებიც აპირებდნენ გადასულიყვნენ თურქეთში, რათა მიეღოთ მონაწილეობა აჯანყებაში თურქების წინააღმდეგ. მალე, როგორც ჩანს, მართლაც დაიწყო რუსების მიერ წაქეზებულ და ფარულად შეიარაღებულ სომხებსა და თურქებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება, რომელიც ომის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა. ახლა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის წინაშე დადგა მათი მოკავშირე სომხების გადარჩენის საკითხი. მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარის ნაწილებმა მიღწეული საზავო ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყეს თურქეთის ტერიტორიის დატოვება, რუსი ჩინოვნიკები და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები,

ერთი მხრივ, თითქოს უწყობდნენ ხელს სომხების გადმოსახლებას და ამით მათ გადარჩენას, ხოლო მეორე მხრივ, უქმნიდნენ ბევრ დაბრკოლებებს, რათა „არ დაეშვათ მათი თვითნებური და მასობრივი გადმოსახლება რუსეთში სომხეთის საკითხის სპეციალურ

განხილვამდე“. შემდგომში, როგორც ცნობილია, XIX ს. 90-იან და მომდევნო წლებში, ბევრი მათგანი კვლავ დააბრუნეს თურქეთში.

საარქივო დოკუმენტებში, ბუნებრივია, ნაკლებად აისახა ის გუნება-განწყობილება, ის სიხარული და აღტაცება, რომელიც განიცადა ქართულმა საზოგადოებამ დედასაქართველოს წიაღში აჭარის დაბრუნებით. ის ემოციური ფონი, რომელიც შეიქმნა ქვეყანაში ამ მეტად მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით, ცხადად წარმოჩინდება პუბლიცისტიკაში, მაშინდელი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ისტორიული ამბების უშუალო მონაწილეებს შორის იყვნენ ადამიანები, რომლებმაც დაგვიტოვეს ამგვარი ხასიათის საკმაოდ საინტერესო ცნობები. ესენი არიან, პირველ რიგში, რუსი ოფიცრები, სამხედრო ისტორიკოსები, თურქების წინააღმდეგ აქტიურად მოქმედი ქართველ მოხალისეთა შეიარაღებული რაზმების ე.წ. „მილიციების“ მებრძოლები, ამ მოვლენების თვითმხილველები.

ოფიციალურ დოკუმენტებში, რომლებიც შეიქმნა ამა თუ იმ სამხედრო ან სამოქალაქო უწყება-დაწესებულებებში იმ დროს, ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორცაა ბათუმის და სხვა დასახლებული პუნქტების, დანგრეული ციხე-სიმაგრეებისა და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების, გზებისა და ხიდების აღდგენა. გარკვეული ყურადღება ეთმობა ბათუმის განაშენიანების, კეთილმოწყობის, მის საპორტო ქალაქად გადაქცევის საკითხების განხილვას. თუმცა, ფაქტობრივად, საქმე ადგილიდან დაიძრა მხოლოდ ომის დამთავრებიდან ათი წლის შემდეგ, როდესაც დამტკიცდა ბათუმის გეგმა და დაიწყო სისტემატური სამუშაოების განხორციელება.

რუსეთის პოლიტიკურ წრეებში, მათ შორის საიმპერატორო კარზეც, ვერ მალავდნენ სიხარულს იმასთან დაკავშირებით, რომ

შესაძლებლობა მიეცათ ხელთ ეგდოთ მეტად მნიშვნელოვანი, დიდი პერსპექტივის მქონე, თურქეთის საზღვარზე მდებარე საზღვაო ქალაქი ბათუმი. მრავლად არის შემორჩენილი დოკუმენტები, რომლებშიც საუბარია იმაზე, თუ რა დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ბათუმს რუსეთისათვის. გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება ქალაქის და, საერთოდ, მხარის განაშენიანებისა და კეთილმოწყობის, პორტის მშენებლობის შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა გენერლების – პავლოვის, სტებლიცის და სხვათა მოხსენებითი ბარათები.

პირველივე დღეებიდან მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა თურქეთთან ახალი საზღვრების დადგენას. საკითხის მოსაგვარებლად შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. ამ მოცულობის მოხსენებაში, ცხადია, ყოველად შეუძლებელი იყო საქართველოს შემადგენლობაში აჭარის დაბრუნების და ამასთან დაკავშირებული XIX ს. 70-იანი წლების სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების ამსახველი დოკუმენტების თუნდაც მცირე ნაწილის განხილვა. ჩვენ შევეცადეთ შეგვექმნა ზოგადი წარმოდგენა იმ პოლიტიკურ პროცესებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ აღნიშნულ პერიოდში და რომლებიც მეტ-ნაკლები სისრულით აისახა საქართველოს საისტორიო არქივში დაცულ წერილობით წყაროებში. დოკუმენტები და სხვა მასალები გვამღევენ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკმარად კარგად შესწავლილი საკითხის ზოგიერთი ასპექტის სხვაგვარად ინტერპრეტაციის საშუალებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ქვეყნის წინაშე დგას არც თუ იოლად გადასაწყვეტი საგარეო პოლიტიკური და საშინაო საკითხები. ამ ვითარებაში, განსაკუთრებით, საჭიროა ჩვენი წარსულის ობიექტურად, ისტორიული ფაქტების მიუჩქმალავად, როგორც ეს ადრე ხშირად კეთდებოდა, მთელი სიმართლით წარმოჩენა.

Зураб Жвания

**Документы Центрального Исторического Архива о возвращении
Аджарии в состав Грузии**

Резюме

В верхних эшелонах Российской империи рано возник интерес к древне-грузинским историческим округам, расположенным на юго-восточной части черного моря, которые в свое время были завоеваны Османской империей.

В статье на основании данных ЦИА рассмотрены важнейшие вопросы о возвращении Аджарии в состав Грузии.

ბათუმის საკითხი XVIII–XIX საუკუნეების რუსეთ-თურქეთის ომებში

1878 წლის გვიანი ზაფხულის – 25 აგვისტოს ზეიმს ბათუმსა და მთელ საქართველოში, წინ უძღოდა რუსეთ-თურქეთის ექვსი ომი, რომლებშიც აქტუალურ პრობლემად იდგა ბათუმისა და მთლიანად აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლების საკითხი.

ბათუმი – აღმოსავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ეს ერთ-ერთი ყველაზე ღრმა ნავმისადგომი და სტრატეგიულად ხელსაყრელი ქალაქი, ყველა დროში იქცევდა დიდი სახელმწიფოების ყურადღებას. განსაკუთრებული ინტენსივობით მოუწია ქალაქს თავდაცვა XV საუკუნის დასაწყისიდან, როცა ოსმალებმა 1461 წლიდან, ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ, დაიკავეს ჭოროხის მარცხენა სანაპიროს ტერიტორია გონიო-აფსაროსით და უშუალოდ დაუმეზობლდნენ ქალაქს. მე-16 საუკუნის მანძილზე მათ რამდენჯერმე აიღეს ქალაქი, მაგრამ აქ ხანგრძლივი დროით დამკვიდრებული ჩანან ისინი XVI საუკუნის ბოლოდან. ამ დროს მთელი აჭარისწყლისა და ჭოროხის ხეობები, სამხრეთი საქართველო ოსმალთა ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული.

სამეფო-სამთავროებად დაყოფის მიუხედავად, საქართველოს მეფე-მთავრები არასდროს შერიგებიან ქართული მიწების დაკარგვას და ხელსაყრელი ვითარებისას, ყოველნაირად ცდილობდნენ მათ გათავისუფლებას ოსმალთაგან. 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობისას, სოლომონ I-ის მიერ ტოტლებენის რუსულ ძალებთან ერთად ოსმალთაგან შორაპნისა და ბაღდათის, აგრეთვე 1770 წლის აგვისტოში ქუთაისის გათავისუფლების შემდეგ, გათვალისწინებული იყო ბათუმზე ლაშქრობაც, მაგრამ ტოტლებენთან ვერც სოლომონმა ნახა, ერეკლე მეორეს მსგავსად, საერთო ენა და ლაშქრობა ჩაიშალა (მეგრელიძე, 1963:14). არადა, საამისოდ ხელსაყრელი სიტუაცია ბათუმსა და აჭარისწყლის ხეობაში შექმნილი იყო. ტოტლებენის

საქმეთა შესასწავლად რუსეთიდან გამოგზავნილი კაპიტანი იაზიკოვი ცენტრს ატყობინებდა: „აჭარლები, რომლებადაც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან გურიასა და თურქეთს შორის მთებში დასახლებული ხალხი იწოდება, ოსმალთა ქვეშევრდომობას მთლიანად განუდგა; როდესაც ახალციხის ფაშა მათ დასაწყნარებლად თურქთა ჯარით აჭარაში შევიდა, ამ ხალხმა ფაშა დაამარცხა და აჭარიდან განდევნა (მეგრელიძე, 1963:15).

მეფე ერეკლე მეორის მოთხოვნით, 1783 წლის ტრაქტატის ერთ-ერთი მუხლით, რუსეთს ევალებოდა ეზრუნა საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. ამ მოთხოვნას კანონიერებას ანიჭებდა ისიც, რომ ხელშეკრულების ტექსტში ერეკლე II იწოდება: „მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი (საერთაშორისო სამართლის..., 1949,32)

1788 წელს, რუსეთ-თურქეთის (1787-1791) ომის მსვლელობისას, ერეკლე მეორე ეკატერინე II-ს სთხოვდა, რომ „საქართველოს შეერთებოდა ახალციხის პროვინცია, ხოლო აჭარა კი იმერეთს, როგორც ძველთაგან მისი კუთვნილი.“ 1801 წლიდან, როცა აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა გაუქმდა და რუსული მმართველობა დამყარდა, კიდევ უფრო გაიზარდა რუსეთის ინტერესები საქართველოს შავიზღვისპირეთში. 1804 წ. გენერალი პავლე ციციანოვი საგარეო საქმეთა მინისტრს (ჩორტოროცკი) წერდა: ბათუმი და ანაკლია „ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უნდა გვეკუთვნოდეს ჩვენ და იგი ჩვენს ხელში უნდა იყოსო“ (მეგრელიძე, 1956:22). ასე, რომ ბათუმის ოსმალთაგან გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგში იდგა 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წლებშიც. ამ მიზნის განხორციელებისათვის ჩატარდა საზღვაო ფლოტის ოპერაცია, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის არმიის მიერ ჩოლოქიდან ტრაპიზონამდე ტერიტორიის დაკავებას, მაგრამ 30 ოქტომბერს ფლოტი უმედეგოდ დაბრუნდა სევასტოპოლში.

რუსეთი სხვა გზითაც ცდილობდა ბათუმის ხელში ჩაგდებას. კერძოდ, 1810 წელს გარდაიცვალა ბათუმის მმართველი ქუჩუკ ბეი შარვაშიძე (აფხაზური შტოს წარმომადგენელი). შემცვლელად მოიაზრებოდა აფხაზეთის მმართველის სეფერ ალი ბეის უმც-

როსი ძმა სოსლან ბეი შარვაშიძე, ოღონდ ქუჩუკ ბეის ქვრივზე დაქორწინებით. რუსებს სოსლან ბეი შეუთანხმდა ბათუმის ჩაბარებაზე, თუ რუსეთის ფლოტი შევიდოდა ბათუმის ყურეში (მეგრელიძე, 1956:23), მაგრამ ვიდრე სარდლობა ამას განახორციელებდა, ზავი ბუქარესტში დაიდო ძველ საზღვრებში. რუსების მიერ დაკავებული ფოთი და ახალქალაქიც კი დაუბრუნდა თურქებს.

ასე, რომ საზავო მოლაპარაკებისას ბათუმის საკითხი საერთოდ არც დასმულა.

პრაქტიკული ნაბიჯები ბათუმის ოსმალთაგან გასათავისუფლებლად 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წლებში გადაიდგა. ომის დაწყებამდე მოისინჯა ახალციხის ფაშისა და აჭარის მმართველის – ახმედ ფაშა ხიმშიაშვილის პოზიცია, რომელიც მზად იყო სამხრეთ საქართველოს ცალკე გამოყოფისათვის რუსეთთან ეთანამშრომლა, თუ შემდეგ რუსეთი მას დაამტკიცებდა გუბერნატორად, სამემკვიდრეოდ აქცევდა ამ თანამდებობას, მისცემდა მას გენერლის ჩინს და არ შეეხებოდა აქაურთა რელიგიას. რუსეთისათვის ეს პირობები ომის დასაწყისში, როცა ჯერ კიდევ გაურკვეველი სიტუაცია იყო, მისაღები ჩანდა და გენერალი ბებუთოვი აგრძელებდა მოლაპარაკებას ხიმშიაშვილთან, მაგრამ შემდეგ, ამ უკანასკნელის (ახმედ ფაშა) მერყევმა პოზიციამ, ომში რუსეთის წარმატებებმა და ბებუთოვის ადგილზე დანიშნული გენერლის ოსტენ-საკენის პროვოკაციულმა ლაშქრობამ აჭარაში (1929 წ. აგვისტო) და მოსახლეობის აკლებამ, ახმედ ფაშას საბოლოოდ აბრუნებინა პირი ოსმალებისაკენ. ვერც ციხისძირის მიმართულებით რუსეთის ჯარით მოქმედმა გენერალმა გესემ გამოიჩინა თავი. აგვისტოს პირველ ნახევარში, როცა ოსმალები დამარცხდნენ, ციხისძირის პოზიციები მიატოვეს და ბათუმისაკენ გზა თავისუფალი იყო, შეტევა კი არ გააგრძელა, არამედ ბეგებთან მოლაპარაკება დაიწყო, რითაც დრო დაკარგა. ამას დაემთხვა ოსტენ-საკენის პროვოკაცია აჭარაში და ოსმალთა მიერ ციხისძირის გამაგრება. ამიტომ 17 აგვისტოს დაწყებული შეტევა ციხისძირზე მარცხით დამთავრდა, რასაც ადრიანოპოლის ზავმა (1829წ. 2სექტემბერი) მოუსწრო. საზავო მოლაპარაკებისას ბათუმზე საერთოდ არაფერი თქმულა,

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1828 წლის 26 ივლისს კავკასიის კორპუსის უფროსი პასკევიჩი საგარეო საქმეთა მინისტრს წერდა, რომ „იხმარეთ თქვენი გავლენა, რომ საზავო ხელშეკრულების დადებისას, თუნდაც ახალციხის ერთი საფაშო თავის საზღვრებში და თურქეთის საქართველოს ერთი ნაწილი ქალაქ ბათუმით შემოუერთდეს რუსეთსო,” ხოლო ნიკოლოზ პირველის წინადადება ყოფილა, რომ თურქეთის მიერ გადასახდელი კონტრიბუციის ნაწილი შეეცვალათ ტერიტორიული დათმობით აზიაში. „ბათუმი და ყარსი, – უთქვამს მეფეს, ღირს იმად, რომ მათთვის გაეწიროთ რამდენიმე მილიონი” (Потто, 1908, с.43).

ასეა თუ ისე, მართალია, 1828-29 წლების ომში ბათუმის საკითხი სერიოზულად იდგა დღის წესრიგში, მაგრამ მისი შესრულება არ მოხერხდა, რუსეთმა ომში გამარჯვების მიუხედავად, ის ვერ მიიღო, რასაც იმსახურებდა. ადრიანოპოლის ზავით (1829 წ. 2 სექტემბერი), მართალია, კავკასიაში მას მიეცა ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი მიმდებარე ტერიტორიებით, რაც 10 სანჯაყს მოიცავდა, მაგრამ სამაგიეროდ დათმო მის მიერ დაკავებული ყარსი, არტანი, ბაიაზეთი, რომელთა ტერიტორიები 14 სანჯაყს შეადგენდა (მეგრელიძე, 1963:71).

აჭარისა და ბათუმის გათავისუფლების საკითხი აქტიურად იყო დასმული 1853-1856 წლების ყირიმის ომის დროსაც. ითვალისწინებდა რა ბათუმის გეოგრაფიულ მდებარეობას, მეფისნაცვალ კავკასიაში ვორონცოვი თვლიდა, რომ ბათუმის ასაღებად საჭირო იყო შეტევა ზღვიდან და ხმელეთიდან ერთდროულად. ადგილობრივი მოსახლეობის პოზიციის შესახებ კი წერდა, რომ „აჭარლები და უმეტესი ნაწილი ზღვისპირის მოსახლე მცხოვრებლებისა, ომის შემთხვევაში, ჩვენ გვეყოლება წინამძღოლებად და გვთავაზობენ ჩვენს ავანგარდში სამსახურსო” (მეგრელიძე, 1963:95).

მართალია, ომი 1853 წლის 14 ივლისს დაიწყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მაგრამ აქტიური მოქმედებები გვიან განხორციელდა და პირველი შეტაკებაც მტერთან არა ბალკანეთში, არამედ სოფელ შეკვეთილთან მოხდა 1853 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში. აქ რუსთა ორი არასრული ასეული და გურიის

მილიციის 345-კაციანი რაზმი იდგა. რუს-ქართველთა მამაცობის მიუხედავად, ოსმალთა სიმრავლემ თავისი გაიტანა. გამთენიისას ოზურგეთიდან მოსულმა ძალებმა, ოსმალებს სოფელი დაატოვე-ბინეს, მაგრამ მტრის სიჭარბის გამო, რუსებმა ოზურგეთი დატოვეს და აკეთის სიმაღლეები დაიკავეს. სამაგიეროდ, 14 ნოემბერს გენერალმა ადრონიკოვმა თურქების დიდი ჯარი გაანადგურა ახალციხესთან, ხოლო 19 ნოემბერს გენ. ბებუთოვმა თურქთა 35-ათასიანი კორპუსი დაამარცხა ბაშვიდიკლართან. ერთი დღით ადრე, სინოპთან ადმირალმა ნახიმოვმა სასტიკად გაანადგურა თურქთა ფლოტი. ასე რომ, 1853 წლის შემოდგომა წარმატებული გამოდგა რუსეთისათვის. ნიკოლოზ I საჭიროდ თვლიდა ბათუმის, ყარსის, ერზრუმის და არტანის მიმართულებით შეტევას, მაგრამ მეფისნაცვალ ვორონცოვი საამისო ძალებს არ ფლობდა და საბრძოლო მოქმედების 1854 წლის ზაფხულისათვის გადატანა მოითხოვა.

ზამთრის განმავლობაში თურქებმა საკმაოდ დიდ ძალებს მოუყარეს თავი ბათუმში. ქობულეთში თურქთა ჯარით მდგარი ჰასან ფაშა გეგმავდა ნიგოითზე გავლით, ჩოხატაურისთვის გვერდი აეველო და ქუთაისს დაპატრონებოდა. მას სურდა „კოფე დაელია სოფელ მარანში და კარგად ევახშმა ქუთაისში“ (შ. მეგრელიძე, 1956,42), მაგრამ თავად ერისთავის მცირერიცხოვანმა რაზმმა და ადგილობრივი მოსახლეობის გმირობამ მტერს პოზიციები დაატოვებინა დიდი დანაკლისით. გენერალმა ადრონიკოვმა 2 ივნისს აიღო ოზურგეთი. ამის შემდეგ შეტევა განვითარდა ჩოლოქის მიმართულებით და 34 ათასიანი თურქთა ჯარი ლეღვასაკენ გაიქცა.

რუსეთის სარდლობამ კვლავ გაიმეორა 25 წლის წინანდელი შეცდომა: როცა გენერალი ოსტენ-საკენი გაგზავნა მთიან აჭარაში იქაური მოსახლეობის დასასჯელად. ამჯერადაც, რუსეთის სარდლობამ დააბრალა რა აჭარის მოსახლეობას 1853-54 წლების ზამთარში თურქთა მიერ აჭარის მხრიდან ცალკეული თავდასხმების ორგანიზაცია და მასში მონაწილეობა, გენერალ-ლეიტენანტ კოვალევსკის დაავალა მათი დასჯა. 30 მაისს, შტაბის უფროსმა ციმერმანმა გადაწვა ზედა და ქვედა თხილვანა, პოლკოვნიკმა დავიდოვმა სოფ. მუმსუ (მთისუბანი), კოვალევს-

კიმ–სოფ. ბაკო. ასევე გადაწვეს ფოცხოვის სასაზღვრო სოფლებიც. ამან, რა თქმა უნდა, მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. 1855 წლის ზაფხულში რუსეთის არმიისათვის მთავარი ყარსის აღება იყო, წარმატებულად მოქმედებდა გურიის რაზმიც. მან 24 მაისს ქობულეთი დაიკავა. 1855 წ. ნოემბერში ყარსის ოსმალმა დამცველებმა იარაღი დაყარეს. ახლა შეიძლებოდა შეტევის განხორციელება ბათუმის მიმართულებით, მაგრამ მალე ზავი დაიდო. მართალია, ეს ომი რუსეთის მარცხით დასრულდა, მაგრამ კავკასიის ფრონტზე მიღწეულმა გამარჯვებებმა ხელი შეუწყო რუსეთს პარიზის საზავო მოლაპარაკებისას, რომ აქ საზღვრები უცვლელი დარჩენილიყო. თურქებს დაუბრუნდათ რუსთა მიერ დაკავებული ტერიტორიები, მათ შორის ქობულეთის სანჯაყიც. პარიზის საზავო ხელშეკრულების 30-ე მუხლით დადგინდა რუსეთ-თურქეთის საზღვარიც–მდ. ჩოლოქზე.

ასე რომ, მიუხედავად დიდი სურვილისა, ყირიმის ომშიც ვერ გადაწყდა ბათუმის გათავისუფლება-დაბრუნების საკითხი.

ყირიმის ომში რუსეთის დამარცხებამ აშკარა გახადა ახალი ომისათვის მზადების აუცილებლობა. საამისოდ ორივე მხარე თადარიგს იჭერდა, როგორც სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. რუსეთის მხრივ, ამ მიზანს ისახავდა „ოსმალის საქართველოში” ცნობილი ქართველი მოღვაწეების მოგზაურობა 1877-78 წლების ომის წინ (ივ. კერესელიძე, დ. ბაქრაძე, გ.ყაზბეგი...) მზადდებოდა საზოგადოებრივი აზრი თანამემამულეთა ოსმალთაგან გათავისუფლებაში აქტიური მონაწილეობისათვის. ეს პროცესი 1876 წელს დაიწყო და ომის დაწყებისას შექმნილი იყო 12 სამხედრო შენაერთი 10000 კაცის რაოდენობით (მილიციის ჯარის სახით). სულ ომში მონაწილეთა რაოდენობა 30 000-ს აჭარბებდა (შ. მეგრელიძე, 1956,51).

ომი დაიწყო 1877 წლის 22 აპრილს და იგი ორ ფრონტზე მიმდინარეობდა: ბალკანეთსა და კავკასიაში. კავკასიის ფრონტს, რომელსაც რუსეთის სარდლობა მეორეხარისხოვან როლს აკისრებდა, აჭარა – გურიის მთები ბრძოლის ორ ასპარეზად ჰყოფდა: სამხრეთის, სადაც ლორის მელიქოვის კორპუსი (50 000 კაცი) იბრძოდა და რიონისპირეთ–ოზურგეთის, სადაც ოკლობ-

ქოს 25 000-კაციანი ჯარი ახორციელებდა შეტევას (შემდეგ ქობულეთის რაზმი). რუსულ სამხედრო ნაწილებთან ერთად იბრძოდნენ ქართველ მილიციელთა ნაწილებიც (სახალხო ლაშქარი).

12 აპრილს, ომის დაწყების პირველ დღესვე, ქობულეთის რაზმმა გადალახა მაშინდელი თურქეთის საზღვარი ჩოლოქთან და ორი მიმართულებით შეუტია მტერს: ზღვის სანაპირო დაბლობებით (გენ. შერემეტიევი) და მთიანი ადგილების გავლით (გენ. დენიბეკოვი). ორივე ნაწილის შეერთება ნავარაუდები იყო ციხისძირთან. მთავარი მიზანი—ბათუმის გათავისუფლება იყო.

რამდენადაც კონფერენციაზე გათვალისწინებულ არაერთ მოხსენებაში იქნება საუბარი აჭარის ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლებსა და რუს და ქართველ მეომართა მხედრულ მამაცობაზე, დავჯერდებით მხოლოდ იმის თქმით, რომ რუსეთის არმიის წარმატებებმა ბალკანეთში და კავკასიის სამხრეთ ასპარეზზე (ყარსი, არტაანი, არზრუმი), ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერამ და შერიგ ხიმშიაშვილის (ზემო აჭარის მმართველი) ეროვნულმა პოზიციამ, ბევრად განსაზღვრა აჭარისა და ქ. ბათუმის ბედი, რადგან ომის დამთავრების დროსაც ქობულეთის რაზმის ჯარები კვლავ ციხისძირთან იდგნენ, ბათუმის გათავისუფლება იარაღით არ მოხერხდა. ამიტომ, იყო რომ მიუხედავად სან-სტეფანოს 1878 წლის 3 მარტის ხელშეკრულებით რუსეთზე სამხრეთ-საქართველოს და დასავლეთ სომხეთის ტერიტორიების (ქალაქები-არტაანი, ყარსი, ბათუმი) მიკუთვნებისა, თურქეთი, ევროპის კონგრესის გადაწყვეტილების მიღებამდე, არ ათავისუფლებდა ბათუმს.

საქმე იმაშია, რომ ევროპის ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, იტალია, გერმანია) შეაშფოთა რუსეთის წარმატებებმა ომში და მიაღწიეს იმას, რომ ზავის პირობები ძალაში შესულიყო ევროპის კონგრესზე განხილვის შემდეგ. ინგლისის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ნათქვამი, „ინგლისს არ შეუძლია დაუშვას ცალმხრივი ხელშეკრულების დადება რუსეთსა და ოსმალეთს შორის“, მიღწეულ იქნა. აშკარა იყო, რომ რუსეთი ან დათმობებზე უნდა წასულიყო, ან ჩაბმულიყო ახალ ომში კოალიციურ ძალებთან. საამისოდ მზადება უკვე გაჩაღებული იყო: ახალი სამხედრო ძალების, სპეციალისტების (ინგლისელი, ფრან-

გი) და იარაღის თავმოყრა ბათუმის მიმართულებით, მოსახლეობაში მუშაობის გაშლა რუსეთის საწინააღმდეგოდ; საჭირო ზომებს იღებდა რუსეთიც. იგი მზად იყო რიგ დათმობებზე წასულიყო ახალი ომის თავიდან ასაცილებლად (1878 წ. მაისში ინგლის-რუსეთის საიდუმლო მოლაპარაკება).

ასეთ პირობებში 1878 წლის ივნისში ბერლინში შეიკრიბა ევროპის სახელმწიფოთა კონგრესი.

კონგრესზე გამოიკვეთა ბათუმის განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ომში. სოლსბერი (ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი) აცხადებდა: „ინგლისი უკანასკნელ პირობად რუსეთს განუცხადებს, რომ მან უარი სთქვას ბათუმზე“ (Батумъ и его окрестности..., 1906, 92). რუსეთის წარმომადგენელს დავალებული ჰქონდა, თუ ოსმალები უარს იტყოდნენ ბათუმის ნებაყოფილებით დაცლაზე, განეცხადებინა: „კონგრესის ყველა დადგენილებას რუსეთი სისრულეში მაშინ მოიყვანდა, როდესაც სულთანი ბათუმს რუსეთს გადასცემდა (მეგრელიძე შ., 1963, 158).

მართლაც, ბათუმის საკითხმა კონგრესზე მწვავე დისკუსია და შეხლა-შემოხლა გამოიწვია და იგი დასრულდა იმით, რომ ინგლისის მთავრობის მეთაურის - ბიკონსფილდის მოთხოვნით, ბათუმი გადაეცა რუსეთს პორტო-ფრანკოს, ანუ საერთაშორისო ვაჭრობის ქალაქის სტატუსით, ხოლო ოსმალებს დაუბრუნდა ვალაშკერტი და ბაიაზეთი.

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, თურქეთმა დაიბრუნა ომის დროს რუსეთის მიერ დაკავებული ქართველებითა და სომხებით დასახლებული ტერიტორიის თითქმის ნახევარზე მეტი. მართალია, კონგრესის გადაწყვეტილებით, 3 წლის განმავლობაში ნება ეძლეოდათ მცხოვრებლებს (ქრისტიანებს, მუსლიმანებს) სურვილისამებრ აერჩიათ სად სურდათ ცხოვრება: ოსმალეთის, თუ რუსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ სინამდვილეში ოსმალეთი ამის საშუალებას არ აძლევდა ქართველებს...

კონგრესის შემდეგ კარგა ხანს გაჭიანურდა გადაწყვეტილებათა პრაქტიკული შესრულება. რუს-ქართველთა ჯარი ბათუმში მხოლოდ 1878 წლის 25 აგვისტოს შევიდა.

ლიტერატურა

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.
2. გოგოლიშვილი ო., ბერლინის კონგრესი, „საისტორიო მაცნე,” XIV, 2005.
3. დუმბაძე მ., დასავლეთი საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957.
4. ზოიძე ნ., რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომი და საქართველო, „საისტორიო მაცნე,” XII, 2008.
5. მეგრელიძე შ., აჭარის გათავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი, 1956.
6. მეგრელიძე შ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1963.
7. მეგრელიძე შ., საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბ., 1974.
8. საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები, შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ, თბილისი, 1949.
9. Батумь и его окрестности, к 25-летию присоединения гор. Батуми к Российской империи. Батуми, 1906.
10. Потто, Утверждение русского владычества на Кавказе, т.IV, часть II, тифлис, 1908.

Бичико Диасамидзе

Вопрос о Батуми в Российско-Турецкой войне в XVIII-XIX в.в.

Резюме

Батуми, как важнейший портовой город, всегда привлекал внимание больших государств. На основании богатых исторических данных проанализированы основные вопросы борьбы иностранных государств для завладения Батуми.

**Перемены в социально-экономической обстановке и
в обычном земельном праве в болгарской деревне
после Русско-Турецкой освободительной войны
1877-1878 года**

Освобождение Болгарии от османской власти в результате Русско-Турецкой войны 1877-1878 года является одним из самых величайших событий в истории болгарского народа. Освободительная война принесла не только национально-политическое освобождение большей части болгарского народа, но одновременно с этим нанесла сокрушительный удар феодальным и полуфеодальным порядкам в болгарских землях и разчистила путь нового общественного строя. Можно сказать, что это был исторический перелом в развитии болгарского народа, который отразился во всех сферах общественной жизни (Георгиев 1979: 5).

Результаты Русско-Турецкой Освободительной войны 1877-1878 года нашли свое самое яркое выражение в развитии социально-экономических процессов в болгарских землях после Освобождения.

Научные исследования социально-экономического облика болгарской деревни свидетельствуют, что после османского завоевания в болгарских землях установилось господство османской феодальной спахийской военно-ленной системы (Цветкова 1954) (Цветкова 1979: 111-126) (Стопанска история 1981: 94-138). Характерно для нее было то, что земля принадлежала государству, а не феодальному владельцу. Вследствие этого османское феодальное владение имело условный характер: местные феодалы (спахии) за землю были обязаны службой государственной власти, тогда как крестьяне не были лишены земли в пределах различных феодальных владений, но и не были ее собственниками, а представляли собой феодально зависимых владельцев, обложенных тяжелыми налогами в пользу местных феодалов и центральной власти.

С конца XVI века османская феодальная спахийская военно-ленная система начала распадаться под влиянием развивающихся товаро-денежных отношений и земельной реформой 1832 года была окончательно ликвидирована. После реформы в юридическом положении крестьян наступили перемены. Они стали уже государственными

крестьянами, зависимыми и обязанными только государству, так как права спахийев были переданы государству. Уничтожена была их личная зависимость от феодалов. Крестьяне могли свободно покупать и продавать землю, вследствие чего многие из них стали мелкими и средними, а некоторые даже крупными землевладельцами.

Реформа 1832 года не затронула Северо-Западную Болгарию. Здесь государственная власть по военным и политическим соображениям сохранила почти целиком господство спахийев над землей и болгарскими крестьянами. "В деревнях области не было никакого турецкого населения, а она граничила с Сербией и окружала важную военную крепость на Дунае - Видин" (Гандев 1976: 464). Сохранив господство над землей и крестьянами, спахии могли контролировать население и одновременно были материально заинтересованы в том, чтобы формировать первую опорную линию против возможного иностранного вторжения или болгарского восстания - чтобы защитить свое имущество. Но так как реформой 1832 года спахийско-ленный институт в Османской империи в принципе был уничтожен, положение спахийев в Северо-Западной Болгарии нужно было обеспечить каким-то иным способом. С этой целью государство дало им документы, удостоверяющие их частную собственность на всю землю, которой до тех пор они владели на условном праве, вместе со всеми сельскими угодиями; они сами были обозначены неясным термином "ага", а бывшие спахийские села стали "агаларскими селами" (Гандев 1976: 464). Естественно, этот процесс сохранения и расширения спахийских владений был связан с массовым обезземеливанием крестьян – обстоятельство, которое привело к восстанию местного населения - так названному Видинскому восстанию 1850 года. Лишь после восстания, точнее в результате его, османское правительство провело местную земельную реформу, которая начала проводиться с 1853 года.

Но и после реформы крестьяне не смогли вернуть себе всю землю. Правительство сохранило "агам" часть земли под предлогом, что они использовали ее для личных нужд. Сами крестьяне по объективным причинам, а именно из-за отсутствия капитала, скота, инвентаря не имели возможности воспользоваться выгодами реформы и покупать землю.

В результате всего этого в течение последних десятилетий османского ига преобладающая часть крестьян Северо-Западной Болгарии продолжала работать исполщиками в крупных "агаларских" хозяйствах. Именно агаларские хозяйства занимали господствующее место в этой части страны. Владельцев имений, которые сами вели свое

хозяйство, было мало. В этих условиях и аграрный переворот после Освобождения здесь совершился своеобразным образом. Он выразился не столько в захвате земель мусульманских беженцев, сколько в ликвидации феодальных обязанностей и повинностей.

Болгарские крестьяне здесь просто перестали платить аренду и начали считаться собственниками земли, которую прежде обрабатывали как ипольщики. Это тоже был захват, но не покинутых земель, а так сказать "своих" земель, захват незаметный для постороннего наблюдателя и поэтому не отмеченный статистикой (Левинтов 1953: 196).

Позже, однако, когда новое болгарское государство обязало крестьян выкупить захваченные ими земли, положение крестьян в Северо-Западной Болгарии стало чрезвычайно тяжелым. Недавние бедные ипольщики, которые оказались собственниками, не имели средств для выкупа, вследствие чего большинство земель перешло в руки горстки ростовщиков, торговцев и крупных землевладельцев. А так как бывшие ипольщики не имели другой собственной земли кроме этой, которой они объявились собственниками, процесс разорения и обезземеливания здесь привел к их повторному превращению в ипольщиков, но ипольщиков уже у новых собственников земли.

По этой причине Северо-Западная Болгария после Освобождения обособилась как район, который сравнительно поздно включился в систему новых товаро-денежных отношений. Этим объясняется ее экономическая отсталость. В условиях экономической отсталости обычное право здесь показало большую устойчивость по сравнению с обычным правом в остальных частях страны. Благодаря своей большей устойчивости оно является интересной и существенной проблемой для этнографической науки, так как может служить основой при исследовании болгарского обычного права в целом.

Социально-экономические процессы в деревне наиболее тесно связаны с обычным земельным правом. Имея ввиду это, а так же и вышеуказанную специфику социально-экономического развития Северо-Западной Болгарии после Освобождения, в следующих строках настоящего изложения будет рассмотрено обычное земельное право в Северо-Западной Болгарии от Освобождения до 40-х годов XX века.

Исследование основано главным образом на авторских полевых материалах, собранных в восьмидесятых годах XX века, в результате бесед с информаторами среди местного населения в возрасте между 70-100 годами. Материалы хранятся в архиве Института этнографии Болгарской Академии наук (Дончев, К. Полевые материалы, архивизированные в архиве Института этнографии с музеем БАН под номерами

2-III, 3-III, 17-III, 67-III, 68-III, 69-III, 70-III, 71-III, 72-III. Цитаты в тексте, примеры из различных сел, сведения информаторов, представленные без ссылки на примечания, выписаны из этих материалов).

Обычное земельное право включает нормы, которые регулируют землевладение и землепользование в сельской общине. Оно осуществляется самой общиной, которая, базируясь на его нормах, регулирует междусельские поземельные отношения и поземельные отношения между своими членами, т. е. определяет порядок землевладения и землепользования (Александров 1984: 70).

После Освобождения условия, в которых развивалось болгарское обычное земельное право, характеризовались с одной стороны отсталостью сельского хозяйства, слабой производительностью труда, а с другой – зарождающейся рыночной экономикой. Развитие новой экономической системы сопровождалось постепенным увеличением доли частной собственности в сельской общине за счет коллективной собственности. В то же время отсталость сельского хозяйства и связанная с этим бедность большинства крестьян задерживали процесс разложения сельской общины, который совершался медленно и постепенно.

Основное содержание норм, которыми сельская община в Северо-Западной Болгарии регулировала *междусельские отношения*, и после Освобождения было обусловлено ее правом соблюдать целостность и нерушимость границ сельских земельных участков (Сельское землевладение - совокупность всех видов земель, которыми члены общины располагали).

Традиции прошлого здесь сохранялись почти полностью в сфере права сельской общины разрешать возникающие проблемы между соседними селами, связанные с землевладением: споры о неустановленных участках в сельском землевладении и нарушения границ сельских земельных участков крестьянами из соседних сел (перепашивание земли).

Местные крестьяне подробно рассказывают, как поступали при разрешении споров между двумя селами. От каждого села выделялась комиссия, которая отправлялась на спорный участок. Комиссии возглавлялись кметами сел: "без кмета нельзя ходить", "кмет ведет народ". Кроме того, на спорный участок шли и другие люди из двух сел. Для этого их заблаговременно призывал особый глашатай. Поднявшись на какое-нибудь возвышение, он бил в барабан и кричал: "Завтра пойдем туда-то межевать землю!" Народ собирался, каждый мог высказать свое мнение, но окончательное решение принималось кметами общин: "высказываются люди - кто что знает; наконец говорят: пусть будет так, как скажут кметы". Очень редко спорящие села прибегали к суду.

И при нарушениях границ сельского земли отдельными крестьянами из соседних сел (перепашивание земли) сельская община обычно имела решающее слово - кмет земли, которому был причинен ущерб, налагал штраф и дело заканчивалось. В некоторых случаях обращались в суд, но это совершалось по требованию общины.

Более значительные отклонения от традиций прошлого обнаруживаются в сфере права сельской общины разрешать возникнувшие проблемы между соседними селами, связанные с землепользованием: пастба и водопой чужого скота в ее собственном землице. Свидетельство тому - прежде всего нарастающее число сел, которые разрешали пастбу и водопой чужого скота в своем землице за плату по определенной таксе. В отдельных местах даже сельская община вообще утратила контроль за этим явлением. Оно происходило стихийно, против ее воли, не сообразовываясь с ней. "Здесь приходили из Превала, а наш скот переходил в Превала - не гонялись за ними, не платили ничего" - заявляют крестьяне из соседнего села Горна-Лука.

Существенно иначе определялась сфера права общины распоряжаться земельным фондом в границах сельского земли. Так после Освобождения сельская община сохраняла право над общинскими землями¹, она не продавала общинскую землю лицам, которые не были жителями того же самого села. Но что касается частных сельских угодий, она не могла мешать подобным продажам, выражению нарастающего стремления к частному землевладению. Местное население единодушно отмечает полную потерю ее позиций в этом отношении. "Можешь продать его (свое собственное угодье) крестьянину из другого села, община не вмешивается, раз оно частное" (с. Горна- Бешовица); "Можно продать кому угодно - раз он даст больше денег" (с. Доктор-Йосифово).

¹ В болгарском языке термином "общинские земли" обозначаются только земли, находившиеся в общем пользовании жителей общины. Таким образом этот термин отграничивается от термина "общинные земли", которым обозначаются вообще все земли, которыми жители общины располагали: земли, находящиеся в общем пользовании, плюс земли, находящиеся в частном, наследственном владении отдельных семей. Поэтому, когда речь идет о первой категории земель, а именно о землях, находившихся в общем пользовании, в данной работе употребляется термин "общинские земли", для того, чтобы он различался от другого подобного термина "общинные земли", у которого, как видно, другое содержание.

Правда, в некоторых местах практиковался обмен земель между двумя селами, называемый здесь трампяване: крестьяне, которые владели землями в землище соседнего села, обменивали их соответственно на те земли в землище своего села, которые в свою очередь находились во владении крестьян из соседнего села. Этот обмен, однако, совершался исключительно ради хозяйственного удобства, чтобы земля каждого хозяина была близко к его селу, к его дому, а не для того, чтобы избежать владения землей внешними людьми - жителями другого села - в землище соответствующего села. При этом обмен совершался только по соглашению между отдельными хозяевами, без вмешательства общины, и был эпизодичным явлением, продиктованным конкретными условиями.

Сельская община уже не могла соблюдать и обычай не давать землю в приданое девушке, выходящей замуж за человека из другого села, чтобы не допускать чужака в свое землище. Со временем стало обычным явлением давать девушке в приданое "какую-нибудь рощу, пахотный участок". Тогда члены ее семьи "приходят оттуда (из своего села) и хозяйничают на ее земле" (с. Горна-Кремена); "приходят и обрабатывают ее; налог платят как все здесь (в этом селе)" (с. Доктор-Йосифово). Девушка могла продать данную ей в приданное землю кому-либо из своих бывших односельчан, если ей не было удобно хозяйничать на земле в другом селе. Но принудить ее к этому община не могла: "вообще власть не вмешивается в частную жизнь" (с. Доктор-Йосифово).

Даже и в случае, когда парень женился на девушке из другого села и шел туда в примак, он сохранял землю в родном селе. "Человек женился в Превала - владеет землей здесь, платит налоги. И той землей владеет, и этой" (с. Горна-Лука). Так во всех этих случаях во владение участком, отданным в приданое девушке (соответственно и участком парня), входили "внешние люди".

Основное содержание норм, которыми сельская община регулировала *междусоседские отношения*, и после Освобождения было обусловлено ее правом поддерживать структуру сельского землища.

Традиции прошлого здесь обнаруживаются целиком в сфере права сельской общины регулировать пользование общинскими землями крестьянами того же самого села.

Так, и после Освобождения сельская община разрешала пользование общинскими пастбищами, называемыми здесь еще совати. Пастьба в них была свободной, без всяких ограничений. "Каждый имеет право пасти (свой скот)" (с. Горна-Бешовица); "Никто не запрещает,

никто тебя не останавливает" (с. Превала); "Свободно можешь пасти - сколько скота имеешь" (с. Доктор-Йосифово). За пользование пастбищами платилась минимальная плата, называемая здесь тревнина.

Что касается общинских лесов, то ими можно было пользоваться (рубить дрова) только по специальному разрешению - "документу" - от общины, получаемому за плату. Общинские леса охранялись лесными обездчиками. Они следили за тем, чтобы крестьяне, которые рубили дрова, имели такое разрешение и штрафовали нарушителей.

В первых годах после Освобождения традиции прошлого сохранялись в общих чертах и в сфере права сельской общины регулировать разработку общинских земель. Обычно и в этом периоде она не разрешала разработку общинских земель. "Меру (общинскую землю) не позволяли трогать" (с. Доктор-Йосифово).

С течением времени однако это ее право неуклонно подрывалось. В конце XIX века, когда процесс разорения и обезземеливания крестьян углубился, нехватка земли, нужда и недоимки привели к массовому разграблению общинских земель.

Способы наступления на общинские земли были разнообразными. Это мог быть захват участка леса, который крестьянин вырубал и затем безраздельно использовал. Это могло быть строительство дома на общинской земле. А могло быть и постепенное расширение своей пашни за счет прилегающей общинской земли: крестьянин, нива которого граничила с общинской землей, начинал "мало-помалу расчищать" эту землю и из года в год расширять свою ниву "като прижабчи, прицепи (присоединяя)" часть из нее. Если "его не заметят", он присваивал навсегда захваченную часть. Иногда бедные крестьяне распахивали целину, даже когда их собственная нива не граничила с общинской землей.

Частые посягательства на общинские земли, продиктованные нехваткой земли, нуждой и недоимками, не осуждались обычным правом и, как правило, встречали молчаливое согласие общественности, так как было известно, что "это случается от бедности". Иногда и общинские власти относились благосклонно к подобным захватам. Того, кто присваивал себе часть такой земли, "не штрафовали, не судили", а только заставляли либо заплатить цену захваченного, либо его "возвратить". Впрочем, в большинстве случаев даже и этого не требовали от захватчика общинской земли (заплатить или вернуть ее) - "никто его не задевал". Когда проходили пять-шесть лет, присвоенная земля становилась его собственностью, так сказать, в силу давности, и "никто, даже царь, не может согнать его оттуда".

Совершенно отличным было отношение обычного права к посягательству на общинские земли со стороны богатых сельских собственников, которые таким образом все больше расширяли свои владения. "Богачи в с. Раковица, именно так и нажили свое состояние" - утверждает Лито Ружанов из того же села. Димитр Маринов в своей книге "Жива старина" пишет: "Если не в каждом селе, то хотя бы через три-четыре села, когда попросите, укажут Вам какого-нибудь зажиточного хозяина и перечислят Вам иногда целый ряд угодий, которые были или сельской мерой (общинской землей), или церковным, или монастырским имуществом, а сейчас находятся в его руках. Способы приобретения всегда были нечестны" (Маринов 1894: 256).

В условиях массового разорения и обезземеливания крестьян, посягательства на общинские земли со стороны богатых сельских собственников ущемляло интересы большинства членов общины. "Разрабатывать общинные пастбища и переходить к более интенсивному типу хозяйства мелким крестьянам было не под силу. С другой стороны, раздел общинных пастбищ делал невозможным для них содержание скота" (Маркова 1960: 95-96). Вследствие всего этого рядовые крестьяне выступали против разработки и раздела общинских земель богатыми крестьянами. О них говорили: "Захватили из меры (общинской земли)", и "клеямили их", охраняли свои угодья от них. Местные власти наказывали за такие захваты, но нередко "закрывали" глаза на них, а удваивали надзор за бедняками.

В сфере своего права организовывать сельское хозяйство сельская община утратила свои позиции целиком. Когда доля частнособственнических земель в сельской общине увеличилась, а часть крестьян - обычно более зажиточных, интенсифицировали свое хозяйство, она не была в состоянии употреблять старые методы, являющиеся выражением общесельских порядков хозяйствования (Маркова 1980: 323).

Принудительный севооборот был помехой для выращивания интенсивных культур, потому что крестьянин должен был производить то, что было предписано общиной, а не то, чего требовал рынок (Маркова 1960: 91). По этой причине постепенно отпала функция общины соблюдать и организовывать севооборот. Та часть крестьян, которая перешла к интенсификации своих хозяйств, вообще не практиковала севооборот. Остальная часть крестьян, у которых из-за недоимок и крайней бедности не было возможности интенсифицировать свои хозяйства, продолжала практиковать севооборот - каждый год крестьяне меняли выращиваемые ими культуры: "в этом году сеют кукурузу, на будущий год - пшеницу". Но они уже делали это свободно, по своим

соображениям, без вмешательства общины: "Каждый может сеять и сажать, что хочет, община не вмешивается" (с. Доктор-Йосифово). Иногда крестьяне обменивались опытом: "Эй, Иван, ты два года подряд сеешь пшеницу, не соберешь ничего" (с. Горна-Кремена).

Сельская община целиком утратила свои позиции и в праве ограничивать сельских хозяев в распоряжении своим имуществом. В связи с этим отпала ее функция контролировать соблюдение права предпочтения соседа по имуществу при купле-продаже земельных угодий. Все больше утверждалась практика, что продавец, руководствуясь своими личными интересами, продавал землю чужому клиенту: "Кто даст больше денег, тот возьмет ее (землю). Община не вмешивается" (с. Горна-Кремена). Со своей стороны соседи, если дело не было с ними согласовано, уже не имели права аннулировать сделку. Они могли только "повлиять" на продавца, предложив ему еще большие деньги.

Так, постепенно соблюдение права предпочтения при купле-продаже земельных угодий почти повсюду утратило свой обязательный характер. На практике оно осталось только в сфере моральных норм: "Полагается продавцу предложить ее (землю) прежде всего соседу. Однако может продать ее прямо другому клиенту" (с. Горна-Кремена); "Хорошо, когда он (продавец) предложит соседу, но может продать землю, кому хочет, даже человеку из другого села" (с. Доктор-Йосифово). Только в самых глухих западных горных селах это право сохраняло частично свой обязательный характер: "Если участок не превышает трех декаров (декар - мера земельной площади в Болгарии, равная 1000 кв. м), продавец должен предложить его прежде всего соседу по имуществу; если же превышает, то продавец может продать его кому хочет" (с. Стакевци).

Как видно из изложенных фактов, параллельно с разложением сельской общины постепенно разрушалось и отмирало обычное земельное право в Северо-Западной Болгарии после Освобождения.

К середине 40-х годов XX в. процесс отмирания обычного земельного права был почти закончен. В период социалистических преобразований с коллективизацией земли болгарской деревни в 50-ых годах XX века была ликвидирована экономическая основа обычного права, а именно частная и общинская собственность на землю. Таким образом судьба обычного земельного права была окончательно решена. В последующее время сохранились только некоторые отдельные общинноправовые нормы при соблюдении структуры и границ сельского землица, но они не обладали обязательной силой.

Из сказанного выше становится ясно, что, когда мы говорим об обычном земельном праве в Болгарии после Освобождения, то понимаем обычное земельное право общинной организации.

Что касается обычного земельного права первичной сельской хозяйственной единицы - отдельного крестьянского двора, его функции были изъяты официальной законодательной властью в Болгарии после Освобождения с регламентированием частной собственности на землю. В сущности, путь к утверждению частной собственности на землю для болгарских крестьян открылся еще до Освобождения – указанной земельной реформой 1832-ого года, которая окончательно ликвидировала спахийскую военно-ленную систему (для Северо-Западной Болгарии земельной реформой 1853 года).

После Освобождения Конституция Княжества Болгарии 1879-ого года (Тырновская конституция) санкционировала частную собственность. (Конституция на Българското княжество. Търново, 1879. Статия 67). Окончательное регламентирование собственности в болгарском государстве было осуществлено принятием Закона об имуществах, собственности и сервитутах 1904 года (Закон за имуществата, собствеността и сервитутите // Държавен вестник. N29. 7.II.1904).

Следовательно, вопрос о праве отдельного крестьянина приобретать землю и распоряжаться ею был разрешен законодательным путем. Это право являлось естественным следствием того обстоятельства, что крестьянин по закону был собственником земли (обрабатываемой земли). Как собственник он мог свободно продавать свою землю, соответственно покупать другую, передавать ее по наследству, завещать и дарить, сдавать ее в наем, независимо от сельской общины. "Каждый крестьянин имеет свой кусок земли, который он свободно может продать и оставить в наследство. Общее владение села ограничивается какими-нибудь пустырями, заросшими кустарником или лесами, да общинным пастбищем..." (Иречек 1899: 178). По этой причине нельзя говорить об обычном земельном праве отдельного крестьянского двора в условиях болгарской действительности.

Что касается способов, по которым отдельный крестьянин приобретал землю и распоряжался ею, их можно установить изучая другие сферы обычного права, а именно обычное семейное, наследственное, договорное и вещное право.

Л и т е р а т у р а :

1. Александров 1984: Александров, В.А. Обычное право крепостной деревни России XVIII – начало XIX в. Москва.
2. Гандев 1976: Гандев, Х. Проблеми на българското възраждане. София.
3. Георгиев 1979: Георгиев, Г. Освобождението и етнокултурното развитие на българския народ 1877-1900. София.
4. Иречек 1899: Иречек, К. Княжество България. Неговата повърхнина, природа, население, духовна култура, управление и новейша история. Т.І. Пловдив.
5. Левинтов 1953: Левинтов, Н.Г. Аграрные отношения в Болгарнакануне Освобождения и аграрный переворот 1877-1879 годов. – В: Освобождение Болгари от турецкого ига. Москва, 139-221.
6. Маринов 1894: Маринов, Д. Жива старина. Кн. IV. Русе.
7. Маркова 1960: Маркова, Л. Сельская община у болгар вXIX в. – В: Труды института этнографии АН СССР. Т. 62, 6-109.
8. Маркова 1980: Маркова, Л. Българската селскаобщина. – В:Етнография на България. Т.І. София, 311-325.
9. Стопанска история 1981: Стопанска история на България. София.
10. Цветкова 1954: Цветкова, Б. Принос към изучаване на турския феодализъм в българските земи през XV-XVI в. - В: Избрани извори за българската история. Т. V, 115-131.
11. Цветкова 1979: Цветкова, Б. Паметна битка на народите. Варна.

Некоторые вопросы исторических и научно-культурных взаимоотношений болгарского и грузинского народа

Грузинская общественность всегда проявляла большой интерес к Болгарии. Константинополь (Византия), монстры в Сирии на Черной горе, Иерусалиме, А тонский, Петрицонский (Нине Бачково) – это те места, где встречались представители двух народов. Еще в те времена их контакты носили не только политический, но и культурный, экономический и боевой характер.

Такой же интерес проявляли и болгары. Они издавна знали грузинскую культуру. Свидетельством является тот факт, что Иван Вазов опубликовал несколько статей о Грузии, а известный болгарский поэт-академик Лилиев занимался переводом Шота Руставели. К сожалению он внезапно скончался, но его дела закончил Стоян Бакурджиев (ЦГА Аджарии, ф.335, оп. 1, д. 54, л.1)

Но этот вопрос более актуальным стал в XIX-ом веке. В Грузинской печати публиковались материалы о грузино-болгарских связях, литературных отношениях, подчеркивалось единство веры, сходство исторических судеб, выразившееся в борьбе общих врагов против Византийской и Османской экспансии.

Исторически эти связи уходят в глубь веков. Известно, что в 1083 году грузины-братья Григорий и Абас Бакурияни (Бакуриянисдзе) основали в болгарии Петрицонский (нине Бачково) монастырь. Этот монастырь в течении веков был крупным культурно-просветительным центром и очагом дружбы между грузинами и болгарами. Основатель этой обители Григол (Григорий) Бакуриянисдзе был лично знаком и поддерживал большую дружбу с известным болгарским просветителем Феофилом болгарским.

Болгария (Булгарети) упоминается у историков грузинских царей Давида Строителя и царицы Тамары.

Интересно, что когда Византия не признавала славянской азбуки, то для ориентации т. н. «трилингвистической» теории, автор славянской письменности Кирил приводил в пример Иберийскую (Грузинскую) письменность и литературу.

Ярким проявлением культурной близости является «некоторое сходство» грузинского алфавита (хуцури) со славянской (глаголица) (Сургуладзе А.1983:16). Как видно, болгары хорошо знакомы с грузинской письменностью (В.Истин, 1983:99). Подтверждением этого факта является еще и то, что в середине IX века Кирилл и Мефодий путешествовали в Грузию (Сургуладзе А.1983:16). По мнению специалистов, первая буква «Глаголицы» взята от грузинской буквы «џ». В связи с этим славяне в адрес греков с гордостью отмечали, что первая буква славянского алфавита отличается от «алфа» (т. е. от греческого алфавита) (Сургуладзе А.1983:17. История Византии, т. 2: 201). Участие в создании славянского алфавита подтверждают и зарубежные авторы. Мы имеем ввиду материалы немецкого палеографа Д. Данригера (Сургуладзе,1983: 16)

Весьма приятным звеном содружества двух народов является вклад Антимоза Иверийского (Ивериели), который в 1697 году издал «Грамматтику славянского языка».

Интересным и актуальным является вопрос боевого содружества наших народов в XX-ом веке. Известно, что великий полководец Петр Багратиони очень симпатизировал братскому болгарскому народу и всячески поддерживал болгар в их освободительной борьбе.

Ярким примером братской дружбы является дипломатическая и боевая деятельность Алексея Николаевича Церетели, который работал секретарем русского генерального консула в Болгарии. Он детально изучил героическую историю болгарского народа находящегося под игом Турции. В Трудное время (восстание болгар в апреле 1876 года) А. Церетели был назначен вице-консулом в Пловдиве. В своих неоднократных докладах и письмах в министерство иностранных дел России он досконально описывал положение Болгарии и требовал применения государственных мер для его освобождения.

Когда началась Русско-турецкая война, Александр Церетели встал в ряды освободителей и вместе с русскими и болгарскими солдатами показал пример личного героизма.

Болгарский народ чтит имя большого друга. В Пловдиве есть улица имени А. Церетели, а вблизи города – село Церетелово (ЦГА Аджарии, ф. № 6 -2. оп. 1, д. 6518, л.12).

В Русско-турецкой войне, за освобождение болгар участвовали добровольцы грузины. Их героизм имел большой резонанс. Болгарский корреспондент писал: «правда греков и албанцев очень мало,

но знаете кто еще здесь? – имеретинцы, картлийцы, осетины, менгрелы и христиане абхазцы.» На вопрос «зачем вы здесь?» грузины отвечали: «хочу бороться за веру и свободу своих братьев – болгар» (ЦГА Аджарии, ф. № 3-2 оп. 1, д. 6518, л.12)

Грузия оказывала Болгарии и материальную помощь. 27 октября 1875 года был создан «болгарский фонд». Характерно, что аджарцы, хотя они находились под игом турок и были вынуждены подчиняться приказам султана, отказались участвовать в войне против славян. Во многих местах Аджарии вспыхнуло восстание (ЦГА Аджарии, ф. № 6 -2 оп. 1, д. 6518, л.12)

В боях, против общего врага личный героизм проявили офицеры и солдаты грузины: В. Чавчавадзе, И. Амилахвари, Д. Чхеидзе, Натишвили, Фанчулидзе, Кавтарадзе, Туманишвили, Гуриели, Гогуадзе, Эгадзе, Шервашидзе, Таварткиладзе и другие (ЦГА Аджарии, ф. № 6 -2. оп. 1, д. 6518, л.12)

Настолько достойным был личный вклад Николоза Дадияни в борьбе против турецких захватчиков, что после окончания войны русское правительство назвало его кандидатуру царем Болгарии.

На вершинах боевого содружества обеих народов блещит имя генерала русской армии Александра Константиновича Имеретинского (Багратиони), под руководством которого были взяты несколько городов, а затем внешний бастион турок – Плевна. В Болгарии (в г. Ловче?) воздвигнут памятник грузинскому герою, а одна из центральных улиц носит имя «Имеретинского» (ЦГА Аджарии, ф. № 6 -2. оп. 1, д. 6518, л.12)

Угнетенная турками, часть болгар покидала родину и искала новое место жительства. Некоторые из них поселились на территории Приазовья, Запорожья, где они основали села: Ботево, Арманг, Инзовку, Брославку.

Прошли десятилетия, и вот, 30 – е годы, когда в Чакви начали закладывать новые чайные плантации, многие из болгар вышеуказанных сел переселились в Кобулетский район, в основном в село Чакви. Трудолюбие, доброта, уважение к окружающим обусловили большой авторитет среди местного населения. До последних времен в Чакви жили или живут болгары: Главчевы, Киосевы, Тераевы, Фрежевы и другие.

После второй мировой войны Болгаро-Грузинская дружба наполнилась новым содержанием. Яркой страницей этих отношений является дружба Аджарии и Благоевградского округа, которая

началась в 1961 году и успешно развивается во всех областях и отраслях жизни. Батуми и Благоевград стали городами побратимами. Обмен правительственными деятелями, делегациями, учеными, деятелями культуры, визиты государственных ансамблей песни и танцев, государственных театров, обмен специалистами с целью обмена опытом и ряд других мероприятий способствует углублению наших отношений.

Особенно важным было отношение работников театра. По инициативе Благоевградского драматического театра имени Николы Вапцарова установили творческие контакты с Батумским государственным драматическим театром имени Ильи Чавчавадзе. Оба театра неоднократно обменивались режиссерами и художниками, устраивали фотовыставку. На сцене Благоевградского театра неоднократно были постановки грузинских пьес, например: пьеса Нодара Думбадзе «не беспокойся мама» (1972) (ЦГА Аджарии, ф. 6-357, оп. 1, д. (655) 172, л. 25-26), а в Батумском театре - пьеса Р. Стоянова «Мастера» (ЦГА Аджарии, ф. 6-357, оп. 1, д. (655) 172, л. 36) (1972).

Особую значимость приобрели научные контакты, которые сложились между Батумским и Благоевградскими университетами. Соответствующее соглашение, с целью углубления связей, обмена студентами и профессорами, устройства совместных научных экспедиций, проведении конференции и т. д.

Вот уже второй год у нас гостят профессора и преподаватели исторического факультета Благоевградского университета Неофит-Рилский доктора наук: Марияна Пискова, Нурие Муратова, Миллена Ангелова, Кристина Попова, Анастасия Пашова. Соответственно, мы тоже были приглашены в Болгарию и принимали участие в работе конференций, посвященной юбилейному празднику специальности «история». Хочу поблагодарить болгарских коллег за проявленную теплоту и внимание.

Надо так же отметить, что укрепляются контакты с этнографическим институтом АН Болгарии. Его представитель г-н Камен Дончев сегодня у нас в гостях.

Налаживаются контакты с Софийским университетом им. Климента Орхидского и с архивами Болгарии. Наши коллеги обогатили архивное Управление Аджарии материалами, найденными в Болгарских архивах, за что хочу еще раз выразить огромную благодарность в адрес болгарских коллег.

Все это, в конечном счете, благоприятно отражается и способствует развитию и дальнейшему укреплению братской дружбы между нашими народами.

Литература:

1. Истин В., 1100 лет славянской азбуки. М.1983
2. История Византии, т. 2
3. Сургуладзе А. Другу верный друг поможет, 1983
4. ЦГА Аджарии, ф. 6-357, оп. 1, д. (655) 172, л. 6
5. ЦГА Аджарии, ф. 6-357, оп. 1, д. (655) 172, л. 25-26
6. ЦГА Аджарии, ф. 335, оп. 1, д. 54, л. 1
7. ЦГА Аджарии, ф. № 6-2. оп. 1, д. 6518, л. 12

Параллели и особенности развития болгарских и грузинских архивов

После аннексирования Грузии Большеви́стской Россией, 1 июля 1921 года в Грузии был принят декрет „О реорганизации и централизации архивного дела“, согласно которому образовался Единый государственный архивный фонд и система архивных учреждений во главе с Центрархивом-Центральным архивным управлением.

Формирование и дальнейшее развитие архивной службы, принципов организации и методики работы архивов происходило в рамках общесоюзных тенденций. 10 -ое октября 1951 г. впревые в Болгарии был принят Указ о создании Государственного архивного фонда Народной республики Болгарии, в составе которого предусматривалось входить все документальные материалы у которых имеется политическая, научная и практическая значимость.

Во главе Государственного архивного фонда - Архивное управление МВД. Развитие архивной службы велось в зависимости от советской теорией и практикой.

Исторические архивы:

Центральный государственный исторический архив Грузии основан в 1921 г. В архиве хранятся документы с IX века по 25 февраля 1921 г. Источниками комплектования архива являлись древнегрузинские рукописи, акты (гуджары), рукописные книги, личные фонды, фонды центральных правительственных органов, органов суда и прокуратуры, военных учреждений, жандармерии, органов народного образования, научных, культурно-просветительных учреждений и организаций и др. В фондах архива хранится около миллиона дел.

Центральный государственный исторический архив в Болгарии основан в 1952 г. В архиве хранятся документы периода после Освобождения Болгарии в 1878 г. по 9 сентября 1944 г. Источниками комплектования являлись институции государственной власти и центральные правительственные органы, органы суда и прокуратуры, хозяйственные, просветные, культурные и другие институции, общественные организации, а также общественно-политические, культурно-просветные и хозяйственные деятели. (737 архивных фондов учреждений; 1198 личные архивные фонды, 921 воспоминаний; 1100 ЧП.

Архивы современной документации:

Центральный государственный архив новейшей истории Грузии основан в 1927 г. В архиве хранятся документы с 1921 года по настоящее время. Среди них документы высших органов государственной власти: Центрального исполнительного комитета, Президиума Верховного Совета и Совета Министров Грузинской ССР, различных министерств, государственных комитетов, управлений и т.д., отображающих исторические процессы политического, экономического и культурного развития Грузии. В архиве хранятся фонды личного происхождения ученых, педагогов, инженеров, врачей, спортсменов, общественных деятелей и др. В 1050 фондах архива числится более 800 тыс. единиц хранения.

Центральный государственный архив НРБолгарии – основан в 1952 г. В архиве хранятся документы с 1944 году по настоящее время. Среди них документы институций государственной власти и центральных правительственных оргаов, оргаов суда и прокуратуры, хозяйственных, просветных, культурных и других институций, общественных организаций.

В архиве хранятся фонды личного происхождения - выдающихся общественно-политических, культурно-просветных, хозяйственных деятелей. 805 фондов учрежденского происхождения и 252 фондов личного происхождения; 392 воспоминания.

Кино-фото-фоноархивы:

Центральный государственный архив кино-фото-фоно

документов Грузии основан в 1944 г. В архиве хранятся 305 тыс. фото, 28 тыс. кино и 16500 фонодокументов. Первый фотоснимок, дошедший до нас, сделан фотомастером Александром Иваницким в 1858г. Первая документальная грузинская кинолента датируется 1909-ым годом.

Болгарская национальная фильмотека – архив для кинодокументов:

Золотой фонд БНР – архив фонодокументов

Телевизионный фонд БНТ - архив телевизионных документов

Первый болгарский фильм “Българан е галант” Васила Гендова с 1915 г. Васил Гендов – пробная фотосъемка в роли Болгарана в фильме “Болгаран есть Галант”.

Первый дошедший до нас документальный – с 1911 г.

Первый дошедший до нас фотоснимок с 1852 г.

Первая сохраненная фотография -Шумен, 1851 г.

Болгарский оркестр; дирижер - Шафран

Литературные архивы:

Центральный государственный архив литературы и искусства Грузии основан в 1970 г. В 202-х фондах хранятся около 300 тыс. дел, среди которых Союзов писателей, композиторов, художников, театрального общества Грузии и др.;

Фонды болгарских Союзов писателей, композиторов, художников, театрального общества и др., а также личные фонды хранятся в Центральном государственном архиве.

Научно-технические архивы:

Центральный государственный архив научно-технической документации Грузии основан в 1974 г. В архиве собраны научно-технические документальные материалы, образующиеся в процессе изыскания и проектирования инженерных сооружений, зданий, машин и т.д., в том числе, чертежи, технические рисунки, графики, диаграммы, расчеты, нормативы, географические карты, документы, связанные с техникой проектированием и др.

Центральный государственный технический архив в Болгарии основан в 1974 г. В архиве хранились научно-технические документы, созданы в институций национальной значимости в период после 1944-ого года.

Современное состояние Архивная отрасль Грузии включает в себя 7 центральных государственных архивов: в Тбилиси – Исторический, Новейшей истории, Литературы и искусства, Кинофотофонодокументов и Научно-технической документации; Центральный государственный архив в г. Кутаиси; Центральный государственный городской архив г.Тбилиси; пять городских и 57 районных государственных архивов, госархив страхового фонда в Душети и вспомогательные службы.

Болгарская архивная сеть с 1993 –ого года включает в себя: Центральный государственный архив (в 1993 г. объединивший ЦГИА, ЦГА НРБ, ЦГТА, а также фонды бывшего Центрального партийного архива, ликвидированного Государственного фотоархива) Центральный военно- исторический архив – Велико Търново 27 государственных архивов

Специализированная периодика:

С 1925 года в Грузии ежегодно издается периодический орган – „Саисторио моамбе“ („Исторический вестник“), в котором публикуются научные статьи и труды по материалам Национального архивного фонда Грузии,

нормативные акты, материалы методического характера, исторические источники, сборники документов и др.

С 1954 года в Болгарии ежегодно издается 4 кн. периодического органа архивного управления “Архивен преглед”, а с 1957 – два раза в год “Известия на държавните архиви”.

Архивы Аджарии:

Согласно декрету Ревкома Грузии с 1 июля 1921 года „О реорганизации и централизации архивного дела в Грузии” созданы Архивное управление Аджаристана и

Главный исторический архив, Военно-исторический архив, Архив древних актов, Историко-революционный архив, Юридический архив. В 1929 г. эти архивы объединены в Центральном государственном историческом архиве С 1939-ого года Архивное управление перешло в ведение НКВД Аджарской АССР и было переименовано в Архивный отдел НКВД. В 1939 ом году от отдела НКВД обособился в самостоятельную единицу Центральный государственный архив.

В Центральном государственном архиве Аджарии хранятся документы с 1878–ого года по настоящее время.

В Аджарии функционируют также Кедский, Кобулетский, Хелвачаурский, Хулойский и Шуахевский районные государственные архивы.

Архивы побратимства:

В городе Батуми- Центральный государственный архив,

В Благоевграде- Государственный архив –Благоевград - один из 27-ми государственных архивов в областных городах. Архив создан в 1952 г.

Документальные следы побратимства:

Центральный государственный архив Аджарии

- Фонд 335 – личный фонд

Государственный архив – Благоевград, Фонд 659, Болгаро-оветское сообщество-Фонд 119, Дом пионеров в Благоевграде.

Архивные следы и деятельность православных женских монастырей в Болгарии

О ранних женских монастырях сохранилось скудное количество свидетельств, которым присущ частичный и опосредованный характер.

По мнению некоторых исследователей², первые женские монастыри возникли сразу после крещения болгарского народа в 865 г. и были организованны по подобию византийских образцов. По всей вероятности они были разрушены во время османских нашествий. В период Болгарского Возрождения в 19-ом веке возникли женские монастыри преимущественно в поселениях Северной Болгарии и они выполняли функций образовательных институций.

Таким образом, в первой половине 18-ого века (около 1738 г.) основан по всей вероятности первый женский монастырь на территории болгарских землях “Калоферский монастырь “Св. Введение Богородицы во Храм”. Воспитанницы этого монастыря положили основы двух новых женских монастырей в Терновской епархии. Сусана Ганчева – монахиня из Калоферского монастыря создала в 1828 г. первый женский монастырь в Терновской епархии – Казанлышки монастырь “Св. Введение Богородицы во Храм”³. Сначала там (возник) был создан метох, который в 1844 году превратился в самостоятельный монастырь. Документы, отражающие существование этого монастыря сохраняются в Государственном архиве- Стара Загора⁴. Почти одновременно возник женский монастырь “Святой Троицы” в Терновской епархии в Ново село (сегодня Ловчанская епархия). Создали этот монастырь две из монахин Калоферского женского монастыря. Скудные документы об этом монастыре относятся к первой половине 20-ого века и сохраняются в Государственном архиве Велико Тырново.

Ефросиния Николова и Ефросиния Попниколова из Калоферского монастыря основали также Габровский женский монастырь “Св. Благовещение Пресвятой Богородицы”. Инициатива создания этого монастыря принадлежит архимандриту Йосифу Сокольскому, являющий-

² Ст. н.с. д-р Христо Темелски, Девическите манастири в България, <http://www.pravoslavieto.com/manastiri/devicheski.htm>

³ <http://www.pravoslavieto.com/manastiri/kazanlashki/index.htm#1>

⁴ Государственный архив -Стара Загора, Ф. 109К, 51 а.е., 1895-1951

ся игуменом соседнего Сокольского монастыря “Успение Пресвятой Богородицы”. Документы, связанные с этим монастырем находятся в Государственном архиве – Габрово и отражают его функционирование с самого начала в 1820 г. по 1948 году.

Некоторые из монастырей возникают как метохии, а впоследствии перерастают в женские монастыри. Другие создаются недалеко от больших мужских монастырей и существуют с их поддержкой. Так например, Арбанашеский женский монастырь возник в 1833 г. при помощи игумена Преображенского монастыря отца Зотика. Возник он недалеко от разрушенной церкви “Св. Никола” и сам женский монастырь назван Арбанашеский “Св. Никола”. Первой игуменьей стала монахиня Теодора Христова из Тырнова. Документы, связанные с этим монастырем сохраняются в Государственном архиве – Велико Тырново и относятся к периоду с 1881 по 1975 году.

Как метохии возникают также Сопотский женский монастырь “Св. Введение Богородицы во Храм” и Самоковский “Покров Богородицы”. К сожалению письменные свидетельства об их жизни и деятельности не сохраняются в государственных архивах.

В 19-ом веке в Болгарии возникают в качестве женских монастырей и т.наз. “семейные монастыри” – Батошевский женский монастырь “Св. Введение Пресвятой Богородицы во Храм” и Присовский женский монастырь “Св. Пантелеймона”. Созданы были эти монастыри для дочерей, принадлежащих к определенным духовным семьям. Эта практика считается уникальной и не встречается в других регионах⁵.

В 19-ом веке женские монастыри проводили значительную образовательную деятельность. До возникновения специализированных школ для девочек, женские монастыри являются единственными местами женской грамотности в Болгарии. В них получали образование первое поколение учительниц, которые дают начало образования для девочек в Болгарии. В 1840 году Анастасия Димитрова, получив свое образование в женский монастырь, открыла первую школу для девочек. После Освобождения Болгарии от османской власти в 1878 году, женские монастыри разрастаются. Многие из девочек, из оказавшейся под османской властью Македонии, поступали в болгарские женские монастыри. В монастырях принимали и сирот, где заботились о них, а потом некоторые из них продолжали свою жизнь в монастыре, но в

⁵ Подробнее об истории создания Батошевского женского монастыря “Св. Введение Пресвятой Богородицы во Храм” см. Църковен вестник, бр. 21, 2002 г. <http://www.pravoslaviето.com/manastiri/batoshevski/index.htm#2>

качестве послушниц и монахини. В них заботились также об детях – инвалидах и пожилых людей. 20-ых годов некоторых из женских монастырей регламентируют эти заботы (институционализируют эту деятельность) и открывают дома для пожилых людей, пансионаты для девиц, детские сады и летовища для школьников. Часто, женщины, оставшие без родных, без средств, поступали в женских монастырях в качестве послушниц и монахиней.

Из сохранных и дошедших до нас документов видно, что число монахин в разных монастырях варьирует с 5-6 до 20-25 человек. Находящиеся преимущественно не далеко от городов или в их пределах, женские монастыри не оторваны от жизни городов. В них принимают богомолцы, гости, а также родных монахиней.

В 19-ом веке, путешественник Фэликс Каниц, посетив некоторые из женских монастырей в городе Габрово был удивлен, что он широко доступный и отметил гостеприимство игумений.⁶

Монастырь управлялся игуменией, с помощью заместительницей и нескольких помощниц. Важные решения принимались собором всех монахин монастыря.

Монастыри подчинены соответствующей духовной епархией, а под центральным управлением (ставропигальным) является только Женский монастырь в Курило, Софийской области. Часто епархийское руководство отправляло монахинь с одного в другой монастырь с целью улучшить деятельность данного монастыря. Отдельные монахини собирали помощь. Иногда они достигали монастырей соседних стран и России. В документах отражена значительная по объему и характеру хозяйственная деятельность женских монастырей, в связи с земледелием, скотоводством, ткачеством, и другой деятельностью.

Монахини из женских монастырей ухаживали за больными солдатами и во время Сербско-болгарской войны. Например, сестры Параскева Стоименова и Катя Пецева, обе из Кремиковского монастыря “Св. Георгий”, которым лично Митгополит Климент в 1866 г. вручил свидетельство от имени Болгарского красного креста об их неоплачиваемой службе в качестве милосердных сестер во время войны⁷.

⁶ Феликс Каниц, Феликс Каниц, Дунавска България и Балканът. Историко – географско-этнографски пътеписни проучвания от 1860-1879г., т.1, С., 1995, с.255.

⁷ Софийский государственный архив, Ф.36К, оп.1, а.е.11, л.85 и 86

В создании некоторых из приютов для пожилых людей также принимали участие добровольно некоторые из монахин, заботились о них.

Так например, монахини Ферония и Евпраксия Димитрова из Бачковского женского монастыря, которые заботились о пожилых людях отправились в Дом для бедных и пожилых людей (старопиталище) в Присово.⁸ В некоторых из женских монастырей после Первой мировой войны создавались приюты для бездомных женщин. Таким примером может служить приют, созданный в 1923 г. в Арбанашком женском монастыре.

После октябрьской революции в 1917 г. в болгарские и сербские женские монастыри поступают и русские монахини, которые покидали Советскую Россию. В 1922 г. Св. Синод болгарской православной церкви открывает школу о социальной деятельности в Курильском монастыре, где монахини и ревностные христиане готовились для социальных церковных институций и для благотворительной деятельности.

Разрастание социальной деятельности женских монастырей является частью стремления православной церкви в Болгарии расширить свое участие в системе социальных институций и привлечь женщин-монахинь к благотворительной деятельности. С того времени в архиве церковной благотворительности связываются имена многих монахин, которые принимали в ней участие. К сожалению, эта деятельность пока не исследована и их имена попали в забвение.

После установления власти Отечественного фронта под руководством БКП в 1944 г., деятельность женских монастырей сузилась, а также и православной церкви. Все социальные институции церкви были закрыты или перешли в руки государства. Монастырские хозяйства также были национализированы. Некоторые из крупнейших женских монастырей, например Габровский – разрушены.

Монахини оказываются без прав для осуществления благотворительной и социальной деятельности. Вопреки тому, часть женских монастырей продолжают свое существование и сегодня, восстанавливаясь быстрее мужских.

В начале 50-ых годов, когда создавалась болгарская архивная сеть, в государственных архивах приняты документы из 16-ти женских монастырей. Основной массив этих документов сохраняется в Госу-

⁸ См. Търновски епархийски вестн, 1923, бр.8 и 9

дарственном архиве Велико Търново, а также в Центральном государственном архиве Софии и в государственных архивах в городах Габрово и Стара Загора. Преобладающая часть архивных фондов содержат несколько единиц хранения, но несмотря на этого, являются одними из первыми документальными свидетельствами о женщинах и о монашестве в целом.

Архивные фонды женских монастырей в болгарских государственных архивах⁹

1. Женский монастырь "Св. Георгий", с. Кремиковци, Софийско, СДА, ф. 36 К, 109 а.е., 1884-1949 г.
2. Женский монастырь "Св. Никола" - с. Арбанаси, Великотърновско (1833 - 1944), ДА-Велико Търново, Ф. 726К, 4 а.е., 1881 - 1957 г.
3. Женский монастырь "Успение Пресвятой Богородицы" - с. Арбанаси, Великотърновско (1860 - 1944), ДА-Велико Търново, Ф. 727К, 7 а.е., 1911 - 1950 г.
4. Женский монастырь "Святой Троицы" - Велико Търново (XIV в. - 1944), ДА-Велико Търново, Ф. 733К, 11 а.е., 1911 - 1948 г.
5. Женский монастырь "Св. пророк Илия" - Горна Оряховица (1938 - 1944), ДА-Велико Търново, Ф. 730К, 3 а.е., 1940 - 1948 г.
6. Женский монастырь "Св. Арахангел Михаил" - с. Дебелец, Великотърновско (1858 -1944), ДА-Велико Търново, Ф. 732К, 1 а.е., 1929 - 1957 г.
7. Женский монастырь "Св. Богородица" - с. Килифарево, Великотърновско (1842 -1944), ДА-Велико Търново, Ф. 728К, 4 а.е., 1924 - 1953 г.
8. Женский монастырь "Св. 40 мучениц" - с. Мерданя, Великотърновско (1852 -1944), ДА-Велико Търново, Ф. 731К, 6 а.е., 1918 - 1960 г.
9. Женский монастырь "Св. Панталеймон" - с. Присово, Великотърновско (1871 - 1944), ДА-Велико Търново, Ф. 729К, 3 а.е., 1937 - 1957 г.
10. Женский монастырь „Св. Благовещение" – Габрово, ДА-Габрово, Ф.186К, 27 а.е., 1820-1948 г.
11. Коллекция документальных материалов монахиней Габровского женского монастыря „Св. Богородицы", ДА-Габрово, Ф. 669К, 20 а.е., 1830 - 1946 г.

⁹ <http://www.history.swu.bg/temi2.html>

12. Женский монастырь “Св. Благовещение” – Габрово, ДА-Габрово, ф. 267, 9 а. е., 1948-1958 г.

13. Женский монастырь “Въведение Пресв. Богородицы” – Казанлък, с. Партизанин, Чирпанско, ДА-Стара Загора, Ф. 109К, 51 а.е., 1895-1951

14. Женский монастырь “Св. Николай” с. Мъглиж, Старозагорско, ДА-Стара Загора, Ф. 481К, 22 а.е., 1942-1948

15. Женский монастырь – Казанлък, ДА-Стара Загора, Ф. 982, 54 а.е., 1951-1977

16. Церковное земледельческое хозяйство женского монастыря “Св. Николай” – Мъглиж, ДА-Стара Загора, Ф. 1497, 19 а.е., 1958-1978

Поляки в Грузии

Грузия на протяжении всей своей богатой истории является одним из наиболее многонациональных государств Европы. И хотя поляки никогда не составляли в ней многочисленной группы, а всего лишь небольшой процент населения, они все же оставили свой заметный след на страницах ее истории и внесли значительный вклад в развитие грузинской экономики и культуры.

Истории польско-грузинских отношений, вероятно, свыше пяти-сот лет, а причиной их установления были поиски союзников в войнах против Турции. Известно, что первыми поляками, которые прибыли в Грузию, были священники езуиты, приглашенные в XVII веке королем Имеретии - Арчилом. Тем не менее, до конца XVIII века польско-грузинские отношения имели лишь эпизодический характер¹⁰.

Эта ситуация изменилась вместе с разделом польско-литовского государства и аннексией грузинских земель Россией. С тех пор судьба поляков на территории Грузии была тесно связана с историей грузинского народа, а прежде всего с теми периодами в его истории, когда грузинский народ, как в свое время и польский народ, был лишен права на независимость. В этих историко-политических условиях борющиеся за свои права польский и грузинский народы проявляли взаимопонимание и основывали свои отношения на дружбе и сопереживании. Поляки, которые в конце XIX в.- начале XX в. приезжали в Грузию, всегда были тепло приняты на грузинской земле, а их судьбу грузины отождествляли с собственной. Указывая на множество исторических и культурных сходств как поляки, так и грузины, обращали внимание на общие национальные черты характера, объединяющие эти два народа, что подтверждают многочисленные дневники и воспоминания того времени. Здесь следует привести хотя бы слова Стефана Жеромского, одного из наиболее выдающихся польских писателей начала XX века: *«В дневниках, повествующих о жесткой судьбе польских изгнанников (...) всегда упоминается о союзнике изгнания – грузине,*

¹⁰ W. Materski, Pięćset lat kontaktów polsko-gruzińskich. Zarys problematyki, w: Polacy w Gruzji, red. E. Walewander, Lublin 2002, с. 57-59.

который как и польский повстанец обречен на каторжный труд (...). Дружба завязана в таких условиях, является наиболее крепкой»¹¹.

Массовое стечение поляков в Кавказ было связано с политическими репрессиями царской России. Первая волна польских ссыльных в так называемый «теплый Сибирь» (может быть «теплую Сибирь») прибыла уже в 1794 году. Она состояла из участников восстания Тадеуша Костюшко. Следующей волной стали польские военнопленные из армии Наполеона, число которых, в зависимости от источников, варьируется от 2 до 10 тысяч человек. Также после проигранного «ноябрьского восстания» 1830 г. на Кавказ переселено свыше 5 тысячи польских семей¹².

По материалам первой всеобщей переписи населения Российской Империи с 1897 г., польская община на Кавказе насчитывала 25 117 человек, в том числе 6 282 поляков проживало в Тифлиской и 1293 в Кутаисской губерниях¹³.

В начале XX века в на территории Грузии проживало 2 111,3 тысяч человек. Сегодня трудно сказать какой процент населения составляли поляки, поскольку они тогда причислялись к категории «прочие индоевропейцы», которая в целом насчитывала 33,6 тысячи человек. Количество поляков непосредственно можно определить на основе данных приведенных Станиславом Тхугуттом¹⁴ о том, что в 1911 г. на Кавказе проживало 36,1 тысяч поляков; а также данных Войцеха Матерского, который основываясь на собственных исследованиях утверждает, что число поляков в самом только Тбилиси увеличилось с 900 человек в 1864 г. до 7 500 в 1910 г. и 9 000 – в 1914¹⁵, а в Батуми в 1909 г. проживало 1025 человек польской

¹¹ S. Żeromski, *W sprawie Gruzji*, в: *Elegie i inne pisma literackie i społeczne*, Warszawa-Kraków 1928, с. 224-225.

¹² M. Wieliczko, *Z dziejów Polaków żyjących w sąsiedztwie ojczyzny*, в: *Polacy w świecie. Polonia jako zjawisko społeczno-polityczne*, red. A. Kopruckowniak, W. Kucharski, cz.1, Lublin 1986, с. 154.

¹³ Z. Łukawski, *Ludność polska w Rosji 1863-1914*, Wrocław 1978, с. 94.

¹⁴ S. Thugutt, *Polska i Polacy. Ilość i rozsiadlenie ludności polskiej*, Warszawa 1915.

¹⁵ W. Materski, *Gruzja*, Warszawa 2000, с.284.

национальности¹⁶. Исходя из этого по всей вероятности можно предположить, что к началу Первой Мировой Войны польская община в Грузии состояла из 15 тысяч человек.

Похожие проблемы касаются попыток определения количества поляков на территории Грузии в послевоенный период, характеризующимся массовыми миграциями, в особенности крупнейшая волна репатриации с 1919-1924 гг., в результате которой из большевистской России в Польшу вернулось свыше 1,264 миллиона человек. К сожалению, не известно, насколько это коснулось поляков на территории Грузии.

По материалам первой всеобщей переписи населения СССР 1926 года на Южном Кавказе проживало 6 324 поляков, в том числе на грузинской территории уже лишь 3 159 поляков. Такое сокращение польского населения представляет собой результат как эмиграции в Польшу, так и красного террора, но необходимо учесть также и тот факт, что в начале советской эпохи часть поляков меняла свои фамилии и, желая избежать репрессий, регистрировалась русскими.

Численность поляков в Грузии увеличилась к середине 30-их годов. Эти изменения были связаны с ликвидацией двух польских национальных округов – им. Мархлевского в Украинской ССР (в 1936 г.) и им. Дзержинского в Белорусской ССР (в 1937 г.). Часть польского населения из этих округов была выслена в Грузию¹⁷.

Начало войны между Германией и СССР привело к эмиграции следующей волны поляков на Кавказ. Исследователи оценивают, что в первые годы войны в Грузии проживало около 10 тысяч поляков. Но уже в 1943 г. их число начало резко сокращаться в связи с формированием польской армии в СССР и в 1944 г. осталось только 4,2 тысячи человек. Известно также, что в 1946-1948 гг. приблизительно 3 тысячи человек вернулись из Грузии в Польшу в ходе движения репатриации¹⁸.

Для определения численности польского населения в Грузинской ССР после Второй Мировой Войны полезными будут резуль-

¹⁶ A. Chudzińska, *Polonia w Gruzji. Stosunki oficjalne między Rzeczypospolitą Polską a Republiką Gruzji*, w: *Polacy w Gruzji*, red. M. Filina, J. Porayski-Pomsta, Warszawa-Tbilisi 2004, с. 108.

¹⁷ A. Kosecki, *Polacy w Gruzii. Problemy kwerendy i główne kierunki badań*, w: *Polacy w Gruzji*, red. E. Walewander, Lublin 2002, с. 41.

¹⁸ W. Materski, *ук. соч.*, с. 290.

таты всеобщих переписей населения СССР 1959, 1970, 1979 и 1989 гг. По результатам в Грузии, показатели свидетельствуют о систематическом сокращении польского населения с 2,7 тыс. по 2,6 тыс. и с 2,2 тыс. по 2,014 человек¹⁹.

В январе 2002 года в стране была проведена первая в условиях независимости всеобщая перепись населения Грузии. По данным этой переписи на территории контролируемой правительством, польскую национальность задекларировало 870 человек²⁰. К этому числу надо еще добавить поляков проживающих на территории Абхазии, где по данным польского посольства в Тбилиси живет 200-350 человек, что дает приблизительную общую сумму 1100-1200 человек и обозначает почти двукратное уменьшение польского населения в Грузии по сравнению с 1989 годом.

На современном этапе, как и прежде, большинство потомков поляков в Грузии населяет города, а их самая крупная группа сосредоточена в Тбилиси. При этом следует подчеркнуть, что уже с конца XIX столетия поляки, проживающие в столице составляли свыше половины польского населения на территории всей Грузии. Необходимо также отметить, что тбилисские поляки не образовали колонии – в отличие от других национальных меньшинств – но их дома до сих пор можно встретить в некоторых районах города: на Куках, в окрестностях костела Святых Апостолов Петра и Павла и на Сололаки. Исключением является т. н. «польский окологородок» в районе Исани²¹.

Кроме Тбилиси, наиболее значительные скопления поляков находятся сегодня в следующих муниципалитетах: Ахалцихе, Телави и Лагодехи, а также в городах: Батуми, Гори и Сухуми. В прошлом к крупным центрам польского населения принадлежали также: Кутаиси, Поти, Ахалкалаки и Закатала.

Анализируя социально-профессиональную структуру польской эмиграции в Грузию надо отметить, что поскольку до половины XIX века она складывалась почти исключительно из ссыльных

¹⁹ K. Woźniakowski, *Ludność polska w ZSRR po drugiej wojnie światowej (skład i rozmieszczenie)*, w: *Liczba i rozmieszczenie Polaków na świecie*, red. W. Wrzesiński, cz. II, Wrocław 1981, s. 399-412.

²⁰ *Результаты первой всеобщей национальной переписи населения Грузии*, т. 1, Тбилиси 2003, с. 110.

²¹ J. Doboszyńska, *Wyobcowanie i drogi odnajdywania korzeni – na przykładzie tbiliskiego środowiska polonijnego*, w: *Polacy w Gruzji*, red. E. Walewander, s. 282;

солдат, то уже начиная с 40-х годов XIX столетия в Грузию добровольно прибывали эмигранты, представляющие различные профессии, в частности врачи, чиновники, купцы и торговцы. Тем не менее, еще в 1897 году солдаты составляли 68% польского населения в Грузии. На переломе XIX и XX веков, т.е. в период расцвета российской экономики, в Грузию прибыла следующая существенная волна поляков, которая в значительной мере складывалась из специалистов-инженеров, учителей и научных работников.

Поляки сделали существенный вклад в развитие этого региона. Следует здесь упомянуть Фердинанда Рыздзевского, главного инженера проекта самого длинного туннеля на Кавказе – Сурамского, Романа Невядомского – начальника проектов прокладки железнодорожных путей Тбилиси-Телави и Туапсе-Поти, а также Болеслава Статковского, под руководством которого была модернизирована Грузинская Военная Дорога. В области ботаники стоит привести пример биолога Лудвика Млокосевича, основателя известного заповедника в Лагодехи, славящегося также открытием эффективного метода борьбы против малярии и Владыслава Баграновского, который являлся начальником сухумского ботанического сада долгие годы. Одним из первых профессоров тбилисской консерватории был Луцян Трушковски; здесь проживал также и известный польский художник Зигмунт Валишевски. Однако невозможно перечислить всех поляков, сделавших свой весомый вклад в развитие этого региона²².

Сегодня большинство поляков в Грузии являются представителями среднего класса, 80% имеет высшее образование, как правило, работают врачами, учителями, инженерами, научными работниками, художниками и музыкантами.

Своеобразным фактором интегрирующим польское население в Грузии является приверженность католическому вероисповедованию. Особенную роль в укреплении польского национального самосознания сыграла постройка в 1877 году – частично благодаря пожертвованиям тбилисских поляков – костела святых апостолов Петра и Павла. Храм этот – единственная римо-католическая церковь, действовавшая непрерывно на протяжении всего советского периода – среди жителей Тбилиси был известен как «польский костел».

²² G. Piwnicki, *Losy Polaków-wojskowych służących w Armii Carskiej na ternie Gruzji w XIX i na początku XX wieku*, w: *Polacy w Gruzji*, red. E. Walewander, s. 89.

В 1894 году при приходе святых Петра и Павла было учреждено Римо-католическое Благотворительное Общество, которое основало школу для польских детей. Деятельность общества ускорило начало периода оживления польского населения, что послужило образованию в 1907 году первой светской организации – Ассоциация «Польский Дом» – в которой сконцентрировалась культурно-просветительная жизнь поляков. Немаловажное значение для воспитания молодежи имело создание польской скаутской организации, которая начиная с 1914 года действовала в Тбилиси и Кутаиси²³.

Начало первой мировой войны в значительной мере изменило положение поляков в Грузии. В связи со стечением большого количества польских беженцев и военнопленных из армий Германии и Австро-Венгрии, главной задачей польских организации стала поддержка новоприбывших соотечественников. Эту функцию выполняли созданный при «Польском Доме» Комитет Помощи Жертвам Войны и Польский Союз, основанный в 1917 году.

Польское население поддержало Акт Независимости, провозглашенный Народным Советом Грузии в 1918 году (свои подписи поставили под ним 3 поляков), а трехлетний период суверенитета дал толчок активизации польских организаций. В то же время появился «Тыгодник Польски» («Польский Еженедельник») – первый журнал издаваемый на польском языке.

Однако давление большевиков на молодое грузинское государство подействовало ликвидацией всех организации и систематической советизацией польского населения, а единственным учреждением, предоставляющим помощь полякам, остался приход святых Петра и Павла.

Кратковременная активизация польской общины в 1943 была связана с созданием территориальных управлений Союза Польских Патриотов в Тбилиси, Гори и Кутаиси, которые выступали с инициативами материальной, врачебной и юридической помощи польскому населению.

После Второй Мировой войны поляки в Грузии не проявляли большой активности, а советизация этой немногочисленной группы и ее значительная разобщенность не благоприятствовали развитию

²³ A. Woźniak, Rodzina polonijna w Gruzji jako środowisko wychowawcze w XIX i XX wieku, „Eastern Review” 4 (2000), с. 272-274, 283.

общественной жизни и сохранению национальных традиции и самобытности.

Также во время бурных политических перемен в начале девяностых годов польская община в Грузии не играла значительной роли – только один поляк, Виктор Дмоховски из Народно-Либерального Союза был избран депутатом Верховного Совета на выборах с 1990 года²⁴.

Повторное обретение Грузией независимости в 1991 году открыло перед поляками новые возможности и стало толчком к развитию их общественной жизни. Уже в 1992 году по инициативе Александра Русиецкого в Тбилиси был создан клуб политико-элитарного характера, объединивший грузин польского происхождения. И хотя он прекратил свое существование уже в 1994 году, годом позже, в феврале 1995 года была учреждена Ассоциация Поляков в Грузии «Полония», в которой вскоре было зарегистрировано 500 человек, а теперь, после повторной регистрации Ассоциация была переименована в Культурно-Просветительский Союз Поляков в Грузии «Полония», насчитывает больше 800 членов. Союз занимается прежде всего культурной деятельностью; помощью (в том числе медицинской) представителям польской общины в Грузии, а также образованием детей, с 1996 г. организуя для них курсы польского языка.

Вскоре в Грузии было зарегистрировано несколько новых объединений с абсолютным большинством поляков в их составе. В 1998 году был создан Польский Образовательный Центр, в рамках которого существует Польская Школа им. Св. Королевы Ядвиги и, который издает единственный журнал для польской общины в Грузии – «Кавказская Полония»²⁵. В последующие годы были основаны: Фонд «Польский Дом» и Союз Медицинской Полонии в Грузии (оба в Тбилиси), Союз Полонии Южной Грузии (в Ахалцихе), Союз Поляков Кахетии (в Лагодехи) и две ассоциации, действующие в Абхазии: Центр Польской Культуры «Белый Орел» и Союз Поляков в Абхазии «Польское Содружество» - обе нахо-

²⁴ А. Kosecki, *ук. соч.*, с. 42.

²⁵ L. Metreweli, *Z dziejów Związku Polaków w Gruzji „Polonia”*, w: *Polacy w Gruzji*, red. E. Walewander, с. 289-299.

дятся в Сухуми. В общем организации польского меньшинства в Грузии насчитывают почти 1000 человек²⁶.

Следует подчеркнуть, что современные организации поляков возникли и развиваются в благоприятном окружении, так как в Грузии до сих пор существует положительный стереотип поляка, сформированный еще в XIX и XX веках. Среди эмигрантов и изгнанных с территории Польши было много лиц искренне преданных своей новой родине, лишенной тогда, как и Польша, независимости. Отражением этих бесконфликтных польско-грузинских контактов являются постоянные дружественные отношения этих двух нации. По итогам исследований проведенных А. Фурером на тему национально-исторического сознания академической среды в Тбилиси и оценкам разных национальностей, около 73% опрошиваемых положительно отнеслись к польскому населению в Грузии, отрицательно не высказался никто²⁷.

На современном этапе поляки в Грузии представляют собой неотъемлемую часть грузинского населения. И, несмотря на то, что в последние годы наблюдаем значительную активизацию грузинских поляков, глубокие процессы ассимиляции, а также многолетнее влияние грузинской и русской культуры привели к тому, что большинство поляков в Грузии уже не владеет польским языком, даже дома используя русский, либо грузинский. Следует также отметить, что современные представители польского меньшинства нередко происходят из польско-грузинских, польско-русских и польско-армянских семей и очень часто являются поляками в пятом, шестом, порой даже седьмом поколении – но, несмотря на все это они помнят свои корни и гордятся своим польским происхождением.

²⁶ J. Doboszyńska, Tbilisi – mała ojczyzna gruzińskiej Polonii, w: Etnos przebudzony, red. L. Mróz, Warszawa 2004, c. 27.

²⁷ Zob. „Sprawy Narodowościowe” 2 (1993), z. 2 (3), c. 181.

ბერლინის კონგრესი და მისი შედეგები

1878 წლის იანვრის ბოლოს ანდრიანოპოლში ოსმალეთსა და რუსეთს შორის დაიწყო მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულების დასადებად, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, მოლაპარაკებები ანდრიანოპოლიდან სან-სტეფანოში იქნა გადატანილი. 1878 წლის 19 თებერვალს რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენლები შეთანხმდნენ 29 მუხლისაგან შედგენილი წინასწარი ზავის პირობებზე. უაღრესად საინტერესო იყო ხელშეკრულების მე-19 მუხლი, რომლის მიხედვითაც რუსეთმა ოსმალეთს დააკისრა სამხედრო კონტრიბუცია რუსეთის სასარგებლოდ 1410 მილიონი მანეთის (ოქროთი) ოდენობით, მაგრამ იმის გამო, რომ ოსმალეთს ძალა არ შესწევდა ასეთი თანხა გადაეხადა, ის რუსეთს ამ თანხის საფასურში მისი იმპერიის მნიშვნელოვან ტერიტორიებს უთმობდა როგორც ევროპაში, ასევე აზიაში. რუსეთის მფარველობაში გადადიოდა არდაგანი, ყარსი, ბათუმი, ბაიაზეთი და სხვა ტერიტორიები (მეგრელიძე შ., 1955).

იმპერატორმა ალექსანდრე II-ემ განაცხადა: „მარტო ბათუმი და ყარსი ღირს იმათ, რომ რუსეთმა მათთვის გასწიროს რამდენიმე მილიონი“.

ამ ზავის პირობებით მეტად უკმაყოფილონი დარჩნენ ევროპის სახელმწიფოები. ისინი აშკარად ხედავდნენ, რომ ხელშეკრულება ხელს უწყობდა რუსეთის გაძლიერებას როგორც ევროპაში, ისე აზიაში, ეს კი არ შეესაბამებოდა მათ ინტერესებს. მაგალითად, ინგლისის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე გადაწყდა, რომ ინგლისი ყოველნაირად შეეწინააღმდეგებოდა ოსმალეთსა და რუსეთს შორის დადებულ სეპარატისტულ ხელშეკრულებას. ისიც უნდა ითქვას, რომ ინგლისის მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთი წევრი წინააღმდეგი არ იყო რუსეთისათვის ბათუმის გადაცემაზე იმ პირობით, თუ რუსეთი უარს იტყოდა მისი საზღვრების სამხრეთით გაფართოებაზე. ინგლისმა დაიწყო რუსეთის დამინება. თუ რუსეთი არ გადახედავდა

ხელშეკრულების პირობებს და დათმობაზე არ წავიდოდა მათ სასარგებლოდ, საომარ მოქმედებებს განაახლებდნენ. ინგლისმა მარმარილოს ზღვაში შეიყვანა თავისი ფლოტი. რუსეთი აღმოჩნდა რთულ მდგომარეობაში. მას არ შეეძლო ომი განეხლებინა. ეს მისთვის დამლუპველი აღმოჩნდებოდა.

თვით რუსეთი კი ცდილობდა როგორმე შეენარჩუნებინა მიღწეული და ამ საქმეში ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს მხარდაჭერა მოეპოვებინა. ზემოთ რუსეთის იმპერატორის სიტყვები მოვიყვანე ბათუმთან დაკავშირებით, ახლა მოვიყვან კავკასიაში რუსეთის არმიის შტაბის მეთაურის გენერალ-ლეიტენანტს პავლოვის სიტყვებს. ის ამბობდა: „ ბათუმს რუსეთისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ფოთთან შედარებით მას გააჩნია გემების სადგომისათვის არნახული გეოგრაფიული პირობები, ამიტომ მთავრობამ ყველა ღონე უნდა იხმაროს მის შესანარჩუნებლად”. მიუხედავად ასეთი განწყობისა, ევროპამ რუსეთი მაინც აიძულა დათანხმებულიყო სან-სტეფანოს ზავის პირობები გადაეხედა. ეს კი უნდა მომხდარიყო ბერლინის კონგრესზე. რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, შეენარჩუნებინა ზავით მიღებული ქალაქი და სხვა ტერიტორიები. ამ საქმის მოგვარება კონგრესზე დაევალა რუსეთის ელჩს ინგლისში, გრაფ შუვალოვს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შუვალოვი ადრეც აქტიურობდა ამ საქმეში იმპერატორის დავალებით. მან ჯერ კიდევ 1878 წლის 18 მაისს შემლო ინგლისელებთან საიდუმლო ხელშეკრულების გაფორმება. მას სჯეროდა, რომ ბათუმის საკითხი რუსეთის სასარგებლოდ უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ რუსეთის იმპერატორს კი ნაკლებად სჯეროდა შუვალოვის ოპტიმიზმისა. ის მას ეუბნებოდა, რომ როდესაც საქმე მივა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე, ინგლისელები ამას არ შეასრულებენო (Внешняя политика России, XIX и начало XX века, М.,1976)

რუსეთის იმპერატორის პესიმიზმი ამ საკითხში უსაფუძვლო ნამდვილად არ იყო. იმავე 1878 წლის მაისის თვეში ცნობილი გახდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის, ლორდ სოლსბერის გამონათქვამი იმაზედ, რომ ინგლისმა არ უნდა დაუშვას

რუსეთის მიერ ბათუმის ხელში ჩაგდება (Русско-турецкая война 1877-1878 гг., М, 1977).

ბერლინის კონგრესი გაიხსნა 1878 წლის 1 ივნისს. მას თავმჯდომარეობდა გერმანიის რაიხსკანცლერი ოტო ფონ ბისმარკი. მართალია მან ადრე განაცხადა, რომ სურს დარჩეს „პატიოსან მაკლერად“ და არც ერთ მხარეს არ მიანიჭოს უპირატესობა, მაგრამ სან-სტეფანოს ზავის გადასინჯვისას, იგი რუსეთის მოწინააღმდეგეებს მიემხრო. რუსეთი ამ კონგრესზე აშკარა იზოლაციაში აღმოჩნდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ინგლისი. სხვათა შორის, ინგლისი ხედავდა, რომ რუსეთის დელეგაციაში არ იყო ერთიანობა და ამას ბრწყინვალედ იყენებდა თავის სასარგებლოდ. საქმე იმაშია, რომ რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა თავადი გორჩაკოვი, რომელიც 80 წელს იყო მიტანებული. ამის გამო დელეგაციის ფაქტობრივი ხელმძღვანელი იყო შუვალოვი. კონგრესის მსვლელობისას მათ შორის ხშირად იმაბებოდა ურთიერთობა. ზოგიერთი სხდომა ისე ტარდებოდა, რომ ისინი ერთმანეთს ხმასაც არ სცემდნენ და ზოგიერთ საკითხში სხვადასხვა აზრისანი იყვნენ. მაგალითად, რუსეთის ელჩი გერმანიაში და დელეგაციის წევრი – ბარონი უბრი ამბობდა, რომ ჩემთან საუბარში შუვალოვი აღშფოთებული იყო გორჩაკოვის ცქმუტობითა და წინდაუხედაობით. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს მოხუცი სრულებით ვერ ერკვევა რუკებში და ზოგჯერ ის ჩემ ჯიბრზე რუკებზე ინგლისელებს ისეთ საიდუმლო ადგილებს უჩვენებდა, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას განეკუთვნება. ეს მართლაც ასე იყო. მაგალითად, გორჩაკოვმა ინგლისის პრემიერ-მინისტრს ბიკონსფილდს უჩვენა საიდუმლო რუკა, რომელიც ინგლისელებმა შემდეგ მოხერხებულად გამოიყენეს. რუსეთის დიპლომატიის ასეთმა ლაფსუსებმა ძლიერი დადი დაასვა კონგრესის მსვლელობას. (Русско-турецкая война 1877-1878 гг., М, 1977). მიუხედავად ამისა, რუსებმა მაინც მოახერხეს მდგომარეობის თავის სასარგებლოდ შემობრუნება.

კონგრესის ძირითადი გადაწყვეტილებანი მდგომარეობდა შემდეგში: მან საბოლოოდ ძალაში დატოვა სან-სტეფანოს ზავის პირობების ერთი ნაწილი. ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო ყარსის,

არდაგანისა და ბათუმის ოლქები. მომდევნო 52-ე მუხლი ეხე-
ბოდა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის მიერ ბათუმის
პორტო-ფრანკოდ გამოცხადების განზრახვას.

ბათუმის საკითხმა კონგრესზე აზრთა დიდი წინააღმდეგობა
გამოიწვია. თავდაპირველად ბათუმის რუსეთისათვის გადაცემის
წინააღმდეგი იყო ინგლისის დელეგაცია. განსაკუთრებით
აქტიურობდა საგარეო საქმეთა მინისტრი სოლსბერი. ერთ-ერთ
კერძო საუბარში ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ალ.
ყარათედორ ფაშასთან სოლსბერიმ აღნიშნა, რომ ინგლისი
ყოველ ღონეს იხმარს, რომ ბათუმი დარჩეს ან ოსმალეთს, ან
ჩვენ (იგულისხმებოდა ინგლისი - ო. გ.). ბათუმს ასევე, როგორც
ზემოთ ითქვა, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის
იმპერატორი. მან რუსეთის დელეგაციას პირდაპირ დაავალა,
რომ კონგრესის დადგენილებას შევასრულებთ მხოლოდ იმ
შემთხვევაში, თუ ბათუმი ჩვენი იქნებაო. ინგლისი ასევე ცდი-
ლობდა ბათუმის საკითხში მის მხარეზე დამდგარიყო საფრან-
გეთი (Русско-турецкая война 1877-1878 гг., М, 1977).

ამ მიზნით, კონგრესის მიმდინარეობის დროს გაიმართა
მოლაპარაკება სოლსბერსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა
მინისტრს ვადიგტონს შორის, სადაც შეთანხმდნენ იმაზე, რომ
საფრანგეთი წინ აღუდგებოდა ბათუმის რუსეთისათვის გადაცემ-
ას. მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა სკანდალი. ერთ-ერთმა
ინგლისურმა გაზეთმა გამოაქვეყნა რუსეთ-ინგლისის 1878 წლის
18 მაისის საიდუმლო შეთანხმება, რომლის ძალითაც ინგლისი
უთმობდა რუსეთს ბათუმს. ამ შეთანხმებამ ინგლისის
საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ერთ-ერთმა ინგლისურმა
გაზეთმა მოითხოვა ბიკონსფილდის კაბინეტის გადადგომა და
ხელშეკრულებაზე ხელმოწერთა დასჯა (Внешняя политика России
XIX и начало XX века, М., 1976).

ამ დროს შუამავლის როლის შესრულება იკისრა გერმანიამ.
რაიხსკანცლერ ბისმარკსა და შუვალოვს შორის გაიმართა
მოლაპარაკება, რომლის დროსაც შუვალოვმა სთხოვა ბისმარკს,
გამოეყენებინა მისი დიდი ავტორიტეტი და ეიძულებინა ინგ-
ლისი დათმობაზე წასულიყო ბათუმის, ყარსის, არდაგანისა და
სხვა საკითხებში. გერმანია დათანხმდა რომ იგი ამ საკითხებში

მხარს დაუჭერდა რუსეთს. ასევე ბისმარკსა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ კორტის შორის გაიმართა საიდუმლო მოლაპარაკება, სადაც აღინიშნა მათი შეშფოთება ინგლისის პოლიტიკის გამო. სწორედ ამან გადაწყვიტა ბათუმისა და სხვა მხარეების რუსეთისადმი გადაცემის საკითხი. როდესაც ბისმარკმა კონგრესის სხდომაზე ეს განაცხადა და მას ამაში დაეთანხმნენ იტალიის დელეგაციის წარმომადგენლები, განცვიფრებულმა ინგლისელებმა ჯერ გადაწყვიტეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ბოლოს იძულებულნი გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. ბათუმი გადადიოდა რუსეთის ხელში და ის ცხადდებოდა პორტო-ფრანკოდ (თავისუფალი სავაჭრო ნავსადგური).

უკანასკნელ სხდომაზე, 1878 წლის 1 ივლისს, კონგრესის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს 64-მუხლიან ხელშეკრულებას, რომელიც ბერლინის ტრაქტატის სახელწოდებითაა ცნობილი (Внешняя политика России XIX и начало XX века, М., 1976)

ქართველი საზოგადოებრიობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ბერლინის კონგრესის ისტორიულ გადაწყვეტილებას. მთელი ქართველი ხალხის გულისთქმას გამოხატავდა დიდი ილია ჭავჭავაძე, როდესაც წერდა: „...ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა. ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად მებრძოლი შავის ბედისა, ჩვენი გმირების ფუძე, ჩვენი უწინდელი განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო - დღეს ჩვენ შემოგვიერთდა და თუ კარგად მოიქცევინ - ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქნება კიდევ სამუდამოდ“ (ჭავჭავაძე ი., თხზ, ტ, IV, თბ., 1981).

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეგრელიძე შ., საქართველო რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში, ბათ., 1955.
2. ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ. IV, თბ., 1981.
3. Внешняя политика России XIX и начало XX века, М., 1976.
4. Русско-турецкая война 1877-1878 гг., М, 1977.

Отар Гоголишвили

Берлинский конгресс и его результаты

Резюме

1 июня 1878 года открылся Берлинский конгресс, на котором Россия оказалась в явной изоляции, хотя русские все-таки смогли достигнуть значительных успехов и Карский, Ардаганский и Батумский округа перешли в состав России.

ქართული ენა - საქართველოს ერთიანობის საფუძველი

ყოველი ერის მშობლიური ენა თავისი ქვეყნის ერთიანობის საფუძველია. აქედან გამომდინარე, ქართული ენა საქართველოს ერთიანობის საფუძველი, მტკიცე ბალავარია. ეს დაამტკიცა საქართველოს და მისი ძირძველი ნაწილის – აჭარის ისტორიამ.

რუსეთ-თურქეთის 1977-1878 წლების ომის შედეგად, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით აჭარა სამი საუკუნის შემდეგ გადაეცა რუსეთს და დაუბრუნდა დედასამშობლოს – საქართველოს.

1978 წლის 25 აგვისტო აჭარის განთავისუფლების ისტორიულ დღედ იქცა, ხანგრძლივი ბატონობის პირობებში აჭარამ იძულებით მიიღო მაჰმადიანური სარწმუნოება, მაგრამ არ დაუკარგავს მთავარი – მშობლიური ქართული ენა, შეინახა საკუთარი ეროვნულობა.

ეროვნული სული, ენის ერთობა ის ძლიერი ფაქტორია, რომელიც ისტორიულ წარსულში, საქართველოში არც თუ ისე ცოტა ხნით გაბატონებული ბერძნებისა თუ რომაელების, ირანელებისა თუ არაბების, თურქ-სელჩუკებისა თუ მონღოლების, სპარსელებისა თუ ოსმალების ძალადობამ და ბოლოს მეფის რუსეთის თვითმპყრობელურმა პოლიტიკამაც ვერ გატეხა, ვერ შეძლო საქართველოს სულიერი დაპყრობა, ვერ აღმოფხვრეს ქართული ენა. ამდენად, ქართული ენა არის ის ძლიერი ფენომენი, რომელიც, სხვა ფაქტორებთან ერთად, არის ერის სულიერი ძლიერების, მისი ერთიანობის ბალავარი, მტკიცე საფუძველი.

მაღლიერი ვართ თანადგომისა და დახმარებისათვის, რომელიც რუსეთმა გეორგიევსკის ტრაქტატის შესაბამისად, დაკარგული ისტორიული მიწების დაბრუნებაში გაუწია საქართველოს. მაგრამ ვერც იმას დავმაღავთ, რომ მან სხვებისაგან „დაგვიცვა“. მაგრამ შემდეგ თვითონ მოინდომა საქართველოს რუკიდან წაშ-

ლა, ქართველთა გარუსება, რასაც არაერთი გამოსვლა, აჯანყება თუ შეთქმულება მოჰყვა.

დიდი ილია ბრძანებდა: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათ-
მობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა, გაუძე-
ლით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინარჩუნეთ... შრომით
და გარჯით, ცოდნით და ხერხით, მოსული კი - თან გაგვიტანს,
ფეხქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, სახსენე-
ბელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას,
როგორც უპატრონო საყდარს სხვანი დაეპატრონებიან“ (ჭავჭავაძე
ი. 1987:176).

მიუხედავად დიდი მცდელობისა, საქართველო საბოლოოდ
ვერ დაიმორჩილეს, ქართული ენა ვერ მოსპეს იმიტომ, რომ
ქართველ ერს ყოველთვის ჰყავდა პროგრესულად მოაზროვნე
ადამიანები, ერის მედროშენი, მწყემსნი ერისანი. ეს ის უდრეკი
ძალა და დაუმორჩილებელი ფენომენია, მხსნელად და პატრონად
რომ მოეგლინებოდა ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას ყველა
დროში.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-19 საუკუნე,
უფრო მეტად - მისი მეორე ნახევარი. ფასდაუდებელია თერგდა-
ლეულთა ღვაწლი და დამსახურება.

როცა თერგდალეულთა დამსახურებაზე ვლაპარაკობთ, აქვე
უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო, მაგრამ არასასიამოვნო
დეტალი, კერძოდ, ქრისტიანი ქართველების ერთი ნაწილი
არაქრისტიან, გამაჰმადიანებულ მოსახლეობას თათრებს ემახდა
(ეროვნული და რელიგიური ტერმინები აღრეულია), რაც ცუდად
მოქმედებდა რელიგიაგამოცვლილ ქართველებზე. ეს სერიოზუ-
ლი შეცდომა, აღნიშნული ფსიქოლოგიური მომენტი დიდმა და
ბრძენმა ილიამ გულთან მიიტანა, ---- შესაბამისად, მეცნიერუ-
ლად და ყველა თვალსაზრისით (ეროვნულად, რელიგიურად)
გამართული ტერმინები: რელიგიაგამოცვლილ ქართველებს (გა-
მუსლიმანებულთ) „მაჰმადიანი ქართველები“, ხოლო მიტაცებულ
ქართულ მიწა-წყალს „ოსმალოს საქართველო“ უწოდა (ჭავჭავაძე
ი., 1987:9)

არც ის იყო შემთხვევითი, რომ ილიამ ლოზუნგი - „მამული,
ენა, სარწმუნოება“ - ქართველი ერის დროშად რომ იქცა და

დღესაც ასეა, მაშინ, მაჰმადიანი ქართველების მდგომარეობის გათვალისწინებით, ნაწილობრივ შეცვალა ლოზუნგით - „მამული, ენა, ისტორია“. ამით მან მაჰმადიანი ქართველებიც ერთიან ეროვნულ სივრცეში მოაქცია, მოხსნა შეურაცხმყოფელი, უმართებულო გამოთქმები და გამოავლინა მზრუნველი დამოკიდებულება „დაკარგული“ და დაბრუნებული ძმებისადმი, რაც უხვადაა გაბნეული მის წერილებსა და სტატიებში. ამით ილიამ სხვადასხვა რელიგიურ აღმსარებელ ქართველთა სულიერი ერთობისათვის ბრძოლაში, ენის ერთობასთან ერთად, წინა პლანზე წამოსწია ისტორიის ერთობა. ამ გზით ერის მამამ შექმნა ძალად, რომელმაც მოაშუშა ისტორიული ბედუკუდმართობით მიყენებული ქართველი ერის ჭრილობები.

თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების გაღვიძება-აღორძინება-გამდიერებისათვის გაჩაღებულმა ბრძოლამ. ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართული ენის დაცვას, ქართული სკოლების გახსნას, სწავლებისა და აზროვნების ქართულად წარმართვას მთელ საქართველოში, მათ შორის და განსაკუთრებით ახლად დაბრუნებულ აჭარაში (ასეთი ყურადღება და მზრუნველობა თავის დროზე მესხეთის მიმართაც რომ ყოფილიყო, მაშინ „თურქი მესხების“ პრობლემა, ალბათ, არ დადგებოდა). ი. ჭავჭავაძის თქმით, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“. იგი არის ერის სულიერი ცხოვრების მემკვიდრე, ის ძვალკუნთოვანი სისტემა, რითაც ერის შვილები ერთმანეთს უკავშირდებიან. ეროვნული სული, ეროვნული ხასიათი და ფსიქიკა, პირველ ყოვლისა, და ყველაზე მეტად, ვლინდება დედაენაში. მის გარეშე არ არსებობს ეროვნული კულტურა, ეროვნული აზროვნება და თვითშეგნება, ეროვნული თვითმყოფადობა.

უცხო დამპყრობლებს კარგად ესმოდათ ენის როლი, ძალა და მნიშვნელობა. ამიტომ ისინი მიტაცებული ხალხების სულიერ დაპყრობას იწყებდნენ მათ ენაზე ზეწოლით, ან მისი აკრძალვით. ქართველი ერის მესვეურები კი თავგამოდებით იცავდნენ მშობლიურ ენას, როგორც ერის საყრდენ ძალას, მის საძირკველს.

ამ კუთხით გაშლილ საქმიანობაში ილიას, სხვა თერგდალეულებთან ერთად, გვერდს უმშვენებდა იაკობ გოგებაშვილი - ლამპარი ეროვნული თვითცნობიერებისა, დარაჯი დედაენისა, მოძღვართმოძღვარი, პირველი „დედაენის“ ავტორი.

იაკობ გოგებაშვილის აზრით, ქართველი ხალხის გონების გახსნის, განათლების, ერის წინსვლის მთავარი წყარო სკოლაა, სადაც, პირველ რიგში, უნდა ისწავლებოდეს მშობლიური ენა, ერის ისტორია, გეოგრაფია, გონების გამხსნელი და სულიერების მკვებავი სხვა საგნები. დიდი პედაგოგი სწავლა-განათლების საწყისად წერა-კითხვის დაუფლებას, ქართული ანბანის შესწავლას მიიჩნევდა. მისი აზრით, დედაენა ის ფართო შარაგზაა, რომელზეც ადამიანი საერთოდ და თითოეული ქართველი მოძრაობას იწყებს და შედის ჯერ ეროვნულში, ხოლო შემდეგ აგრძელებს მოძრაობას ეროვნულიდან მსოფლიო ცივილიზაციისაკენ. ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილის მიერ შექმნილი „დედაენა“ (1876 წ.) ფუძესახელმძღვანელოდ იქცა ქართველი ბავშვებისათვის. მრავალი თაობა აღიზარდა მისი მეშვეობით.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ 1881 წელს ბათუმში გახსნილმა ქართულმა სკოლამ ფასდაუდებელი როლი შეასრულა ამ კუთხეში, აჭარელი ბავშვები დააწაფა ქართულ წერა-კითხვას, შეაყვარა სკოლა, სწავლა-განათლება, ხელი შეუწყო ადგილობრივი ინტელიგენციის აღზრდას, საქართველოს ქრისტიანი და მაჰმადიანი მოსახლეობის სულიერად დაახლოებას. ამ მხრივ განუზომელია საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან განათლების, კულტურის, მეცნიერების დარგებში თუ სახელმწიფო მოხელეებად აჭარაში მოვლინებული კადრების როლი. ისინი აქტიურად ჩაებნენ იმ ეროვნულ - პატრიოტული იდეების განხორციელების საქმეში, რომელსაც ამ მხარეში სათავე დაუდო ხიმშიაშვილთა გვარის მოწინავე შვილმა – სელიმ ხიმშიაშვილმა, განაგრძეს მისმა მემკვიდრეებმა, ხოლო გვირგვინი იყო შერიფ ხიმშიაშვილი, რომელთა ეროვნულ-პოლიტიკურმა ორიენტაციამ განსაზღვრა აჭარის ბედი რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 130 წლის წინ.

ამდენად, თერგდალეულთა იდეების განხორციელებაში იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ მთავარი ორიენტირი იყო მთელ

საქართველოში და კიდევ უფრო მეტად ახალდაბრუნებულ მხარეში; მას ინტერესით შეხვდნენ აჭარაში. ცნობილი მამულიშვილი მემედ აბაშიძე გამოეხმაურა წერილით „დედაენა და სამაჰმადიანო საქართველო“ (გაზეთი „საქართველო“, 17 მაისი 1917 წელი): „ჩვენი ქრისტიანი ქართველების შეგნებულმა ნაწილმა, - წერს მემედ აბაშიძე, - განიზრახა ქართველი მაჰმადიანებისათვის შეედგინებინათ „დედაენა“ და ამით ჩაეყარათ ერის ასაღორძინებლად ახალი საძირკველი, რაზედაც უნდა აშენდეს ჩვენი ეროვნული მთლიანობა. ეს დიდი და მამულიშვილური საქმეა. ამ ისტორიული საქმის დაწყებისათვის ჩვენი შინაგანი არსებისა და გონების ნაკარნახევს უნდა დავუკავშიროთ შესაფერისი ტაქტიკაც, თორემ მთელი ჩვენი შრომა და ამაგი ამაოდ ჩაივლის“. წერილის ავტორი აქვე აკეთებს ზოგიერთ შენიშვნას: „საქართველომ მეოთხე საუკუნეში ქრისტეს სარწმუნოება მიიღო და ახალ კულტურულ ცხოვრებაში გაერთო. ახალი ცხოვრების პრობლემებმა მას ახალი კულტურული სახე მისცა, აგრეთვე, განაგრძობს იგი, მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში სამხრეთ - დასავლეთ საქართველომ რომ მაჰმადის სარწმუნოება მიიღო და ახალი ცხოვრების პირობებში ჩადგა, მასაც ძველი ცხოვრების სახე ეცვალა და ახალმა მოძღვრებამ – შარიათმა (სამოქალაქო კანონებმა), ეროვნული მეტყველების გარდა, ყველაფერი მოსპო, გაანიავა“. სწორედ ამ ისტორიული ცვლილებების შედეგად შექმნილი გარემოებანი ვერ გაუთვალისწინებია ავტორს „დედაენის“ სახელმძღვანელოში, - მიუთითებდა მ. აბაშიძე. „ქრისტიანულ გარემოში დაწერილი „დედაენა“ ნაკლებად გასაგებია, ან საერთოდ გაუგებარი იქნებოდა მაჰმადიანი ქართველებისათვის, პირველ რიგში მათი შვილებისათვის“. აქედან გამომდინარე, მემედ აბაშიძე მოითხოვდა მის მიერ მოწონებული „დედაენის“ ქრისტიანული ფონის შეცვლას აჭარის თავისებურებების გათვალისწინებით.

იაკობ გოგებაშვილმა ეს თხოვნა შეასრულა და აჭარელი ბავშვებისათვის სპეციალურად გამოსცა „დედაენა“. მასში სოციალური და ყოფითი ფონი, საკუთარი და გეოგრაფიული სახელები აიღო აჭარის სინამდვილიდან. ასე, მაგალითად, ალექსანდრეს ახმედი დაარქვა, არჩილს - ასლანი, მზიას – ზექიე, ეთერს –

ემინე, ასმათს – აიშე და ა.შ. თბილისის გვერდით დაასახელა ბათუმი, სხვა რაიონების გვერდით დაასახელა ხულო, ქედა, ქობულეთი, სხვა სოფლების ნაცვლად – ხიხამირი, თბილვანა, მერისი, ფურტიო, მდინარე აჭარისწყალი, ჩირუხის მთა და ა.შ.

„დედაენაში“ ამოკითხული ნაცნობი სახელები თუ საკუთარი გარემო ინტერესის გამღვივებელი და აღმაფრთოვანებელი ფაქტორი გახდა აჭარელი ბავშვებისათვის, მათ შორის ჩემთვის და ჩემი თაობისათვის. ისინი წიგნებს დაეწაფნენ, ხალისი აღედრათ, დაინახეს თავისი თავი. ომამდე აჭარის სკოლებში ეს „დედაენა“ (აჭარელი ბავშვებისათვის) იყო სახელმძღვანელოდ. ამავე „დედაენით“ სწავლობდნენ ქართულ წერა-კითხვას ომამდე ჩვენი მშობლები „წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლებში“.

1945 წელს, როცა პირველ კლასში შევედი (სახელად სელიმი მერქვა), მაშინ ომის შემდეგ ეს სპეციფიკური სახელმძღვანელო ხმარებაში არ იყო, მაგრამ რაკი ერთიანი საერთო სახელმძღვანელო იშვიათობა იყო, ამიტომ ჩვენ ვსარგებლობდით მამის მიერ მოცემული (საგანგებო შემთხვევაში) ამ სპეციფიკური „დედაენით“.

როცა მამის მიერ ბოძებული ეს წიგნი დავინახე, გამიკვირდა, რადგან ფერით განსხვავებული იყო მასწავლებლის მიერ მოწოდებული „დედაენისაგან“. როცა ყდაზე „დედაენის“ შემდეგ ფრჩხილებში წვრილი შრიფტით „აჭარელი ბავშვებისათვის“ - წავიკითხე და დავფიქრდი, გავოცდი კიდევ. სახეზე აღმური მომეკიდა, ტანში ჟრუანტელმა დამირბინა, გამეხარდა, ერთი სული მქონდა როდის წავიკითხავდი ბოლომდე. ყოველი საკუთარი სახელის წაკითხვისას, ან ნაცნობი გეოგრაფიული სახელის წარმოთქმისას სიხარულის ცრემლები მდიოდა ძალაუნებურად. რა იყო ამის მიზეზი, ვერ ვხვდებოდი. ყოველი აღელვებისას იქვე მჯდომ მამას შევხედავდი, რაღაცის კითხვას დავაპირებლი, მაგრამ მამის იმდენად მერიდებოდა, რომ კითხვას ვერ ვუბედავდი. თუმცა არც ვიცოდი, რა უნდა მეკითხა, ახალი გრძნობა დამეუფლა, რომელიც არ მასვენებდა, თითქოს რაღაცის გამხელა მინდოდა მისთვის, მაგრამ რის? – არც ეს ვიცოდი, დავიბენი აუხსნელი სიხარულისაგან.

პირველი კლასელი შვილის სწავლით გახარებული მშობლები იქვე ოთახში იყვნენ და „ჩემდაშეუმჩნევლად“ მაკვირდებოდნენ, „დედაენას“ როგორი აღფრთოვანებით ვფურცლავდი. მამას ვერ გავუბედე, მაგრამ დედას კი ვაჩვენე განსაკუთრებული სიხარულის მომგვრელი სახელები, - დედი, ჩვენი ახმედ ბიძია, ასლან ბიძია, ზეკიე ბიცოლა ამ წიგნში არიან! აბა, ნახე რა კარგები არიან-მეთქი. მიხაროდა, წიგნს გულში ვიკრავდი, შემდეგ ვაგრძელებდი კითხვას. მამა დინჯად ზის, ხმას არ იღებს, დედა კი საოჯახო საქმეებით იყო გართული, ჩემსკენ მალულად გამოიხედავდა ისე, რომ მე არ შემემჩნია, ერთხელ მამის ღიმილი შევამჩნიე. გათამამებულმა დედას ვკითხე: რატომ ჰქვია ამ წიგნს „დედაენა“? ეს ხომ ისეთი არ არის, ლეო მასწავლებელი (წყალტუბოელი ლეონინა არჯველაძე) რომ გვასწავლის და გვაკითხებს? იმ წიგნში ჩემი ბიძიები და ბიცოლები არ წერია - მეთქი.

- არ მოგწონს, შვილო, ეს წიგნი? – მკითხა დედამ, – როგორ არა, ორივე კარგია, მაგრამ ეს უფრო მომწონს, მასში ჩვენები წერია, მასწავლებლის „დედაენაში“ - არა-მეთქი (20 მოსწავლისთვის 2 ცალი „დედაენა“ იყო).

- იმ წიგნში სახელები არ წერია? – გამიმეორა დედამ კითხვა. – წერია, მაგრამ ისინი ჩვენი ბიძიები და ბიცოლები არ არიან, იმათ ვერ ვიცნობ-მეთქი და ეს წიგნი კიდევ უფრო გულში ჩავიკარი.

სახეზე ღიმილმა გადაუარა დედას კიდევ ერთხელ მომეფერა, ალერსიანი ხელი სახეზე გადამისვა, მკერდზე მიმიკრა და თვალებში ცრემლი ჩაუდგა. მე გამიკვირდა, არ ვიცი რა ხდება, - რატომ ტირი დედა? ხომ არ გაწყენინე? რატომ გაქვს ცრემლი? რა გაწუხებს? ავად ხომ არ ხარ? არ მოვეშვი, - თუ გიხარია, ცრემლი რატომ გაქვს? განმეორებით და დაჟინებით ვეკითხები დედას. – გაიზრდები, დიდი კაცი გახდები, ღმერთით, მაშინ შენ თვითონ მიხვდები, ახლა კი იკითხე, იკითხე, შვილო, ორივე კარგი წიგნია, დედა ხომ გიყვარს, დედის ენაზე დაწერილია და ამიტომ ჰქვია მას ეს სახელი, ორივე „დედაენაში“ დაწერილი სახელები ჩვენებია, შენ პატარა ხარ, შვილო, ისინიც, შენ რომ არ

იცნობ ჯერ, ჩვენები არიან. გაიზრდები და ყველას გაიცნობ, ყველაფერს გაიგებ, - მიპასუხა დედამ.

სიხარულით თუ სინანულით გამოწვეული ბოლო სიტყვები დედამ ცოტათი განსხვავებული, შვებისმომგვრელი ტონით წარმოთქვა და განაგრძო ჭადის დაკვრა. ბოლოს ჯვარიც დაასვა კეცში ჩაკრულ ზედაპირშესწორებულ ცომს, ნაკვერჩხლით სავსე სახურავი დაახურა და ბუხარში შედგა.

ასე დასრულდა ეს თბილი, ბევრისმთქმელი თუ დამაფიქრებელი საუბარი ჩემსა და დედას შორის.

რა თქმა უნდა, ჩემთვის და ჩემი თანატოლებისათვის გაუგებარი იყო სიტყვები: „აჭარელი“, „გურული“, „ქართველი“, „რუსი“, „სომეხი“, „ქრისტიანი“, „მუსლიმანი“ და ა.შ. ვიცოდი თოჯახური ყოფითი ტერმინები, გვიყვარდა ლეო და ილია მასწავლებელი, ვგრძნობდით, რომ სწავლა კარგი იყო, კარგი მოსწავლე კი ყველას უყვარდა.

დედის პასუხით გახარებულმა და დამშვიდებულმა ახალი (მამის მოცემული) „დედაენა“ ილლიაში ამოვიჩარე და თანატოლ ბიძაშვილებთან გავეშურე, უნდა მეჩვენებინა წიგნი, რომელშიც ჩვენი ნათესავები ეწერა. კვირა დღე იყო, ბავშვებს ერთი სული გვკონდა, როდის გათენდებოდა ორშაბათი, რომ სკოლაში წავსულიყავით და ლეო მასწავლებლისთვის გვეკითხა - რატომ იყო ეს „ყველაზე“ კარგი წიგნი (კარგი, რადგან ჩვენები ეწერა) მასწავლებლის „დედაენისაგან“ განსხვავებული? მეორე დღეს გაკვეთილის დაწყებას არ დაველოდეთ, სამასწავლებლოში მივაკითხეთ საყვარელ მასწავლებელს. მან გაშალა წიგნი, გაიღიმა, გვითხრა, ახლა შედით კლასში, მეც შემოვალ და აგიხსნით ყველაფერსო.

ლეო მასწავლებელმა დანაპირები შეასრულა. აგვიხსნა ყველაფერი. მერე და მერე, წლების განმავლობაში, არა მარტო „დედაენა“, არამედ მთელი ცხოვრებაც გვასწავლა. მადლობა ლეო და ყველა მასწავლებელს. გავიდა წლები, გავიზარდეთ, ვისწავლეთ ისტორია, გავიგეთ ყველაფერი, რასაც მოჰყვა დიდი ძვრები ჩვენს ცხოვრებასა და ცნობიერებაში: ახმედი ისევ ალექსანდრედ იქცა, ასლანი - არჩილად, სელიმი - სერგოდ,

ენვერი - ეგნატედ, ნუსრედინი - ნიკოლოზად, ზექიე - მზიად, ემინე - ეთერად და ა.შ

თუ კონკრეტულ ფაქტებს, დაკავშირებულს დედასთან ჩემს საუბართან, ღრმად გავაანალიზებთ, შეიძლება მისი განზოგადობაც: დედაჩემი შენარჩუნებული ქართული სახელით გოგჩევი ტიპური რეალური სახეა იმ დედებისა, რომლებიც, უცხოთა ბატონობის უღელს ქვეშ მყოფნი, შვილებს აკვანში „იავნანას“ ქართულად უმღეროდნენ და ასე შემოინახეს მშობლიური ენა. ჩვენ – მათმა შვილებმა კი „დედაენით“ თვალი ავიხილეთ, შევიცანით თავი ჩვენი, ვისწავლეთ ისტორია, გავეცანით წარსულის ბედუკუდმართობას, გავერკვიეთ ქართველების სულიერების გახლეჩის მიზეზებში, ბრძენი ილიას მაღლით და მაღამოთი მოვიშუშეთ ჭრილობები, აღვადგინეთ ქართული, მშობლიური ცნობიერება, დავადექით ეროვნული და სულიერი ერთიანობის გზას, ამის შედეგია ის, რაც დღეს ხდება აჭარაში (მოსახლეობის მასობრივი ნათლობა, ეკლესიების აღორძინება, - მშენებლობა, ყოვეწლიურად 12 მაისს მთელ საქართველოში ქრისტიანობის აჭარიდან პირველი მქადაგებლის ხსენების დაწესება და აღნიშვნა. ორი ათასი წლის წინ მთელ ქრისტიანულ სამყაროში პირველი ტაძრის დიდაჭარის ეკლესიის საძირკველის მოკვლევა, შესწავლა და მისი აღორძინებისათვის მოსახლეობის ლტოლვა და ზრუნვა. ბათუმ-ქობულეთისა და სხალთის ეპარქიების შექმნა) ან მაჰმადიან ქართველებში ქართული ეროვნული სულიერების აღდგენისათვის ლტოლვა და სხვა.

ამრიგად, ქართულმა ენამ - ერის საყრდენ საძირკვლად გადაქცეულმა ძალამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, გადაარჩინა საქართველო და ქართველობა გარეშე მტრებთან თავგამოდებულ ბრძოლებში, ხოლო „დედაენამ“ საქართველოში და განსაკუთრებით მისგან მიტაცებულ და საუკუნეების შემდგომ მშობლიურ კერაში დაბრუნებულ აჭარაში შემოგვინახა „იავნანა“, ქართული სული, გული, იგი დღესაც გადამწყვეტ როლს ასრულებს და მომავალშიც შეასრულებს ამ ფუნქციით ერის სულიერო ერთიანობის დასაცავად. იგი ერის ბალავარია. „ენა საღვთო რამ არის“ (ილია). მას მოფერება, მოვლა და მტკიცედ დაცვა სჭირდება ყოველთვის, მით უმეტეს, თანამედროვე მსოფლიო გლობა-

ლიზაციის პირობებში. გვჯერა, სანამ არსებობს ქართული ენა, მანამ იარსებებს საქართველო. ქართული ენა ერთ-ერთი საინტერესო, ხანგრძლივი ისტორიის მქონე ენაა. მას უფლება აქვს იარსებოს მარად. ეს ჩვენზეა დამოკიდებული, პირველ რიგში, ჩემო თანამემამულენო, ჩემი ერის შვილებო, დედებო, მამებო, დებო, ძმებო, ქართული სულის და ერთიანი სისხლის ღირსეულნო მემკვიდრენო, „იყავით ამ ისტორიულ-ეროვნული მისიის ერთგულნი მარად – უკუნისიდან უკუნისამდე! ამინ!

გამოყენებული ლიტერატურა

- ჭავჭავაძე ი. თხზ. ტ.4, თბ.,1987;
გოგებშვილი ი., “დედაენა”, თბ., 1987;
გოგებაშვილი ი., თხზ. ტ. 2, თბ., 1990;
აბაშიძე ჰ., რჩეული ნაწერები, ბათუმი, 1973;
აბაშიძე მ., “დედაენა” და სამუსლიმანო საქართველო, გაზ. ”საქართველო”, 1917;
ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1997.

С. Думбадзе

Грузинский язык – основа единства Грузии

Резюме

В представленной статье «Грузинский язык - основа единства Грузии», на основе анализа взглядов И. Чавчавадзе и Гогебашвили, программы видных представителей национально-освободительного движения «Тергдалеули», показано, что грузинский язык есть основа, фундамент единства Грузии. Показано и то, что реализация этой аксиомы происходит в Грузии на основе «Дедаэна» И. Гогебашвили.

უცხოელ დამპყრობთა ბრძოლები სამხრეთ- დასავლეთ საქართველოში

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მრავალი ჯურის უცხოელი დამპყრობელი უნახავს. მათგან არაერთხელ დასტყდომია თავს საშინელი ავბედობა, წასაღეკად მოვარდნილ ქარიშხალს მრავალგზის უთარეშია ჩვენს მიწა-წყალზე. როგორც მართებულად შენიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, “შეიძლება არც მოიძებნებოდეს მსოფლიოში ასეთი მეორე მხარე, რომელსაც ამდენი შემოსევა-დაპყრობა და ტაცება-აოხრება განეცადოს, რამდენიც საქართველომ თავისი ისტორიის სიგრძეზე განიცადა” (ბერძენიშვილი ნ. 1941:3).

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლებში ისტორიული აჭარის როლის წარმოჩენის ცდას. ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები განისაზღვრება ძვ.წ. I-ახ.წ. XV საუკუნეებით.

ჩვენი ქვეყნის მრავალ მოსისხართა შორის იყვნენ რომაელები, რომლებიც ძვ. წ. I ს-ის 60-იან წლებში ცეცხლითა და მახვილით მოევლინენ ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს – იბერიასა და კოლხეთს.

რომაელთა ლეგიონები იბერიას მოადგნენ 65 წ. (ჩვ. ერამდე). იბერიიდან რომაელები კოლხეთისაკენ დაიძრნენ, მაგრამ კოლხეთში რომაელებს იბერების მსგავსად არ დახვედრიან. ამიტომ მტერმაც შედარებით იოლად მოახდინა ამ ქვეყნის ოკუპაცია. კოლხეთის ციხე-სიმაგრეებში რომაელთა გარნიზონები ჩადგნენ.

ასე დამყარდა ჩვენში რომის მფლობელობა.

II საუკუნის დამდეგი სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით სწორად არის მიჩნეული “რომის იარაღის უკანასკნელი წარმატებების” ხანად (სერგეევი ვ.ს 1941:593).

რომის იმპერია დადმართზე დაეშვა.

ასეთი ხელსაყრელი ვითარებით არ შეიძლება არ ესარგებლათ რომის ბატონობის ქვეშ მოქცეულ ხალხებს და მათ შორის,

ქართველებსაც. სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის გზაზე მდგარი იბერია, რომლის ფარგლებშიც ერთიანდებოდა ამ დროს (და შემდგომშიც) სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა რომელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

III საუკუნის დამდეგიდან რომს აღმოსავლეთში ფრიად ძლიერი მეტოქე გაუჩნდა სასანიანთა ირანის სახით. ბრძოლა რომსა და ირანს შორის განსაკუთრებით ძლიერდებოდა IV საუკუნეში. ირანელები დაჟინებით მოისწრაფიან ქართლისაკენ და ენერგიულად ცდილობდნენ მის დაუფლებას.

VI საუკუნის 70-იან წლებში ქართლში აჯანყებაა. ირანელებს ერეკებიან. აზნაურობა თავის პოლიტიკურ ორგანიზაციას აყალიბებს, რომლის სათავეში ერისმთავარი (გორგასლის ნაშიერი-გვარამი) დგება.

I-VI საუკუნეთა ამ საერთო ქართული განვითარების უშუალო მონაწილე იყო აჭარაც – ქართლის (“ზენა სოფლის”) ორგანული ნაწილი. ამიტომაც, აღმოსავლეთ საქართველოს აღწერილ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში ამ კუთხესაც თავისი წილი ედო.

VII საუკუნის 20-იან წლებში ჰერაკლე კეისრის გამანადგურებელმა დარტყმებმა სამარის კარამდე მიიყვანეს ირანი. ქართველებს თითქოს შვებით უნდა ამოესუნთქათ, მაგრამ მალე საქართველო, ისე როგორც მთელი ამიერკავკასია და წინააზია, შეაზანზარა არაბთა ძლევამოსილი მხედრობის გამოჩენამ.

არაბობამ ამა თუ იმ ფორმითა და მოცულობით საქართველოში სამი საუკუნის განმავლობაში იბატონა და დიდად შეაფერხა ჩვენი ქვეყნის განვითარება. არაბთა ბატონობის სუსხი სამხრეთ-დასავლეთ საქართველომაც იწვნია.

ასე იყო, მაგალითად, მურვან-ყრუს სისხლიანი თარემის დროს.

მემატიანის ცნობით, მურვანის ლაშქარი, “ვითარცა ღრუბელი ბნელსა, სიმრავლითა ვითარცა მკალი და მუმლი” სამცხეს მოვიდა, ხოლო შემდეგ “მოვლო შავშეთი და ლადონი” (საქართველოს სამოთხე, 1882:324). ეს შემოსევა გარკვეულად შავშეთის მოსაზღვრე აჭარასაც უნდა შეხებოდა. აკად. ივ.ჯავახიშვილის გამოკვლევით, “ლადოდ” იწოდებოდა მთა ლიხითგან მოყოლებული

არსიანამდის. სამცხის, ანუ ლაღოს დასავლეთით “მოსდგმენ” აჭარის მთები, რომელიც გურიასა და მესხეთს ერთმანეთისაგან ჰყოფენ (ქართველი ერის ისტორია, II, 1948:14).

განსაკუთრებით მძიმე განსაცდელი უნახავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს 914 წელს, როდესაც სომხეთსა და საქართველოს სისხლიანი არაბი აბულკასიმი შემოესია.

აბულკასიმის შემოსევის დროს აჭარისა და შავშეთის მცხოვრებნი დიდად შეჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილან. იმავე წყაროს ცნობით, “და ურაცხუნი იგი ერნი მართლმადიდებელთანი აჭარასა და შავშეთს შეწყუდეულ იყუნეს” (საქართველოს სამოთხე, 1882:396). მოსახლეობა ხევებსა ღრეებს შეფარებია, ქვეყანაში არც ხვნა ყოფილა არც თესვა, რასაც შედეგად მოჰყოლია ის, რომ აჭარელნი და შავშნი “ვითარცა მკალი მოსჭამდეს ფურცელსა ხესათა და მწვანილოვანსა ქუეყანისასა” (იქვე).

ხანგრძლივი მედგარი ბრძოლით ქართველმა ხალხმა შეძლო არაბთა ბატონობისაგან გათავისუფლება, მაგრამ ახლა ასპარეზზე ბიზანტია გამოჩნდა... კვლავ ბრძოლის ქარცეცხლში გაეხვია ქვეყანა.

XI საუკუნის ნახევარმა ბიზანტიასთან ბრძოლის ვითარებაში ჩაიარა, მეორე ნახევარში კი საქართველოს სრულიად ახალი ტიპის მოძალადენი თურქი-სელჯუკები შემოადგნენ დასაპყრობად.

თურქები არსებითად განსხვავდებოდნენ მათი წინამორბედი დამპყრობლებისაგან. აკად. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით, თურქ-სელჯუკთა შემოსევა შეუდარებლად უფრო მძიმე და საშიში იყო, ვიდრე არაბთა ან ბიზანტიელთა ბატონობა. არაბობა ქართული (კავკასიური) ფეოდალური მეურნეობის განვითარებას მძიმე ხარკით აფერხებდა. “თურქობა” კი ამ მეურნეობას საფუძველს (მიწას) აცლიდა და მას ერთნაირად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა” (ბერძენიშვილი ნ. 1954:123). ქართველი ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება.

თურქთა შემოტევა განსაკუთრებით ძლიერდება XI საუკუნის 70-იანი წლებიდან. თურქებთან ბრძოლაში 1071 წლის სასტიკი დამარცხების შემდეგ ბიზანტია გადის საქართველო-ამიერკავკა-

სიის არენიდან. ამ გარემოებამ თურქთაგან მომდინარე საფრთხე ერთიორად გააძლიერა.

თურქთა თარეში დიდხანს გრძელდებოდა საქართველოში. დავით აღმაშენებლის საქართველომ საკადრისი მიაგო თურქ-სელჯუკებს, მაგრამ თამარის საქართველოსაც სელჯუკებთან სერიოზული ომების გადატანა მოუხდა. საინტერესოა, რომ თურქთა შემოსევა ჩვენს ქვეყანას XII ს-ის 90-იან წლებშიც განუცდია, როდესაც იგი წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. და რაც უფრო საყურადღებოა, ამ დროს მტერს მნიშვნელოვნადაც შეუღწევია ქვეყნის სიღრმეში და აჭარაშიც შემოჭრილა.

აბუსერისძე ტბელის ცნობით, მომხდურები “შინაგამცემლობის” წყალობით ხიხანს დაუფლებიან. ხიხანის ციხიდან მტერი განუდევნია ჩვენი მემატეანის პაპა აბუსერს (აბუსერისძე ტბელი, 1941:67).

ისტორიკოსი ლ. მუსხელიშვილი ხიხანის ციხის აღების თარიღად 1190/91 წელს თვლის.

მალე აღმოსავლეთის ჰორიზონტზე ახალი ველური დამპყრობლები – თათარ-მონღოლები გამოჩნდნენ. მაგრამ მონღოლთა გაბატონებას საქართველოში წინ უსწრებდა თათრებისგანვე შევიწროებული და თავგზააბნეული ხორეზმშაჰ ჯალალედინის ურდოების ხუთწლიანი თარეში.

ხვარაზმელთა შემოსევების პერიოდი ერთ-ერთი უმძიმესი ავბედობის ხანა იყო საქართველოს ისტორიაში. გაჭირვებული მოსახლეობა მასობრივად ტოვებდა თავის სამკვიდრებელს და მიუვალს ადგილებში აფარებდა თავს. საინტერესოა, რომ აჭარიდანაც მასობრივ გახიზვნას ჰქონდა ადგილი. “არავინ დაშთა ულტოლველი კერძოთა აჭარისათაცაო”, გვამცნობს აბუსერისძე ტბელი (აბუსერისძე ტბელი, 1941:65).

1230 წელს ხვარაზმელებისაგან გაწმენდილი იქნა საქართველოს ტერიტორია, მაგრამ მალე ჩვენს მიწა-წყალს თათარ-მონღოლთა ურდოები მოედვნენ, დაიპყრეს ქვეყანა, მძიმედ დახარკეს მოსახლეობა, დაიწყო თათარ-მონღოლთა ასწლოვანი ბატონობის ხანა. დაპყრობილი ქვეყნების ტერიტორიაზე გადმოსახლებით მოსულმა მტერმა თანდათან დაიკავა მისი საუ-

კეთესო ადგილები. თათარი მიწას ეპატრონებოდა, ადგილობრივი მკვიდრი იქიდან იყრებოდა. აჭარაში არა ერთხელ უპოვნიათ საიმედო თავშესაფარი მონღოლებისაგან ლტოლვილ ქართველებს.

იყო შემთხვევა, როცა ილხან ყაენის წინააღმდეგ ამხედრებული რომელიმე მონღოლი უფლისწული საქართველოში შემოიხიზნებოდა—აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ ერთ თავგზააბნეული მონღოლი ბატონიშვილის თეგუდარის (თუ თავგუდარის) შეთქმასა და მისი დასავლეთ საქართველოში შეხიზვნის ფაქტს. ამ საკითხის შესახებ თუმცა საკმაოდ ვრცელი, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნობები დაცული აქვთ: ქართველ ჟამთააღმწერლებს, სომეხ მემატეანეს მალაქია ბერს, სპარსელ ისტორიკოსს რაშიდ ად-დინს და სხვა.

შეთქმული ბატონიშვილი თავისი ლაშქრით საქართველოსკენ დაიდრა. ჟამთააღმწერლის სიტყვით, თავგუდარმა “მომართა მათა ღადოსათა კარჩხალთა და კარისათა, რომელ არს შორის შავშეთსა და აჭარას და დადგა თავს შავშეთისასა ფოჭვთას” (სიხარულიძე ი. 1961 წ.).

თავგუდარის ურდომ მარცვა-გლეჯითა და რბევით ჩაიარა აჭარა, ნიგალისხევი, გურია და ქუთაისს მივიდა. დავით ნარინმა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით დიდი პატივით მიიღო მონღოლი ბატონიშვილი. თავგუდარის თარეში კარგა ხანს გაგრძელდა საქართველოში, რამაც ძლიერ შეაწუხა ქვეყანა და ბოლოს მეფე ნარინიც. თავგუდარის ბედი ნარინის განდგომამ გადაწყვიტა. იგი შეიპყრეს.

თათარ-მონღოლთა მძიმე უღელი ქართველმა ხალხმა ასწლოვანი გმირული ბრძოლით სამუდამოდ გადააგდო და ამ ბარბაროსი დამპყრობლისაგან გასწმინდა თავისი ქვეყნის მიწაწყალი. ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო. მონღოლების წასვლიდან არცთუ ისე დიდი დრო იყო გასული, როცა XIV ს. 80-იან წლებში საქართველოს საზღვრებს მრისხანე თემური მოადგა თავისი მრავალრიცხოვანი ბრბოებით.

ძვ. წ. I ს-დან – XV ს-მდე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველომ დიდი ავბედობა განიცადა, მაგრამ სულიერად მაინც არ გატეხილა. ეს დიდი საქმე იყო შემდგომი ბრძოლების საწარ-

მოებლად და მომავალ დიდ ბრძოლებში ამ რეგიონის ქართველობის წარმატების იმედს იძლეოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, მნათობი, №6, 1954 წ.
2. აბუსერისძე ტბელი, ლ. მუსხელიშვილის გამოც. 1941 წ.,
3. სიხარულიძე ი., მონღოლი უფლისწული აჭარაში, ჟურნ. "საბჭოთა აჭარა", №1, 1961 წ.
4. სერგეევი ვ.ს., ძველი რომის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. II, თბ., 1941 წ.
5. საქართველოს სამთხე, 1882 წ.
6. ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948 წ.

Марина Джинчарадзе

Битвы иностранных завоевателей в юго-западной Грузии

Резюме

В труде представлены важнейшие вопросы длительной истории героических сражений грузинского народа против иностранных завоевателей. Выдвинуты основные особенности борьбы для независимости и сохранения национальной самобытности.

В труде подчеркнуто, что Аджария была непосредственным участником в этих общих грузинско-политических явлениях. Поэтому все вопросы рассмотрены с указанием значительной доли Аджарии во внутренних и иностранных политических взаимоотношениях.

Родственные объединения в современной социальной жизни адыгов: фамильные сходы

Традиции родственной солидарности, сложная система родственных структур, длительное время прочно сохранявшиеся у адыгов, так же как и у других народов Северного Кавказа, во многом были обусловлены особенностями экономической и политической ситуации в этом регионе. Родственные структуры сохранялись, возрождались или даже вновь возникали, сопровождаемые свойственными им институтами родственной взаимопомощи, самоуправления, взаимозащиты, брачного регулирования, а иногда и особыми культурами.

Фамилия у адыгов и в настоящее время продолжает сохранять определенное идеологическое, организационное единство, традиции экзогамии. Новым явлением в общественной жизни адыгов в последние десятилетия стало проведение *фамильных сходов*, на которые собираются однофамильцы не только из трех республик Северного Кавказа, где живут адыги – Кабардино-Балкарии, Карачаево-Черкесии, Адыгеи, но и из тех стран, где имеется значительная адыгская диаспора (Турция, Иордания и др). Как полагают исследователи, организация подобных встреч стала "реакцией на процесс распада былых родственных коллективов" и предпринимается она "исключительно в целях поддержания их единства" (Новое и традиционное...1986: 261)

Следует отметить, что для многих народов Северного Кавказа в постсоветское время это явление становится все более характерным. Например, в Чечне за 1992-1993 гг. прошло более 100 тейповых съездов, на которых были избраны тейповые лидеры, стали возникать вооруженные формирования и кассы (тейповые банки) (Ланда 1995: 274). Несомненно, деятельность тейпов в Чечне активизировалась под влиянием чрезвычайно сложной этнополитической ситуации. Однако можно предположить, что как на чеченцев, так и на адыгов оказал внимание пример их соседей – абхазов, у которых с 1960-х годов активно возобновилось проведение фамильных сходов. В 1980-е годы в Абхазии около 40 фамилий проводили ежегодные сходы, причем часть этих фамилий были полиэтничными, т.е. к ним принадлежали и грузины (мегрелы) и абхазы (Маан 1993: 68–76). Подобные фамильные сходы, традиция которых основывалась на фамильных молениях, широко

известны и в разных районах Грузии – в Мегрелии, Кизики (Пчелинцева, Соловьева 1990: 100–102). Семейные праздники, связанные с почитанием святилищ-дзуаров, распространены и у осетин (Калоев 1967: 256). У адыгов семейных сходов в прошлом не было, и они стали новым проявлением традиционно крепких родственных связей.

В Кабардино-Балкарии известны кабардинские фамилии, чьи родоначальники, по преданию, были балкарцами. Фамилии балкарских родственников и названия мест, откуда пришел предок, нередко сохраняются в памяти стариков. В таком случае на сходы приглашают и родственную балкарскую фамилию (АИЭА: 1997. Тетр.2. Оп.2. Д.2).

В Кабардино-Балкарии семейные сходы начали проводить с конца 1980-х годов (Акжиева 2008: 162). В последнее время они проводятся в республике повсеместно. По свидетельству информаторов, главная цель подобных сборов – "узнать друг друга, пообщаться, устроить совместное угощение". С собой стараются обязательно взять детей, чтобы они "знали свою фамилию, не позорили ее"; старшие непременно обращаются к молодежи с такими призывами (АИЭА: 1997. Тетр.2. Оп.3. Д.3).

Примером семейного схода, проведенного с большим размахом, можно считать съезд многочисленной фамилии Кушховых в августе 1996 г. В 47 населенных пунктах КБР насчитывается 650 семей Кушховых (3500 чел.). Более тысячи Кушховых проживают в зарубежных странах, около 50 семей – в Адыгее. На съезде было создано родовое объединение "Кушха", соединившее пять ветвей фамилии; как решили старейшины фамилии, "вполне правомерно снять барьеры между всеми ветвями рода и в будущем жить в одном родовом объединении". На съезд приехали Кушховы из Турции, от Кушховых из США, Сирии и Иордании пришли поздравительные телеграммы. Приняли устав, программу родового объединения, создали благотворительный фонд. К началу съезда был выпущен первый номер газеты "Голос Кушховых". Главная задача созданного родового объединения "Кушха" была определена так: консолидировать всех представителей рода, помогать каждому из них и защищать их интересы" (Гоплачева 1996).

Столь же масштабным для Кабардино-Балкарской республики событием был съезд в 1996 г. фамилии Кардановых (насчитывает более 12 тыс.чел. в КБР, Кардановы живут в 50 зарубежных странах), приуроченный к приезду художника Михаила Шемякина, который также принадлежит к этому роду. Кардановы есть и среди осетин, и в ряде публикаций, вышедших в Северной Осетии, художник был

представлен как осетин, что вызвало многочисленные публикации с опровержениями в Кабардино-Балкарии. Только признание самим М. Шемякиным своего кабардинского происхождения положило конец этим спорам (Аккиева 1998: 80). Несколько ветвей фамилии Кардановых создали общественное объединение "Къардэн" (Кронин 1996).

В Адыгее уже несколько лет происходят фамильные сходы фамилии Дзыбовых. Представители этой фамилии живут также и в Турции. Организовали первый сбор Дзыбовых Ким Дзыбов (посол Республики Адыгея в Краснодаре) и Музафар Дзыбов из Турции (его отец, который во время Великой Отечественной войны попал в Турцию, был родом из Кошехабля). В Турции живет около 500 семей этой фамилии, многие из них широко известные ученые, врачи, религиозные и государственные деятели, парламентарии, предприниматели. Живут Дзыбовы также в Сирии и Иордании. В 1995 г. на сходе было около 500 человек, причем около 20 – из Турции. На сход приезжают, как правило, все семьи этой фамилии, живущие в Адыгее, кроме тех, кто соблюдает траур по близким.

Был создан Фонд фамилии Дзыбовых, деньги из которого идут на поддержку малообеспеченных студентов и помощь пожилым людям. По рассказам стариков было восстановлено предание, повествующее о происхождении фамилии. Ко второму сходу была издана книга о фамилии Дзыбовых, где перечислены все представители этого рода. Ее раздали каждой семье на встрече осенью 1995 г. (АИЭА: 1995. Тетр.1. Оп.6. Д.14; Тетр.1. Оп.5. Д.11; Тетр.2. Оп.8. Д.19). В Турции также стали проводить сходы Дзыбовых. В 1995 г. на таком сходе в г. Измет присутствовало более 500 человек (Встреча рода Дзыбовых 1995).

Следует отметить также новые моменты в деятельности *старейшин фамилий*, более активное участие их в политической жизни республик. Особенно заметно это в Кабарде, где "фамильное движение", пожалуй, обрело наибольшую силу. Так, в 1992 г., когда остро стоял вопрос о сохранении единства Кабардино-Балкарии, старейшины и главы фамилий Зольского р-на КБР выступили за единство республики, обратившись "ко всему народу Кабардино-Балкарии, старейшинам и главам родов, родственным и дружеским семьям"; при этом себя они именовали "полномочными представителями родов, семей и фамилий, проживающих в Зольском р-не" (Обращение старейшин...1992).

В 1996 г., в ходе предвыборной президентской компании в КБР, в прессе выступали представители целого ряда "родовых объединений" (Шогеновы, Кодзоковы, Унежевы, Кушховы и др.), призывая поддерживать В.М. Кокова. Так, на собрании родового объединения

Шогеновых старейшины и другие уважаемые люди рода Шогеновых выразили уверенность, что кандидатуру Кокова "поддержит не только родовое объединение Шогеновых, но и все другие семейные союзы"; совет старейшин рода Кодзоковых призвал "братьев и сестер Кодзоковых, а также всех избирателей республики" поддержать кандидатуру Кокова; старейший из Унежевых заявил: "Знаю, что род Унежевых будет голосовать за В. Кокова" (Махиева 1996; Гедгафов 1996; Кодзоков 1996; Унежев 1996).

В чем причина сохранения родственной организации в современном, в значительной мере урбанизированном обществе народов Северного Кавказа? Видимо, в первую очередь в том, что она выполняет важную общественную функцию групповой взаимоподдержки. Родственный принцип оказался привычным и удобным в данной ситуации, поскольку родство давало уже готовую структуру личностных связей.

Видимо, возрождение и воссоздание социальных структур, основанных на принципе кровного родства, которые, как объявлялось историками, стадийно изжили себя и, казалось, должны были вскоре исчезнуть из быта народа, отнюдь не случайный факт. Этому способствовал крах СССР, устоявшегося социального и идеологического устройства общества. Период утраты прежних ориентиров и институтов активизировал присущую человеку потребность найти ту группу, с которой можно себя соотнести, в рамках которой можно чувствовать себя относительно защищенным. Наиболее бесспорными признаками для такого соотнесения стала, наряду с национальной принадлежностью, и принадлежность к определенному родственному коллективу. Родственный коллектив воспринимался как институт, способный гарантировать определенный уровень социальной защиты.

Хотелось бы отметить эмоциональную сторону общественного интереса к проблеме истории фамилий, генеалогическим построениям и изысканиям. Так, в "Кабардино-Балкарской правде" имеется постоянная рубрика "Корни твоей родословной", где представлены данные о кабардинских, балкарских, татских фамилиях, пресса подробнейшим образом освещает сходы наиболее многочисленных фамилий, издаются специальные выпуски газет, посвященные этим сходам. Одна за другой появляются книги, посвященные истории отдельных адыгских фамилий (например, "Мы - из рода Аталиковых" Нальчик, 1996; А. Максидов. История рода Максидовых. Нальчик, 1996). Кабардинский этнограф Б.Х. Бгажноков вполне справедливо указывает на связь все большего интереса к подобной тематике с переживаемым народом сложным

переломным периодом, смутным временем, когда "очень важно: остановиться и подумать о том, что ты только малая частица или звено в цепи прошлых и будущих поколений твоей фамилии, твоего народа. Это, быть может, поможет нам пережить трудные времена, сохраняя честь и достоинство – и свое, и своей фамилии, и своей страны" (Бгажноков 1996).

Литература и источники

- Архив Института этнологии и антропологии (АИЭА).
Аккиева С. Кабардино-Балкарская республика. Модель этнологического мониторинга. М., 1998.
Аккиева С.И. Роль родственных связей в социальной жизни кабардинцев и балкарцев // Этносоциология и этносоциологи. М., 2008.
Бгажноков Б. Фамильная энциклопедия Максидовых // Кабардино-Балкарская правда (далее – КБП). 1996. № 201.
Встреча рода Дзыбовых // Советская Адыгея. 1995. № 133.
Гедгафов А. Родовой совет поддерживает // КБП. 1996. № 225
Гоплачева З. Пламя родового очага зажжено // КБП. 1996. № 173
Калоев Б.А. Осетины. М., 1967.
Кодзоков П. У Кодзоковых свой взгляд // КБП. 1996. № 229
Кронин Р. Гордиться родом, быть его достойным // КБП. 1996. № 203.
Ланда Р.Г. Ислам в истории России. М., 1995.
Маан О.В. Фамильные сходы у абхазов // Полевые исследования. Новая серия. Т. 1. Вып. 2. М., 1993.
Махиева Дж. Род Шогеновых выбирает В.М. Кокова // КБП. 1996. № 213.
Новое и традиционное в культуре и быте кабардинцев и балкарцев. Нальчик, 1986.
Обращение старейшин, глав родов Зольского р-на ко всем жителям Кабардино-Балкарии (пос.Залукокоаже, 2 ноября 1992 г.) // КБП.1992. № 214. 6 ноября.
Пчелинцева Н.Д., Соловьева Л.Т. Семейно-бытовые традиции и жизнь семьи (по материалам экспедиции 1989 г. в Грузинскую ССР) // Семья: традиции и современность. М., 1990. С.100–102.
Унежев К. Выбор мой и рода моего //КБП. 1996. № 247.

რუსეთისა და თურქეთის ინტერესები შავ ზღვაზე გაბატონებისათვის და აჭარა

ბათუმი და საერთოდ აჭარა საუკუნეების მანძილზე რუსეთისა და თურქეთის ინტერესების სფეროში შედიოდა. 1918 წლის 26 თებერვალს ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე ნოე ჟორდანიას აღნიშნავდა: „ბათუმი ჩვენთვის იგივეა, რაც რუსეთისათვის პეტროგრადი, სმირნა ოსმალეთისათვის... ეს არის ერთადერთი გასავალი შავ ზღვაში, და მხოლოდ ამის წყალობით ამიერკავკასიას შეძლება მიეცა კულტურულად და ეკონომიკურად განვითარების, საზოგადოთ ის ევროპის კულტურულ ქვეყანას დაემსგავსა. ბათუმი ევროპასთან შავი ზღვით არის შეერთებული. თუ ბათუმი წაიღეს, ბაქო განცალკავებული დარჩება და იქ ყოველივე წარმოება ჩაიხრჩვება. თქვენ რომ ბათუმი ჩამოჭრათ, მთელი მხარე უნავსადგუროდ დარჩება, უმეტესად დასავლეთ საქართველო, რომელიც მთელ კულტურას ბათუმის საშუალებით ღებულობს (გაზეთი “ერთობა” 1918 წლის 1 მარტი).

300 წლის მანძილზე ებრძოდა აჭარა დამპყრობელთა ტირანიას, ილტვოდა დედასამშობლოსთან დაბრუნებისა და ცხოვრების განახლებისაკენ. ის არასოდეს შერიგებია წარსულის ბედუკუდმართობას.

აჭარა საქართველოს ისტორიული ოლქია. ფეოდალური საქართველოს ერთიანობის ხანაში იგი, როგორც მონარქიის შემადგენელი ნაწილი, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. კიდევ მეტი, აჭარა მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან ანუ იგივე სამცხე-საათაბაგოსთან ერთად იყო ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული მშენებლობის ინტენსიური ცენტრი. უნდა ითქვას, რომ აჭარისა და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობა ოსმალთა მიერ იყო გვიან ფეოდალურ ხანაში ქვეყნის მძიმე ტრაგედიის შედეგი. მე-13-15 საუკუნეებში აზიელი დამპყ-

რობლების ლაშქრობებმა დასცეს წინა აზიის დიდი და მოწინავე მონარქიის ძლიერება. ბოლომოუღებელი ომების შედეგად ნაქალაქარებისა და ნასოფლარების მომრავლებამ, მწარმოებელი მოსახლეობის შემცირებამ და ეკონომიკური ცხოვრების დაქვეითებამ განსაზღვრა მე-15 საუკუნეში საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად.

ამას დაემთხვა ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე შუა აზიიდან აყრილი, მომთაბარე თურქ-ოსმალების ძლევამოსილი იმპერიის შექმნა. საქართველოს მეზობლად ოსმალთა დამკვიდრება იმიტომ იყო აუტანელი, რომ საქართველო ინტენსიური მეურნეობის ქვეყანა იყო, ხოლო ოსმალეთი ბარბაროსულ სტადიაზე იდგა. აქ ძალზე დაბალი იყო წარმოების დონე, რის გამოც სახელმწიფოს არსებობაც კი დაპყრობებს და ამის საფუძველზე მოპოვებულ ნადავლსა და ნამარცვს ეფუძნებოდა. იმიტომ ოსმალთა სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოს მეზობლებთან მშვიდობიანი თანაარსებობა არ ეხერხებოდა. იგი ყველას დასაპყრობად უყურებდა და ასე გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე. მტერმა შესანიშნავად ისარგებლა ქვეყნის პოლიტიკური აშლილობით.

კარზე მომდგარი საფრთხის წინაშე საქართველომ გაერთიანება ვერ შეძლო და ისიც სამეფო-სამთავროებად დაშლილი შერჩა აგრესორს. როგორც დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ამბობდა. „სისხლისმღვრელ ბრძოლებში იძლივნენ საქართველოსანი“. 1547 წელს ოსმალებმა ხელთ იგდეს გონიო და იგი გურია-აჭარაზე აგრესიის ბაზად აქციეს. ამიერიდან ხან დამპყრობელი სძალავდა პატრიოტებს, ხან კი ქართველები იმარჯვებდნენ. სამწუხაროდ, დაქუცმაცებულ საქართველოს არ ძალუძდა მრისხანე მტრის შეჩერება. მართლაც, მე-17 საუკუნის დამდეგიდან აჭარა კვლავ ოსმალთა ხელთ აღმოჩნდა. ახლა დამპყრობელი ზღვის მიმართულებით აფართოებს აგრესიას და მე-18 საუკუნის 20-იან წლებში დაეუფლა ბათუმს, ხოლო იმავე საუკუნის 70-იან წლებში საბოლოოდ მიიმძლავრეს ქობულეთი.

ოსმალთა გაბატონებით მძიმე დრო დაუდგა აჭარას. დამპყრობელი სადაც წვდებოდა, ანგრევდა ქართულ საციალურ-

ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობას და მეურნეობა უფრო დაბალ ექსტენსიურ საფუძვლებზე გადაჰყავდა. ოსმალური მიწათმფლობელობის შემოდება თავის მხრივ აჩქარებდა მაჰმადიანობის გავრცელებასაც. ახლა მიწა მხოლოდ სამხედრო პირს ეძლეოდა. იგი კი აუცილებლად მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო. ქართველთა დიდი ნაწილი, როგორც ცნობილია, მტერს შეაკვდა ან საქართველოს სხვა მხარეებში გადაიხვეწა, მაგრამ უმრავლესობა მაინც, სხვადასხვა მიზეზის გამო, იძულებული გახდა გამაჰმადიანებულიყო, ამ ღონისძიებებით მტერი ამზადებდა ნიადაგს აჭარის ჩვეულებრივ ოსმალურ პროვინციად გადაქცევისათვის ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მე-19 ს-ის 30-იანი წლებიდან, როდესაც აჭარაში ჩქარი ტემპით დაიწყო ქართული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის უკანასკნელი ნაშთების ამოძრვვა და მის ნაცვლად ცხოვრების ყველა სფეროში ოსმალური წესების, ზნე-ჩვეულებებისა და ინსტიტუტების დანერგვა, ოსმალური ადმინისტრაციის შექმნა, ენის ძალდატანებით გავრცელება, ჯამე-მედრესეების გახსნა და ისლამის, როგორც ოფიციალური იდეოლოგიის, ინტენსიური გამტკიცება. ამით ქართველობას აჭარაში საბოლოოდ გადაშენების საფრთხე დაემუქრა.

ქართველი ხალხი არასდროს შერიგებია ოსმალთა მიერ ისტორიული მიწების მიტაცებას. იგი თავდადებით იბრძოდა მისი გამოხსნისათვის.

ამ მიზნით არაერთი ომიც გადაიხადა დამპყრობელთან, მაგრამ ოსმალურ-ყიზილბაშური გარემოცვისა და საზოგადოებრივი დაჩიხულობის ვითარებაში საამისო ძალა არ შეწევდა. ამიტომ ამ დიდი ეროვნული ამოცანის განხორციელება ფეოდალურმა საქართველომ სავსებით სამართლიანად უანდერძა რუსეთს. ცნობილია, რომ რუსეთი მე-18 ს-ის დამლევიდან ქართული ტერიტორიების გაერთიანების და ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნის ლოზუნგით გამოვიდა. მართალია, ცარიზმს ამით სურდა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში გაბატონება, მაგრამ მისი ბრძოლა ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ ობიექტური შედეგებით უადრესად პროგრესული იყო. ოსმალთა უღელისაგან ისტორიული მიწა-წყლის გამოხსნით

ქართველი ხალხის საუკუნოვანი ოცნება სრულდებოდა. რუსეთი აღმოსავლეთის მიმართ ნამდვილად პროგრესულ როლს ასრულებდა. ამით აიხსნება ისიც, რომ მე-19 ს-ის რუსეთ-ოსმალეთის ომებში ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ და დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთის გამარჯვებებში. ამ გამარჯვებებით კი 1878 წელს აჭარა საბოლოოდ დედასამშობლოს დაუბრუნდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „ერთობა“ 1918 წ. 1 მარტი.

Мераб Мегрелишвили

Борьба России и Османской империи за господство на Черном море и Аджария

Резюме

В данной статье дана краткая история неустанной борьбы населения Аджарии за объединение с остальной частью Грузии.

**ბათუმის დაუფლებისათვის რუსეთის
საზღვაო ბრძოლების ისტორიიდან
(1877-1878 წ.წ.)**

ყირიმის ომის შემდგომ, რუსეთში ვაჭრობისა და, შესაბამისად, საზღვაო ნაოსნობის საკმაოდ სწრაფმა განვითარებამ გააძლიერა სწრაფვა ბათუმის დაუფლებისათვის. 1860 წელს რუსეთის ტრაპიზონელი კონსული ე.ნ. მომნინი ხელმწიფეს სწერდა. „ბათუმი ფლობს პატარა, მაგრამ უშიშარ და იმდენად მოხერხებულ ნავსადგურს, რომ ჩვენი გემები თვით ნავმისადგომთან ჩერდებიან, აგრეთვე ის მდებარეობს სპარსეთის სატრანზიტო გზაზე.“ მომავალში, კავკასიაში ტრანზიტის მოწყობის შემდეგ, ბათუმი მალე დაიკავეს ტრაპიზონის ადგილს; მით უფრო, რომ ნავსადგურის გაშენება ფოთში დიდ დროსა და კაპიტალს მოითხოვს. მანამდე კი ბათუმი წარმატებით მიიზიდავს კავკასიის ტრანზიტს. რუსეთი რომ ბათუმს შეიძენდეს გაცვლის ან შესყიდვის საშუალებით, ასეთ შენაძენს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სავაჭრო და წმინდა ეკონომიკური ურთიერთობისათვის“ (Акты, 1904: 575).

მართლაც, 1864 წელს დაისვა ბათუმის შესყიდვის საკითხი, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ თურქეთის სულთან აბდულ აზიზს წინადადება მისცა მიეყიდა ბათუმი 40 მილიონ რუბლად. დასავლეთის სახელმწიფოთა რჩევითა და წაქეზებით, სულთანმა უარი უთხრა რუსეთს შემოთავაზებულ წინადადებაზე („Новое время“, №787, 1878). „ამ ბოღაზის ყიდვის ამბავი არ გამართლდა. აბა რომელი სახელმწიფო შეეღევა, მერე ზღვაზე, ამნაირ ბოღაზს“ (ნ.ნიკოლაძე, 1960: 547), – წერდა გულისტკივილით ნ.ნიკოლაძე.

70-იანი წლების მეორე ნახევარში კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი ბათუმის მიმართ. ბათუმის ისტორიის, მისი საზღვაოსანავსადგურო პირობების, რუსეთისათვის ბათუმის დაუფლების მნიშვნელობის შესახებ სისტემატურად ქვეყნდებოდა მასალები

რუსულ სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალ-გაზეთებში (რ.უზუნაძე, 2001:38). გაზეთი „ობზორი“ მიუთითებდა, რომ აღმოსავლეთ სანაპიროს საზღვაო ვაჭრობა ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაშია. მისი შემდგომი განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა თუნდაც ერთი მოხერხებული ნავსადგური, რაც ორჯერ და სამჯერ გაზრდიდა სავაჭრო მიმოქცევას („Озори“, № 180,1878). „ბათუმი სამართლიანად ითვლება შავი ზღვის ერთ-ერთ საუკეთესო ნავსადგურად. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზღვაო ნაოსნობისათვის, იმიტომ რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არ არის სხვა თავშესაფარი კომერციული გემებისათვის“, წერდა გაზ. „ნოვოე ვრემია“ („Новое время“, № 787,1878). გაზ. „რუსკი მირ“ დასძენდა: „ბათუმს აქვს რუსეთის ვაჭრობისა და უშიშროებისათვის დიდი მნიშვნელობა“ („Русский мир“, № 135, 1878).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფაქტობრივად ბათუმისათვის ბრძოლა წარმოადგენდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის ერთ-ერთ მთავარ, საკვანძო საკითხს (В.Потто, 1906: 151).

ომისათვის მზადებასთან დაკავშირებით, კავკასიაში მოწინააღმდეგეებმა თავი მოუყარეს მნიშვნელოვან ძალებს. ომის დასაწყისში რუსეთის არმია კავკასიაში ითვლიდა 200 ათას კაცსა და 400 ქვემეხს. ბათუმის მიმართულებით სამოქმედოდ გამოიყო „ქობულეთის რაზმი“, იგი შედგებოდა 25 ათასი მეზრძოლისაგან, რაზმს მეთაურობდა გენერალ-მაიორი ოკლობჟიო (შ.მეგრელიძე, 1974: 61-62).

არც ოსმალეთი იდგა უმოქმედოდ. მან კავკასიის ფრონტზე თავი მოუყარა 280-ათასიან არმიას, რომელიც საკმაოდ კარგად იყო შეიარაღებული. ბათუმში იდგა ოსმალთა 50-ათასიანი ცარი (Колюбакин Б., 1906: 202-203). მათ მხარს უმაგრებდა შავი ზღვის ფლოტი. იგი შედგებოდა 30 სამხედრო გემისაგან. ფლოტს სარდლობდა გობარტ ფაშა, წარმოშობით ინგლისელი. ფლოტის შტაბის უფროსი იყო მონტორნ ბეი, ასევე წარმოშობით ინგლისელი.

რუსეთმა ძლივს მოახერხა ზღვაზე მოწინააღმდეგებისათვის დაეპირისპირებინა 7 პატარა სამხედრო ხომალდისაგან შემდგარი ფლოტი, რომელთა დიდი ნაწილი სასწრაფოდ სავაჭრო გემები-

საგან გადაკეთდა (История русской армии и флота, 1903, 202-203, Ф.Врангель, 1911: 132).

მოწინააღმდეგის უპირატესობა ზღვაზე აშკარა იყო, რაც აიძულებდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სარდლობას უფრო მეტად ეზრუნა თავდაცვაზე. ამ მდგომარეობას, შეუძლებელი იყო, რუსეთისათვის უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა საომარი კამპანიის მსვლელობაზე. (Аренса Е, 1913, 44). ფლოტის ძირითად წამყვან ძალას წარმოადგენდა ჯავშნოსანი ხომალდი „დიდი მთავარი კონსტანტინი“. იგი შეიარაღებული იყო 5 მძიმე ქვემეხითა და საბუქსირო ნადმებით. ამ ახალ იარაღზე რუსეთის სარდლობა დიდ იმედებს ამყარებდა. ჯავშნოსნის მთავარ საბრძოლო ძალას წარმოადგენდა ორთქლის ოთხი ნადმოსანი კატერი. ისინი მოთავსებული იყო ხომალდზე. საჭიროების შემთხვევაში ხუთი წუთის მონაკვეთში შეიძლებოდა მათი ზღვაში ჩაშვება და საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა. ჯავშნოსანს მეთაურობდა ცნობილი ზღვაოსანი, ვიცე-ადმირალი ს.ო.მაკაროვი (Врангель Ф, 1911: 56). ასევე საზღვაო ოპერაციებში მონაწილეობას ღებულობდნენ გემები „ვესტა“, „როსია“, „ვლადიმირი“. შავ ზღვაზე რუსეთის ფლოტის სარდლად დაინიშნა გენერალ-ადიუტანტი ნ.ა. არკასი.

წინა ომების გამოცდილებიდან გამომდინარე, რუსეთისათვის ცხადი იყო, რომ ბათუმის მიმართულებით საომარი მოქმედებების წარმატება დიდად იქნებოდა დამოკიდებული საზღვაო ძალების აქტიურობაზე, მის თანამოქმედებაზე სახმელეთო ჯარებთან. მაგრამ შავი ზღვის ფლოტის არსებული კონტინგენტი საეჭვოს ხდიდა ამის განხორციელებას. რაც გააძნელებდა ბრძოლას ბათუმის დაუფლებისათვის (Снирник, 1904: 17). როგორც ქვემოთ დავინახავთ, მათი მოქმედება შავი ზღვის აღმოსავლეთ აუზში აგებული იყო დროდადრო მცირე მასშტაბის საზღვაო დივერსიების მოწყობაზე. იგი ყირითადად გამოიხატებოდა ღამით მოწინააღმდეგის გემებზე თავდასხმით. ეს არ იყო საკმარისი გადამწყვეტი წარმატების მოსაპოვებლად.

ასე, რომ ქობულეთის რაზმს ძირითადად თავისი ძალებით მოუხდა ბრძოლა ბათუმის მიმართულებით კარგად გამაგრებული ოსმალთა ცარების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს ზღვიდან

აქტიურად უჭერდა მხარს ფლოტი. ქობულეთის რაზმის ყველა ცდა - თავისი ძალებით დაეძლია მოწინააღმდეგის წინააღმდეგობა და დაუფლებოდა ბათუმს – უშედეგოდ დამთავრდა (სიჭინავა ვ., 1958: 53-62; მეგრელიძე შ., 1974: 72-74). რაზმის სარდალი გენ. ოკლობჟიო, ანალიზებდა რა წარუმატებლობის მიზეზებს, მიუთითებდა: - ხელს გვიშლიდა ცუდი გზები, კარგად გამაგრებული მისადგომები. მოწინააღმდეგემ ბათუმში თავი მოუყარა მნიშვნელოვან სახმელეთო და საზღვაო ძალებს, ბათუმის მისადგომებს იჯავდა თურქეთის ფლოტი (Потто В, 1906: 152).

ბრძოლის სადავების ხელში ასაღებად, ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე მოწინააღმდეგის საზღვაო ძალები გადავიდნენ აქტიურ მოქმედებაზე. 1877 წლის 13 აპრილს ისინი თავს დაესხნენ წმინდა ნიკოლოზის საგუმავოს. დაბომბეს ფოთი, გუდაუთა, ოჩამჩირე და სხვა სანავსადგურო პუნქტები. 2 მაისს ოსმალეთის ხუთმა ჯავსნოსანმა დაბომბა სოხუმი, შემდეგ გადმოსხეს დესანტი და დაიკავეს ქალაქი (Врангель, 1911, 56, история русской армии и флота, 1914: 47). კავკასიის ნაპირების გასწვრივ განუწყვეტლად დაცურავდნენ მოწინააღმდეგის სამხედრო გემები, რომლებიც პირველ ხანებში ფაქტობრივად აკონტროლებდნენ მთელ სანაპირო ხაზს. 1877 წლის 23 აპრილს ოსმალეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის შავიზღვისპირა პუნქტების ბლოკირების შესახებ (История, 1914, 46-47).

არც რუსეთის ფლოტი იდგა უმოქმედოდ. იგი გადავიდა აქტიურ თავდაცვით მოქმედებაზე. სამხედრო გემები აწყობდნენ გაბედულ დაზვერვით რეიდებს, ღამით მოულოდნელ თავდასხმებს კავკასია-ანატოლიის სანავსადგურო პუნქტებში მდგომ მოწინააღმდეგის გემებზე, გადაჰქონდათ ჯარისათვის ტყვია-წამალი, სურსათი.

1877 წლის აპრილის დამლევს ს.მაკაროვმა ჯავშნოსან „კონსტანტინით“ კავკასიის ნაპირებისაკენ მოაწყო გაბედული საბრძოლო ექსპედიცია. მიღებული ცნობებით, ფოთთან ხშირად იყრიდნენ თავს მოწინააღმდეგის სამხედრო გემები. მაკაროვმა გადაწყვიტა მოულოდნელად თავს დასხმოდა მათ და ჩაეყირა ისინი. 28 აპრილს „კონსტანტინმა“ კურსი აიღო ფოთისაკენ.

ოპერაცია მეტად სახიფათო იყო, რადგან ასე შორ მანძილზე გამორიცხული არ იყო გადაწყდომოდა მოწინააღმდეგის სამხედრო გემებს, რაც შეიძლებოდა „კონსტანტინის“ დალუპვით დამთავრებულიყო. მით უმეტეს სევასტოპოლიდან გასვლის მეორე დღეს მიღებული იქნა ცნობა, რომ მის შესახვედრად მოემართებოდა ექვსი ჯავშნოსანიგან შემდგარი მოწინააღმდეგის ესკადრა (История, 1914, 47). ს.მაკაროვმა მოახერხა გვერდი აევლო მათთვის. 30 აპრილს მიაღვა ფოთს, მაგრამ რეიდზე მოწინააღმდეგის გემები არ ჩანდნენ. გადაწყვიტა განეგრძო მოწინააღმდეგის ძებნა და გაემართა ბათუმისაკენ. რეიდიდან შვიდი მილის მანძილზე ზღვაში ჩაუშვეს კატერები. მაკაროვმა ხომალდი ჩააბარა უფროს ოფიცერს. თავად კი სათავეში ჩაუდგა ნაღმოსანთა ფლოტილიას, რომელიც შედგებოდა კატერების: ნავარინის, ჩესმას, სინოპისა და მინერისაგან.

ნავარაუდები იყო, თავს დასხმოდნენ რეიდის სიდრემში მდგომ ჯავშნოსანს, მაგრამ გზაზე კატერები გადააწყდნენ საგუშაგო გემს. მისთვის გვერდის ავლა და ზურგში დატოვება მეტად სახიფათო იყო. რადგან იგი შეიძლება შეჩებოდა უეკიპაჟოდ დარჩენილ „კონსტანტინს“. ამიტომ მაკაროვმა გამოყო სწრაფმავალი კატერი „ჩესმა“ (მეთაურ-ლეიტენანტი ზაცარენი) და უბრძანა აეფეთქებინა მოწინააღმდეგის საგუშაგო გემი (Макаров, 1953: 161). ლეიტენანტმა ზაცარენმა ნაღმი ხომალდს ბორტის ქვეშ შეუგდო. მაგრამ ტექნიკური გაუმართობის გამო ნაღმი არ აფეთქდა (Макаров, 1953: 167). მოწინააღმდეგე გემიდან თოფების ცეცხლი გაუხსნა კატერს, შემდეგ კი სრული უკანსვლით დაედევნა მას. „ჩესმა“ გაემართა დანარჩენ კატერებთან შესაერთებლად. თურქეთის საგუშაგო ხომალდი მოულოდნელად წაადგა თავს ნაღმოსან ფლოტილიას და ტყვიებისა და კარტეჩების (საარტილერიო ჭურვის ერთ-ერთი სახეობა - რ.უ.) მასა დაუშინა. კატერი „მინერი“ (მეთაურობდა თავად ს.მაკაროვი) გაეცალა ცეცხლის არეს, რათა კოორდინაცია გაეწია ახალი შეტევისათვის. მაგრამ ამ დროს მოწინააღმდეგის ცავშნოსანმა კურსი ნავსადგურისაკენ აიღო და მიიმალა.

ამასობაში რეიდზე მდგომ გემებზე აინთო ფარნები და ატყდა განგაში. ასეთ ვითარებაში ნავსადგურში შესვლის მჯდულობა გემებზე თავდასხმის მოსაწყობად არაკეთილგონიერი იყო. მაკაროვმა გადაწყვიტა ხელი აეღო განზრახვაზე.

ასე წარუმატებლად დამთავრდა ჯავშნოსან „კონსტანტინის“ პირველი გაბედული საბრძოლო ოპერაცია ბათუმის ყურეში, იგი უკან დაბრუნებისას გზად შეხვდა მოწინააღმდეგის ოთხ იალქნიან და ერთ ორთქლის სამხედრო გემს, მაგრამ დღე იყო და მოერიდა მათთან ბრძოლაში ჩაბმას.

6 მაისს „კონსტანტინმა“ ისევ აიღო კურსი კავკასიის ნაპირებისაკენ. ფოთში აღმირალმა მაკაროვმა გაიგო, რომ სოხუმში იდგა მოწინააღმდეგის ფლოტი, მან გადაწყვიტა თავს დასხმოდა ესკადრას. 8 მაისს ღამის 11 საათზე ჯავშნოსანი კონსტანტინი მიუახლოვდა სოხუმს, მაგრამ იქ ისეთი ხშირი ნისლი იყო, შეუძლებელი გახდა განესაზღვრათ მოქმედების ადგილი. ამიტომ მაკაროვმა თავი შეიკავა ოპერაციის ჩატარებაზე.

9 მაისს გვიან ღამით „კონსტანტინი“ სევასტოპოლში დაბრუნდა (Макаров, 1953: 169).

28 მაისს ნაღმოსანი ფლოტილია მაკაროვის მეთაურობით თავს დაესხა სულინის ნავსადგურში მდგომ მოწინააღმდეგის გემებს. მაგრამ ოპერაცია წარუმატებლად დამთავრდა. ვერ მოახერხეს გემი „იჯალიეს“ ჩაყრვა.

1877 წლის ივნისში მოეწყო საბრძოლო ექსპედიციები კავკასია-ანატოლიის ნაპირებთან. ჩაყრული იქნა თურქეთის რამდენიმე კომერციული გემი.

უმოქმედოდ არც თურქეთის ფლოტი იდგა. მაგრამ იგი წინანდებურად შემოიფარგლებოდა სანავსადგურო პუნქტების დაბომბვით. ისინი ერიდებოდნენ დიდი საბრძოლო ოპერაციების მოწყობას.

მაკაროვი არ იყო კმაყოფილი განხორციელებული დივერსიების შედეგებით. გადაწყვიტა ნაღმის გამოყენებით მოწინააღმდეგისათვის უფრო მყიფე დარტყმები მიეყენებინა. ამ მიზნით 1877 წლის 12 აგვისტოს ღამით მოაწყო თავდასხმა სოხუმის რეიდზე მდგომ მოწინააღმდეგის სამხედრო გემებზე, სადაც იდგა აგრეთვე ჯავშნოსანი „ასსარ-შეჟქეთი“.

11 აგვისტოს ღამით ხომალდი „კონსტანტინი“ მიადგა სოხუმს. ოპერაციის ჩასატარებლად, ნავსადგურიდან ექვსი მილის დაშორებით, ზღვაში ჩაუშვეს ნაღმოსანი კატერები. ნავარაუდები იყო პირველად აეფეთქებინათ ბონები (ტივტივა), რომელიც იცავდა რეიდს. შემდეგ თავს დასხმოდნენ ორ ჯავშნოსანს ერთდროულად. კატერები ორ კოლონად გაემართნენ რეიდისკენ. ისინი ღამის 2 საათსა და 45 წუთზე (მთვარის სრული დაბნელების მომენტში) შეიპარნენ რეიდზე და მიადგნენ ჯავშოსან „ასსარ-შევექეთს“. გადაწყდა ჩაეძირათ იგი. კატერები გადავიდნენ იერიშზე. მათ ერთმანეთის მიყოლებით მარცვენა ბორტთან შეუგდეს ნაღმები ცავშნოსანს, მაგრამ ამას დიდი წარმატება არ მოჰყოლია. მათ ვერ მოახვედრეს ზუსტად მიზანში (История, 1914: 52).

ამ დროს ხომალდიდან კატერებს გაუხსნეს თოფებისა და ქვემეხების ცეცხლი. აგრეთვე ამოქმედდა სანაპირო ბატარეა. ხოლო ნაღმოსანი „სინოპი“ მოექცა ნიჩბიანი კატერების ალყაში. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. იგი ძლივს გადაურჩა მოწინააღმდეგის ხელში ჩავარდნას (Маков, 1953: 205).

ასე რომ, მაკაროვის ნაღმოსანი ფლოტილის ცდა – ჩაეძირათ მოწინააღმდეგის სამხედრო ჯავშნოსანი წარუმატებლად დამთავრდა. „ასსარ-შევექეთი“ მცირედ დაზიანდა. ამ ბრძოლამ ერთხელ კიდევ დაადასტურა საბუქსირო ნაღმისათვის დამახასიათებელი აშკარად უარყოფითი მხარეები, კერძოდ, მეტად მოუქნელი იყო იგი სწრაფი მანევრებისა და მოწინააღმდეგის ხომალდის ქვეშ მოსახვედრად, ამიტომ საბუქსირო ნაღმი შეიცვალა თვითმავალი ნაღმით (История, 1914: 52).

1877 წლის ოქტომბრის ბოლოს მოეწყო სამხედრო-საზღვაო ექსპედიცია ქობულეთ-ბათუმ-ტრაპიზონის მიმართულებით. ოპერაციაში მონაწილეობდნენ ხომალდები – „კონსტანტინი“ და „ვესტა“. ოპერაციას ხელმძღვანელობდა კაპიტან-ლეიტენანტი ს. მაკაროვი. ექსპედიციის მიზანი იყო თავს დასხმოდნენ ციხისძირის მისადგომებთან მყოფ მოწინააღმდეგის გემებს და ამით გარკვეული დახმარება გაეწიათ ქობულეთის რაზმისათვის.

30 ოქტომბერს ისინი მიადგნენ ფოთს, აქ შეკრებილი ცნობებით, ყოველ ღამით ქობულეთის შორიახლოს დაცურავდნენ

მოწინააღმდეგის გემები. გადაწყდა მოეწყოთ მათზე თავდასხმა. 31 ოქტომბერს, ღამის პირველ საათზე, ნაღმოსანი ფლოტილია გაემართა ოპერაციის ჩასატარებლად. მთელი ხუთი საათი დაეძებდნენ ისინი მოწინააღმდეგეს, მაგრამ ვერსად მიაგნეს. შემდეგ ხომალდით განაგრძეს მოწინააღმდეგის ძებნა. ისინი ბათუმამდე მივიდნენ, არც ამ ოპერაციას მოჰყოლია შედეგი. მაკაროვმა გადაწყვიტა მოეწყო თავდასხმა ბათუმის ნავსადგურში მდგომ გემებზე. მაგრამ ამასობაში ამოვარდა ძლიერი ქარი და ეს განზრახვაც ჩაიშალა (Маков, 1953: 215-216; Врангель, 191,;187).

ნოემბრის მეორე ნახევარში გაააქტიურეს მოქმედება თურქეთის სამხედრო გემებმა. ისინი სისტემატურად ბომბავდნენ ქობულეთის მიმართულებით მოქმედი რუსეთის ჯარის პოზიციებს. რუსეთის საზღვაო ძალებმა ვერ აღმოუჩინეს დახმარება ქობულეთის რაზმს, რის გამოც ამ უკანასკნელმა განიცადა საკმაოდ დარტყმა (Сборник, 1903: 190).

დეკემბერში რუსეთის საზღვაო ძალებმა გაააქტიურეს მოქმედება. ფლიგელ-ადიუტანტ ბარანოვის მეთაურობით გემ „როსიათი“ მოეწყო დაზვერვა ანატოლიის ნაპირების გასწვრივ. 13 დეკემბერს „როსია“ თავს დაესხა თურქეთის ბაკეტბოტ „მერსინას“ და ხელთ იგდო იგი. მას სტამბოლიდან ბათუმში გადაჰქონდა ფოსტა და გადაჰყავდა ბაში-ბუზუკთა 800-კაციანი რაზმი. ტყვედ აიყვანეს ევიპაჟის მთელი შემადგენლობა, ხელთ იგდეს ჯარისათვის განკუთვნილი სურსათ-სანოვაგე და ფული, აგრეთვე მუხტარ-ფაშას უაღრესად მნიშვნელოვანი მიმოწერა (История, 1914: 52-53).

ამავე პერიოდში ხომალდებმა „კონსტანტინმა“ და „ვლადიმირმა“ კავკასიის არმიისათვის სოჭსა და ტუაფსეში გადაიტანეს დიდი რაოდენობის სურსათ-სანოვაგე, ფურაჟი, რაც მეტად სარისკო იყო ზღვაზე მოწინააღმდეგის ფლოტის ბატონობის პირობებში.

ახალი ოპერაციის ჩატარების მიზნით, 14 დეკემბერს ჯავშნოსანი „კონსტანტინი“ გაემართა ფოთისაკენ, სადაც ს. მაკაროვმა გაიგო, რომ ბათუმის ნავსადგურში იდგნენ მოწინააღმდეგის ჯავშნოსნები. გადაწყდა, მოეწყოთ მათზე თავდასხმა და თვით-მაველი ნაღმის გამოყენებით გაენადგურებინათ ისინი. 15 დეკემ-

ბერს საღამოს ხომალდი მიადგა ბათუმს. ნავსადგურში იდგა შვიდი ჯავშნოსანი და რამდენიმე პატარა გემი.

ს.მაკაროვის ბრძანებით, ნაპირიდან ერთი მილის დაშორებით, წყალში ჩამგებულნი იქნა ნაღმოსანი კატერები – ჩესმა, სინოპი, სუხუმ-კალე, ნავარინი. ოპერაციის ჩასატარებლად გაუშვეს ორი საუკეთესო ნაღმოსანი ჩესმა და სინოპი. ხოლო დანარჩენი ორი მზად იყო ბრძანებისთანავე ბრძოლაში ჩასაბმელად. ბნელი ღამე იყო. 16 დეკემბერს ღამის 1 საათზე კატერები შეუმჩნეველად შევიდნენ ნავსადგურში. თავდასხმისათვის შერჩეული იქნა ყველაზე ახლოს მდგომი საადმირალო ხომალდი „მახმუდიე“. „ჩესმამ“ და „სინოპმა“ ერთმანეთის მიყოლებით გაუშვეს თავიანთი ნაღმები. მაგრამ ისინი აცდა მიზანს. პირველი ნაღმი მოხვდა გემისაბმელს, გაგლიჯა იგი, ჩაერჭო გრუნტში და აფეთქდა. მეორე ნაღმი თავის გზაზე არ შეხვედრია არავითარ დაბრკოლებას და მთლად ავარდა ნაპირზე („Кавказ“, № 10, 1878; Макаров, 1953; 240-241).

როგორც ჩანს, მოწინააღმდეგე არ ელოდა თავდასხმას. მათ გვიან შენიშნეს ყურეში შემოსული რუსეთის ნაღმოსანი კატერები. ატყდა განგაში. მეზობელი ხომალდებიდან ნაღმოსნებს გაუხსნეს თოფების ცეცხლი. ამოქმედდა სანაპირო ბატარეაც. კატერები შეეცადნენ დაუყოვნებლივ გასცლოდნენ იქაურობას. შეტაკებისას დაზიანდა „სინოპი“, რომელიც ბუქსირზე აიყვანა „ჩესმამ“ (Кавказ“, № 10 : 1878) .

აღნიშნული წარუმატებლობა გარკვეულად განაპირობა ახალი იარაღის ბრძოლაში გამოყენების პირველმა ცდამ, ამავე დროს ძალზე ბნელოდა, რამაც გააძნელა მისი მიზანში მოხვედრა.

ამ თავდასხმის საპასუხოდ ოსმალეთის ჯავშნოსანთა ესკადრამ დაბომბა ევპატორია, ფეოდოსია, ანაპა და სხვა ზღვისპირა ქალაქები (История, 1914: 53).

როგორც კი მოწინააღმდეგის ესკადრა დაბრუნდა თავის ნავსადგურში, ხომალდები „როსია“, „ვლადიმირი“, „ვესტა“ გავიდნენ ზღვაში სადაზვერვო ოპერაციების ჩასატარებლად. ხოლო ჯავშნოსანმა „კონსტანტინმა“ 1878 წ. 10 იანვარს ისევ კურსი აიღო ბათუმისაკენ.

მაკაროვი 9 იანვარს შავი ზღვის ფლოტის სარდალ ნ. არკას სწერდა: „განზრახული მაქვს დავბომბო ბათუმის სიმაგრე, გავანადგურო მოწინააღმდეგის არმიის მარაგი“ (Макаров, 1953: 227). მან ფოთში გაიგო, რომ ბათუმში იდგა მოწინააღმდეგის ესკადრა გობარტ-ფაშას სარდლობით. იგი ფოთიდან არკასისადმი გაგზავნილ ტელეგრამაში იტყობინებოდა - გადაწყვიტა წინასწარ პირადად დაეზვერა ბათუმის რეიდი, შემდეგ კი თუ შესაძლებელი იქნებოდა დაებომბა მოწინააღმდეგის ჯავშნოსნები და მოეხდინა ახალი იარაღის დემონსტრირება (Макаров, 1953: 229).

13 იანვარს, ღამით, 4-5 მილის მანძილზე მაკაროვი მიუახლოვდა ბათუმს. გადაწყვიტა ესარგებლა სიბნელით და ნაღმების გამოყენებით მოეწყო ესკადრაზე თავდასხმა. ოპერაციის ჩასატარებლად წყალში ჩაუშვეს კატერები „ჩესმა“ და „სინოპი“. ზღვაზე ჩამოწოლილმა ხშირმა ნისლმა ძალზე გააძნელა ყურესაკენ გზის გაკვლევა. ღამის ორის ნახევარზე, როდესაც მთვარე ამოვიდა, კატერებმა ბათუმის რეიდზე დაინახეს შვიდი გემი. შუქურასთან ახლოს, საგუმაგო პოსტზე იდგა დიდი ორანძიანი გემი „ინთიბახი“. კატერები მიუახლოვდნენ მას 30-40 საყენის მანძილზე და ერთდროულად დაუშინეს ნაღმები, ორივე ნაღმი მიზანში მოხვდა. აფეთქება ძლიერი აღმოჩნდა, ერთი-ორი წუთის შემდეგ ხომალდმა იწყო ჩაძირვა (История, 1914, 54, Макаров, 1953: 229-230). ატყდა განგაში. სანაპირო ბატარეამ გაუხსნა ცეცხლი კატერებს, მაგრამ უშედეგოდ.

არც ეს ეპიზოდური წარმატებები აღმოჩნდა საკმარისი ბათუმის დასაუფლებლად. მხოლოდ, ჯერ სან-სტეფანოს (08.03.1878) შემდეგ კი ბერლინის საზავო ხელშეკრულებით (05.07.1878) მოხერხდა რუსეთის მიერ ბათუმის დაკავება.

ლიტერატურა

1. გაზ. „დროება“, №85, 1878.
2. მეგრელიძე შ., საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბ., 1974.
3. ნიკოლაძე, ნ., თხზ., ტ.2, თბ., 1960

4. სიჭინავა ვლ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958
5. უზუნაძე რ., ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათუმი, 2001
6. Акты, т. XII, Тифлис, 1904.
7. Аренса Е., Операция на Черном Море, - История русской Армии и Флота, т.12, м.1914.
8. Врангель Ф., Вице-адмирал Степан Осипович Макаров, Ч.1, С.–Тб., 1911.
9. История русской Армии и Флота, т.11, м.1913
10. История русской Армии и Флота, т.12, м.1914
11. газ. «Кавказ», №10, 1878.
12. Колюбакин Б., Русско-турецкая война в 1877-1878 г.г. на Кавказе и малой Азии, ч.1, С-Пб., 1906
13. Макаров С.О., «Документы», т.1, м., 1953.
14. газ. «Новое время», №787, 1878.
15. газ. «Обзор», № 177, 1878.
16. газ. «Обзор», № 180, 1878
17. газ. «Русский Мир», №135, 1878
18. Потто В., Три прошлых компаний, - в Сб. Батуми и его окрестности, Батуми, 1906.
19. Сборник материалов по Русско-турецкой войне в 1877-1878 г.г. на кавказско-М а л о а з и а т с к о м т е а т р е , т .1, С-П б ., 1904

Реваз Узунадзе

Из истории войны Российского военного флота для завоевания г. Батуми (1877-1878 гг)

После Крымской войны быстрое развитие торговли и морского порта в России, усилила стремления для завоевания г. Батуми. В статье рассмотрены важнейшие вопросы проведения морских войн для завоевания г. Батуми.

**აჭარის გათავისუფლებისადმი
მი'ღვნილი ზეიმი თბილისში
~ @) ნოემბერინ !* &* წელი`**

!* &* წლის @% აგვისტოს რუს-ქართველთა ლაშქარმა ბათუმი ჩაიბარან ეს დრო-ჟამი კი ისტორიაში შევიდა სამხრეთ საქართველოს ~აჭარან ნიგალინ შავშეთ-იმერხევი` გათავისუფლებისა და დედასაქართველოსთან დაბრუნების თარიღად7

იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები სავსეა ამ ისტორიული მოვლენით გამოწვეული ოპტიმიზმით იმედით რომ საქართველო გამთლიანდებან ერი გაერთიანდება და ახალი ცხოვრება დაიწყება7

საყოველთაო სიხარულის დაგვირგვინება იყო ისტორიული ბანკეტინ რომელიც ქართველმა საზოგადოებრიობამ ბათუმიდან ჩასულ !%-კაციან დეპუტაციას გაუმართა7 ნადიმის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს რომ !#) წლის მან'ილზე არ დარჩენილა ისტორიკოსი და მოგზაურინ ვინც არ შეხებოდა ამ შეხვედრას და არ შეეფასებინა მისი მნიშვნელობა7 მკვლევარებს განსაკუთრებით აინტერესებდათ სამუსლიმანო საქართველოს დეპუტაციის წევრთა ვინაობა7 კვლევის პროცესში ზოგმა ბანკეტის მონაწილეთა სია თავისი სურვილით 2შეავსო3ნ თანაც ისეთი გვარებით რომლებიც იმ დროს საზოგადოებრივ ასპარეზზე საერთოდ არ იყვნენ7 ამას მოჰყვა ბანკეტის ნამდვილ მონაწილეთა სიიდან ამოვარდნა და ისტორიული სინამდვილის დამახინჯება7

ჩვენ მიზნად დავისახეთ მკითხველს მივაწოდოთ დაზუსტებული ცნობები დეპუტაციის შემადგენლობაზე ბანკეტის მოწყობის ორგანიზატორებსა და მასში მონაწილეობის წესებზე აგრეთვე ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ დეპუტაციის წევრთა მიღებასა და მათ გართობაზე7

რუსეთ-თურქეთის ომის ბოლო დღეებინ საზავო შეთანხმებან ბათუმისა და მთელი ოლქის ოსმალთაგან დათმობან კინემატოგრაფიული სიზუსტით აღწერეს გაზეთ 2დროების3 რედაქტორმა სერგეი მესხმან ნიკო ნიკოლა'ის გაზეთ 2ობზორის3 ~პეტერბურგი` თა-

ნამშრომელმა ~შემდგომში ნაფიცმა ვეკილმა`ნ ალექსანდრე ფრენ-
კელმა და ამავე გაზეთის კორესპონდენტმან შემდგომში ცნობილმა
ქართველმა მწერალმა გიორგი წერეთელმა7 ისინი თავად არიან
საომარი მოქმედების ქართული პროვინციების ოსმალთაგან ჩაბა-
რების თვითმხილველნი ხოლო ს7 მესხი და ალ7 ფრენკელი თვით
ისტორიულ ბანკეტსაც ესწრებოდნენ ამიტომ მათი ჩანაწერები
ზუსტი და სანდოა7

სერგეი მესხს თავის წერილში ნათქვამი აქვს რომ 2სტუმრები
სულ ყველანი იყვნენ !^ კაცი7 საკუთრივ დეპუტაციის გარდან იყონ
აგრეთვე ღენერალ-მაიორი შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი37 შემდეგ ს7
მესხი აღწერს სუფრასთან სტუმრების განლაგებასაც კი7

ადრე 2დროებაში3 გამოქვეყნებულა მისივე ცნობან რომელშიც
შედარებით სრულყოფილად არის ჩამოთვლილი დეპუტაციის
წევრთა გვარები7 ამ ცნობაზე დაყრდნობითნ ჟურნალი 2ივერია3
!*&* წლის !^ ნომბერს ~1\$%6 გვ7 #` აქვეყნებს ინფორმაციასნ სადაც
ნათქვამიან 2დეპუტაციას შეადგენს სულ თოთხმეტი კაცი37

ალ7 ფრენკელის მიერ მოწოდებულ დეპუტაციის წევრთა სია-
შინ გვარ-სახელის გარდან დაზუსტებულია ზოგი მათგანის საქმი-
ანობაც7

ამ სიების შეჯერებით ჩვენ შეგვიღია საბოლოოდ დად-გენი-
ლად ჩავთვალოთ დეპუტაციის ზუსტი შემადგენლობან

!7 ხუსეინ-ბეგ ბეჟანი'ენ ჩაქვის ფეოდალიმ

@7 ხასან-ბეგ ბეჟანი'ენ ხუსეინის 'მის შვილიმ

#7 იბრაიმ-ბეგ აბაში'ენ ბათუმის სანჯაყ-ბეგიმ

\$7 ნური-ბეგ ხიმშიაშვილინ შავშეთის ბეგიმ

%7 ხასან-ეფენდი სურმანი'ენ ბათუმის მუფთი და სასულიერო
მსაჯულიმ

^7 ხუსეინ-ბეგ აბაში'ენ ბათუმის სანჯაყ-ბეგიმ

&7 ოსმან-ბეგ მაკრიალელიმ

*7 სული-ბეგ მაჭახლელინ წულუკი'ემ

!)7 ემინ-ეფენდი მუფთი-ზადე არტანუჯელიმ

!!7 პეტრე ხარლამპოვი _ ბათუმის ბერ'ენტა მღვდელიმ

!@7 ტერ-გრიგორ პუჩინიანი _ ბათუმის სომეხ კათოლიკე-თა
მღვდელიმ

!#7 პეტროს პუჩინიანი ართვინიდანმ

!\$7 სიმიონ საგამიონინ შავშეთიდან8
!%7 შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილინ აჭარის მმართველი5 გენერალ-
მაიორი ~დეპუტაციას თბილისში დახვდა`7

* * *

ჩვენთვის ცნობილი არიან ის პიროვნებები რომელთაც სურდათ დეპუტაციასთან ერთად თბილისში ჩასვლა7 ამ ფაქტს შემდეგნაირად გვამცნობს ალ7 ფრენკელინ 2თბილისში ჩამოსული დეპუტატები რომელთა უმრავლესობას მე ვიცნობდინ 'ალზე სწუხდნენ იმის გამონ რომ მათ შორის არ არიან ბათუმის ოლქის მრავალი წარმომადგენელი რომლებსაც მათთან ერთად შეე'ლოთ გამოეხატათ მხარის სურვილები და გრ'ნობები37

თურმე დეპუტაციაში უნდა ყოფილიყვნენ რაშიდ-ეფენდი ხაზინადაროღლი ~კეკელი'ე და შირინ-აღა ოსმან ბაირახტაროღლი ~დავითა'ე _ ზემო აჭარიდან თუფან-ბეგი ~შერვაში'ენ აბდულ-ბეგი ~ბეჟანი'ე და ულფან-ბეგი ქვემო აჭარიდან დურსუნ-ბეგ თავდგირი'ენ რეჯებ-აღა და ცივა'ე _ ჩურუქ-სუდან თევფიყ-ბეგ ათაბაგი და აპრიომ-ეფენდი გორგიონი _ ლივანიდან ფელულ-ბეგ ხიმშიაშვილი _ შავშეთიდან სეფერ-ბეგი _ იმერხევიდან და ალი-ბეგი ~წულუკი'ე _ მაჭახლიდან7 2ჩამოთვლილ პირებს შეე'ლოთ კავკასიის მთავარმმართველობასთან ესაუბრათ მთელი მხარის სახელით3-ონ _ ალ7 ფრენკელთან საუბრისას აღიარებდნენ თბილისში ჩასული სტუმრები7

* * *

დეპუტაციის თბილისში ჩასვლის მთავარი მიზანი იყო მთელი სამუსლიმანო საქართველოს სახელით ერთგულება გამოეცხადებინათ რუსეთის ხელისუფლებისადმინ დაერწმუნებინათ კავკასიის მთავარმართველინ რომ მას ბათუმის ოლქიდან ექნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის სრული მხარდაჭერა და მორჩილება იმ პირობით რომ მთავრობაც ერთგულად აღასრულებდა თავის ვალდებულებას არ შეეხებოდა მოსახლეობის პიროვნულ და სინდისის თავისუფლებას რელიგიურ მრწამსსა და ისტორიულად დამკვიდრებულ ადათ-წესებს არ შელახავდა საკუთრების უფლებებს არ გაზრდიდა გადასახადებსა და ა7 შ7

ამ პირობების გასაცნობად დეპუტაციის ყველა წევრი !* & *
წლის !@ ნოემბერს ეახლა გენერალ დიმიტრი სვიატოპოლკ-მირს-
კის და კავკასიის არმიის შტაბის უფროსს გენერალ პავლოვს
თუმცა ისინი ამით არ დაკმაყოფილდნენ და ითხოვეს შეხვედრა
კავკასიის მთავარმართებელთან7

სამწუხაროდ ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ცნობას მარამ მთავარ-
მართებელთან შეხვედრა აუცილებლად გაიმართებოდა რუსეთის
მაღალი ჩინოვნიკებიც ყველა მოთხოვნაზე თავს დაუკრავდნენ
მაგრამ777 ჩვენთვის ცნობილია ამ შეპირებების შემდგომი ბედი7
ცარიხში დაკავებულ ტერიტორიებზე როგორც კი თავისუფლად
იგრ'ნობდა თავს ყველა პირობას არღვევდა7 აქაც იგივე განმეორდა
– სხვა დაპყრობილი ტერიტორიების მსგავსად სამუსლიმანო
საქართველო რუსეთმა თავის კოლონიად გამოაცხადა7

რაც შეეხება დეპუტაციის თბილისში ჩასვლის თარიღს ეს
მოხდა !* & * წლის !) ან !! ნოემბერს7

* * *

როგორც ვნახეთ დეპუტაციამ თბილისში თითქმის !) დღე
დაჰყო7 მაშინ ერთ-ერთ გასართობად თეატრი ითვლებოდა7 ჩვენი
დეპუტაციაც დასწრებია ერთ-ერთ ასეთ წარმოდგენას და მათთვის
ამ სრულიად უცხო გასართობით კიდევ შეუქცევიათ თავი7 ამის
შესახებ 2დროება3 შემდეგს გვაუწყებს 2გუშინდელ ქართულს
წარმოდგენაზე სხვათა შორის დაესწრ-ნენ ქობულეთის აჭარის
და ბათუმის დეპუტატები7 მომეტებულის ნაწილის ამათთვის
როგორც ეტყობოდა პირველი ნახვა იყონ არათუ ქართული
თეატრის საზოგადოთ თეატრისა და ამიტომ გაკვირვებით
უყურებდნენ ხოლმე მოთამაშეების სასაცილო რამ სიტყვებზე ანუ
მოქმედებაზე7 საზოგადოთ ამათ 'ალიან მოეწონათ ამგვარი
შექცევა7

მაგრამ ყველაზე მომეტებული ყურადღება ქალებზე ჰქონდათ
მიქცეული7 მაგრამ ამ საღამოს ლამაზი ქალები ცოტანი იყვნენ

თეატრში7 ასე ჩვენმა მანდილოსნებმა ვერ დაიმსახურეს იმათი ყურადღება3 ~2დროება36 1@#&6 !(ნომბერი7 !*!* 77 გვ7 !'7

თბილისელები ნადიმში მონაწილეობისათვის წინასწარ უნდა ჩაწერილიყვნენ ~ხელი მოეწერათ` და ეს იმდენად მნიშვნელოვან საქმედ იყო მიჩნეული რომ ხელწერებს თვით ამ ნადიმობის იდეის ავტორი და ორგანიზატორინ ცნობილი ქართველი მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი აგროვებდა7 როგორც ჩანს მსურველთა რიცხვი დიდი იყონ (!)-მდე კაცინ მაგრამ ცოტანი დაესწრნენ5 ივანე მუხრან-ბატონინ ვის სასახლეშიც გაიმართა ნადიმინ გრ7 ორბელიანინ აკაკი წერეთელინ კონსტ7 მამაცაშვილინ ივ7 ანდრონიკაშვილინ დავ7 ჯორჯა'ენ ალ7 ზუბალაშვილინ დავ7 ფურცელა'ენ გენერლებინ გ7 სუმბათაშვილინ ნიკ7 კობიაშვილინ არზას ტერგუ-კასოვინ ჟურნალისტებინ ს7ი7 მესხინ ალ7 ფრენკელი და სხვ7

ნადიმს არ ესწრებოდა ოსმალოს საქართველოს გათავისუფ-ლების და დედასამშობლოსთან დაბრუნების მესაჭენ საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავა'ე7 ამის მიზეზი უცნობია7 მკვლევართა ნაწილი ~ს7 მესხინ თ7 სახოკიან გ7 შარა'ე და სხვ7 ფიქრობს რომ ის ამ დროს თბილისში არ იმყოფებოდა8 თუმცა სანამ არ დაზუსტდება ილიას მაშინდელი ადგილსამყოფელინ ნადიმზე დასუწრებლობის მიზეზი საბოლოოდ გარკვეულად არ შეი'ლება ჩაითვალოს7

ბანკეტზე წარმოითქვა რამდენიმე სადღეგრ'ელონ რომლებიც ამავე დროს არის ისტორიული სიტყვა და ორატორული ხელოვ-ნების ნიმუში არინ ეს სადღეგრ'ელოები წარმოთქვესნ გრ7 ორბელიანმან ჰუსეინ-ბეგ ბეჟანი'ემნ ალ7 ზუბალაშვილმან დ7 ყიფიანმა და განსაკუთრებული სიტ'ვით გამოვიდა აკაკი წერე-თელინ რომელსაც 2ულოცავდნენ ამ მშვენიერი სიტყვის წარმოთქ-მისათვის და თან მადლობას სწირავდნენ37

სამუსლიმანო საქართველოს დეპუტაცია მეორე დღესნ კვირასნ ბათუმში დაბრუნდა7

!*!* წლის @) ნომბრის ბანკეტი უნდა მივიჩნიოთ არა უბრალო შეხვედრადნ არამედ ახლად დაბრუნებულ ტერიტო-რიებზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ეროვნული გათვითცნო-ბიერებისნ ქართველი ერის გაერთიანების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისად7 სწორედ აქედან მიეცა დასა-

ბამი ე7 წ7 მუსლიმანი ქართველების სულიერ და კულტურულ აღორ'ინებას და მათ შორის განათლების შეტანას7 მას შემდეგ განვლილი !#) წელი არის უდიდესი გაკვეთილი და მაგალითი დღევანდელ მოღვაწეთათვის რომლებმაც უნდა იკისრონ ქვეყნის გარეთ დარჩენილ თანამემამულეთა ეროვნული გათვითცნობიერება და მშობლიურ ენასთან მიწასთან და სულიერ სამყაროსთან დაახლოება7

ლიტერატურა

- 17 გაზ7 2დროება37 1@#(6 @# ნომბერინ !*#* წ7
@7 ჟ7 2ივერია36 1\$%6 !^ ნომბერინ !*#* წ7 გვ7 #7
#7 Френкель А. С. Очерки Чурук-Су и батума Тифლისь. 1879 г. Стр.
129-133.
- 47 გაზ7 2დროება36 1@#&6 !(ნომბერინ !*#* წ7
%7 წერეთელი გიორგი7 პუბლიცისტიკა7 შეკრიბეს6 თარგმნეს
და გამოსაცემად მოამზადეს შანშე მეგრელი'ემ და შალვა ხანთა'ემ7
თბილისი7 !(#&# წ7

ილია ჭავჭავაძე ბერლინის კონგრესის შედეგების შესახებ

ილია ჭავჭავაძის ყურადღების ცენტრში იყო უცხოთა მიერ მინატაცები ქართული მიწების უკან დაბრუნების და სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი.

სტატიაში „ოსმალის საქართველო“, რომელიც 1877 წლის 28 აპრილს დაიბეჭდა ყოველკვირეულ „ივერია“-ში, ილია წერდა: „არ გვაშინებს ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალის საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოდ, და ქართველი... დიდი ხნის განშორებულ ძმას ძმურადვე შეითვისებს... და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრეკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა“.

ასეთივე ამაღლებული განწყობილება ჰქონდათ ერის სხვა მოწინავე ადამიანებს. რამდენიმე მათგანმა (დიმ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა, მ. გურიელმა, ა. მეფისაშვილმა, ივ. კერესელიძემ და სხვ.) კიდევ იმოგზაურეს აჭარაში 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის წინა წლებში. ამან ხელი შეუწყო მომავალი გაერთიანებისათვის საფუძვლის მომზადებას.

ქართველი ხალხი თანაგრძნობით შეხვდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას. ბრძოლებში მონაწილეობდა ათასობით ქართველი. ყველაზე მეტი მოხალისე გურულ მილიციელთა რაზმში გაერთიანდა. ცალკეული რაზმები გამოიყვანა საქართველოს სხვა კუთხეებმაც.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. 1878 წლის 19 თებერვალს სან-სტეფანოში გაფორმებული საზავო ხელშეკრულებით მან მიიღო

ბათუმის, არტანისა და ყარსის ოლქები. რუსეთის ამ წარმატებამ ააფორიაქა აღმოსავლეთში თავისი გავლენის დამკვიდრებისათვის მებრძოლი ევროპის სახელმწიფოები, ამიტომ, როგორც ილია ჭავჭავაძე შენიშნავს, მათ „ოსმალსთან ცალკე სან-სტეფანოში შეკრული პირობა რუსეთისა არ იყაბულეს, რადგანაც ეს პირობა ძალიან აუძლებდა დამარცხებულ ოსმალეთს“.

რუსეთი იძულებული გახდა დათანხმებოდა სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას, რაც განხორციელდა ევროპის სახელმწიფოთა ბერლინის საზავო კონგრესზე (1878წ. ივნისი – ივლისი). კონგრესზე საკითხების განხილვას 13 დამაბული სხდომა დასჭირდა. კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება აზიის საკითხების განხილვისას, განსაკუთრებით რუსეთისათვის ბათუმის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, რუსეთმა მაინც შეძლო ბათუმის შენარჩუნება, მაგრამ აიძულეს იგი გამოეცხადებინა თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად (იხ. აბ. სურგულაძე, მ. სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996).

ეს იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რომლითაც საქართველოს დაუბრუნდა ოსმალეთის მიერ მიტაცებული აჭარა და სხვა ძველი ისტორიული ტერიტორიები. ამ ფაქტს დიდი აღფრთოვანებით შეეგება ქართველი საზოგადოება. ილია ჭავჭავაძე, აფასებდა რა ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობას საქართველოსათვის, 1879 წ. იანვრის შინაურ მიმოხილვაში (ჟურნ. „ივერია“, №1, 1879) წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო – დღეს ჩვენ შემოგვიერთდა და თუ კარგად მოექცევით ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქნება სამუდამოდ“.

ამის მთავარ პირობად ილიას მიაჩნდა: 1. ქართული სკოლების გახსნა აჭარაში და მშობლიურ ენაზე განათლება, 2. ომის მძიმე შედეგების ლიკვიდაციაში დანარჩენი საქართველოს ეკონომიკური თანადგომა აჭარის მოსახლეობისათვის, 3. აჭარაში მთავრობის მიერ ისეთი მოხელეების დანიშვნა, რომლებიც იქნებოდნენ შემოწმებულნი და მოსახლეობისადმი კეთილად

განწყობილნი, 4. მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის საკითხის მოწესრიგება, 5. ქ. ბათუმში ეროვნული ინტელიგენციის გაძლიერება, ქალაქის თვითმმართველობის დაარსება და მისი დემოკრატიზაცია.

ილია ჭავჭავაძე 1879 წლის იანვრის შინაურ მიმოხილვაში აგრეთვე მიუთითებდა ბათუმისადმი საერთაშორისო დაინტერესების გაზრდას ბერლინის კონგრესის შემდეგ, რომ მისი საქართველოსთან დაბრუნებით ამ რეგიონს უპირატესი ადგილი მიენიჭა აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტაში. „ეს პატარა ქვეყანა, - წერდა ილია, - რომელსაც ამიერკავკასიას ეძახიან და სადაც უპირატესობა ყოველისფრით ქართველობას უპყრია, დღეს იმ ქვეყნად შეიქმნა, რომელშიც, ბერლინის ხელშეკრულების შემდეგ გამოიკვანდა დიდი კვანძი აღმოსავლეთის საქმისა“ („ივერია“, №1, 1879).

მოკლედ, ასეთია ილია ჭავჭავაძის შეფასებები ბერლინის კონგრესის შედეგების შესახებ საქართველოსათვის.

Малхаз Сиоридзе

Илья Чавчавадзе об итогах Берлинского конгресса (1878 г.)

Резюме

В результате Русско-Турецкой войны 1877-1878 гг. по решению Берлинского Конгресса к Грузии вернулся г. Батуми. По оценке Ильи Чавчавадзе, в первую очередь, - это было значительное национальное и социально-экономическое событие для Грузии. С другой стороны - на международной арене это вызвало повышение заинтересованности этим стратегическим регионом.

გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება
ამიერკავკასიაში: ბათუმი 1878, 1920, 1991, 2008

შესავალი

მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის ყოველთვის იყო და იქნება დაპირისპირება კულტურული თუ ეკონომიკური გავლენების გაფართოება-შენარჩუნების გამო; ასეთი ბუნებრივი დაპირისპირებანი სისხლისმღვრელ ომებში გადადის ძალადობის გზით გავლენის სფეროების გადანაწილების მცდელობის დროს. სამხედრო დანაშაული უფრო კატასტროფულია, თუკი იგი მოტივირებულია ფსევდომეცნიერული გეოპოლიტიკური²⁸ თეორიებით;

²⁸ სამეცნიერო ლიტერატურაში გეოპოლიტიკა სხვადასხვაგვარად განიმარტება; ცნების ორი ძირითადი გაგება გვაქვს: გეოპოლიტიკა - მეცნიერების დარგი; გეოპოლიტიკა - ქვეყნის საგარეო პრაქტიკა.

შდრ.: გეოპოლიტიკა როგორც მეცნიერების დარგი, შეისწავლის გეოგრაფიული, ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორებით განსაზღვრულ საერთაშორისო ურთიერთობებს. თანამედროვე გეოპოლიტიკაში საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სტრატეგიულ საზღვაო-სახმელეთო გზებსა და ნავთობ (გაზ) სადენების მაგისტრალებზე.

კემბრიჯის ლექსიკონის განმარტებით: (1) გეოპოლიტიკა არის მეცნიერება მოცემული ქვეყნის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის შესახებ ამ ქვეყნის ზომის, პოზიციის, ძალაუფლების გავლენისა და სხვა ასპექტების გათვალისწინებით. (2) გეოპოლიტიკა არის პოლიტიკური აქტივობა, რომელიც გამოწვეულია რომელიმე ქვეყნის, ან მსოფლიოს რომელიმე არეალის ფიზიკური მახასიათებლებით (*1. the study of the way a country's size, position, etc. influence its power and its relationships with other countries; 2. political activity as influenced by the physical features of a country or area of the world: These developments are having a major impact on the geopolitics of the region.* <http://dictionary.cambridge.org/define.asp?key=32591&dict=CALD>).

შდრ. სხვა განმარტებანი (თანამედროვე ენციკლოპედიებიდან): გეოპოლიტიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის გეოგრაფიული

მაგ., მიჩნეულია, რომ მესამე რაიხის დანაშაულებრივი ქმედებანი გარკვეულწილად განაპირობა გერმანელი გეოპოლიტიკოსის, ჰიტლერთან დაახლოებული პირის, კარლ ჰაუსჰოფერის თეორიულმა დებულებებმა; შდრ., რუსეთის ველიკოდერჟავობის მოსურნე ხელისუფლება²⁹ მსგავს ქმედებამდე შეიძლება მიიყვანოს ალექსანდრე დუგინის გეოპოლიტიკურმა "კონცეფციებმა" (სინამდვილეში - იმპერიალისტურმა ოცნებებმა)³⁰, რომლის არსია ევროა-ზიული გეოპოლიტიკური სივრცის შექმნა რუსეთის ჰეგემონობით.

ფაქტორის როლს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში და გარემოს გავლენას მოცემულ მომენტში ქვეყნის ეროვნული ინტერესების განსაზღვრისას; შდრ., აგრეთვე: გეოპოლიტიკა შეისწავლის - გეოგრაფიის გავლენებს პოლიტიკაზე.

შდრ., აგრეთვე: ზბიგნევი ბჰეჟინსკი: "გეოპოლიტიკა არის პოზიციური თამაშის თეორია დიდ მსოფლიო საჭადრაკო დაფაზე" ; ალექსანდრე დუგინი: "გეოპოლიტიკა არის მართვის მეცნიერება"...

გეოპოლიტიკა, როგორც მოცემული სახელმწიფო საგარეო პრაქტიკა, მეცნიერული და ოპერატიულ-საინფორმაციო კვლევების ბაზაზე ახდენს სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონის მოსახლეობის 'განწყობის' (ცნობიერების) დაგეგმვას.

ტერმინი "გეოპოლიტიკა" პირველად გამოიყენა შვედმა პოლიტოლოგმა რუდოლფ ჩელენმა (**Rudolf Kjellen** **Рудольф Челлен**) 1899 წელს; ეს ტერმინი მანვე აქტიურად დაამკვიდრა 1916 წელს ნაშრომით: "სახელმწიფო, როგორც ორგანიზმი"; შდრ.: 1922 წელს გერმანელმა გეოგრაფმა კარლ ჰაუსჰოფერმა მიუნხენში დააარსა გეოპოლიტიკის ინსტიტუტი, სადაც ის აწარმოებდა გეოპოლიტიკურ კვლევებს.

²⁹ შდრ.: "Путин предстает скорее безжалостным порождением КГБ, методичным и решительным националистом, который стремится вернуть России прежнее могущество, использует в конъюнктурных целях неожиданно пролившийся на Россию 'золотой дождь', и одновременно не гнушается без лишнего шума наслаждаться материальными выгодами от политической власти и втайне их преумножать" (*Збигнев Бжезинский: Путинский выбор*. 12 марта 2008)

³⁰ იხ. მაგ., ა. დუგინის წიგნი "[Геополитика постмодерна](http://www.fictionbook.ru/en/author/dugin_aleksandr/geopolitika_postmoderna/)", М. 2007

ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ადრეც და დღესაც ყველა ნორმალურ ქვეყანას აქვს თავისი გეოსტრატეგია³¹, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გეოპოლიტიკური ინტერესები; ამ უკანასკნელის მიხედვით კი წარმოებს გეოპოლიტიკური სიმძლავრეების³² დაგეგმვა.

თანამედროვე მობილურ მსოფლიოში დიდი როლის შესრულება შეუძლია აკადემიურ (არადერჟავულ) გეოპოლიტიკურ კვლევებს, რამდენადაც მომხდური³³, დამხვდური³⁴ და სატელიტი³⁵ სახელმწიფოების მიერ ერთმანეთის თუ საკუთარ ეროვნულ ინტერესთა ადეკვატურად გააზრება ხელს შეუწყობს როგორც რეგიონალურ, ასევე გლობალურ ინტერესთა მყარ ბალანსს.

ჩვენ შემთხვევაში არსებითია ისიც, რომ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში კონკრეტული ფაქტები უნდა გაანალიზდეს გლობალური გეოპოლიტიკური ვექტორების გათვალის-

³¹ გეოსტრატეგია არის გეოპოლიტიკის ქვედარგი, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სახეობა, რომელიც პოლიტიკური თუ სამხედრო დაგეგმვის მიზნით ანალიზებს გეოპოლიტიკურ ფაქტორებსა და მათი წინააღმდეგობების ეფექტებს.

³² გეოპოლიტიკური სიმძლავრეები: მოცემული მიწა-წყლის სტრატეგიული ღირებულება, მოსახლეობის განწყობა (ზოგადად, დემოგრაფიული სურათი), საზოგადოების/ქვეყნის უნარიანობა და სხვ მისთ. ქმნის გეოპოლიტიკურ სიმძლავრებს. ქვეყნის გეოპოლიტიკური სიმძლავრეების ძირითადი კრიტერიუმებად მიჩნეულია: ტერიტორიის ზედაპირი, საზღვრების ბუნება, ზღვაზე გასასვლელი, ბუნებრივი რესურსები, ფინანსური სიძლიერე, ეკონომიკისა და ტექნიკის განვითარების დონე, პოლიტიკური სტაბილურობა, სოციალური ინტეგრაციის დონე, მოსახლეობის რაოდენობა, ეთნიკური ერთგვაროვნება და ეროვნული სული (ლიტერატურისათვის იხ.: <http://en.wikipedia.org/wiki/Geopolitics>; <http://ru.wikipedia.org/wiki> <http://ka.wikipedia.org/wiki/გეოპოლიტიკა>)

³³ მომხდური სახელმწიფო - ქვეყანა, რომელიც ცდილობს დაეუფლოს სხვა ქვეყნის გეოპოლიტიკურ სიმძლავრებს

³⁴ დამხვდური სახელმწიფო - ქვეყანა, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს საკუთარი გეოპოლიტიკური სიმძლავრეები

³⁵ სატელიტი სახელმწიფო - დამხვდური სახელმწიფოს მეზობელი ქვეყანა, რომელიც გამოყენებულია მომხდური ქვეყნის მიერ

წინებით; მომავალ თაობებს მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გავაგებინებთ ისტორიული მოვლენების რეალურ არსს; მაგ., ზოგ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ დღემდე ლოკალურ, ძმათამკვლელ სამოქალაქო ომად მონათლული სისხლიანი დაპირისპირება სინამდვილეში დიდი გეოპოლიტიკური ომის ერთ-ერთი ეპიზოდი ყოფილა...

გეოპოლიტიკური რეტროსპექცია: ევრაზია, კავკასია, ბათუმი

ისტორიულად და დღესაც მსოფლიოს გეოპოლიტიკურ სივრცეში ცენტრალური ადგილი უჭირავს ევრაზიას; ევრაზიაში ერთ-ერთი გამორჩეულად სტრატეგიული რეგიონია კავკასია; კავკასიაში კი - ბათუმი, როგორც თანამედროვე საზღვაო, სახმელეთო და ენერგორესურსების მაგისტრალების თავმოყრის ადგილი.

კავკასიას უხსოვარი დროიდანვე განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მსოფლიო გეოპოლიტიკაში. აქვე შევნიშნავ, რომ გეოპოლიტიკა ახალი ტერმინია, თორემ სტრატეგიული გეოგრაფიული არეალის ფასი უძველეს დროშივე კარგად იცოდნენ. მაგალითად, ძველი ბერძნებისა თუ ლათინების აზრით, კავკასიონი არის მიჯნა ცივილიზებულ და ბარბაროსულ სამყაროებს შორის (პლინიუს დიდი).

ქართველები კავკასიის ავთოქტონი მოსახლეობაა. საკუთარი ქვეყნის გეოპოლიტიკური კონტროლის³⁶ თვალსაზრისით, ქართველი ერის ისტორია სამ ნაწილად შეიძლება განვიხილოთ:

- ოდითგანვე, დიდი ხნის მანძილზე ქართველთა სახელმწიფო, როგორც რეგიონის ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშე³⁷, მეტ-ნაკ-

³⁶ **გეოპოლიტიკური კონტროლი** - ამა თუ იმ სახელმწიფოს უნარი, აკონტროლოს გეოპოლიტიკურად საინტერესო სახელმეთო თუ საზღვაო გზა, ნავთობსადენის მაგისტრალი; შდრ.: **გეოპოლიტიკური საზღვრები** - ერთი, ან რამდენიმე ქვეყნის (კოალიციის) მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის საზღვრები

ლებად აკონტროლებდა დასავლეთ ამიერკავკასიის სტრატეგიულ მიწა-წყალს;

- ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში საქართველო, როგორც სახელმწიფო, დაპყრობილი ჰქონდათ რეგიონის მთავარ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს³⁷, მაგრამ ანგარიშს უწევდნენ ქართველთა სამეფო-სამთავროების ინტერესებსაც;

- ისტორიის მცირე მონაკვეთებში მთავარ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს საერთოდ გაუქმებული ჰქონდა ქართული სახელმწიფოებრიობა, გადანაწილებული ჰქონდათ ქართველთა მიწა-წყალი და არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ კავკასიის ძირითადი ავტოქტონი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს.

ქვემოთ გავანალიზებთ ბოლო საუკუნეების დიდ საერთაშორისო დაპირისპირებებს საქართველოს ტერიტორიის გამო. ძირითადად შევხებით პერიოდს, როცა რუსეთისა და სხვა მომხდური თუ სატელიტი ქვეყნების მიერ იგნორირებული იყო ქართველი ხალხის ნება; ბოლოს განვიხილავთ თანამედროვე ვითარებასაც. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ბოლო წლებში საქართველო იბრუნებს თავის როლს რეგიონის გეოპოლიტიკურ ავანსცენაზე.

ბათუმის - მრავალმხრივად სტრატეგიული ქალაქის - კონტროლი დღემდე წარმოადგენს ბევრი ქვეყნის გეოპოლიტიკური სტრატეგიის მიზანს; ამდენად, მოხსენების დროს ძირითადად ვიმსჯელებთ სხვადასხვა დროის ბათუმის შესახებ.

ბათუმი, ზოგადად, ისტორიული მესხეთის დასავლეთი ნაწილი: აჭარა-გურია კავკასიის ავტოქტონი მოსახლეობის - ქართველების - კუთვნილი შავიზღვისპირეთის ცენტრში მდებარეობდა (შდრ. სულ მცირე: ძველი ლაზიკედან/ნიკოფსიიდან სამსუნამდე

³⁷ ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშე - ქვეყანა, რომელსაც უნარი შესწევს, მეტ-ნაკლები ძალისხმევით აკონტროლოს ამ სახელმწიფოს შემქმნელი ხალხის ტერიტორია

³⁸ მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშე - მსოფლიოში, ან რეგიონში არსებული ქვეყანა, რომელსაც უნარი შესწევს, აკონტროლოს სხვა სახელმწიფოთა კუთვნილი სტრატეგიული ტერიტორიებიც

სანაპირო ზოლი); ეს ასახულია ტოპონიმ გურიაშიც: გურია - ცენტრალური ადგილი (სიტყვა-სიტყვით: "გული").

შდრ.: "ფეოდალური ხანის ნომენკლატურით, მოსხების ქვეყანა მოიცავდა: სამცხეს, ჯავახეთს, კლარჯეთს, აჭარას, ეგრისს, შავშეთს, კოლა-არტაანს, ამიერ და იმირ ტაოს, ბასიანს, სპერს, ანუ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს" (მსჯელობისა და ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: ნ.ხაზარაძე, 1984, გვ.36-70; გრ.გიორგაძე, 1985; გრ.გიორგაძე, 2002).

უძველესი დროიდან მრავალი საუკუნის მანძილზე, ვიდრე მე-17 საუკუნის მეორე ნახევრამდე, ქართველური მოდგმა მეტ-ნაკლები წარმატებით აკონტროლებდა როგორც კავკასიის ძირითად გადასასვლელებს, ასევე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს.

მე-17 საუკუნეში კავკასიის სტრატეგიული რეგიონისთვის მთავარი ზრძოლა მიმდინარეობს წინა აზიის ორ მთავარ გეოპოლიტიკურ მოთამაშეს - სპარსეთსა და ოსმალეთს შორის; ამ დროისათვის მონდოლობაგამოვლილი საქართველო, როგორც დამხვედური სახელმწიფო, ძალაგამოცლილია სპარსელთა და ოსმალოთა გაუთავებელი შემოსევების გამო:

სპარსეთიც და ოსმალეთიც ცდილობს დაიმორჩილოს "გურჯისტანი"; აქვე საინტერესოა, ოსმალეთის ხედვა საქართველოს სამხრეთი საზღვრების შესახებ:

1595 (არაბული წელთაღრიცხვით - 1003) წელს შედგენილი "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის" მიხედვით, ოსმალეთი საქართველოს ორგანულ ნაწილად თვლიდა: სამცხეს, ორივე ტაოს (ჭოროხის ხეობას), კოლას, არტაანს (მტკვრის ზემო წელს), პალაკაციოს, ჯავახეთს, სამცხეს³⁹. მე-16 საუკუნის სხვა თურქული დოკუმენტების მიხედვითაც, საქართველოს სამხრეთი საზღვარი ერზერუმამდეა; კერძოდ, ქართველთა კუთვნილებად ითვლება: კოლა, არტაანი, შავშეთი, ოლთისი, არტანუჯი, ისპირი, თორთუმე, ბასიანი..."⁴⁰. საქართველოს სამხრეთ საზღვარს ძირითადად ასევე

³⁹ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გამოსაცემად მოამზადა სერგი ჯიქიამ), წიგნი II, თბ., 1941, გვ. VIII

⁴⁰ თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის (თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანებითურთ და შენიშვნებით გამოსცა

წარმოადგენენ: მე-17 საუკუნის ცნობილი თურქი ისტორიოგრაფი ქათიბ ჩელები⁴¹ და თურქი მოგზაური ევლია ჩელები⁴².

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველები ვეღარ ინარჩუნებენ სახელმწიფოებრივ ერთიანობას და უფლისგან ბოძებულ⁴³ სტრატეგიულ მიწა-წყალს საკონტროლოდ უთმობენ მომხდურ ქვეყნებს⁴⁴; კერძოდ, პატარ-პატარა საქართველოებად დაშლილი სამეფო-სამთავროების ხელისუფალთ სხვადასხვა მომხდური ქვეყანა იყენებს; შედეგად, არაიშვიათად, სხვათა ინტერესების გამო, ქართველები ერთმანეთის სისხლს ღვრიან; მაგ., 1626 წლის შემოდგომაზე მომხდარი ე.წ. ბაზალეთის სისხლიანი დაპირისპირება, რომელიც დღემდე ძმათამკვლელ ომადაა მონათლული,

ცისანა აბულაძემ, თბ., 1983, გვ. 31-54) და სხვ. აქვეა ცნობები სამხრეთ საქართველოს ისტორიული გზებისა და მათ გამო ოსმალეთ-ირანის გეოპოლიტიკური დაპირისპირების შესახებ.

⁴¹ ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ,

საქართველოს ისტორიის წყაროები, 10 (თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და სამიგბელი დაურთო **გიული ალასანია**, თბ., 1978, გვ. 136-141)

⁴² რომელიც შავშეთის ქართველების ენის ნიმუშების მოყვანისას ლაზური (მეგრული) დიალექტის ფორმებსაც ურევს; იხ., ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო **გიორგი ფუთურუძემ**, თბ., 1971, გვ. 290-305.

⁴³ შდრ., ა. დუგინი: "географический рельеф, как судьба".

⁴⁴ გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში **მართლმადიდებლური ეკლესია**, როგორც ქართველთა მაკონსოლიდირებელი ფენომენი, მეტ-ნაკლებად მაინც ინარჩუნებს ქართველთა ერთიან **კულტურულ** სივრცეს (მსჯელობისათვის იხ.: გ. ალასანია, რელიგიური "შეუწყნარებლობა" და ეთნიკური ტოლერანტობა შუა საუკუნეებში, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001); შდრ., ამავე პერიოდში სხვადასხვა რელიგიის **ქართველთა ეთნიკურ სახეს** (იდენტობას) **განსაზღვრავს ქართული ენა**. ენობრივ-ეთნიკური თუ კულტურული მეობა, როგორც საზოგადოების ცნობიერების (ეროვნული სულის) განმსაზღვრელი ფაქტორი, გეოპოლიტიკურ სიმძლავრედ ჩნდება მხოლოდ პოლიტიკური აქტივობის (მალისხმევის) პირობებში.

სინამდვილეში იყო ირანისა და ოსმალეთის გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება⁴⁵.

რაც შეეხება უშუალოდ ბათუმს:

ოსმალოებმა ქართველები დაამარცხეს და ბათუმი პირველად აიღეს 1547 წელს, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს. სოფელ ზოჰაბში 1639 წლის 18 მაისს ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავით, საქართველოს სამხრეთი ნაწილი ოსმალეთს დარჩა. მიჩნეულია, რომ ბათუმის საბოლოო დაპყრობა თურქებმა შეძლეს 1703 წელს⁴⁶.

შდრ.: 1732 წელს სტამბულში გამოცემულ "ჯიჰან-ნუმას" რუკებშიც ბათუმი საქართველოს ტერიტორიაზეა⁴⁷.

ამ დროიდან ოსმალეთი ცდილობს, მუსლიმანობის გავრცელებით სათავისოდ მომართოს ქვეყნის გეოპოლიტიკური სიმძლავრის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი - ავტოქტონი მოსახლეობის ეროვნული სული; ადგილობრივი ქართველები აჯანყებით პასუხობენ; მაგ., 1690-1697 წლებში ოსმალეთი სისხლში

⁴⁵ შდრ., მაგ., ს. ჯიქიას, მ. სვანიძის, გ. ჯამბურიას, ნ. ნაკაშიძის და სხვათა კვლევებზე დაყრდნობით, ილია ანთელავა ასკვნის (საქართველოს საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 2022, გვ. 485-486): 1626 წლისთვის მკაფიოდ გამოიკვეთა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დაჯგუფება: ირანი მხარს უჭერდა თეიმურაზ პირველს, ხოლო ოსმალეთი - გიორგი სააკაძეს... **"ბაზალეთის ომი არ იყო თეიმურაზ მეფისა და გიორგი სააკაძის შორის მომხდარი უბრალო განხეთქილების შედეგი, რომელიც ლოკალურ ხასიათს ატარებდა, არამედ მას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა: ბაზალეთის ომი ფაქტიურად ასახავდა საქართველოში ირანული და ოსმალური ორიენტირების დაპირისპირებას"** (მ.სვანიძე)

⁴⁶ ქ. ჩხატარაიშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობების ისტორიიდან (მე-18 ს. პირველი მეოთხედი), საქართველოს ფეოდალური ხანის საკითხები, თბ., 1972, გვ. 59-61)

⁴⁷ გ. ალასანიას შენიშვნით, რუკა შედგენილი ჩანს 1703 წლამდე (ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, საქართველოს ისტორიის წყაროები, 10 ; თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო **გიული ალასანიამ**), თბ., 1978, გვ. 55-56. ჩანს, რუკების გამოცემის პერიოდშიც ოსმალეთისთვის ბათუმის მხარე ქართველთა კუთვნილ მიწა-წყლად ითვლებოდა

ახშობს აჭარელთა აჯანყებას. წინააღმდეგობები და აჯანყებები მომდევნო პერიოდშიც ხშირი იყო⁴⁸.

მე-19 საუკუნიდან კავკასიის რეგიონში მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშე ხდება რუსეთი; მე-19 საუკუნის მეორე მეოთხედიდან საქართველო (თუ პატარ-პატარა საქართველოები) საერთოდ კარგავენ გეოპოლიტიკურ ბერკეტებს: ქართველთა საცხოვრის რეგიონის ორი მთავარი სტრატეგიული მოთამაშე ინაწილებს: საქართველოს ჩრდილოეთი ნაწილი რუსეთმა მიითვისა, სამხრეთი კი - ოსმალეთმა.

მუსლიმანური აგრესიის წინააღმდეგ საქართველოს თანამდგომელის მანტიით ამიერკავკასიაში მოტყუებით შემოღწეულმა რუსეთმა ისარგებლა ქართველთა ნდობით და დაიწყო თავისი გეოსტრატეგიული მიზნის - კავკასიის დაპყრობის - განხორციელება: წინა აზიისა და შავი ზღვის გზების საკონტროლოდ მეფის რუსეთს, პირველ რიგში, საქართველოს დამორჩილება, შემდეგ კი მისი სრული გაქრობა ეწადა. შესაბამისად, კავკასიაზე გეოპოლიტიკური საზღვრების განვრცობის შემდეგ მართლმადიდებლურმა სახელმწიფომ ქართველებს აუკრძალა ქართულენოვანი მართლმადიდებლობა, ინტენსიურად დაიწყო ქართველთა ეროვნული ცნობიერების ტრანსფორმირება და კავკასიის დემოგრაფიული სურათის შეცვლა; კერძოდ:

ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ევრაზიისთვის სწრაფად მზარდი ახალი გეოპოლიტიკური მოთამაშე (რუსეთი) ზოგჯერ პროვოცირებით, ზოგჯერ კი სამხედრო ინტერვენციით ისტორიული საცხოვრისიდან ამეევებს:

- მუჰაჯირობის პროვოცირებით: მუსლიმან ქართველებსა და აფხაზებს (მე-20 ს. მეორე ნახევარში);

⁴⁸ იხ., მაგ., 1815 წელს ოსმალეთაგან დამარცხებული სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის სიტყვები: "მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალეთს არ შერჩება; ამ ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებ" (ვრცლად იხ. ტ.ფუტყარაძე, "ვისგან და რატომ იწირება აჭარა", ჟურნალი "კარდუ", 1997, № 4)

- უნდობლობის ბრალდებით (!): მუსლიმან ქართველებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, ლეკებს (მეორე მსოფლიო ომის დროს და შემდეგ);

- აფხაზეთის კონფლიქტით⁴⁹: ქართველებსა და აფხაზებს (1993-2003 წლებში).

მშობლიური მიწა-წყლიდან განდევნილი კავკასიის ავტოქტონი ხალხების (ქართველების, აფხაზების, ინგუშების...) საცხოვრისზე რუსეთის იმპერია ასახლებს: სომხებს, ოსებს, რუსებს და ამ გზით ესწრაფვის, თავის სასარგებლო "რეჟიმში" ჩააყენოს კავკასიის დემოგრაფია, როგორც გეოპოლიტიკური სიმძლავრის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი.

ახლა კონკრეტულად ბათუმი ცალკეული წლების მიხედვით:

ბათუმი 1878 წელს

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ევროპასა და წინა აზიაში მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშეები არიან: ინგლისი, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, საფრანგეთი, რუსეთი და ოსმალეთი; კერძოდ:

ინგლისი და რუსეთი დაპირისპირებულია შუა აზიის გამო; ინგლისი და საფრანგეთი - ევროპაში ჰეგემონობისათვის; რუსეთი და ოსმალეთი შავი ზღვის აკვატორიაში (ბალკანეთი, კავკასია...) გაბატონებისათვის იბრძვიან და სხვ. არის დროებითი კოალიციებიც: ინგლისი კავშირშია ოსმალეთთან, ბისმარკის გერმანია და ავსტრია-უნგრეთი - რუსეთთან⁵⁰.

აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის გადანაწილებისათვის ბრძოლაში ალექსანდრე მეორის რუსეთი ამარცხებს სულთნის

⁴⁹ სინამდვილეში **აფხაზეთის კონფლიქტი** არის რუსეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელიც რუსეთის მოქალაქეების: ვლ. არმინზასა და ე. შევარდნაძის ჯგუფების მიერ იქნა პროვოცირებული აფხაზი და ქართველი ხალხების საზიანოდ.

⁵⁰ **შდრ.: ამ დროს რუსეთმა ფული გადაუხადა ავსტრია-უნგრეთს, რომ ამ უკანასკნელმა ნეიტრალიტეტი დაიჭიროს რუსეთ-ოსმალეთის ომის შემთხვევაში.**

ოსმალეთს⁵¹. 1878 წლის 3 მარტს სან-სტეფანოს ზავით დამარცხებულმა თურქებმა რუსებს დაუთმეს ბათუმიც (ყარსთან ერთად). საქართველო, როგორც დამხვდური ქვეყანა, ამ დროს არ არსებობს; დეზორიენტირებულია ქართული ეროვნული ცნობიერებაც; ამ დროს საქართველოს მასშტაბით აქტიურად ჩნდება ილია ჭავჭავაძის გუნდი, რომელიც ერის კონსოლიდაციას ცდილობს.

1878 წლის 30 მაისის რუსეთ-ინგლისის საიდუმლო გარიგებით⁵² ინგლისი თანხმდება რუსეთს, რომ ამ უკანასკნელმა დაიკავოს ბათუმი (ყარსთან ერთად), მაგრამ 1878 წლის 13 ივნისს ბერლინის კონგრესზე ინგლისმა მხარი დაუჭირა გერმანია-თურქეთის კოალიციას, რათა ბათუმი გამოცხადებულიყო პორტო-ფრანკოდ. განწყენებული რუსები შეეცადნენ ჩაეშალათ ბერლინის კონგრესი, მაგრამ ბისმარკის მოქნილობით რუსეთი მაინც დაიყოლიეს და ბათუმი გამოცხადდა ყველასთვის საზიარო ქალაქად (თავისუფალ სავაჭრო ზონად, თანამედროვე ტერმინოლოგიით: თავისუფალ ეკონომიკურ ზონად). ამავე კონგრესმა 3 წელი დაადგინა სამხრეთ საქართველოდან მუსლიმან ქართველთა აყრისა და შუა თურქეთში გადასახლებისათვის.

1886 წლის 23 ივლისს რუსეთმა ცალმხრივად გააუქმა ბათუმის პორტო-ფრანკო; ამ ფაქტმა რეგიონის სხვა გეოპოლიტიკური მთავარი მოთამაშეების აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ იმხანად ომში გამარჯვებულ რუსეთთან კონფლიქტი არ გაამწვავეს; თუმცა, ბათუმის საკითხი მათთვის ღია ჭრილობად დარჩა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბათუმის ფორტო-ფრანკოს გაუქმებას მიესალმა ილია ჭავჭავაძე, ვინაიდან, მისი აზრით, "თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონამ" გააუარესა აჭარის მოსახლეობის ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა (შ. მეგრელიძე, 1963, ხ. ახვლედიანი, 1971). საყურადღებოა, რომ ამავე შინაარსის ცნობას გვაწვდის ცნობილი მოგზაური ევგენი ვეიდენბაუმი; კერძოდ, ის

⁵¹ რუსეთის ჯარს რეალური შესაძლებლობა ჰქონდა, აელო კონსტანტინეპოლიც, მაგრამ, ინგლისისა და ავსტრიის ომში ჩაბმის შიშით ალექსანდრე მეორემ კონსტანტინოპოლიდან სულ 12 ვერსის მანძილზე შეაჩერა თავისი ჯარი.

⁵² История Дипломатии, 1945. ст. 47-49

1878 წლის ნოემბერში თავის დღიურებში წერს: "აქამდე პორტო-ფრანკო ვაჭრების წახალისებას კი არა, გარეშემო მცხოვრებთა შევიწროებას ემსახურებოდა... კერძოდ, ქალაქში მათ შემოაქვთ მცირედენი ღარიბული პროდუქტი, შემდეგ შეისყიდნიან რამდენიმე არშინ ნარმას და უკან ბრუნდებიან - ბათუმი არის მათი ბაზარი. პორტო-ფრანკოს გამოცხადების შემდეგ ქალაქის საზღვრის მცველები მათ ბაჟს თხოვენ. ძალიან ძნელია, რომელიმე აჭარელს აუხსნა და შეაგნებინო, თუ რატომ უნდა გადაიხადოს მან დამატებითი თანხა ქალაქიდან გასვლისას უკვე ნაყიდ საქონელში"⁵³.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ 1945 წელს ი. სტალინის ნებით რუსულად გამოქვეყნებულ "დიპლომატიის ისტორიაში" საერთოდ არ არის ნახსენები არც ბათუმის პორტო-ფრანკოს შექმნა და არც მეფის რუსეთის მიერ მისი ცალმხრივად გაუქმება.

მიზეზი მარტივია: როცა ბათუმის ფლოზა შეეძლო რუსეთს, ამ პერიოდში მას ხელს არ აძლევდა ბათუმის პორტო-ფრანკოობა.

შდრ.: სამაგიეროდ, ბათუმში თავისუფალი ვაჭრობა ხელს აძლევდა სხვა მომხდურ ქვეყნებს, ამიტომაც ბათუმის პორტო-ფრანკოობა, ისევ და ისევ ქართველთა ნების გარეშე, დღის წესრიგში დასვეს ევროპის სახელმწიფოებმა პირველი მსოფლიო ომის დროსაც. საქართველოს გარეშე ინტენსიურად იხილებოდა ეს თემა ანტანტის სახელმწიფოების უმაღლესი საბჭოს სხდომებზეც 1920 წელს.

ბათუმი 1920 წელს

მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან ევროპასა და წინა აზიაში გამოკვეთილად არსებობს ორი გეოპოლიტიკური ველი: 1904-07 წლებში შექმნილ ანტანტას (ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი; პირველი მსოფლიო ომის [1914-1918] დროს ბლოკს დაემატნენ აშშ და იაპონია) უპირისპირდება გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთისა და თურქეთის კოალიცია.

პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთ ეტაპზე გერმანია ახერხებს რუსეთის ბლოკირებას და გადაბირებას: გერმანიის მხარდაჭერით

⁵³ ე. ვეიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე, 2005, გვ. 40

რუსეთში განხორციელდა სამხედრო გადატრიალება (ჩამოაგდეს მეფე); ხელისუფლებაში მოვიდნენ სოციალ-დემოკრატები და ბოლშევიკები, რომელთაც, მაღლიერების ნიშნად, 1917 წლის 3 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან დადეს ზავი და გამოაცხადეს რუსეთის გამოსვლა ომიდან (შესაბამისად, ანტანტი-დანაც).

რუსეთის მიერ მითვისებული გეოპოლიტიკური არეალი მაშინვე გადაინაწილეს ყოფილმა მოკავშირეებმა:

- 1917 წლის 23 დეკემბრის საიდუმლო მოლაპარაკებით ინგლისმა და საფრანგეთმა წითელი რუსეთის იგნორირებითა და ამერიკა-იაპონიის გარეშე გაიყვეს გეოპოლიტიკური გავლენის ზონები: ინგლისის ველში მოაზრებულ იქნა კავკასია და კაზაკების ტერიტორია დონი-ყუბანის აუზებში; საფრანგეთს კი დარჩა ბესარაბია, უკრაინა და ყირიმი.

პარალელურად, 1918 წლის 3 მარტს ბრესტის სამშვიდობო ხელშეკრულებით (მე-4 პუნქტი) ყარსის, არდაჰანის და ბათუმის (იმერხე-აჭარის) ოლქები დატოვა რუსეთის ჯარმა; ამ ოლქებს მიეცათ თვითგამორკვევის უფლება და სახელმწიფოებრივი მოწყობა მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით, ოსმალეთთან შეთანხმებით⁵⁴.

შდრ.: ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებით, კავკასია ამ დროს ინგლისისაა! არადა, უკვე არსებობს ამიერკავკასიის სეიმი, რომლისგანაც მალევე საქართველო დამოუკიდებლობას აცხადებს.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის (და არა - გამოცხადების!) შემდეგ კავკასიის რეგიონში ისევ ჩნდება დამხვდური ქვეყანა - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მიუხედავად ქართველთა სახელმწიფოს აღორძინებისა, მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშეები ისევ ქართველი ხალხის ნების გარეშე ინაწილებენ ქართველთა მიწა-წყალს; კერძოდ:

⁵⁴ მ. სვანიძე, ოსმალეთის ისტორია, 2002, გვ. 269; მ. სვანიძე, დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისთვის 1918-1921 წლებში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 10, თბ., 2003, გვ. 155; შდრ.; История Дипломатии, 1945, ст. 346;

გერმანია თავის მოკავშირე თურქეთის გვერდის ავლით ცდილობს საქართველოს დანარჩუნებას⁵⁵.

ამასობაში, 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში ოსმალეთმა აიძულა მენშევიკური საქართველოს, ასევე, აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობები, ხელი მოეწერათ "მშვიდობისა და მეგობრობის" ხელშეკრულებაზე, რომლითაც ოსმალეთმა მიითვისა: ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალქალაქის, ახალციხისა და სურმალინის მაზრები, ალექსანდროპოლისა და ეჩმიადინის მაზრების 3/4, შარურდარალაღეზის მაზრის 1/5⁵⁶.

არც ეს ხელშეკრულება შესულა ძალაში⁵⁷.

ამ პერიოდიდან ყველა ცდილობს, სათავისოდ მომართოს სამხრეთ საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის, ბათუმელთა ნება; შესაბამისად, აქტიურდება პლებისციტებისა და მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობების თემა: იწყება ამიერკავკასიის დემოგრაფიული სიტუაციის, როგორც გეოპოლიტიკური სიმძლავრის განმსაზღვრელი ფაქტორის, მართვის ახალი ეტაპი.

1918 წლის ივლისში ოსმალები აცხადებენ, რომ აჭარაში ჩაატარეს პლებისციტი; მათი მიზანი იყო, სხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეებისთვის დაემტკიცებინათ, რომ აჭარის ადგილობრივ მოსახლეობას ოსმალეთთან შეერთება სურს.

ოსმალეთის მიერ პლებისციტად წოდებული აქცია ბერლინში მიმდინარე ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოთა კონფერენციაზე აჭარის მოსახლეობის სახელით დაგმეს ზია-ბეგ აბაშიძემ და ყადირ შერვაშიძემ. 1918 წლის 1 აგვისტოს ამ ე.წ. პლებისციტის შედეგები დარღვევების ჩვენებით გააპროტესტა საქართველოს ხელისუფლებამ. საპასუხოდ, 1918 წლის 15 აგვისტოს სულთან მეჰმედ VI-ის

⁵⁵ გერმანია-საქართველოს არშემდგარი დიდი ხელშეკრულებისთვის იხ.: დ. პაიჭაძე, რამდენიმე დოკუმენტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შესწავლისათვის; ქართული დიპლომატია, წელიწადეული, 9, თბ., 2002

⁵⁶ მ.სვანიძე, ოსმალეთის ისტორია (1600-1923), ტ. II, გვ. 271, თბ., 2002

⁵⁷ დ. პაიჭაძე, რამდენიმე დოკუმენტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შესწავლისათვის; ქართული დიპლომატია, წელიწადეული, 9, თბ., 2002

რესკრიპტით არტანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები (სანჯაყები) ოსმალეთთან შეერთებულად გამოცხადდა. პლებისციტის შედეგებიცა და ეს რესკრიპტიც მაშინვე უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ მიიჩნიეს საბჭოთა რუსეთმაც და თურქეთის მოკავშირე გერმანიამაც⁵⁸. ბუნებრივია, მათაც თავიანთი ანგარიშები ჰქონდათ.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალეთმა მუდროსის საზავო ხელშეკრულებით (30.10.1918) დათმო კავკასია. ვერსალის სამშვიდობო კონფერენციამ და ხელშეკრულებამ (10. 06. 1919) კი კავკასიაში საბოლოოდ დაადასტურა ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია:

"ოსმალეთის ჯარების წასვლის შემდეგ ამიერკავკასიის ქვეყნებში ინგლისის ჯარები შემოვიდნენ და მათ ხელში გადავიდა კასპიისა და შავ ზღვებს შორის მდებარე ტერიტორია. 1919 წლის იანვარში ინგლისის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი და ბათუმის ოლქი⁵⁹. ინგლისის ხელშეწყობით ბათუმში გაძლიერდა რუსული პოლიტიკაც"⁶⁰.

შდრ. ვ. ნოზაძის შეფასება:

"მესხეთის სივრცეზე თავი მოიყარა და ერთმანეთს დაეჯახა: ქართული, სომხური⁶¹, ოსმალური, ინგლისური და რუსული

⁵⁸ საკითხის მიმოხილვისათვის ვრცლად იხ.: ნ. დანგაძე, 1918-1921 წლებში საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ქართველური მემკვიდრეობა, X, ქუთაისი, 2007, გვ. 99

⁵⁹ მ. სვანიძე, დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისთვის 1918-1921 წლებში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 10, თბ., 2003, გვ. 157

⁶⁰ ინგლისელები სომხებსაც მფარველობდნენ: ცდილობდნენ, სომხეთისთვის ზღვაზე გასასვლელი მიეცათ; იხ.: ვ. ნოზაძე, საქართველოს ადღგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 59-61

⁶¹ არაიშვიათად, სომხეთი საქართველოსთან მიმართებით მთავარ გეოპოლიტიკურ მოთამაშეთა სატელიტი ქვეყნის როლს ასრულებს.

ინტერესები"⁶²; ბათუმის დაკავებას ესწრაფოდნენ შეერთებული შტატებიც და იტალიაც⁶³

ამ დროს უკვე საქართველოც "გამოფხიზლდა":

მენშევიკურმა მთავრობამ საკუთარი ჯარი განალაგა სამუსლიმანო საქართველოს (სამხრეთი საქართველოს) ძირითად პუნქტებში.

1918 წლის 25 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა და მთავრობამ სამუსლიმანო საქართველო (და არა მხოლოდ აჭარა!) საკუთარი სახელმწიფოს ნაწილად გამოაცხადა ავტონომიის უფლებით. ამავე დროს, 1919 წლის 18 იანვარს პარიზში დაწყებულ ანტანტის ქვეყნების სამშვიდობო კონფერენციას საქართველოს მთავრობამ კარლო ჩხეიძის ხელით წარუდგინა მემომარანდუმი, რომლითაც დასაბუთებულად ითხოვდა თავის ისტორიულ მიწებს: ისპირს (სპერს), არტაანს, ოლთისს, ჭანეთს⁶⁴.

ამ ქმედებების საპირისპიროდ, რუსეთისა და ოსმალეთის ერთობლივი ძალისხმევით⁶⁵, აბასთუმანში ჩატარდა "ადგილობრივ მუსლიმანთა ყრილობა", რომელმაც გამოაცხადა სამცხის, ჯავახეთის, არტაანის, შავშეთის, აჭარისა და ყარსის მუსლიმანთა (ქართველებისაც და არაქართველებისაც) სახელმწიფოს დაარსება (შეიქმნა სამხრეთ კავკასიის, ანუ ყარსის მთავრობა).

ამ უდღეური წარმონაქმნის მეთაურის - სერვერ-ბეგ ქვაბლიანსკის⁶⁶ - პროვოცირებით, თურქებმა, რუსმა თეთრგვარდიელებმა და მესხეთში მცხოვრები მუსლიმანების ერთმა ნაწილმა 1918-19 წლებში სასტიკად ააოხრა მეზობელი მართლმადიდებელი

⁶² ვ. ნოზაძე, საქართველოს ადღენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 59

⁶³ ი. ბეჟირიშვილი, ნარკვევები აჭარის წარსულიდან, ბათუმი, 1982, გვ. 126-127

⁶⁴ ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია (1983-1990), გვ. 221-223

⁶⁵ საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას ორივე იმპერია შეთანხმებულად უშლიდა ხელს

⁶⁶ თან ბეგი, თან ქვაბლიანსკი! არადა, ჯაყელთა უშუალო მემკვიდრეა; სინამდვილეში მას მხოლოდ საკუთარი მამულის შენარჩუნება აინტერესებდა და ანტიქართულ კოალიციაში აღმოჩნდა (ვ. ნოზაძე, საქართველოს ადღენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 55-58

ქართველობა - დედასამშობლოსა და ქრისტიანობის ერთგულები-სათვის დასაჯეს: აყარეს საცხოვრებელი ადგილებიდან, ნაწილი დახოცეს, გააუპატიურეს, გამარცხეს...

ნოე ჟორდანიას ხელისუფლების აქტიურობით, ბაკურიანში, ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის ტყეებში გახიზნული გადარჩენილი ქრისტიანი ქართველები თავიანთ საცხოვრისებში დაბრუნდნენ, მაგრამ მათ უდიდეს ტკივილად დღემდე გამოჰყვიათ ეს დამცირება⁶⁷.

ყარსის მთავრობა კანონგარეშედ გამოაცხადეს ინგლისისა და საქართველოს მთავრობებმა. ინგლისელებმა 1919 წლის 13 აპრილს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, დააპატიმრეს ყარსის მთავრობის წევრები, ჯერ სტამბულში გააგზავნეს, შემდეგ კი მალტაზე გადაასახლეს⁶⁸.

საინტერესოა ამ პერიოდის მემედ აბაშიძისეული შეფასება:

"ჩვენი სამშობლო ომის (იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი) კუნძულს წარმოადგენს, რომელსაც ყველა ეპოტინება და მის ჩაყლაპვას ლამობს. ასეთ გაჭირვებულ დროში არავის ვხედავ მშველელს, გარდა საქართველოსი... ძმებო! ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ რუსებს ჩვენი კარგი სურთ? მათ უნდათ ჩვენი დაპყრობა, სურთ ჩვენზე ბატონობა, ისე, როგორც წინათ ბატონობდნენ. მათ უნდა ჩვენ მარტონი ვიყოთ, სუსტნი, რომ შემდეგ, როცა დროს იხელთებენ, მოგვდგნენ და თოფის ყობდახებითა და ხიშტებით დაგვიმონონ. მათ უნდათ წაგვკიდონ საქართველოს... ამიტომაც, რომ გველაქუცებიან, ვითომდა დიდი მეგობრები არიან ჩვენი. ნუთუ ამ დრომდე ვერ ვიცანით ისინი?"⁶⁹.

ამ ფონზე მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს 1919 წლის 31 აგვისტოს ჩატარებული ბათუმის ოლქის - მთელი სამუსლიმანო საქართველოს - მცხოვრებთა ყრილობა, რომელმაც

⁶⁷ ვრცლად იხ. ტ.ფუტყარაძე, "ვისგან და რატომ იწირება აჭარა", ჟურნალი "კარდუ", 1997, № 4

⁶⁸ ნ.დანგაძე, 1918-1921 წლებში საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ქართველური მემკვიდრეობა, X, გვ. 101, ქუთაისი, 2007

⁶⁹ მ. აბაშიძე, ფიქრები საქართველოზე, 1998, გვ. 44-45

მოითხოვა საქართველოსთან შეერთება⁷⁰; ფაქტობრივად, რეფერენდუმის მნიშვნელობის მქონე ამ წარმომადგენლობითი ყრილობის რეზოლუციით არა მხოლოდ აჭარა, არამედ მთელი სამუსლიმანო საქართველო (ართვინ-შავშეთ-არტანუჯ-ოლთის-არდაჰანის ჩათვლით) შეუერთდა საქართველოს რესპუბლიკას⁷¹.

შდრ., ისევ მემედ აბაშიძისეული შეფასება:

"1919 წლის 31 აგვისტო ისტორიული დღეა, როგორც სამუსლიმანო საქართველოს, ისე მთელი საქართველოსთვის. ამ დღეს ითქვა ის, რაც შეადგენს ყოველი მუსლიმანი ქართველის სათაყვანებელ საქმეს, მის წმინდათაწმინდას... ითქვა ეს არა ერთი პირისგან, ან სამუსლიმანო საქართველოს რომელიმე ერთი, ან ორი კუთხისგან, არამედ ხალხის წარმომადგენელი ყრილობისგან, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ეთქვა ის, რაც თქვა და რაც გამომსახველი იყო მთელი სამუსლიმანო საქართველოს ნებასურვილისა, მტკიცე, ერთსულოვანი გადაწყვეტილებისა: ამიერიდან სამარადისოდ, ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკას, ფართო ავტონომიის ნიადაგზე... 31 აგვისტო არის უბრწყინვალესი ფურცელი საქართველოს ისტორიისა"⁷².

⁷⁰ ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 62

⁷¹ შდრ., 1878 წელს ეს მხარე რუსეთის იმპერიამ შეიერთა

⁷² მ. აბაშიძე, ფიქრები საქართველოზე, 1998, გვ. 50; 1921 წლის 21 თებერვლის "საქართველოს კონსტიტუციაში" (მუხლი 107) ვკითხულობთ: "საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს - აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი) ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა" (კანონიერი ხელისუფლების არც ერთ დოკუმენტში არ გვხვდება ტერმინი: "ავტონომიური რესპუბლიკა" (შდრ.:1990 წლის 11 დეკემბრის "საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუტცია", მუხლი 71; 1995 წლის 24 აგვისტოს "საქართველოს კონსტიტუტცია", მუხლი 3, 3); გარდა ამისა, არა მხოლოდ აჭარას, არამედ შესიტყვება: "ბათუმის მხარე" მთელ სამხრეთ საქართველოს გულისხმობს - ტ.ფ.). ევროკავშირისკენ მსწრაფავი თურქეთი და საქართველო სტრატეგიული პარტნიორები არიან; შესაბამისად, დღეს საქართველო-თურქეთს შორის აქტუალური აღარ არის

ამ პერიოდში საქართველოს პოზიციას აშკარად ასუსტებს სომხეთის არალეგიტიმური მოთხოვნებისადმი ინგლისის მხარდაჭერა⁷³. სამწუხაროდ, ამ დროს საქართველო სუსტი გეოპოლიტიკური მოთამაშეა; მას ანგარიშს არ უწევს. სომხეთისგან განსხვავებით, ზოგჯერ საქართველო საერთაშორისო კონფერენციებზეც კი არ არის წარმოდგენილი⁷⁴; მეტიც, მაგ., 1920 წლის 16 მარტს ჟორდანის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ მოტივირებულ საპროტესტო ნოტას ანტანტის უმაღლესი საბჭო სრული იგნორირებით შეხვდა: საქართველოს ნების გარეშე, ანტანტის პროექტით ბათუმს პორტო-ფრანკოს სტატუსი მიენიჭა; არადა, საქართველოს ნოტაში ეწერა:

"ბათუმის ოლქის დაყოფა და რომელიმე მისი ნაწილის სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში შეყვანა უსათუოდ გამოიწვევს უღრმეს უთანხმოებას და გაამწვავებს ურთიერთობას ამიერკავკასიის მეზობელ ხალხთა შორის... პორტო-ფრანკოს შექმნა და ბათუმის ავტონომიური რესპუბლიკის დაარსება სასოწარკვეთას მოჰგვრის ქართველ ხალხს, რომელსაც ჩამოართმევენ მისი საუკეთესო ნავსადგურის მფლობელობას"⁷⁵. იმედგაცრუებულია ჟორდანის მთავრობა ინგლისის, ზოგადად ევროპული ინტერესების

ტერიტორიული დავა; მთავარია, რომ ორივე ქვეყანაში დაცული იყოს ავტოქტონი მოსახლეობის ის ენობრივ-ეთნიკური უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია ევროსაბჭოს დოკუმენტების მიხედვით.

⁷³ ინგლისელი ბ. კამერერის თავმჯდომარეობით დისკუსიები მიმდინარეობდა ლონდონსა და სან-რემოში; სომხეთის დელეგაცია ითხოვდა სომხეთს მიკუთვნებოდა ძირძველი ქართული პროვინციები: ართვინის რაიონი და ლაზისტანი, აგრეთვე, ბათუმის ნავსადგურის ნაწილი.

⁷⁴ მაგ.: 1920 წლის 10 აგვისტოს **სევრის ხელშეკრულებას** ხელს აწერენ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, **სომხეთი**, ბელგია, საბერძნეთი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია და თურქეთი (სევრში თურქეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა, მეტიც, მან ვალდებულება აიღო, ელიარებინა სომხეთი და მისთვის მიეცა ზღვაზე გასასვლელი).

⁷⁵ ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1821 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1929, გვ. 203-209

საზიანოდ, საბჭოთა რუსეთთან⁷⁶ თუ თურქეთთან⁷⁷ დათმობებით შეეცადა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

1921 წლის დასაწყისში როგორც ევროპის, ასევე თურქეთისთვის ნათელი გახდა, რომ საბჭოთა რუსეთიც აპირებდა ამიერკავკასიის დაპყრობას, ამიტომ ინგლისმა, გერმანიამ, საფრანგეთმა, აშშ-მა, იტალიამ, ესპანეთმა, თურქეთმა და სხვებმა დე იურე ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ამან ვერ შეუშალა ხელი რუსეთს, იარაღის ძალით დაეპყრო საქართველო; სტალინმა შეთანხმებას მიაღწია თურქეთთან და 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით თურქეთმა და რუსეთმა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების გვერდის ავლით გაინაწილეს საქართველოს ტერიტორია; ბათუმი რუსეთის პროტექტორატით პორტო-ფრანკოდ გამოცხადდა⁷⁸.

საბჭოთა იმპერიაში ბათუმის პორტო-პრანკოს ფაქტობრივად არ უმოქმედია⁷⁹.

⁷⁶ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე საქართველომ ინგლისის ჯარი საზეიმოდ გააცილა ბათუმიდან 1920 წლის 14 ივლისს; ბათუმისა და ბათუმის ოლქიდან ინგლისელების წასვლით გზა გაეხსნა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ჩრდილოეთი ნაწილის ინტერვენციას: 1921 წლის 16 მარტის თურქეთ-რუსეთის გარიგებით სამხრეთი საქართველო თურქეთს დარჩა.

⁷⁷ 1921 წლის თებერვალში საქართველოს მენშევიკური მთავრობა თურქეთმა აიძულა დაეთმო: არტანის, ართვინი... გარდა ამისა, ანკარის მთავრობის ელჩის ქიაზიმ ბეის პირით თურქეთი დახმარებას ჰპირდებოდა ჟორდანის მთავრობას, სინამდვილეში კი ჟორდანის სამთავრობო ტელეფონით მოსკოვსა და ანკარას გადასცემდა აუცილებელ ინფორმაციებს (მ. სვანაძე, დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისთვის 1918-1921 წლებში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 10, თბ., 2003, გვ. 174-179; მ. სვანიძე, ოსმალეთის ისტორია, 2005, გვ. 40-48

⁷⁸ საქართველოს უკანონო, ორჯონიკიძისა და შვეარდნაძის მარიონეტული მთავრობების მიერ ეს ხელშეკრულება დადასტურდა ყარსში 1921 წლის 13 ოქტომბერს და თბილისში 1992 წელს.

⁷⁹ უახლოეს წარსულში ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ იხ.: ტ. ფუტყარაძე, რუსის ჯარი - მშვიდობის გარანტი? კრებ. აფსირტედან

ბათუმი 1991 წელს

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთთან გეოპოლიტიკურ ჭიდილში სუსტდება რუსეთის იმპერია (საბჭოთა კავშირი). ამ ფონზე საქართველოში ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ლეგიტიმური გზით საქართველოს ხელისუფლებაშიც მოდის. 1991 წლის 9 აპრილს საქართველო ხელახლა აცხადებს დამოუკიდებლობის აღდგენას: 1918-21 წლებისგან განსხვავებით, დამოუკიდებლობა ცხადდება საერთო-სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე (31.03.91).

დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშენი დადგენენ ფაქტის წინაშე: საქართველო დღის წესრიგში აყენებს კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური სიტუაციის შეცლის აუცილებლობას; კერძოდ, საქართველოს ყველა კუთხის მოსახლემ, მათ შორის აჭარის მოსახლეობამ 1991 წლის 9 აპრილის "დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით" მთელი მსოფლიოსთვის აჩვენა: ერთიან საქართველოს სურს, თავად აკონტროლოს საკუთარი გეოპოლიტიკური სივრცე. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოში მდგარი რუსეთის ჯარი ოკუპანტად გამოაცხადა.

საყურადღებოა, რომ 1991 წლის თებერვალ-მარტში გარკვეული ძალები აქტიურად ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ აჭარის მოსახლეობა, ხმა არ მიეცათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ვინაიდან 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე აღდგენილი საქართველოს დამოუკიდებლობა ავტომატურად აუქმებდა აჭარის ავტონომიას. მიუხედავად ამისა, აჭარის მოსახლეობამ მაღალი პროცენტით ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. ამავე პერიოდში აჭარის მოსახლეობა მზად იყო, საქართველოს სხვა კუთხეების ანალოგიური სტატუსი მიეღო და გადაეხედა კომუნისტების მიერ შექმნილი სახელისთვის ("ავტონომიური რესპუბლიკა")...

გამსახურდიამდე, თბ., 1999, გვ. 185-186; მ. მახარაძე, პოსტსკრიპტუმი, ბათუმი, 2005, გვ. 98-107

ამიერკავკასია რუსეთის გეოპოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, ამიტომაც, ბუნებრივია, რუსეთი ძნელად შეეგუება საქართველოდან წასვლას.

მიუხედავად წარმატებული რეფერენდუმისა და დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადებისა, 1991-93 წლებში საქართველო მაინც ხდება დიდი გეოპოლიტიკური გარიგების მსხვერპლი:

1991 წლის მარტში მალტის შეთანხმებით, აღმოსავლეთი ევროპა და ბალტიის ქვეყნები ექცევა დასავლეთის გეოპოლიტიკურ ველში, კავკასია, უკრაინა, მოლდოვა და შუა აზია კი ჯერჯერობით ისევ რჩება რუსეთის ფაქტობრივ მფლობელობაში⁸⁰. ბუნებრივია, ბათუმიც რუსეთის გავლენისთვის გაიწირა.

მალტის გარიგების კვალად, საქართველოში ძალადობით იცვლება კანონიერი ხელისუფლება: "თავისად" დატოვებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში რუსეთი იარაღის ძალით თრგუნავს საქართველოს, აზერბაიჯანისა და იჩქერიის ნებას. კომუნისტური და კრიმინალური ჯგუფების გამოყენებით რუსეთი ახერხებს საქართველოში კანონიერი ხელისუფლების ხუნტით შეცვლას. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ძალები დღემდე ჩქმალავენ ამ მოვლენის არსს და საქართველოში კრემლის მიერ განხორციელებულ პუტჩს ე.წ. "სამოქალაქო ომად" ნათლავენ.

საქართველოში ინსპირირებული პუტჩის შემდეგ რუსეთმა აფხაზეთიდან გამოდევნა კრემლის დიქტატის მოწინააღმდეგე ქართველებიც, აფხაზებიც, ბერძნებიც... ამის მიუხედავად, შევარდნაძის უკანონო რეჟიმმა რუსეთის სამხედრო შენაერთებს საოკუპაციო ჯარის სტატუსი მოუხსნა და მეგობარი ქვეყნის ჯარად აღიარა; მეტიც, ე.წ. სამშვიდობო მისიაც დააკისრა.

1992-93 წლების შემდეგ კავკასიაში იწყება რუსული ექსპანსიის ახალი ეტაპი: სისხლისღვრის შემდეგ დიდი უცხოური კაპიტალის დრო დგება: ბათუმის მიწებსა თუ პორტშიც ასლან აბაშიძის ხელშეწყობით დიდი რუსული კაპიტალი იბანდება.

⁸⁰ მსჯელობისათვის იხ. ტ. ფუტკარამე, "რაცა ღმერთსა არა სწადდეს", ანუ მიმდინარე პროცესების შესახებ; კრებ. აფსირტედან გამსახურდიამდე, თბ., 1999, გვ. 61-68

არადა, დასავლეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ბათუმის მაგისტრალები: ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის აღმოსავლეთი ევროპა უფრო ღირსებისა და უსაფრთხოების საკითხი იყო, შუა აზიის რესურსები და ამიერკავკასიის ენერგომატარებლები კი მათთვისაც და თურქეთისთვისაც უდიდესი მნიშვნელობისაა: მხოლოდ ამიერკავკასიიდან რუსეთის გასვლის შემთხვევაში იქნება ევროპა ენერგეტიკულად დამოუკიდებელი⁸¹; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეეძლება თურქეთს, უშუალო კავშირი იქონიოს სხვა თურქულენოვან სახელმწიფოებთან კავკასიასა თუ შუა აზიაში.

ამ და სხვა ფაქტორებმაც მალევე განაპირობა ამიერკავკასიაში გეოპოლიტიკური ბალანსის გარკვეული კორექტირების აუცილებლობა: 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" მხარდაჭერით დასავლეთმა შესამჩნევად გააძლიერა საქართველო, როგორც რეგიონის გეოპოლიტიკური მოთამაშე.

2003 წელს საქართველოს გაძლიერების პირველ დამადასტურებელ მოვლენად იქცა ბათუმზე საქართველოს გეოპოლიტიკური კონტროლის აღდგენა (და არა, პირდაპირი გაგებით "აჭარის შემოერთება").

ბათუმი 2008 წელს

ამიერკავკასიაში დღეს რუსეთი აკონტროლებს: სომხეთს, დე იურე აზერბაიჯანის ერთ ნაწილს - მთიან ყარაბახს და საქართველოს ორ ანკლავს: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკას, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქს.

მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, რომ დღესაც კავკასიაზე რუსეთის გეოპოლიტიკური კონტროლი დამყარებულია უკანონოდ; ეს რუსეთმაც იცის, ამიტომაც, კავკასიის დემოგრაფიული სიტუაციის ხელოვნური შეცვლით ცდილობს აქ დამკვიდრებას.

კავკასიის სტრატეგიულ უბნებზე თავისი სასარგებლო დემოგრაფიული სურათის შესაქმნელად, რუსეთი ხელს უწყობს საქართველოს

⁸¹ ძირითადად ამ ფაქტორებმა შეუწყო ხელი საქართველოში ვარდების რევოლუციის მომზადებას და ამჟამინდელი გეოპოლიტიკური სიტუაციის შექმნას

ველოს ისტორიულ ტერიტორიაზე აფხაზურ-სომხური და ოსური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ფორმირებას.

არადა, 21-ე საუკუნის დასაწყისში არის რეალური შესაძლებლობა, საქართველო სრულად გამოვიდეს რუსული გეოპოლიტიკური სივრციდან; პროცესი დაწყებულია: მსოფლიოს დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების შეთანხმებით, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება ე.წ. ავტონომიათაგან სრულ კონტროლს ჯერჯერობით მხოლოდ აჭარაში ახორციელებს, სადაც 2004 წელს პრორუსული მარიონეტული რეჟიმი იცვლება ადგილობრივი, ქართული ხელისუფლებით⁸².

გარდა ამისა, ნატო-ს (დასავლეთისა და თურქეთის) ხელშეწყობით საქართველო ამკარად იბრუნებს დამხვდური სახელმწიფოს როლს - ჩვენი ქვეყანა კავკასიის რეგიონში ანგარიშგასაწევი ძალა ხდება.

თუმცა, ფაქტია ისიც, რომ საქართველო ჯერჯერობით არ არის რეგიონის ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშე; ამ ეტაპზე საქართველოს ორ ნაწილად ყოფს გეოპოლიტიკური საზღვრები; მომხდური ქვეყნები ისევ ახერხებენ, აკონტროლონ ჩვენი გეოპოლიტიკური სიმძლავრეები, მაგ., წარმატებით დაგვემონ საქართველოს დემოგრაფიული სიტუაცია; კერძოდ, ცდილობენ:

- დააკანონონ ამიერკავკასიის ავტოქთონი მოსახლეობის ეთნოწმენდა;

- მართონ პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი;

- განათლების სისტემის გამოყენებით ზოგ რეგიონში სათავისოდ წარმართონ მოსახლეობის ერთი ნაწილის ცნობიერება;


- გლობალურ საინფორმაციო და სამეცნიერო ქსელში ფსევდომეცნიერული ეთნოლინგვისტური კვალიფიკაციების გავრცელებით შეცდომაში შეიყვანონ დანარჩენი მსოფლიო: საქართველოს სხვა "ხალხების" დამპყრობლებად აცხადებენ;

- ქართველთა ნების საწინააღმდეგოდ, საქართველოს თავს მოახვიონ ფედერაციული თუ კონფედერაციული წყობა, სადაც

⁸² ისტორიული სამართლიანობა აღდგა: ბათუმს ქართველთა სახელმწიფო აკონტროლებს

"სუბიექტები" იქნებიან: აჭარა, სამეგრელო, იმერეთი, კახეთი, მესხეთი, ქართლი, სვანეთი და სხვ⁸³.

სანიმუშოდ წარმოგიდგენთ იოსტ გიპერტისა და იური კორიაკოვის ეთნოლინგვისტურ რუკებს, აგრეთვე, ალექსანდრე დუგინის "კონცეფციას" ამიერკავკასიის მოწყობის შესახებ:



შდრ., ა. დუგინის ხედვა საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ (Москва: Арктогея-центр, 1999):

"Новый геополитический порядок на Кавказе" предполагает полный передел ныне существующих политических реальностей и переход от модели взаимоотношений государство-государство или нация-нация к чисто геополитической системе Центр-периферия, причем структура периферии должна определяться не политической, но этно-культурной дифференциацией. Это возможно осуществить через план создания "Кавказской Федерации", которая включала бы в себя как три кавказских республики СНГ, так и внутрироссийские автономные образования. Центр при этом уступал бы всему этому району культурно-

⁸³ საქართველომ უთუოდ უნდა მისცეს ფართო ავტონომია აფხაზ ხალხს

экономическую автаркию, но обеспечивал бы жесточайший стратегический централизм... (с. 351-352).

რუსი გეოპოლიტიკოსები ისევ ოცნებობენ, ამიერკავკასია რუსეთის გუბერნიად აქციონ; მეტიც, მათ პრეტენზია აქვთ, ბირთული ენერჯისა და ენერგორესურსების აქტიურად გამოყენებით სრულად აკონტროლონ ევრაზიის გეოპოლიტიკური სივრცე.

საქართველოს ბრძოლა კი გრძელდება.

იმედს გამოვთქვამ, საქართველო მალე გახდება ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშე⁸⁴.

Тариел Путкарадзе

Столкновение геополитических интересов в Закавказье в 1878, 1920, 1991, 2008 годы

Резюме

Среди ведущих государств мира всегда было и будет противостояние для расширения и сохранения культурно-экономических сфер влияния. В статье показаны противостояние и столкновение геополитических интересов в Закавказье в 1878, 1920, 1991 и 2008 годы.

⁸⁴ კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი: 1878 წელს რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს შემოუერთდა არა მხოლოდ აჭარა, არამედ ართვინის მხარეც. 1919 წლის 31 აგვისტოს საქართველოსთან შეერთება დაადასტურა მთელმა სამხრეთმა საქართველომ და არა მხოლოდ აჭარამ; ამ ფაქტების იგნორირებაც გეოპოლიტიკური საჭადრაკო დაფის წესების მიხედვით ხდება...

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ქართველი საზოგადოებრიობა

გვიანი შუა საუკუნეები საქართველოსათვის საბედისწერო აღმოჩნდა. პოლიტიკური კრიზისით მოცულ ქვეყანას სხვადასხვა მხრიდან უძლიერესი დამპყრობლები გაუმეზობლდნენ, რომელთა ერთ-ერთ ძირითად მიზანს კავკასიის დამორჩილება წარმოადგენდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებთან ერთად აჭარა ოსმალთა ბატონობაში მოექცა. დამპყრობთაგან მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნებისათვის ბრძოლაზე ქართველ ხალხს ხელი არასოდეს აუღია, მაგრამ პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ქვეყანას ასეთი პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრისათვის ძალა არ ჰყოფნიდა.

ვითარება შეიცვალა XIX ს-ის დამდეგიდან, როცა ამიერკავკასიაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი რუსეთმა და ირანისა და ოსმალეთის მთავარი მეტოქე გახდა კავკასიაზე ბატონობისათვის ბრძოლაში. ამდენად, გაჩნდა შესაძლებლობა ერთმორწმუნე რუსეთის მხარდაჭერით საუკუნეების წინ დაკარგული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებისა, რასაც აღფრთოვანებით შეხვდა მაშინდელი ქართველობა.

XIX ს-ის 60-70-იან წლებში ბალკანეთის საკითხის გამწვავებამ რუსეთ-თურქეთის ომი გარდაუვალი გახადა. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შემთხვევაში კავკასია აუცილებლად იქცეოდა საომარი მოქმედებების ასპარეზად. რას მოუტანდა ორი დამპყრობის მორიგი დაპირისპირება საქართველოს, როგორი უნდა ყოფილიყო ქართველი საზოგადოების დამოუკიდებულება მოსალოდნელი ომისადმი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობდა იმ პერიოდის ქართული პრესა, რომელიც იმავდროულად გამოხატავდა ქართველი ინტელიგენციის პოზიციასაც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გაზეთ “დროებაში” გამოქვეყნებული ნ. ნიკოლაძის წერილი “საქართველო – ომი თუ იქნა”. ავტორი წერს: “აღმოსავლეთის ომი თუ ატყდა, ბრძოლა

მარტო რუსეთსა და ოსმალეთს შუა კი არ დაბოლოვდება. მარტო ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი ამგვარი “ომის შემოსახლვრა” – თუ რუსეთმა თავდაპირველშივე ხეირიანად დაამარცხა ოსმალეთის რაზმები, ისე, რომ ომის გაგრძელება აღარ შეეძლოს და თუ რუსეთის დიპლომატიამ იმწამსვე წარუდგინა ადვილად მისაღები მორიგების პირობა, მაშინ შესაძლებელია, რომ ომი ადვილად და მალე დაბოლოვდეს... თუ ბრძოლა გაჭიანურდა, მაშინ კი ოსმალეთის ევროპელი მომხრეები აუცილებლად თავს გამოიდებენ და ბრძოლა მთელს ევროპას მოედება... ჩვენს ქვეყანას დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა მოელის აღმოსავლეთის ომში. საქართველოთი რუსეთი პირდაპირ შედის ოსმალეთში... საქართველოს კი, ეხლა მაინც დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ინგლისის თვალში (“დროება”, №36, 3 აპრილი, 1877). ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისი დაადასტურა შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა. მოსალოდნელ ომში ქართველთა დამოკიდებულებასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძის პოზიცია გამოკვეთილი იყო: “ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარს საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევირცხვენთ დღემდე პატივცემულ სახელს... ნუ დავიმალვით სოროში. ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს და მტერსა და მოყვარეს დაანახებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილდღეობის ღირსია” (“დროება”, №36, 6 აპრილი, 1877)

რუსეთის ცდა, დიპლომატიური გზით მოეხდინა გავლენა ოსმალეთზე, უშედეგო აღმოჩნდა და ალექსანდრე II-მ 1877 წლის 12 (24) აპრილს კიშინიოვში ხელი მოაწერა ოსმალეთთან ომის დაწყების შესახებ მანიფესტს.

ქართველი საზოგადოება სიხარულით შეხვდა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებას, რადგან მიიჩნევდა, რომ მას “შედეგად მოჰყვება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლება”(საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბილისი 1970). ომის დაწყებას და ამ მოვლენისადმი ქართველთა დამოკიდებულებას “ივერია” ასე აღწერდა: “12-ს აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა კიშინიოვში მოაწერა ხელი უმაღლეს

მანიფესტს, რომლითაც ომი გამოუცხადა ოსმალეთს... ეს ხმა ელვაზედ უმაღლეს მოედო მთელს ქალაქსა... ორს საათზედ მთელი სიონის სობორო აივსო ხალხითა, კაცითა და ქალითა... ბანებზედ, ჩვეულებრივ ხალხი მოგროვდა”. წერილი ასეთი მოწოდებით მთავდებოდა: “ჩვენც ხმალს ხელი უნდა ვიკრათ და ჩვენს ძმებთან ერთად სისხლი ვღვაროთ” (ივერია №7, 16 აპრილი, 1877).

რუსეთის ხელისუფლება კარგად ხვდებოდა, თუ რამდენად არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა სამხედრო ოპერაციების მსვლელობისას ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების პოზიციას, მით უფრო მხარდაჭერას. ცარიზმი ძალას არ იშურებდა მათი კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად, მით უფრო, რომ სულთნის პროპაგანდა მიზანმიმართულად ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობის ანტირუსული განწყობილების გაძლიერებას. კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილი, რომელიც იმავდროულად კავკასიაში მოქმედი ჯარების მთავარსარდალიც იყო, ასე მიმართავდა აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობას:

“აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებნო!

... ჩვენმა კეთილისმყოფელმა და კაცთმოყვარე ხელმწიფემ ამოიღო ხმალი არა იმისათვის, რომ დაჰსჩაგროს მშვიდობისმოყვარე მცხოვრებნი... იგი გზავნის ჯარს ჩაგრულთა დასაფარველად და მჩაგვრელთა შესაკავებლად. ხელმწიფესა სურს დაიცვას სიმართლე და პატივი...

რუსის ჯარის ყოფნამ თქვენს ქვეყანაში უნდა გვაშოროს ერთმანეთის მტრობა-სიძულვილი და გულით შეგვათვისოს და დაგვახლოვოს ჩვენ ძმებთან. ჰოი, ძენო კეთილშობილის ქართველის ტომისანო, ძმანო ყოველთვის ერთგულთა და საყვარელთა ქვეშევრდომთა რუსის იმპერატორისათა” (“ივერია” №8, 23 აპრილი, 1877). სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობას ჯერ კიდევ არ დაეკარგა ეროვნული ცნობიერება. სწორედ ამის შედეგი იყო რომ “რუსეთ-ოსმალეთის (1877-1878 წ.წ.) ომის დროს აჭარა მტკიცედ დადგა განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე” (საქართველოს ისტორია, 1984:45) ოსმალთა საუკუნოვანმა ბატონობამ მაინც ვერ გააქრო სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეო-

ბაში ეროვნული მთლიანობის შეგნება. დედასამშობლოსთან დაბრუნებას აღტაცებით შეხვდა მაჰმადიან ქართველთა დიდი ნაწილი. მოსახლეობის ასეთ განწყობილებას გამოხატავდა გულო კაიკაციშვილი, რომელიც ქობულეთში შემოსული განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებზე მიმართვისას, 1878 წლის 19 აგვისტოს აღნიშნავდა: “ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ, ჩვენი ძველი ძმები... აჰ, ქობულეთში დაგინახათ. ვმადლობ ღმერთსა და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა, ღმერთმა შეგვავერთა... თქვენც ჩვენის დაახლოებით გაიხარებდით და მერე ჩვენის ასეთი შეერთებით და ამ ერთიანობის სიყვარულით აღდგება და გამლიერდება საქართველო, როგორც იყო იგი თამარის დროს. მაშ, გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას” (სურგულაძე აბ.1978: 304).

ომის მსვლელობაში ქართველობა არნახულ ენთუზიაზმს ავლენდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ მეზობელი გურიისა და იმერეთის მცხოვრებლები. “გურულები ძალიან მხნეობასა და შესამჩნევ სურვილს ბრძოლაში მონაწილეობისას იჩენდნენ. მას წინათ რამდენიმე 12-16 წლის ყმაწვილები მოვიდნენ თურმე ჯარის უფროსთან და ითხოვეს, რომ საცა ჩვენი მამები დ ძმები არიან, ჩვენც იქ უნდა ვიყვეთო. თოფი მოგვეცით და ჯარში ჩავვაყენეთო” (დროება”, №48, 1 მაისი, 1877)

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებას, აჭარის განთავისუფლებას, განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია, რომელთა საერთო განწყობილება დიდმა ილია ჭავჭავაძემ ასე გამოხატა: “...ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი... ჩვენი ძველი საქართველო, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა” (ჭავჭავაძე ი., 1987)

1877-1878 წწ. ომისადმი და ამ ომის შედეგად დედასამშობლოსთან დაბრუნებული აჭარისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულების ნათელი გამოხატულება იყო 1878 წლის ნოემბერში თბილისში სამუსლიმანო საქართველოს დელეგაციის გულთბილი მიღება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორია (XIX ს-ის 90-იანი წლებიდან დღემდე, ი. კაჭარავას რედაქციით), თბილისი, 1984, გვ. 45.
2. სურგულაძე აბ., განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში, ბათუმი 1978.
3. ჭავჭავაძე ი. რჩეული, ტ. V, 1987.
4. “დროება”, №48, 1 მაისი, 1877.
5. “დროება”, №36, 3 აპრილი, 1877.
6. “დროება”, №36, 6 აპრილი, 1877.
7. “ივერია” №7, 16 აპრილი, 1877.
8. “ივერია” №8, 23 აპრილი, 1877.

Дж. Каралидзе

Русско-Турецкая война 1877-1878 гг. и грузинская общественность

Резюме

Грузинский народ не терял надежды вернуть земли юго-западной Грузии, отнятые у нее Османской империей. Но политически раздробленная страна не имела сил самостоятельно решить эту задачу. Положение изменилось с начала XIX века, когда свои позиции в Закавказье укрепила российская империя. За обострением ситуации на Балканах и 60-70-ые годы последовала новая война между Российской империей и Турцией. Данная работа посвящена отношению грузин в том числе мусульманского вероисповедания, к русско-турецкой войне 1877-1878 гг., об их участии в военных действиях на Кавказском фронте.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის საერთაშორისო ასპექტები

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის წინაპირობა იყო ორ სახელმწიფოს შორის წინააღმდეგობა გავლენის სფეროები-სათვის გადანაწილებისათვის.

XVII–XIX საუკუნეებში რუსეთ-თურქეთის ომები წარმოებდა შავ ზღვაზე გაბატონებისა და ახალი ტერიტორიების მოპოვებისათვის. XVII–XVIII სს. რუსეთი ებრძოდა ოსმალეთის იმპერიას და მის მოკავშირე ყირიმის სახანოს. ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებით და სამხედრო-პოლიტიკური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, რუსეთის მიზანი იყო შავ ზღვაზე გასვლა და, შესაბამისად მისი ჩრდილოეთ სანაპიროების ხელში ჩაგდება. უკვე XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან რუსეთ-თურქეთის ომები დაუკავშირდა ახლო აღმოსავლეთში (ე.წ. აღმოსავლეთის საკითხი) საერთაშორისო წინააღმდეგობების გართულებას და ბალკანეთსა და კავკასიაში რუსეთის პოზიციების თანდათანობით გამყარებას.

დასახელებული საუკუნეების მანძილზე რუსეთ-თურქეთის ომების მოკლე ქრონოლოგია ასეთია:

1. 1676-1681 წლების ომი, რომელიც გამოწვეული იყო უკრაინის ტერიტორიაზე ოსმალეთის აგრესიის გაფრთხილებით. იგი დასრულდა 1681 წლის ბახჩისარის ზავით.

2. 1686-1700 წლების რუსეთ-თურქეთის ომი იყო ოსმალეთის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოების ბრძოლის შემადგენელ ნაწილი, 1686 წელს რუსეთი შეუერთდა ანტითურქულ „წმინდა ლიგას“. იგი დამთავრდა კონსტანტინეპოლის 1700 წლის საზავო ხელშეკრულებით.

3. 1710-1713 წლების რუსეთ-თურქეთის ომი დამთავრდა რუსეთის წარუმატებლობით. დაიკარგა აზოვი.

4. 1735-1739 წლების რუსეთ-თურქეთის ომი დაკავშირებული იყო პოლონეთის და ყირიმის საკითხებთან. ამ ომში რუსეთის მოკავშირედ ავსტრია გამოვიდა. თუმცა იგი თურქებთან ომში დამრცხდა. შვეციის მხრიდან თავდასხმის საფრთხემ რუსეთი აიძულა თურქეთთან 1739 წელს დაედო ბელგრადის ზავი.

5. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომი კვლავ დაკავშირებული იყო რუსეთის შავ ზღვაზე გასვლასთან. ამ ომში თურქეთის მხარდამჭერებად ავსტრია და საფრანგეთი გამოვიდნენ. ომი 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით დასრულდა.

6. რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წლების ომის მიზეზი იყო თურქეთის რევანშისტული მისწრაფება. თურქეთს აქეზებდა დიდი ბრიტანეთი, პრუსია და საფრანგეთი, რომელთაც სურდათ რუსეთის გავლენის შესუსტება კავკასიასა და ყირიმში. რუსეთი კი ავსტრიის მხარდაჭერით სარგებლობდა. 1791 წლის იასიის ზავით რუსეთმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა.

7. 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომი გამოწვეული იყო თურქეთის რევანშისტული მისწრაფებებით - გამოეყენებინა რუსეთის სამხედრო ძალის დასუსტება საფრანგეთთან (1805-07) და ირანთან (1804-13) ომებში. 1812 წლის ბუქარესტის ზავით რუსეთმა პოზიციები განიმტკიცა კავკასიაში.

8. რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომი გამოწვეული იყო ევროპის სახელმწიფოების ბრძოლით ოსმალეთის სამფლობელოების გაყოფისათვის. თურქეთის მწვავე შიდა კრიზისში იმყოფებოდა, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა საბერძნეთში მიმდინარე განმათავისუფლებელი ბრძოლა (1821-1829). დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობებმა, შეაფასეს რა რუსეთის გავლენის გაძლიერება ბალკანეთზე, მით უფრო, რომ, ამ უკანასკნელს ბერძნებმა დახმარებაც სთხოვეს, იძულებული გახდნენ თავადაც გამოეცხადებინათ მხარდაჭერა ბერძნებისათვის. ომი დასრულდა რუსეთის წარმატებით 1829 წლის ანდრიანოპოლის ზავით.

9. 1853-1856 წლების ყირიმის ომიც „აღმოსავლეთის საკითხს“ დაუკავშირდა. ამ ომში ევროპული სახელმწიფოების მხრიდან მკვეთრი ანტრუსული პოზიციის გამო რუსეთი დამრცხდა. ყირიმის ომმა დააზარალა რუსეთის საერთაშორისო პრესტიჟი. 1856 წელს დაიდო პარიზის ზავი. დიდი ბრიტანეთი და საფრან-

გეთი ოსმალთა სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნების გარანტიად გამოვიდნენ.

რუსეთ-თურქეთის აღნიშნული ომები იმთავითვე დაემთხვა ევროპაში სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესს (1648 წლიდან - ვესტფალიის სისტემა, 1815 წლიდან - ვენის სისტემა), სადაც წამყვანი სუბიექტები სახელმწიფოები იყო, ხოლო საგარეო პოლიტიკის არსს და მიზანს განსაზღვრავდა სახელმწიფო ინტერესები. ევროპული სახელმწიფოების მიდგომა აღმოსავლეთის საკითხისადმი განპირობებული იყო სახელმწიფოთა ინტერესებით, რაც ძალთა ბალანსის სისტემაში ახდენდა ძალთა კონფიგურაციის ისე ჩამოყალიბებას, რომელიც არ დაუშვებდა ევროპაში ერთი რომელიმე სახელმწიფოს გავლენის დამყარებას. ამის მკაფიო მაგალითია რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და მისდამი ევროპული სახელმწიფოების პოზიცია და დამოკიდებულება.

მსოფლიო პოლიტიკაში რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი მნიშვნელოვანწილად წარმოიქმნა ახლო აღმოსავლეთში ე.წ. „აღმოსავლეთის საკითხის“ აქტუალობის გამო საერთაშორისო წინააღმდეგობის გართულების შედეგად. რუსულ ისტორიოგრაფიაში რუსული მხარის მოქმედება შეფასებულია, როგორც პროგრესული ქმედება, ვინაიდან იგი მიმართული იყო ბალკანეთის ხალხის დახმარებისაკენ, ხოლო თურქეთისათვის ეს ომი წარმოადგენდა მისწრაფებას - ჩაეხშო ბალკანელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა და შეენარჩუნებინა თავისი სამხედრო-ფეოდალური ბატონობა რეგიონში. იმავდროულად, რუსეთისათვის ეს ომი იყო იმ დაკარგული პრესტიჟის აღდგენაც, რომელიც ყირიმის ომის დროს მოხდა. რუსეთს ასევე სურდა დადებითად გადაეწყვიტა თავისუფალი ნაოსნობის საკითხი ბოსფორის ყურეში, რაც, ცხადია, პასუხობდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტერესებსაც. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი ე.წ. აღმოსავლეთის საკითხს უდგებოდა თავისი სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების კუთხით, რაც დაკავშირებული იყო შავ ზღვაზე აბსოლუტური უპირატესობის მოპოვებასთან – კონსტანტინოპოლის აღება, სრუტეების ხელში ჩაგდება და აზიისა და ევროპის გზასაყარ

რეგიონში სრული კონტროლის მოპოვება. ცხადია, ამგვარი გეგმების რეალიზაცია რუსეთის გავლენას ევროპულ და აზიურ საერთაშორისო ურთიერთობებში კიდევ უფრო გაზრდიდა. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების შედეგებიდან გამომდინარე საერთაშორისო ასპექტებში ჩვენ ვგულისხმობთ:

1. XIX ს-ის მანძილზე წარმოებული რუსეთ-თურქეთის ომები ე.წ. „აღმოსავლეთის საკითხის“ მკაფიო გამოხატულება იყო და მან ცალსახად გამოკვეთა ევროპული სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები და ძალთა განლაგება;

2. ბალკანეთის კრიზისის გამწვავება – ბალკანელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის და ევროპული სახელმწიფოების დამოკიდებულება პრობლემისადმი;

3. ამ ომის ნათლად საერთაშორისო სახის გამოხატულებაა ბერლინის კონგრესი და შედეგები;

4. ომის შედეგად ევროპულ საერთაშორისო ურთიერთობებში მოხდა ძალთა ახალი კონფიგურაციის ჩამოყალიბება (ახალი სახელმწიფოების გაჩენა, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბება).

აღნიშნული ასპექტებიდან გამომდინარე, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა იყო.

თუ თვალს გადავავლებთ XIX ს-ის მანძილზე რუსეთ-თურქეთის ომების მსვლელობას, აშკარად დავინახავთ, რომ ამ ომებში გადაიკვეთა საკმაოდ ბევრი სახელმწიფოს ინტერესი. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ყირიმის ომი, სადაც საფრანგეთი და ინგლისი ღიად დაუპირისპირდნენ რუსეთს. ყირიმის ომში უკვე ნათლად დაფიქსირდა წამყვანი ევროპული სახელმწიფოების პოზიცია, რომ ევროპა ვერ შეეგუებოდა რუსეთის ინტერესების რეალიზაციას რეგიონში.

ევროპულ საერთაშორისო ურთიერთობებში ე.წ. აღმოსავლეთის კრიზისი განსაკუთრებულ აქტიურ ადგილს იჭერს XIX საუკუნეში. 1830-1840 წლების კრიზისების მსგავსად, 1875-1878 წლების კრიზისიც წარმოიქმნა სპონტანურად და არა დიდი სახელმწიფოების ინტრიგების შედეგად – უბრალოდ, თურქეთის იმპერია შევიდა დაცემის მორიგ ფაზაში. იმის მიუხედავად, რომ

დიდი სახელმწიფოები გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ ამ კრიზისის მსვლელობაში, იგი მაინც გამომდინარეობდა ათწლეულების სიღრმიდან და დაკავშირებული იყო იმ ურთიერთობებზე, რომელიც არსებობდა ევროპის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სუბიექტებს შორის.

ავსტრია-უნგრეთის დუალისტურმა სახელმწიფომ ბალკანელი ხალხის აჯანყებისადმი ცალსახად არაერთგვაროვანი პოზიცია დააფიქსირა. ერთის მხრივ, უნგრეთის დიდებულებმა, რომლებმაც დაიჭირეს ტრადიციულად ანტისლავური პოზიცია, მომხრე იყვნენ, რომ აჯანყება სისხლში ჩაეხშოთ და სტამბულს რეგიონში სტატუს ქვო აღედგინა. ბუდაპეშტში ასევე მიიჩნევდნენ, რომ თურქების სლავების წარმატება კარგი სიგნალი იქნებოდა ავსტრია-უნგრეთის სლავებისთვისაც. თუმცა, ვენაში საწინააღმდეგო აზრიც გაჩნდა. უნდა ითქვას, რომ ჩეხეთის და გერმანიის ბურჟუაზიის (ნაწილი) გავლენიანი წრეები გამოვიდნენ დუალისტური მონარქიის სამად ტრანსფორმაციის წინადადებით. ისინი მიჩნევდნენ, რომ თურქეთის სამფლობელოების ხარჯზე ავსტრიის გაფართოებას შეეძლო გაეზარდა ვენის გავლენის სფეროები ბალკანეთში. როგორც ცნობილია, ბალკანეთის მეზობლი ზოგიერთი სახელმწიფო ვენის ეკონომიკური გავლენის სფეროში (მაგალითად, სერბეთის საგარეო ვაჭრობა ორიენტირებული იყო უპირატესად ავსტრიაზე) იყო მოქცეული. ვენაში თვლიდნენ, რომ სარკინოგზო ხაზის მშენებლობა და ბალკანეთის ქვეყნებთან ვაჭრობა მისცემდა მძლავრ იმპულსს, რაც მთლიანობაში იქნებოდა იმპერიისთვის, იტალიაში და გერმანიაშიგანცდილი წარუმატებლობების კომპენსირება. ამასთან ვენა იძულებული იყო გაეთვალისწინებინა დალმაციის მოსახლეობის საზოგადოებრივი განწყობილება, რომლებიც გამოთქვამდნენ სურვილს დახმარებოდნენ თავიანთ ერთმორწმუნე ძმებს (ბოსნია-ჰერცეგოვინას).

რუსეთი ბევრად უფრო პანსლავისტური განწყობილების იყო. მას სურდა დახმარებოდა მოძმე ხალხს. საზოგადოების ასეთი განწყობა თითქმის ყველა ფენაში თანაბრად იყო წარმოდგენილი. ამიტომაც რუსულ პანსლავიზმს ჰქონდა როგორც ბურჟუაზიულ-

ნაციონალური, ასევე რევოლუციურ-დემოკრატიული და რეაქციული ხასიათი.

70-იანი წლების შუახანებისათვის რუსეთის იმპერია დიდ გზასაყარზე იმყოფებდა: 60-იანი წლების რეფორმები, ცხადია, ნაწილობრივ გატარდა, უპირველესად კი - საგლეხო რეფორმა. აუცილებელი იყო რაღაც გაკეთებულიყო: ან რეფორმები უნდა გაგრძელებულიყო, ან კონტრეფორმისტული პოლიტიკა გატარებულიყო. ალექსანდრე III-მ წინამორბედის მსგავსად ვერ შეძლო აერჩია განსაზღვრული შიდაპოლიტიკური კურსი და ამიტომ მან გამოსავალი მცირემასშტაბიანი წარმატებული ომის წარმოებაში დაინახა, რომელიც შეძლებდა საზოგადოების უკმაყოფილების შესუსტებას და ტახტის გარშემო გაერთიანებას. მეორე მხრივ, პანსლავისტურმა უგუნურებამ და პატრიოტულმა ციებ-ცხელებამ ვერ მოიგვა მთელი რუსეთი. გორჩაკოვი, შუვალოვი და თვით ალექსანდრე III კარგად აცნობიერებდნენ იმ გარემოებას, თუ რამდენად საშიში იქნებოდა რუსეთისათვის ოცი წლის წინანდელი სიტუაციის განმეორება, როცა ქვეყანა ყირიმის ომის მსვლელობის დროს თითქმის მარტო დარჩა ევროპის პირისპირ. ამ განწყობამ გაყო ზომიერ-ლიბერალური ბურჟუაზიული წრეები, პეტერბურგის ბანკები და ბირჟები, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებულნი იყვნენ ევროპასთან.

საფრანგეთი ამ პერიოდში დაჟინებით ემებდა საგარეო პოლიტიკური იზოლაციიდან გამოსავალს, რომელშიც პარიზი აღმოჩნდა პრუსიასთან (1870-1871 წ.წ) ომის შემდეგ. ამავე დროს, 1875 წელს გაუარესდა საფრანგეთ-ბრიტანეთის ურთიერთობა, მას შემდეგ, რაც 26 ნოემბერს ცნობილი გახდა, რომ ლონდონმა 100 მილ. ფრანკად შეიძინა სუეცის არხის 177 ათასი აქცია, მართალია, პარიზს დარჩა აქციის ნაწილი, მაგრამ მის უფლებებს არავინ არ აღიარებდა. ეს გარიგება განხორციელდა კონსპირაციულად, რასაც შეუძლებელია საფრანგეთის გაღიზიანება არ გამოეწვია.

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებაში იმხანად იყოფებოდა ფენჯამინ დიზრაელი, იგივე ლორდი ბიკონსფილდი. ამ ადამიანს ჰქონდა თურქოფილის და რუსოფობის სახელის რეპუტაცია. თუმცა რეალურად კი იყო მკაფიო ბრიტანელი შოვინისტი,

რომელიც ემხრობოდა ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის გაფართოებას. ამ მიზნისათვის დიზრაელის პროთურქული სიმპათიები უკანა პლანზე ინაცვლებს. იგი თვლიდა, რომ ოტომანთა იმპერიის დაშლა გარდაუვალი იყო, მიჩნეოდა, რომ „ბალკანური ნადავლი“ უნდა განაწილებულიყო ავსტრიასა და რუსეთს შორის „ინგლისის მეგობრული სამსახურით“. „კონსტანტინეპოლი შესაბამის რაინებთან ერთად ნეიტრალურად უნდა გამოცხადებულიყო და გარდქმნილიყო თავისუფალ პორტად ინგლისის დაცვის და მზრუნველობის ქვეშ. როგორც ჩანს, დიზრაელის თურქებისადმი სიმპათიები მთავრდება იქ სადაც იწყება ინგლისის ინტერესები.

გერმანიას ამ პერიოდში არ ჰქონდა უშუალო ინტერესები ბალკანეთში და საერთოდ ახლო აღმოსავლეთში. თუმცა კონფლიქტის დასაწყისშივე ბერლინის როლი დიდი იყო. ამ კრიზისმა გერმანიის დიპლომატიას ფართო შესაძლებლობები გაუხსნა. ამავე დროს, იგი ფარული და საშიში გახდა. ბისმარკის ამოცანა იყო: 1. მაქსიმალურად დაეპირისპირებინა ინგლისი და რუსეთი; 2. აღეკვეთა საფრანგეთის და რუსეთის დაახლოება; 3. აეცილებინა კონფლიქტი ავსტრიასა და რუსეთთან. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1875-1877 წწ. აღმოსავლეთის კრიზის დროს ის, ერთი მხრივ აქეზებდა პეტერბურგს თურქებთან ომისათვის, მეორე მხრივ კი, გადაჭრით გააფრთხილა რუსეთის ხელისუფლება, რომ ბერლინი არ დაუშვებდა ავსტრიის დაშლას.

როგორც ვხედავთ, ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის „ბრწყინვალე პორტას“ მოკავშირე და მეგობარი თითქმის არ ყავდა. პრაქტიკულად საყოველთაოდ იყო გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ „ევროპის ავადმყოფს“ პრაქტიკულად წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ ჰქონდა. ამიტომ ევროპის სახელმწიფოთა კაბინეტებში განსაკუთრებული პრობლემის გარეშე მოხერხდა სტამბულისადმი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური სახის მოთხოვნების ჩამოყალიბება, რომელიც ეხებოდა ოსმალეთის მფლობელობაში მყოფი ბალკანური სახელმწიფოების მდგომარეობის შემსუბუქებას. ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრაშიმ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, 1876 წლის 30 იანვარს, ოსმალეთის

სულთნის სამდივნოს გადასცა ექვსი სახელმწიფოს (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი, გერმანია, იტალია) თანხმობით დაწერილი ნოტა. 11 თებერვალს სტამბული დაეთანხმა ამ ნოტის მოთხოვნებს. ჩანდა, რომ სლავების აჯანყება ევროპის დიპლომატიის მხარდაჭერის პირობებში სადაცაა წარმატებას მიაღწევდა, მით უფრო, რომ ივნისში სერბია და ჩერნიგორია თურქების წინააღმდეგ აჯანყდნენ.

თუმცა, ოსმალეთში განხორციელებული სახელისუფლებო ცვლილების გამო, სტამბულმა ფაქტობრივად უარი თქვა მოთხოვნების შესრულებაზე და 1976 წლის შუახანებიდან იგი ფართომასშტაბიან შეტევაზე გადავიდა ამბოხებულების წინააღმდეგ. თურქების გამარჯვება ბალკანეთზე რუსეთს თავისი გავლენის დაკარგვას უქადდა. ასეთ პირობებში რუსეთის ელჩმა კონსტანტინეპოლში იგნატიევმა 30 ოქტომბერს სულთნის დივანს ულტიმატუმი წაუყენა, რომლის მიხედვით 48 საათის განმავლობაში უნდა დადებულიყო დროებითი ზავი სერბიასა და ჩერნიგორიასთან. 2 ნოემბერს, სტამბოლმა ამ საკითხზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ სიტუაცია კვლავ გაუგებარი რჩებოდა. ლონდონი და პეტერბურგი ურთიერთბრალდებითი განცხადებებით გამოვიდნენ. ერთმა ფლოტი მოიყვანა საბრძოლო მზადყოფნაში, მეორემ, სახმელეთო არმიის 20 დივიზია.

ყოველივე ამას არ ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან იმ მომენტში ბრიტანეთს არ ყავდა მოკავშირე კონტინენტზე. საქმე იმაში იყო, რომ 1876 წლის 8 ივლისს რუსეთის მხარემ ავსტრიას მისცა თანხმობა მოეხდინა ბოსნიის და ჰერცეგოვინის ნაწილის ოკუპაცია, სანაცვლოდ მოითხოვა ვენის პრინციპული თანხმობა ბულგარეთისა და რუმინეთის ავტონომიზაციაზე (ან დამოუკიდებლობაზე), ასევე, რუსეთისათვის სამხრეთ-დასავლეთ ბესარაბიის დაბრუნებაზე. რაც შეეხება იმ დროს საფრანგეთის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ ბალკანეთზე ასეთ პირობებში შეუძლებელიც იყო.

დიზრავლის მთავრობა იძულებული გახდა დათანხმებულიყო დიდი სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევაზე, რომლის მსვლელობის დროს მოიძებნებოდა აღმოსავლეთის კრიზისის მოგვარების გზები.

1876 წლის 23 დეკემბერს მოწვეულ იქნა კონსტანტინეპოლის კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობდა იმ ცვლილებების ფონზე, რაც თურქეთში განხორციელდა. კერძოდ, თურქეთი გამოცხადდა კონსტიტუციურ მონარქიად ორპალატიანი პარლამენტით. ამიტომ არავითარ საერთაშორისო გარანტიას სულთნის ქრისტიანი ქვეშევრდომები ამიერიდან არ მოითხოვდნენ. ყველაფერი ეს გარანტირებული იყო თურქეთის კონსტიტუციით.

რა თქმა უნდა, ევროპული სახელმწიფოები არ მოელოდნენ აღმოსავლური დესპოტიზმის სწრაფ გარდაქმნას დემოკრატიულ სახელმწიფოდ. ისინი დარჩნენ თავიანთ პოზიციაზე და 1877 წლის 15 იანვარს სულთნის დივანს გადასცეს ევროპის სახელმწიფოების ერთობლივი ნოტა, სადაც მოითხოვდნენ ბოსნიის, ჰერცეგოვინის, ჩრდილოეთ ბულგარეთის ავტონომიას და იქ ადგილობრივი პოლიციის შექმნას.

25 იანვარს სახელმწიფოთა ეს მოთხოვნა უარყოფილ იქნა. სტამბულის მიერ ამ მოთხოვნების უარყოფა ფაქტობრივად ნიშნავდა თურქეთის სრულ საერთაშორისო დიპლომატიურ იზოლაციაში მოქცევას რუსეთთან ომის წინ. საფრანგეთმა მაშინვე რუსული გეგმების საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა. 1877 წლის 15 იანვარს ბუდაპეშტში (ბისმარკის შუამავლობით) საიდუმლოდ დაიდო რუსულ-ავსტრიულ კონვენცია, რომლის თანახმად: 1. არც ერთი მთავრობა არ უნდა შეეცადოს განსაკუთრებული პროტექტორობის დამყარებას თურქეთის იმპერიის ქრისტიანულ მოსახლეობაზე; 2. მომავალი ომის შედეგები დადასტურებული უნდა იქნეს ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ, რომლებიც მონაწილეობდნენ პარიზის და ლონდონის ტრაქტატებში; 3. რუსეთმა პატივი უნდა სცეს რუმინეთის ტერიტორიულ მთლიანობას და ხელი არ ახლოს კონსტანტინოპოლს; 4. ბულგარეთი, სერბეთი და რუმინეთი მიიღებდნენ დამოუკიდებლობას; 5. რუსეთმა არ უნდა შეიყვანოს ჯარები სერბეთში; 6. ავსტრია მიიღებს ბოსნიას და ჰერცეგოვინას. ყველა ამ დათმობის სანაცვლოდ ვენა თანახმა იყო სრული ნეიტრალიტეტის შენარჩუნებაზე კარს მომდგარ ომში. და ბოლოს, პეტერბურგს ასევე შეეძლო გაეთვალისწინებინა ბერლინის კეთილსასურველი ნეიტრალიტეტი. საკუთრივ, ბისმარკი აგულიანებდა რუსეთს ამ ომისათვის.

მას შემდეგ, რაც პორტამ უარი თქვა ევროპული სახელმწიფოების მოთხოვნების შესრულებაზე, ომი გარდაუვალი გახდა. მხოლოდ ლონდონმა გამოთქვა პროტესტი რუსეთის მიერ 1877 წლის 24 აპრილს თურქეთისათვის ომის გამოცხადებაზე, მიუთითებდა, რომ რუსეთის მსგავსი მოქმედება არ არის დადგენილი საერთაშორისო საზოგადოების მიერ. მაგრამ ლონდონს ევროპელი მოკავშირეების გარეშეარაფრის გაკეთება შეეძლო ინგლისელი მალე იძულებული გახდა შეერბილებინა ტონი, იმის გათვალისწინებით, რომ რუსებს არ ხელეყოთ ბრიტანული ინტერესები თურქეთში (ეგვიპტე, სუეცის არხი, სტამბული და ყურეები). პეტერბურგის კაბინეტმა მას სრულიად დამაკამაყოფილებელი ანგარიში მისცა (8 ივნისი). აქედან მოყოლებული, არ არსებობდა არანაირი დიპლომატიური დაბრკოლება რუსული იარაღის წარმატებისთვის.

რუსული არმიის წარმატებებმა ბალკანეთის და კავკასიის ფრონტზე შეაშფოთა დიდი ბრიტანეთის და ავსტრიის მმართველი წრეები. ინგლისმა მარმარილოს ზღვაში სამხედრო ფლოტი გაგზავნა, რამაც რუსეთი აიძულა უარი ეთქვა კონსტანტინოპოლში შესვლაზე.

როგორც ცნობილია, ომი თურქეთის სრული მარცხით დასრულდა. თუმცა არც რუსეთისათვის იყო ომის დიპლომატიურ-პოლიტიკური შედეგები კარგი. 1878 წლის 30 იანვრის ანდრიანოპოლის შეთანხმება, სან-სტეფანოს 3 მარტის ზავი უარყოფილ იქნა ევროპული სახელმწიფოებს მიერ, ხოლო ბერლინის ტრაქტატის პირობები არ იყო ისეთი როგორც პეტერბურგს სურდა. მართალია, რუსეთმა მიიღო ახალი ტერიტორიები (სამხრეთ ბესარაბია, ბათუმი, ყარსი, არტაანი), ასევე აღიარებულ იქნა სერბია, ჩერნიგორია და რუმინეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ბულგარეთი გაყოფილ იქნა: თურქეთის ხელისუფლება შენარჩუნებულ იქნა სამხრეთით ბალკანეთის ქედამდე. ბოსნია და ჰერცეგოვინა ოკუპირებულ იქნა ავსტრიის მიერ. კვიპროსი ინგლისელების ხელში გადავიდა.

ამ ომს ჰქონდა საკმაოდ შორს მიმავალი შედეგები ცალკეული ქვეყნისათვის. ლონდონი ყოველთვის თვლიდა, რომ ევროპული თანასწორობა დამყარდება ნებისმიერ დროს, თუკი ბრი-

ტანეთის კაბინეტს ამის სურვილი ექნება. თუმცა, ბერლინის კონკრესი მსგავსი დასკვნების საშუალებას არ იძლევა. პირიქით, გერმანიის აქტიურობის გამო კონგრესმა დაადასტურა ტრადიციული ევროპული სახელმწიფოების როლის დაცემა. თუკი 1856 წლის პარიზის კონგრესზე პრუსია ახლოს არ დაუშვებს, მაშინ ახლა გერმანიამ მიიღოს შესაძლებლობა გადაეწყვიტა ევროპის ბედი და განესაზღვრა ე.წ. აღმოსავლეთის საკითხის მოგვარება.

ამრიგად, ევროპის კონტინენტზე გამოჩნდა ახალი ჰეგემონი, და მალე რუსეთიც, ავსტრიაც და საფრანგეთიც ახალი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ – გამხდარიყვნენ გერმანიის უმცროსი პარტნიორები, თუ შეურიგებელი მოწინააღმდეგეები. ყოველ შემთხვევაში, გერმანია მათლაც სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური ძვრების ინიციატორი ხდება ევროპის კონტინენტზე, რაც დაკავშირებულია სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბებასთან, რაც საბოლოოდ დასრულდა ევროპის ორ ბანაკად გაყოფით, ძალთა ახალი კონფიგურაციის ჩამოყალიბებით, რომელიც რეალურად აღმოჩნდა ახალი მსოფლიო ომის მომზადების თუ გაჩაღების წინაპირობაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Русско-турецкая война 1877—1878, М., 1977;
2. Русско-турецкая война 1877—1878 гг. и Балканы. М., 1978;
3. Виноградов В. И., Русско-турецкая война 1877—1878 гг. и освобождение Болгарии. М., 1978;
4. Золотарев В. А., Русско-турецкая война 1877— 1818 гг. в отечественной историографии конца XIX — начала XX в. М., 1978;
5. Бескровный Л. Г., Русское военное искусство XIX в. М., 1974;
6. Мегрелидзе Ш. В., Закавказье в русско-турецкой войне 1877—1878гг. Тбилиси, 1972;
7. Копылов В.Н., Тактика русской армии в русско-турецкой войне 1877—1878 гг.— В кн.: Развитие тактики русской армии. XVIII в.— начало XX в., М., 1957;
8. Вдовин В.А., Георгиев В.А. История СССР XIX - начало XX в., Москва, 1981.
9. Данилевский И.Я., Россия и Европа, Москва, 1991.

10. Клятина М.С., Внешняя политика России во второй половине XIX, 1991.
11. Федоров В.А. История России 1861 - 1917. Москва, 1998.
12. Сергей Перевезенцев. Россия - великая судьба. Москва, 2001 год. Изд. Белый город.
13. Соловьёв В.М. История России. Москва, 2003 год. Изд. Белый город.
14. Балязин В.Н. Тайны дома Романовых, Москва 2006 ; Изд.

Кахабер Сургуладзе, Иракли Манвелидзе

Международные аспекты русско-турецкой войны 1877-1878 гг.

В XVII-XIX вв. русско-турецкие войны велись за господство на Черном море и за приобретение новых территорий. Со второй половины XVIII века эти войны были связаны с обострением международного противостояния на Ближнем Востоке.

Необходимо отметить, что начало русско-турецких войн совпало с формированием в Европе международных системных отношений (с 1648 год – Вестфальская система, с 1815 – Венская система), где ведущими субъектами были государства, а содержание и цели внешней политики определяли государственные интересы. Именно этот факт определил подход европейских государств к восточному вопросу, что способствовало формированию баланса сил в системе конфигурации сил для того, чтобы не допустить установления влияния какого-либо государства в Европе.

По итогам русско-турецких войн 1877-1878 гг., повлиявших на международные аспекты можно определить:

1. Продолжавшиеся на протяжении всего XIX века русско-турецких войны, были явным отражением «восточного вопроса», который выявил военно-политические интересы и расклад сил европейских государств;

2. Обострение балканского кризиса – борьба балканского народа за независимость и отношение европейских государств к данной проблеме;

3. Берлинский конгресс и его итоги определили международный характер данной войны;

4. По итогам войны произошло формирование новой конфигурации сил в европейских международных отношениях (образование новых государств, формирование военно-политических блоков).

Отдельные государства строили далеко идущие планы по итогам этой войны. Берлинский конгресс подтвердил понижение роли традиционных европейских государств. Если на Парижский конгресс 1856 года Пруссию и близко не подпустили к решению международных проблем, то сейчас Германия получила возможность решить судьбу Европы и урегулировать т.н. восточный вопрос.

Таким образом, на европейском континенте появился новый гегемон в лице Германии. Это государство становился инициатором серьезных военно-политических изменений на данной территории, что в конечном итоге закончилось разделением Европы на два лагеря, формированием новой конфигурации сил, что стало предпосылкой подготовки и развязывания новой мировой войны.

**პირველი დაზვერვითი და არქეოლოგიური
სამუშაოები აჭარის დედა სამშობლოსთან
დაბრუნების პირველ პერიოდში**

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და, კერძოდ, აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი ინტერესი ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის წინა პერიოდიდან შეინიშნება. ამ საკითხებით არაერთი მკვლევარი თუ მოგზაური დაინტერესებულა. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს დ. ბაქრაძისა და გ. ყაზბეგის დამსახურება.

პირველი სპეციალისტი, ვინც ჩვენი რეგიონის მიწისზედა მატერიალური თუ ნივთიერი კულტურის ძეგლებს შეეხო, იყო ქართველი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე. შეიძლება ითქვას, რომ მისი მეცნიერული მემკვიდრეობიდან ყველაზე უფრო ძვირფასია სწორედ ის ნაწილი, რაც გურია-აჭარისა და მთლიანად სამხრეთ საქართველოს ისტორიულ წარსულს ეხება (დუმბაძე:1950,116).

1878 წელს გამოქვეყნდა დ.ბაქრაძის კაპიტალური ნაშრომი, რომელმაც მკვლევართა დიდი მოწონება დაიმსახურა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დრო გავიდა, იგი ერთ-ერთ ძვირფას სამაგიდო წიგნად რჩება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და კერძოდ აჭარის ისტორიის შესასწავლად. წიგნში გამახვილებულია ყურადღება კულტურის ძეგლებზე, მათ მდგომარეობაზე, გზებსა და საგზაო ნაგებობებზე და ა.შ. დ. ბაქრაძე ზემო აჭარისწყლის ხეობის ძეგლების აღწერისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოფ. სხალთისა და იქ მყოფი განთქმული მონასტრის მეცნიერულ შესწავლას (ბაქრაძე: 1987, 42-65).

აჭარის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ მეტად საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ასევე ცნობილმა მეცნიერმა და მოგზაურმა დ. ყაზბეგმა (Kaizer:1876). იგი მოკლედ ეხება აგარის, ხულოს, სხალთის ეკლესიებს, ხიხანის ციხეს, ვარდციხეს და სხვა. ასევე მიმოხილულია ხეობის გზები და საგზაო ნაგებობანი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და, კერძოდ, აჭარის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური თუ განსაკუთრებით არქეოლოგიური ძეგლებისადმი ინტერესი არც 1877-1878 წლების ომის დროს განელეზულა. მხარის ოსმალთაგან განთავისუფლების შემდეგ ეს ყურადღება კიდევ უფრო გაძლიერდა, მითუმეტეს, რომ როგორც აჭარის, ისე მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში ცოტა რამ იწერებოდა. ამიტომ, ბუნებრივია, აქ მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური თუ კულტურული პროცესების შესახებ ძალიან ცოტა რამ იყო ცნობილი ქართული საზოგადოებისათვის. ეს წყვეტილი რამდენადმე შეივსო ამ მხარის გამოხსნისა და დედასამშობლოსთან შემოერთების შემდეგ. სწორედ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდანვე გააქტიურდა ამ მხარის ისტორიისა და მათ შორის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა.

ახლად შემოერთებული რეგიონის სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლთაგან სიძველეთმცოდნეობით მუშაობის განსაკუთრებული ყურადღება 1979 წლიდანვე მიიქცია სოფ. ხუცუბანმა. ეს განპირობებული იყო ამ სოფელში შემთხვევითი აღმოჩენებით, რომელიც და ცნობილი საზოგადო მოღვაწის გულო კაიკაციშვილის სახელს უკავშირდება. იგი მდინარე კინტრიშზე სამხედრო დაწესებულების ხიდის მშენობლობის დროს მოულოდნელად წააწყდა ბრინჯაოს ცულებს. მათგან ერთი ნიმუში გაზეთ „დროების“ რედაქტორს სერგეი მესხს გადასცა.

ამ ექსპონატმა უმაღლესი მიიქცია გ. წერეთლის ყურადღება. იგი პარალელურად დაინტერესებულა პეტრა-ციხისძირის მიდამოების ძეგლებითაც, სადაც ომის დროს თურქ მესანგრეებს თითქოს უპოვიათ ქვის კუბო, რომელშიც ჩალაგებული ყოფილა ოქროსა და ბრინჯაოს ნივთები. გ. წერეთელი ასევე ყურადღებას ამახვილებს სოფ. კვირიკეში აღმოჩენილ მარმარილოს კუბოზე. ყველა ამ აღმოჩენათა თუ ინფორმაციათა შესახებ გ.წერეთელი ამახვილებს ყურადღებას თავის მოხსენებაში, რომელიც არქეოლოგთა მეხუთე ყრილობაზე წაიკითხა. იგი აღნიშნავდა: „Окрестности Цихиз-Дзири близ с.Квирик, где при производстве фортификационных работ турками в минувшую войну открыт был

мраморный гроб с надписью на мраморной крыше. Крышу выломали турки, а найденные в гробу золотые вещи расхитили. Я об этом сообщил в местных газетах, там же найдено было несколько бронзовых вещей. Между прочим, один бронзовый топор, хорошо сохранившийся очень красивой работы, был подарен местным жителем редактору грузинской газеты „Дროება“-С.С.Месхи” (Протоколы подготовительного комитета к пятому археологическому сезду:1881,37-51)თითქოს ამ ფაქტებზე უნდა მიუთითებს ა. ვ. კომაროვიც, რომელიც 1882 წელს წერდა „В 1882 г близ того места, где в прошедшую войну русскими войсками был построен мост через реку Кинтриши между селениями Хуцубани и Кобулети, урядник Гулахмед Намаз оглы нашел два бронзовых топора, которые передал редактору газеты „Дроеба" г-ну Месхи (Протоколы подготовительного комитета к пятому археологическому сезду: 1881, 337). ტექსტში მითითებული გულახმედ ნამაზ ოღლი, ამავე სოფლის მკვიდრი, იგივე გულო კაიკაციშვილია, რომელიც განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ამ რეგიონის წარსულით. იგი შემდგომშიც იჩენდა ინტერესს ამ სოფლის სიმკვლეებისადმი. ა. კომაროვის წერილიდან ვგებულობთ, რომ ხუცუბანშივე გულო კაიკაციშვილს 1881 წლის შემოდგომაზე მდინარე კინტრიშის ნაპირის ჩამოზავებისას კვლავ უპოვია ორი მთლიანი ბრინჯაოს ცული, ორი დაზიანებული ფიბულა, ბრინჯაოს ლომის ფიგურა, სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივები, კერამიკული ნაკეთობანი და ა. შ. სამწუხაროდ არავითარი ინფორმაცია არაა იგივე კომაროვთან, თუ რა ბედი ეწია ამ ნივთებს. კომაროვს ამის შემდეგ გულო კაიკაციშვილისათვის სახსრებიც მიუცია და ხუცუბანში ადრე შემთხვევით აღმოჩენილი ნივთების ადგილას გათხრითი სამუშაოების წარმოებაც უთხოვია. გულო კაიკაციშვილმა შეასრულა კომაროვის თხოვნა და მცირე მასშტაბის სამუშაოებიც განახორციელა. როგორც კომაროვის ანგარიშიდან ჩანს, გათხრების შედეგად აქ რამდენიმე საფლავი აღმოჩენილა, რომლებშიც გულო კაიკაციშვილს სავსაოდ კარგი მასალები მოუპოვებია. მათგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ისეთი ნიმუშები, როგორიცაა ბრინჯაოს ცულები, შუბის პირები, ფიბულები, სარტყლის ფრაგმენტები, სამაჯურები, ბრინჯაოს ჭურჭლის ნიმუშები, მძივები, რკინის ნივთები, კერამიკული მასალები და ა. შ (Известия

Кавказкого общества истории и археологии:1882; Журнал Министерства народного просвещения:1884). აღმოჩენილი მასალების ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. არაა გამორიცხული კომაროვს იგი სხვა მასალების მსგავსად გადაეგზავნა მოსკოვის ისტორიული მუზეუმისათვის.

ხუცუბნის არქეოლოგიური ძეგლებით დაინტერესდა ასევე ფრანგი ჟურნალისტი და სიმბოლეთმოყვარული ჟან მურიეც. მან მცირე მასშტაბის სამუშაოებიც კი განახორციელა ხუცუბანში, მაგრამ ერთი ცულის მეტი ვერაფერი უპოვია.

ხუცუბნის ძეგლებმა გრიგოლ გურიელის ყურადღებაც მიიქცია. მისთვის ეს ინტერესი გულო კაიკაციშვილს აღუძრავს. თავის მხრივ გურიელმა საქმეში ჩართო პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილი. ისინი 1891 წლის ზაფხულში ეწვივნენ ხუცუბანს. მათ ზედაპირულად დაათვალიერეს ნივთების აღმოჩენის ადგილი და რამდენიმე მძივიც უპოვიათ. მათთვის ადგილობრივ მცხოვრებლებს გადაუციათ ასევე ერთი ბრინჯაოს ცული და 30-მდე მძივი. ეს მასალები ე. თაყაიშვილს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისათვის გადაუცია მომავალი მუზეუმის ფონდებისათვის.

ე. თაყაიშვილმა ხუცუბანში გათხრების ჩატარება 5 წლის შემდეგ მოახერხა. ამჯერადაც მისი თანამგზავრი გულო კაიკაციშვილი იყო. 1896 წლის 8 ივლისს იგი შეუდგა გათხრებს. ექვთიმე თაყაიშვილის გადმოცემით აქ ბევრი რამ უკვე შეცვლილი იყო. ნაწილი მიწის უკვე ჩამოშლილიყო და მდინარე კინტრიში უფრო მიახლოებოდა ძეგლის ტერიტორიას. თაყაიშვილს გათხრები მდინარის მარჯვენა სანაპიროზე დაუწყია. უშუალოდ გასათხრელი ფართობი, როგორც ჩანს ამ ადგილის კარგი მცოდნის, გულო კაიკაციშვილის რეკომენდაციით იქნა შერჩეული. აქ გათხრების შედეგად დადასტურდა ნახანძრალი ფენა და მცირერიცხოვანი ბრინჯაოსა და რკინის ნივთები. თაყაიშვილს აქვე უპოვია ქვის იარაღები, რკინისა თუ ბრინჯაოს შუბისპირის ფრაგმენტები და კერამიკული მასალის ნატეხები. ე. თაყაიშვილი გულო კაიკაციშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ 1881 წელს კომაროვის მიერ ნაპოვნი მასალები სწორედ ამ ადგილებში იყო აღმოჩენილი. ასე რომ, გამოდის, ე.თაყაიშვილმა ადრე დაწყებული

გათხრები ამ ტერიტორიაზე ბოლომდე მიიყვანა. მისი ანგარიშიდან ჩანს, რომ თხრილი შემდეგ გაუფართოებია, მაგრამ ბევრი ვერაფერი უპოვია. ექვთიმეს მომიებული მასალები პეტერბურგში ვესელოვსკისათვის გაუგზავნია, საიდანაც შემდეგ ისინი 1899 წელს თბილისის მუზეუმში დაუბრუნებიათ.

მოკლედ რომ ვთაქვათ, ხუცუბანში რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ რევოლუციამდე რამოდენიმეჯერ განხორციელდა არქეოლოგიური გათხრები თუ დაზვერვები. ამ ტერიტორიაზე, როგორც შემდგომი პერიოდის გათხრებმა დაადასტურა (მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით 1944 წლის საველე სამუშაოები) (იოსელიანი:1973,81-142) საქმე გვაქვს გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის სამაროვანთან.

მომდევნო მკვლევარი, ვისი ბარიც შეეხო აჭარის ტერიტორიაზე არსებულ არქეოლოგიურ ძეგლს, იყო რუსი არქეოლოგი პ. უვაროვა. მან რუსეთის საიმპერიო არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით 1888 წელს იმოგზაურა აჭარა-შავშეთში. მკვლევარმა დაგვიტოვა საყურადღებო ცნობები აჭარისწყლის ხეობის მკვიდრთა ყოფაცხოვრებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ. ღორჯომის წყლის ხეობაში მოგზაურობისას პ. უვაროვას ყურადღება მიიქცია სოფ. ვანაძეების (აგარის) ეკლესიის ნანგრევებმა. აქ მან მცირე მასშტაბის საველე არქეოლოგიური გათხრებიც კი განახორციელა.

პირველ რიგში მან სასინჯი თხრილები გაავლო ეკლესიის გარეთ, დასავლეთითა და აღმოსავლეთით, მაგრამ უშედეგოდ. აქ რაიმე მნიშვნელოვანი მასალა არ აღმოჩენილა. მის შემდეგ მისი ყურადღება მიიქცია ეკლესიის ცენტრალურმა ნაწილმა, სადაც მთლიანი ეკლესიის ჩამონგრეული მასა იყო კონცენტრირებული (V b a p o v a :1981,223-230). მკვლევარმა ჩათვალა, რომ ამ ტერიტორიას ე.წ. „მოხალისე არქეოლოგთა“ ხელი არ უნდა შეხებოდა. ამიტომ გადაწყვიტა ეკლესიის ცენტრალურ ნაწილში საცდელი თხრილის გაკლება. პირველ რიგში აალაგეს ჩამონშალი მასა, რომელშიც ყველაზე დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი ეკლესიის შიდა და გარე პერანგებად გამოყენებული კარგად დამუშავებული ქვის კვადრები, სახურავისათვის განკუთვნილი ქვის ფილები, რომლებიც დამზადებული იყო

ადგილობრივი კირქვისაგან, ასევე სხვადასხვა დანიშნულების სადა თუ ორნამენტირებული არქიტექტურული დეტალები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვებზე დატანილი ჯვრის გამოსახულებები და ა.შ. ეკლესიის შიდა ტერიტორია იატაკის დონემდე გაასუფთავეს და მცირე მოცულობის სამუშაოები განახორციელეს. მონაპოვარ არქეოლოგიურ მასალაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების კერამიკული ნაკეთობანი. განსაკუთრებით მოჭიქული კერამიკა, მინის ჭურჭლის ნატეხები, ღვთისმშობლის ხატი ქრისტეს, ორი წმინდანის გამოსახულებითა და წარწერით, რკინისა და ბრინჯაოს ნივთები და ა.შ. აქვე მრავლად იყო წარმოდგენილი გარეული თხის, ცხენის თუ ირმის რქის ნიმუშებიც. არქიტექტურული მასალების დიდი ნაწილი პ. უვაროვამ ადგილზევე ჩაიხატა და იქვე დატოვა, ხოლო არქეოლოგიური მონაპოვრები თან წაიღო, რომელთა ბედი ჩვენთვის დღემდე უცნობია. ამ ძეგლზე ფართო მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა მოგვიანებით - 1985 წელს (მამულაძე: 1993).

პ. უვაროვას შემდეგ აჭარის უძრავი მატერიალური (და არა მოძრავი) კულტურის ძეგლების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XIX საუკუნის მიწურულის და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი ეთნოგრაფ-მოგზაურის თ. სახოკიას მემკვიდრეობაშიც. მოგზაურობის შთაბეჭდილებები გამოქვეყნდა 1898, 1900-1901 წლებში გაზეთ „დროების“ ფურცლებზე. ხოლო მოგვიანებით (1950წ) გამოიცა ცალკე წიგნად (სახოკია:1950). მოგზაური საკმაოდ ფართოდ განიხილავს მიწისზედა ძეგლებს, მათთან დაკავშირებულ ხალხურ გადმოცემებს. ეხება ფურტიოს, დანდალოს, ხულოს, უჩხოს და სხვა თადიან ხიდებს, ხიხადირის ეკლესიას, სხალთის ტაძარს, მის მარანს, ხიხანის ციხის ნანგრევებს და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის საქმეში ზ. ჭიჭინაძის დამსახურებაც, რომელმაც აჭარის ოსმალ დამპყრობთაგან განთავისუფლების შემდეგ, თითქმის მთელი რეგიონი ფეხით შემოიარა, მოინახულა ბევრი ძეგლი და დაგვიტოვა მოკლე ცნობები მათ შესახებ.

ასეთია მოკლედ ის ძირითადი დაზვერვითი თუ არქეოლოგიური სამუშაოები, რაც განხორციელდა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების პირველ პერიოდში. აჭარაში არსებული არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა შემდგომშიც გრძელდება, მაგრამ მან სისტემატური ხასიათი მიიღო XX საუკუნის 60-იანი წლებიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ) ბათუმი, 1987.
2. დუმბაძე მ. ისტორიკოსი დ. ბაქრაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), ბათუმი, 1950.
3. იოსელიანი ა. ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ. 1973.
4. მამულაძე შ. აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.
5. სახოკია თ. მოგზაურობანი, თბ., 1950.
6. ჭიჭინაძე ზ. გაზეთი „ივერია“ №157, 172 და ა.შ.
7. Журнал Министерства народного просвещения, ССХХ, 1884.
8. Известия Кавказкого общества истории и археологии, Тифлис, вып. 1, 1882, Журнал Министерства народного просвещения, ССХХ, 1884.
9. Протоколы подготовительного комитета к пятому археологическому съезду. М. 1881.
10. П.Уварова. Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия, Пощовский участок, часть II, М. 1981.

Shota Mamuladze

Initial Prospecting and Archaeological Excavations in the First Period of Adjara Rejoining its Motherland.

Interest towards material culture in Adjara emerged in the first period of Russian-Turkish 1877-78 war. Many tourists and investigators have been concerned with these problems. D. bakradze and g. kazbegi are particularly noteworthy. The interest towards archaeological monuments was not diminished both during and after the war. The first archaeological excavations were conducted on Samarovni territory of the Late Bronze and Early Iron age which have yielded rich material of great historical interest.

In 1888 H. Uvarovo carried out small scale works on territory of the former church of the 11th century in Khulo Region, village of Agara. T Sakhokia, Z Chichinadze and others revealed a lot of interesting information about Adjara monuments of material culture in the post war period.

Exploration of the monuments continues afterwards in this region and it became systematic in the sixties of the 20th century.

ოსმალური აღწერის დავთრები, როგორც საისტორიო წყარო

ოსმალეთის იმპერიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის აღწერას. იგი უმთავრესად დაკავშირებული იყო დაპყრობით ომებთან და დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობის გადასახადებით დაბეგრასთან. დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობისა და მათი რესურსების ექსპლუატაცია კი ოსმალეთის სახელმწიფოს შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ოსმალეთის იმპერიაში სამხედრო და საფინანსო უწყებებს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ამ მიზნით ოსმალეთში ადგენდნენ დავთრებს, რომლებშიც აღწერილი იყო ესა თუ ის ტერიტორია, მასში შემავალი ყველა სოფელი თუ დასახლებული პუნქტი, მისი მოსახლეობა, დასამუშავებლად ვარგისი მიწები თუ საძოვრები. განსაზღვრული იყო მიწისმფლობელობის პირობები (თიმარი, ზეამეთი, ხასი...), მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადები და სხვა.

დავთრების შედგენის საჭიროებას იწვევდა აგრეთვე ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია. ოსმალთა მოხელეთა დიდი ნაწილი, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო, ხელფასს არ ღებულობდა ცენტრალური ბიუჯეტიდან. ასეთ კატეგორიას ნება ეძლეოდა აენაზღაურებინა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გაღებული გადასახადებიდან („ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი” 1979:29) ოსმალური აღწერის დავთრები მდიდარ და მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციას შეიცავენ ზოგადად ოსმალეთისა და იმპერიაში შემავალი ამა თუ იმ პროვინციის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ურთიერთობისა და მრავალი სხვა საკითხის შესასწავლად. მათში დაცული ცნობები სანდოა, რადგან დავთრები შედგენილია ადგილზე მომუშავე კომისიის მიერ თითოეული მონაცემის ზუსტად შემოწმებისა და შეჯერების შედეგად.

დავთრების შედგენისას აუცილებლად უნდა გათვალისწინებულიყო ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რის შემდეგაც ამ ტერიტორიის გარკვეულ სისტემაში მოყვანის მიზნით ხდებოდა მათი აღწერა. დავთრები ვრცელ ინფორმაციას შეიცავენ მათი შედგენის დროს არსებული ფასების შესახებ. მასში მოცემული გადასახადების და სოფლის, თუ დასახლებული პუნქტის შემოსავლის რაოდენობა დაანგარიშებული იყო იმდროინდელი ფასებით (Öztürk Mustafa, 1991:92). ახლად დაპყრობილ ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შესწავლის შემდეგ მაშინვე წესდებოდა გადასახადები და საგადასახადო სისტემა, რომელიც ამ პროვინციას შეეფერებოდა. საგადასახადო კანონების მიხედვით, ამა თუ იმ ტერიტორიაზე კონტროლის საკითხი, დაყოფა და გადამოწმება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა (Şinasi Altundağ, 1947:191). თურქი ისტორიკოსი ი.ჰ.უზუნჩარშილი აღნიშნავს, რომ ფინანსური, ანუ ეკონომიკური თვალსაზრისით შედგენილი დავთრები ოსმალეთის იმპერიაში ყველაზე მოწესრიგებულ, სწორ და ზუსტ საკონტროლო საბუთებს წარმოადგენენ (Uzunçarşılı İ. H. 1978:6). ამგვარად ჩვენი მიზანია განვიხილოთ აღნიშნული ტიპის დოკუმენტი და წარმოვადგინოთ მისი ზოგადი დახასიათება.

ყველა აღწერის დავთრის შედგენის პრინციპი აბსოლუტურად იდენტურია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი წარმოადგენდა ოფიციალურ დოკუმენტს, რომელსაც საიმპერიო მთავრობის განკარგულების თანახმად ადგენდა ადგილზე მოვლენილი ოსმალ მოხელე.

XVI ს-ის მეორე ნახევრამდე აღწერის დავთრებს ცალკეული ლივებისთვის ადგენდნენ, ხოლო უფრო მოგვიანებით – მთლიანი ვილაეთის თუ ეიალეთისათვის (Uzunçarşılı İ. H. 1978:397). ვრცელი დავთრების უმრავლესობას წამმდგარებული აქვს მოცემული პროვინციის კანუნ-ნამე, რომელიც არეგულირებს სოციალური ურთიერთობის, საგადასახადო, თუ სხვა წესებს.

ოსმალეთის იმპერიაში, როგორც ფისკალური ხასიათის ყველა დოკუმენტი, დავთრებიც სიაკათის ურთულესი ხელით იწერებოდა. აღნიშნული ხელის ამოკითხვა დიდ სიმძნელებთან

არის დაკავშირებული. ეს დამწერლობა გამოიყენებოდა ოსმალურ საფინანსო უწყებებში და მას მხოლოდ სპეციალისტები კითხულობდნენ. ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ საფინანსო საქმეებში გარეშე პირს ვერ ჩაეხედა. (Uzunçarşılı İ. H. 1954 :70). დავთრის პირველ გვერდზე როგორც წესი ჩახატულია თულრა, ოსმალ სულთნის ბეჭედი, რაც ხშირად გვეხმარება დოკუმენტის შედგენის პერიოდის დადგენაში. არის შემთხვევები, როდესაც დავთარს არ აქვს მიწერილი მისი შედგენის ზუსტი თარიღი. მომდევნო ნაწილში, ნაპიეების (რაიონების) მიხედვით, მოცემულია გეოგრაფიული პუნქტების (სოფლების) სია, რომლებიც წარმოადგენდნენ საგადასახადო ობიექტებს. სიას თან დართული აქვს შეწერილი გამოსაღების ჯამი. შემდეგ დასახელებულია ყველა სოფელი რაიონის ცენტრის აღნიშვნით, რასაც მოჰყვება მოცემულ სოფელში დასახლებულ კომლთა უფროსების სიები. ამ მხრივ ხალხის აღწერის ვრცელი დავთრები საინტერესო წყაროს წარმოადგენენ, როგორც ამა თუ იმ რეგიონის დემოგრაფიულ-სტატისტიკური ძეგლები. მათში აღწერილია სხვადასხვა მიზეზის გამო დაცლილი სოფლებიც კი, და ისეთებიც, სადაც მხოლოდ ორი და სამი კომლია შემორჩენილი.

კომლთა უფროსების (სახელების, მამის სახელების, ზოგჯერ პროფესიის) დასახელების და გადასახადთა ცალკეული სახეების ჩამოთვლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მათი ეროვნული თუ რელიგიური შემადგენლობისა და მოსაქმეობის განსაზღვრა. აკადემიკოსი სერგი ჯიქია აღნიშნავს, რომ მსგავსი ტიპის მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს „არამართო ონომასტიკის შესწავლის თვალსაზრისით“, არამედ ამა თუ იმ მხარის „იმდროინდელი (იგულისხმება დოკუმენტის შედგენის პერიოდი – ზ.შ.) მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისითაც” (Джихия С. 1940:483-484). თუმცა, ამასთან დაკავშირებით ჩვენ საკუთარი მოსაზრება გაგვაჩნია. ვფიქრობთ, რომ აღნიშნულის გათვალისწინება ყოველთვის არ შეიძლება. მაგალითად, ოსმალეთის იმპერიის ქართული პროვინციების მაგალითზე თუ განვიხილავთ, ახალდაპყრობილ ტერიტორიებზე თავდაპირველი აღწერის დროს ეს თეორია მისაღებია. მაგრამ, რაც უფრო დრო გადის და მოსახლეობაში ისლამი იკიდებს ფეხს, იცვლება მისი

ონომასტიკონიც. მოსახლეობაში მუსლიმური საკუთარი სახელების გავრცელებასთან ერთად ძნელი ხდება მისი ეროვნული შემადგენლობის განსაზღვრა. ვაზუსტებთ, რომ რელიგიური სურათის შეცვლა სულაც არ ნიშნავს ეროვნული სურათის შეცვლას. ამასთან, შეიძლება დროთა განმავლობაში ამა თუ იმ რაიონში ეროვნული სურათი მიგრაციის გზითაც შეიცვალოს.

მოსახლეობის დანაწილება სქესის მიხედვით დავთრების მონაცემთა საფუძველზე შეუძლებელია. შეუძლებელია მისი ასაკობრივი შემადგენლობის განსაზღვრაც.

კომლთა უფროსების სიებს მოჰყვება თითოეული სოფლისათვის გაწერილ გადასახადთა საერთო რაოდენობა. ყოველივე ამის შემდეგ ჩამოთვლილია გადასახადთა სახეები სათანადო თანხის აღნიშვნით. დავთრების ანალიზის საფუძველზე ნათლად იხატება ამა თუ იმ რეგიონში არსებული სამეურნეო სურათი. ირკვევა, თუ როგორ არის განვითარებული მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, სამიწათმოქმედო კულტურები, მათ შორის მევენახეობა, მარცვლეული კულტურები და სხვა.

ქვემოთ ასეთივე თანმიმდევრობით არის მოცემული მომდევნო დაბეგრილი სოფლის გამოსაღებები. სხვადასხვა სოფლის გადასახადებისა და მათი რაოდენობის განხილვა შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ, თუ სოფლის მეურნეობის რადარგები იყო განვითარებული ამა თუ იმ რაიონში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გაწერილი გადასახადების ოდენობა დგებოდა სამი წლის საშუალო მოსავლის საფუძველზე. ასე რომ, ვრცელი დავთრების მიხედვით ჩვენ გვეძლევა საშუალება გავარკვიოთ არა მარტო ამა თუ იმ პროდუქტზე გაწერილი გადასახადის რაოდენობა, არამედ, მისი საშუალო წლიური მოსავალიც.

დავთრებში საინტერესო ცნობებია მოცემული წისქვილებსა და მათზე გაწერილი გადასახადების შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, ხალხის აღწერის ვრცელ დავთრებში თანმიმდევრულად და ამომწურავად არის წარმოდგენილი გეოგრაფიული პუნქტები. როდესაც საქმე ეხება მოსახლეობის დაბეგვრას, ეჭვგარეშეა, რომ მასში დაფიქსირებულია ყველა ობიექ-

ტი. არ არის გამოტოვებული უმცირესი დასახლებული ობიექტიც კი.

მალიან ხშირად, ამა თუ იმ პატარა და ნაკლებად ცნობილი, ან კიდევ უფრო გაუკაცრიელებული სოფლის აღწერისას, მითითებულია მისი მდებარეობა უფრო მსხვილ გეოგრაფიულ პუნქტებთან, რაც უფრო აადვილებს მისი ადგილმდებარეობის დადგენას. ამ მხრივ ვრცელი დავთრები უნიკალურ ძეგლებს წარმოადგენენ ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად. როდესაც საქმე გვაქვს ქართულ ტერიტორიებთან ეს საკითხი გარკვეულწილად უფრო რთულდება. საერთოდ, ერთი ენის ენობრივი მასალის გადმოცემა მეორე ენის გრაფიკული საშუალებებით გარკვეული რიგის დაბრკოლებებს ხვდება. ასეთ შემთხვევაში, კვლავ აკადემიკოს სერგი ჯიქიას თუ დავესესხებით: „სხვადასხვა ენის ფონეტიკური განსხვავებულობით შეპირობებული მეტნაკლები ოდროზოზობა, რა თქმა უნდა ყოველთვის იჩენს თავს. ამ გარემოებით არის გამოწვეული, რომ თურქულ ტრანსკრიფციაში ქართული სახელები იმდენად არის შეცვლილი, მათი პირვანდელი სახის აღდგენა დიდ დაკვირვებასა და ადგილის ტოპონიმიკის ზედმიწევნით ცოდნას მოითხოვს (“გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი 1958:24). დავთრებში ხშირად გვხვდება ჩანართები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ამა თუ იმ სოფლის, ან რაიმე კონკრეტული მოვლენის შესახებ.

გარდა ისტორიულისა, ამ ტიპის ძეგლებს დიდი ფასეულობა გააჩნიათ ფილოლოგიური თვალსაზრისითაც. გარკვეული პერიოდის თურქულ ენაზე დაწერილი ძეგლი, ამ დროის თურქული ენის შესწავლისათვის მეტად მნიშვნელოვან და დამახასიათებელ ენობრივ მასალას შეიცავს. ქართული რეგიონების შემთხვევაში ძეგლს გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თურქულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის საკითხების კვლევისათვისაც. გარდა ამისა, არაბულ-თურქული ტრანსკრიფციით გადმოცემული უამრავი ქართული საკუთარი სახელის შესწავლა საშუალებას იძლევა გამოტანილი იქნას საყურადღებო დასკვნები ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც.

უნდა აღნიშნოს, რომ ოსმალეთის იმპერიაში აღწერის ჩატარების შედეგად პარალელურად დგებოდა ორი სახის დავთარი. პირველი – ვრცელი დავთარი, რომელზეც ზემოთ უკვე ვრცლად ვისაუბრეთ, გვიჩვენებდა გადასახადებს, მათი წყაროების დაწვრილებითი ჩვენებით; მეორე – მცირე დავთარში აღნიშნული იყო წლიური შემოსავლის განაწილება მხარეთა შორის.

მცირე დავთარებში ჩამოთვლილია ყველა სოფელი, რომელიც აღწერილია ვრცელ დავთარებში და მიწერილია მის მფლობელზე. დაანგარიშებულია ყოველი სოფლის შემოსავალი ცალკეული გადასახადების დასახელების გარეშე.

მცირე დავთარები უფრო ნაკლებად ინფორმაციული ხასიათისაა, ვიდრე ვრცელი. თუმცა ცალკეული მათგანი ზოგჯერ შეიძლება ისეთ ინფორმაციას შეიცავდეს, რომელსაც ვრცელ დავთარში ვერ შევხვდებით.

მსგავსი ტიპის დოკუმენტაგან ქართული ისტორიოგრაფიისათვის ბოლო პერიოდამდე ცნობილი იყო 1595 წლით დათარიღებული „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“, რომელიც სამხრეთ და სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ოსმალური პერიოდის ისტორიის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა. ქართველ თურქოლოგებს ხელთ ჰქონდათ აგრეთვე თბილისის ეიალეთის დავთარი (1728 წ.), რომელიც დღემდე სრული სახით არ გამოქვეყნებულა.

ბოლო პერიოდში, თურქეთის არქივებში მუშაობის შედეგად გამოვლენილი იქნა აღნიშნული ტიპის არაერთი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ქართულ ტერიტორიებს (აჭარის სანჯაყის ბათუმის სანჯაყის, გურჯისტანის ვილაეთის 1574 წლის, არტანუჯის და სხვათა სახით). ზოგიერთი მათგანის ქსეროასლი მოპოვებულია, ზოგი გაშიფრულია, მეცნიერულადაც დამუშავებულია და მალე იხილავს დღის შუქს. ბევრი მათგანის მხოლოდ ადგილმდებარეობა და შიფრია ცნობილი. მათი მოპოვება და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა უამრავ სიახლეს შემოიტანს ქართულ ისტორიოგრაფიაში და მრავალ ისეთ საკითხსაც მოჰყენს ნათელს, რომელიც არასწორად არის დასმული ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

Реестры Османской переписи как исторические источники

(Резюме)

Переписи населения в Османской империи уделялось большое внимание, что в основном было связано с захватническими войнами и обложением налогами населения захваченных территорий.

Реестры переписи населения предоставляют богатый и разносторонний материал для изучения социально-экономических, политических, культурных и других вопросов как Османской империи в целом, так и его отдельных провинций.

В работе рассмотрено, какую именно информацию включают в себя Большие и Малые Реестры османской переписи, их общая структура, оценено качество их надежности.

Отдельно рассмотрены документы, составленные для грузинских провинций Османской империи, имеющие особое значение для грузинской историографии.

В разных архивах Турецкой республики хранится большое количество документов указанного типа. Часть этих документов изучена, другая их часть все еще ждет исследователей. Их рассмотрение и введение в научную литературу внесет большую лепту и прольет свет на многие вопросы, неправильно поставленные в нашей историографии.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. “გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი”, გამოკვლევა, ს. ჯიქია, წიგნი III, თბილისი 1958
2. „ჩილდირის ეილაეთის ჯაზა დავთარი” 1694-1732 თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ. თბ. 1979
3. Джикия С. “Турецкая рукопись Музея Грузии “Пространный реестр грузинского вилайета” (სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე) ტ. I №6, თბ. 1940
4. Öztürk Mustafa, Osmanlı Dönemi Fiyat Politikası ve Fiyatların Tahlili, TTK Belleten, cilt LV, sayı 212, Nisan 1991, Ankara 1991

5. Şinası Altundağ, Osmanlı İmparatorluğunun Vergi Sistemi Hakkında Kısa Bir Araştırma, Ankara Ün. D ve TCFD, cilt 5, sayı 2, Ankara 1947
6. Uzunçarşılı İ. H. Osmanlı Devleti Maliyesinin Kuruluşu ve Osmanlı Devleti İç Hazinesi, TTKK Belleten, cilt XLII, sayı 165, Ocak 1978, Ankara 1978
7. Uzunçarşılı İ. H. Osmanlı Devleti Maliyesinin Kuruluşu ve Osmanlı Devleti İç Hazinesi, TTKK Belleten, cilt XLII, sayı 165, Ocak 1978, Ankara 1978
8. Uzunçarşılı İ. H. Osmanlı Tarihi, III cilt, II kısım, Ankara 1954

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი ინტერნეტის მონაცემებით

ჩვენდა საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ ინტერნეტ სივრცე მდიდარია რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის შესახებ მასალებით, ისტორიკოსთა შრომებითა და წყაროებით. თუმცა აქვე იმ სამწუხარო ფაქტსაც აღვნიშნავთ, რომ ეს არის ძირითადად არაქართული წყაროები. ამ მხრივ ქართული ისტორიოგრაფია საკმაოდ მოსუსტებს. დამეთანხმებით დღევანდელ, XXI საუკუნის დასაწყისის, სამყაროში ინტერნეტ სივრცე ღრმად შემოიჭრა არა მარტო საყოფაცხოვრებო და მასობრივი კულტურის სიღრმეებში, არამედ ინტერნეტსამყაროს გარეშე შეუძლებელია სერიოზული პროგრესი სამეცნიერო სფეროშიც. ინტეგრაცია საარქივო მასალებისა და დოკუმენტების გლობალური ხელმისაწვდომობის მხრივ უმთავრესი ფაქტორი ხდება სამეცნიერო კვლევა-ძიების გამარტივებისა და განვითარების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ტრადიციულ, აკადემიურ და უძველესი სამეცნიერო კვლევის საფუძვლებთან ერთად.

პირველ რიგში გვინდა მიმოვიხილოთ ინტერნეტში განთავსებული დოკუმენტური მასალები რუსეთ-თურქეთის 1877-1879 წწ. ომთან დაკავშირებით.

ინტერნეტსაიტებში ადვილად მოიპოვება თითქმის ყველა ხელშეკრულების ტექსტი; სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება, ბერლინის ტრაქტატი, რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთს შორის დადებული 1873 წლის კონვენცია (სამი იმპერატორის კავშირი), პარიზის 1856 წლის ტრაქტატის ზოგიერთი სტატიის შეცვლის 1871 წლის დოკუმენტი, რომელზეც ხელ აწერდნენ დიდი ევროპული ქვეყნების წარმომადგენლები და რომლითაც რუსეთს კვლავ მიეცა შავ ზღვაში სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება. პრაქტიკულად ყველა ხელშეკრულების ტექსტი, განსაკუთრებით,

თუ ის რუსეთთანაა დაკავშირებული, მოიძვეება პორტალებზე, მათ შორის ყარსის ხელშეკრულებაც. აქვე აღვნიშნავ, რომ მე ძირითადად ქართულ, რუსულ და ინგლისურ დოკუმენტებსა და წყაროებს ვაქცევდი ყურადღებას და დაინტერესებული მკვლევარები გაცილებით სრულყოფილ მასალას ნახავენ, თუკი ფრანგულ, გერმანულ, თურქულ და აღმოსავლეთ ევროპულ ენებზეც მოიძებნენ მასალებს. თუმცა აქვე ვიტყვი, რომ მიუხედავად დიდი ინტერესისა, ბერლინის კონგრესის სხდომის ოქმები ვერ ვნახე.

დოკუმენტური მასალების კონტექსტში განიხილება მემუარული ლიტერატურა და ამ მხრივ ზღვა მასალა აღმოჩნდა ციფრულ სამყაროში. მინდა რამდენიმეს მივაქციო თქვენი ყურადღება:

ნიკოლოზ პავლეს ძე იგნატიევი (1832-1908), გრაფი. სახელმწიფო მოღვაწე დიპლომატი.

1851 წელს დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია. 1856 წელს დაინიშნა სამხედრო ატაშედ ლონდონში. 1877 წელს დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად და შედიოდა სახელმწიფო ელიტაში. ის იყო რუსეთის წარმომადგენელი სან-სტეფანოს ზავის დროს და სწორედ ის აწერს ხელს ამ ხელშეკრულებას. 1878 წელს იგნატიევი დაითხოვეს და ბერლინის კონგრესზე რუსეთის წარმომადგენლად დანიშნეს მისთან დაპირისპირებული გრაფი პეტრე შუვალოვი. როგორც ვიცით, ბერლინის კონგრესზე რუსეთისთვის სასარგებლო ბევრი მუხლი ამოიღეს. 1881-1882 წლებში ის იყო რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, აღსანიშნავია მისი წერილები, რომლებიც ინახება რუსეთის სახელმწიფო არქივში, იგნატიევის პირად ფონდში და დევს ინტერნეტსაიტზე. ამ წერილებში ხშირადაა ნახსენები ბათუმი.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბრუსილოვი (1853-1926). გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა თბილისში. დაამთავრა პაჟთა კორპუსი. მონაწილეობდა 1877-1878წწ რუსეთ-თურქეთის ომში. თავი გამოიჩინა ყარსის აღებისას. დაჯილდოვდა წმინდა

სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით. აღსანიშნავია რომ მისი სახელი დაერქვა ერთ-ერთ ოპერაციას I მსოფლიო ომში (ბრუსილოვის გარღვევა), რომელიც თვითონ შეიმუშავა. საინტერესოა მისი მემუარები, როგორც ომის მონაწილის. საუბრობს ქართველებზეც. მოვიყვან თუნდაც ერთ უმნიშვნელო ერთ აბზაცს: "კავალერიის უფროსად დაინიშნა გენერალ-მაიორი თავადი ჭავჭავაძე, ხოლო დივიზიის მეთაურებად: 1-ის მისი ბრწყინვალემა გენერალ-მაიორი თავადი შერემეტევი, 2-ის – გენერალ მაიორი ლორის-მელიქოვი და მესამის გენერალ მაიორი ამილახვარი." ამის გარდა სხვა ბევრ ჩვენთვის საყურადღებო შემთხვევას იხსენებს ბრუსილოვი ამ მემუარებში, ყარსის აღების წვრილმანებთან ერთად.

აღსანიშნავია იმპერატორ ალექსანდრე II ის დუნაის არმიაში 1877-1878 წწ ყოფნის დღიურები. გადმოცემულია 28, 29 ნოემბრის მოვლენები. თუ როგორ განიცდის და ნერვიულობს იმპერატორი პლევენასთან დროებით წაუმატებლობებზე. ნახსენებია გენერალი **ლაშქარევი**, რომელსაც თურმე ცხენი გამოუკლეს შეტევისას. საინტერესოა იმპერატორის პიროვნული დამოკიდებულება ამ მოვლენებისადმი.

ამ თემასვე აგრძელებს ისტორიკოსი ლიაშენკო თავის “სამი მარტოობის ისტორიაში”. ის წერს, რომ ალექსანდრე II-ს ჰქონდა მხოლოდ დამარცხებების გამოცდილება და როდესაც ვერა და ვერ მოახერხეს რუსებმა პლევენას აღება, უთქვამს: “ესა რა, მეორე სევასტოპოლია?”, მაგრამ პლევენის ალყისას მისი მთავარი საზრუნავი ყოფილა დაჭრილი ჯარისკაცები. თავადი ჩერკასოვი იხსენებდა: ”ლაზარეთის პალატებში დაღლილი, მოწყენილი და დატანჯული სახის შემყურე, ჯვაროსნულ ბრძოლებში მყოფ წმინდა ლუდოვიკოს მაგონებდა”. მას ბალკანეთში გადაუტანია ასთმა, კატარი, ციება, დიზინტერია, მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ ომის მსვლელობა აშფოთებდაო. როგორც დედოფალი იხსენებდა შემდეგ, ომიდან დაბრუნებული იმპერატორი ისე გამხდარა, თითიდან ბეჭედი ძვრებოდაო. ლიაშენკოს თემა რომ დავამთავროთ, აქვე ვიტყვი: ის იხსენებს აგრეთვე ბერლინის

კონგრესზე რუსეთის დელეგაციის 80 წლის მეთაურის, გორჩაკოვის შეცდომას, როცა მან დიზრელს შეცდომით უჩვენა რუსების სამუშაო რუკა, სადაც დათმობების მაქსიმუმი იყო მითითებული, რის შემდეგაც უკვე ნაკლებ რამეზე დიზრელი არ თანხმდებოდა. სწორედ ამიტომ წერდა გორჩაკოვი იმპერატორს: "ეს არის ყველაზე შავი ფურცელი ჩემს ბიოგრაფიაში". როგორც აღნიშნულია, ამ კონგრესის შედეგებს სლავიანოფილების აღშფოთება მოჰყვა რუსეთში. ისტორიკოსი საინტერესო დასკვნას აკეთებს ევროპელების სიცოცხლისუნარიანობის დაცემასა და რუსების სიცოცხლისუნარიანობაზე რამაც გამოიწვია რუსების გამარჯვებები, ხოლო ევროპელების მხრიდან რუსეთის მუდმივი დადანაშაულება იმპერიალიზმში. ახლა ისევ მემუარებს დავუბრუნდეთ:

ალექსანდრე ფიოდორის ძე რედიგერი (1853-1920) – რუსი გენერალი. 1905-1909 წლებში იყო რუსეთის სამხედრო მინისტრი. მონაწილეობდა 1877-1878 წწ რუსეთ-თურქეთის ომში. 1882-1884 წწ. იყო ბულგარეთის სამხედრო მინისტრის თანაშემწე ბულგარეთის არმიის პოლკოვნიკის ჩინით. მისი მოგონებები დაიწერა 1917-1918 წწ. დაიბეჭდა მხოლოდ 1999 წელს. ამ მხრივაც მეტად საყურადღებოა ჩვენთვის ნიკოლაევის აკადემიის ამ პროფესორის მოგონებები, რომლებიც ბალკანეთის ფრონტს ეხება და უამრავი ფაქტი არის დაწვრილებით წარმოდგენილი.

ძალიან საინტერესოა ინტერნეტში განთავსებული წიგნი "სკობელევი. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომი" ვერეშაგინის მოგონებები. თუმცა ამ წიგნის მხოლოდ გამოწერა და დაკვეთაა ინტერნეტით შესაძლებელი. რაც შეეხება ვერეშაგინს, როგორც ვიცით, ის გახლდათ ცნობილი რუსი მხატვარი, რომელმაც ბევრ ნახატში გააცოცხლა ომის სურათები. ეს წიგნი კი დასახელდა 2007 წლის საუკეთესო წიგნად პეტერბურგში.

ანდრეი ივანეს ძე კოსიჩი (1833-1917) – რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ ლეიტენანტი. 1877 წელს დაინიშნა რუმუჟსკის შენაერთის 12 კორპუსის შტაბის უფროსად. ამიტომაცაა

მნიშვნელოვანი მისი მემუარები. აქ აღწერილია ბალკანეთის ომი. მემუარები PDF ფორმატშია განთავსებული.

რაც შეეხება ინგლისურენოვან მემუარებს, არის ერთი ინგლისურენოვანი საიტი <http://www.archive.org/> "ინტერნეტ არქივი", სადაც ათამდე ნაშრომი დევს ინგლისურ ენაზე. ყველა მათგანი PDF ფორმატშია.

არჩიზალდ ფორბსი, "მეფე და სულთანი", არჩიზალდ ფორბსი (1838-1900). იყო ბრიტანეთის სამხედრო კორესპონდენტი 1877-1878 წწ ომში. როგორც "დეილი ნიუსის" კორესპონდენტმა, საკუთარი რისკის ფასად მიაღწია ჟურნალისტურ წარმატებებს. ძალიან საინტერესო თხრობაა მემუარებში. გვიყვება უშუალოდ სკობელევზე, იმდროინდელ ელჩზე – იგნატიევზე და მთელი სურათი ცოცხლდება თითქოს ჩვენს თვალწინ.

გრანტ ბარნველის "რუსეთ თურქეთის ომი". ავტორი ხაზს უსვამს რუსების მისწრაფებას კონსტანტინოპოლის ასაღებად. ააშკარავებს, რომ რუსები ამას სლავი ხალხის ასიმილაციისაგან დასახსნელად არ აკეთებს, რადგან თვითონვე ახდენს მათ ასიმილაციას. ეს გახლავთ 650-გვერდიანი ნაშრომი, რომელიც ძალიან წაადგება ამ პერიოდის მკვლევრებს.



ფრანსის ვინტონ გრინი

ფრანსის ვინტონ გრინი. "რუსეთის არმია და თურქეთის კამპანია 1877-1878 წწ", მისივე "რუსეთის სამხედრო ცხოვრების სქემები"

ფრანსის ვინტონ გრინი (1850-) იყო შეერთებული შტატების გენერალ-მაიორი. ის გახლდათ სამხედრო დეპარტამენტის თანამშრომელი და აშშ სამხედრო ატაშე სანკტ-პეტერბურგში. მონაწილეობდა ბალკანეთის ომპერაციებში რუსულ არმიასთან ერთად. დაჯილდოებულია რუსეთის იმპერატორის მიერ სხვადასხვა ორდენით.

არის რამდენიმე წიგნი ავტორი. საინტერესოა, რომ 500-გვერდიანი წიგნი "რუსეთის არმია და თურქეთის კამპანია 1877-1878

წწ" გამოცემულია 1879 წელს. წარმოიდგინეთ, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ პერიოდის შემსწავლელთათვის მას.



ჩარლს სონდგრას რაიანი

ჩარლს სონდგრას რაიანის (1853-1926) "წითელი ნახევარმთვარის ქვეშ" (ლონდონი 1897 წ.), ქირურგი. დაამთავრა ედინბურგის უნივერსიტეტი 1875წ. ემუშავა რა თავგადასავლებს, ლონდონში ჩაეწერა მონახლისედ თურქულ არმიაში. იყო თურქეთ-სერბიის და რუსეთ-თურქეთის ომების მინაწილე, ოთხი თვე იყო ალყაში პლევნასთან. ერზრუმის დაცემისას რუსებს ჩაუვარდა ტყვედ. დაჯილდოვებული იყო თურქული მედლებით. შემადრწუნებელია

მისი თხრობა ყარსის აღების მოვლენებთან დაკავშირებით. ეს 470-გვერდიანი წიგნი გაფიქრებინებს, რომ ვერასოდეს ვერ ჩასწვდები ისტორიის ჭეშმარიტებას ცალმხრივი ფაქტებითა და შეფასებებით. მიუხედავად სომეხთა გენოციდისა და სხვა რამდენიმე არასასახელო ქმედებისა თურქების მხრიდან, ავტორი ასკვნის, რომ ის არის ამაყი იმით, რომ იყო ამ მამაცი ადამიანების გვერდით, ვიდრე ოსმალთა იმპერიის ცაზე შავი ღრუბლები შეგროვდებოდა.



ჯორჯ დუგლას ჯონ კემპბელი, არაგონის ჰერცოგი

ჯორჯ დუგლას ჯონ კემპბელი, არაგონის ჰერცოგი (1823-1900). გაერთიანებული სამეფოს გამოჩენილი პოლიტიკოსი და მწერალი, წერდა რელიგიისა და პოლიტიკურ საკითხებზე. გლადსტონის მთავრობაში იყო ინდოეთის საქმეების სახელმწიფო მდივანი. დაუპირისპირდა გლადსტონს ირლანდიის საკითხთან დაკავშირებით. ემხრობოდა ირლანდიის თვითმმართველობას. მის წიგნს ჰქვია:

"აღმოსავლეთის საკითხი ბერლინის 1878 წლის შეთანხმებაში". ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს არის 468-გვერდიანი ნაშრომი და მოიცავს მოვლენათა ფართო ჰორიზონტს, იმ პერიოდის მსოფლიოს მნიშვნელოვანი კატაკლიზმების ავტორისეული შეფასებებითა და ანალიზით.



ა.ს.საჩემი (1826-1881)

აღსანიშნავია ამერიკელი პროფესორის ა. ს. საჩემის ნაშრომი "რუსეთი და თურქეთი აღმოსავლეთის საკითხის კრილში". წიგნში უხვადაა ფოტოსურათები თურქი ფაშებისა თუ სხვათა. კარგად აღწერს კავკასიის ფრონტს. ბევრია მოთხრობილი გენერალ ოკლობჟიოზე, რომელიც რიონის არმიას მეთაურობდა. წარმოიდგინეთ, წიგნში 39 ჯერაა ნახსენები ბათუმი. და საერთოდ არ იქნებოდა ურიგო, ეს ნაშრომი

ქართულად რომ იყოს ხელმისაწვდომი ფართო ფენებისთვის.

ვერეშაგინი ალექსანდრე ვასილის ძე – ცნობილი რუსი გენერალ-მაიორი და მწერალი. მას ეკუთვნის ნაწარმოები "შინ და ომში". ამ ომში ის მონაწილეობდა ვლადიკავკაზის პოლკის შემადგენლობაში. დაიჭრა პლევნასთან, დაჯილდოებულია ოქროს იარაღით. ეს არის 596-გვერდიანი ნაწარმოები.

საინტერესოა ინტერნეტ სივრცეში განთავსებული ფოტომასალა, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომთან დაკავშირებული. კერძოდ, რუსეთის სახელმწიფო კინოფოტოდოკუმენტების არქივში. ასევე წარმოდგენილი არის რუმინეთის საარქივო მასალებიდან რამდენიმე სურათი. მდიდარია სურათებით პორტალი ვიკიპედია და ვიკიმედია ქომონი. გვსურს ამ სურათების პრეზენტაცია მოვაწყოთ. თუკი დროში არ შევიზღუდებით და სურვილიც გვექნება.

რაც შეეხება ისტორიკოსთა ნაშრომებსა და მონოგრაფიებს, ამ მხრივ მასალათა ოკეანეა ინტერნეტ სივრცეში. ინფორმაციული სახის დოკუმენტებიდან ყველაზე სრულყოფილია ელექტრონ-

ციკლოპედია ვიკიპედია (<http://ru.wikipedia>)სადაც მთლიანად, თუმცა მშრალადაა გადმოცემული ომის პერიპეტეები, საინტერესო ფოტომასალით. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ბალკანეთის ფრონტზე. თუმცა მთლიანად მოიცავს თემას. დასაწინაა მხილოდ ის, რომ ამ ინფორმაციით ქართველთა როლი ამ ომში თითქმის არ ჩანს. დასაწინაა ისიც, რომ ამ საიტზე შესაძლებელია ინფორმაციის განთავსება, მაგრამ ჯერჯერობით ქართველ მეცნიერთ ამაზე არ უზრუნიათ. მაგალითად, არის ნახსენები არტანუჯი, მაგრამ არაფერია მასზე ინფორმაციის სახით და ღიაა. ითხოვს, რომ ვინმემ განათავსოს ტექსტი. იმედია, ქართველი მეცნიერები ციფრულ სამყაროშიც არ დაახანებენ საქართველოს ისტორიის განვითარებას. ეს თემაც რომ ამოვწუროთ: რუსეთ თურქეთის 1877-1878 წწ. ომზე ქართული მასალებიდან ინტერნეტში შეგვხვდა საქართველოს ისტორიის ნარკვევების V ტომი, რუსულ ენაზე, სადაც განხილულია რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომი. შოთა მეგრელიძის გამოკვლევა “რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომი და საქართველო”. და მერაბ ვახნაძისა და ვახტანგ გურულის "საქართველოს ისტორია" ასევე ძიებისას ამოვადეთ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორების რამდენიმე სილაბუსი. სხვა მხრივ ინტერნეტ სივრცე ცარიელია ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვან მოვლენაზე მიძღვნილი ქართველთა ნაშრომებით.

ამ პორტალზევეა მითითებული მდიდარი ლიტერატურა, რომლის მოძიებაც იქვეა შესაძლებელი:

ნიკოლოზ ტროიციკის ნაშრომი "რუსეთ – თურქეთის 1877-1878 წწ. ომი", სადაც მთლიანადაა აღწერილი ომის მსვლელობა და წინაპირობები. ავტორი აღნიშნავს, რომ დიმიტრი სკობელევი იყო იმ პერიოდის ყველაზე ნათელი ფიგურა რუს სამხედრო მეთაურებში, რომელსაც “თეთრ გენერალს” ემახდნენ, რადგან იცვამდა მხოლოდ თეთრ მუნდირს. მოჰყავს დიმიტრი მილიუტინის სიტყვები: “ომის იმედილა რჩება, რომ თურქებს ჩვენზე უნიჭო მეთაურები ჰყავთ”. აღნიშნულია ლორის-მელიქოვის მიერ

ყარსის ვირტუალური აღება ღამით და მისი დანიშვნა ომის შემდეგ კომისიის თავმჯდომარედ.

შემდგომ წყაროდ მითითებულია პორტალი “რუსეთის იმპერია”, სადაც დაწვრილებითაა მიმოხილული ომი, მათ შორის კავკასიის თეატრი. ნახსენებია სან-სტეფანოს ზავი და ბერლინის კონგრესი.

განთავსებულია კერსნოვსკის რუსეთის არმიის ისტორია – ტ. II. თ. X, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი საომარი მოქმედებები. ჩამოთვლილია ყველა ჯილდო, რომელიც ბლომად გაიცა ამ ომის შემდეგ, მათ შორის ქართულ შენაერთებზე.

ასევე იხილეთ თავის “სამხედრო ხელოვნების ევოლუციაში” დაწვრილებით მიმოხილავს ამ ომს. კერძოდ, შეფასებული აქვს კავკასიის ფრონტი. ნიშანდობლივია მისი სიტყვები “რუსი მეთაურების მიმართ მკაცრ საყვედურად რჩება შენიშვნა, რომ კავკასიის მშვენიერი ჯარები სრულ უმოქმედობაში რომ დაეტოვებინათ, ამით უკეთეს შედეგებს მივიღებდით, ვინემ პირველი სამი თვის მანძილზე ერთი და იგივე ადგილის ტკეპნით სასაზღვრო ხაზზე”. აღიარებს მუხტარ ფაშას ბრწყინვალე მოქმედებებს თავისი საცოდავი საშუალებებით.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ პორტალი "ვოენნაია ლიტერატურა" მდიდარია მასალებით და ერთი მოკლე მოხსენების ფარგლებში ვერ შევძლებთ მის მიმოხილვას. ამიტომ უბრალოდ ჩამოგივლით ზოგიერთ მონოგრაფიას: "რატომ იწყება ომი" – სკობელევის აპოლოგია, ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსის ვილსონის ნაშრომი "საზღვაო ოპერაცია რუსეთ-თურქეთის ომში". (როგორც ვიცით, ვილსონი იყო თანამონაწილე თუ არა, თანამედროვე ყველა იმ მოვლენისა, რასაც აღწერს და აანალიზებს), ხალფინის “ბრიტანული აგრესიის კრაზი ავღანეთში (19 და 20-ს დასაწყისში)”. კერსნოვსკის ა. ა. "ომების ისტორია"; გენოვ ცონკოს "რუსეთ თურქეთის 1877-1878 ომი და გამათავისუფლებელთა გამბრუნება" (სოფია 1979წ.). საინტერესოა, სოც-სისტემის რღვევის შემდეგ ხომ არ გადაფასდა რუსეთის როლი ამ ომში ბულგარელებისთვის.

ვპოტოს "გენერალი ივანე დავითის ძე ლაზარევი".

ყურადსაღები ნაშრომებია განთავსებული სტუდენტების რეფერატების სახით. თვალში მოგვხვდა ციოლკოვსკის ნაშრომი "თურქი სამხედრო ტყვეები კალუგის გუბერნიაში 1877-1878 წწ.", სადაც გამოყენებულია კალუგის არქივის მასალები.

აღსანიშნავია ფორუმები, რომლებზეც საინტერესოდ და ცოცხლად მიდის კამათი ამ საკითხზეც.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ პირველად სწორედ ამ ომში დაუშვეს ოფიციალურად რუსულ არმიაში სამხედრო კორესპონდენტები. ყველაზე პოპულარული ჟურნალისტი რუსების მხრიდან გახდა ვ.ნ ნამიროვიჩ-დანჩენკო, რომელიც დააჯილდოვეს პლევნასთან ბრძოლებში მონაწილეობისას გიორგის ჯვრითა და წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით.

გთავაზობთ ინტერნეტის ინფორმაციას რამდენიმე თურქ მეთაურზე. როგორც ვიცით, ბალკანეთის ფრონტს მეთაურობდა აბდულ-ქერიმ-ნადირ-ფაშა (1870-1885) – დაიბადა ბულგარეთში, ჩირპანში. ყირიმის ომისას, 1853 წელს, დამარცხდა ბაშკადიკლართან და გადაეცა სასამართლოს, მაგრამ გაამართლეს. იყო სამხედრო მინისტრი მურად V დროს. აბდულ-ჰამიდ II-მ 1876 წელს მოხსნა მინისტრობიდან და დანიშნა მთავარსარდალად სერბიისა და ჩერნოგორიის წინააღმდეგ ომში. გაანადგურა სერბები ჯიუნისთან და მიიღო მარშლის ჩინი. დუნაისთან დამარცხების შემდეგ, 1877 წელს, ჩამოართვეს მეთაურობა და გადაასახლეს კუნძულ როდოსზე, სადაც გარდაიცვალა 6 წლის შემდეგ. კავკასიის ფრონტს მეთაურობდა მუხტარ-ფაშა – სულთან აბდულ აზიზის შვილი. 1875 წელს იყო ბოსნია ჰერცოგოვინის გენერალ-გუბერნატორი. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომისას იყო მცირე აზიის ჯარების მთავარსარდალი.

ისტორიოგრაფია, სომხური;

განთავსებულია ვ.ბ. კრბეკიანის წიგნი "სომხების მონაწილეობა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომში". წიგნში საუბარია იმაზე, რომ აღმოსავლეთ სომხები ომის ყველა ეტაპზე იღებდნენ მონაწილეობას, რომ ძირითადი მიწები კვლავ დარჩა თურქეთის

მფლობელობაში. ისტორიკოსი ხაზს უსვამს კავკასიაში სომხების მისიასა და რუსეთთან ისტორიულ მოკავშირეობას. კავკასიის არმიაში მონაწილეობდაო 500 სომეხი ოფიცერი და 40000 მოხალისე. წარმოჩენილნი არიან ცნობილი სომეხი სარდლები – ლორის-მელიქოვი, ტერ-გუკასოვი, ლაზარევი, შელკოვნიკოვი, ა.ა. ალხაზოვი! გამოყენებული აქვს სომხეთის, რუსეთის არქივების წყაროები. აღსანიშნავია ა.პლაცისა და ვ.არუთინიანის “კავკასიის ფრონტი და გრაფი ლორის მელიქოვი.”

ყურადღების ღირსია ი.გ.სენკევიჩის "ახალი მასალები მაკედონიისა და კოსოვოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში"

არის სერბიის არქივის (დაარს. 1900 წ.) მასალა ბერლინის კონგრესზე, გამოფენილია რამდენიმე დოკუმენტი.

ვიკიპედიაზევეა კრესნას აჯანყების მასალები ბულგარეთის გამათავისუფლებლებზე, ოხრიდის მიტროპოლი ნათანიელის წერილები და სხვა დოკუმენტები.

ცალკე გამოყოფის ღირსია ენციკლოპედიური მონაცემები ომის თითოეულ მეთაურზე, ქართველ გენერლებზე (ძირითადად რუსული გენერალიტეტის კონტექსტში), მაგრამ, რაც მთავარია, არის, ხშირად სურათებითურთ, რაც მდიდარს ხდის ამ პერიოდის ისტორიის თვალსაწიერს.

Phridon Kardava

Russian-Turkish War from internet information

resume

Thus a year traveling to internet service created the impression about war between Turkey and Russia in 1877-1878. The war had progressive result. Privately it followed liberation of the whole countries from Osmaleti supremacy.

But in sum total the grace of different countries is still seemed that this war called forth the broadening of Russian Empire which is showed resistance of England and western European countries. For Georgia it was returning their lands though the users of internet will not less come to the conclusion. They will have the impression of growing Russia instead of impression of returning Batumi and Ardagani of using Osmaleti. At the information of east Europe it is most seemed their fights against osmaletian conquerors and they are not discussed Russia as a rescuer. It is interesting that the Armenian sites get into the closer contact with the question of Armenia with this war and it is interesting that after looking through new internet sites we are sure that the following disagreement of Berlin congress was one of the base first Balkan and then the cause of the world war. To my mind I can say that inserting of English, French, Turkish and other countries archives materials on internet service will make improved and easy the working of investigators in this scientific and researching sphere of the important War.

ეთნოპოლიტიკური სიტუაცია აჭარაში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში

აჭარა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხეა, რომელმაც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციებში შეინარჩუნა ქართული ეროვნული კულტურული თავისებურებანი, ეროვნული თვითმყოფადობისა და ცნობიერების დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი (რობაქიძე აღ., 1973:3-5). ოსმალთა დამპყრობთა შემოსევა და თითქმის 300-წლოვანი ბატონობა საქართველოში არაბთა და მონღოლ-თათართა ბატონობის შემდეგ ქართველი ხალხის ერთიანი ეროვნული თვითშეგნების გამძლეობის უმძიმეს გამოცდად იქცა (რობაქიძე აღ., 1974:47).

თურქ-ოსმალოებმა საქართველოს პირველად XVI ს. დასაწყისიდან შემოუტყეს და ზედიზედ მიიტაცეს ფეოდალური ხანის ქართული ცივილიზაციის აკვანი ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი და სამხრეთ საქართველოს სხვა ნაწილები. XVII ს. მათ უღელქვეშ მოექცა სამცხე-ჯავახეთის უდიდესი ნაწილიც. ამიერიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთისაკენ მათ გზა ხსნილი ჰქონდათ და თუმცა აჭარის ოსმალები ჯერ კიდევ 1547 წელს დაესხნენ თავს, ქობულეთის მხარის საბოლოო დაპყრობა მათ მხოლოდ XVIII ს. 70-იან წლებში შეძლეს (ახვლედიანი ხ., 1946:3) საოცარია, რომ ამ პატარა ძირძველი ქართული კუთხის დაპყრობას იმდროინდელ აზიასა და ევროპაში საუკეთესოდ გაწვთნილმა და ორგანიზებულმა ოსმალოს ჯარმა, თურქეთის აღმავალმა იმპერიამ, რომელმაც ევროპის და აზიის არაერთი მოწინავე სახელმწიფო დააჩოქა, 200-წლიანი სისხლისმღვრელი ბრძოლები მოანდომა.

ოსმალოთა ბატონობის პერიოდში სათანადო ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების სიმცირის პირობებშიც კი შესაძლებელია საკმაოდ დაბეჯითებით ვიმსჯელოთ იმ გმირული შემართების შესახებ, რომელსაც აჭარის მოსახლეობა ეროვნული თვითმყოფადობის, ცხოვრების ქართული წესის მამა-პაპური ჩვეულებებისა და საერთოდ, ქართველობის დასაცავად ეწეოდა (ჭიჭინაძე ზ., 1907:7-8, 11; ფუტყარაძე თ., 2005:1-12). თურქეთის სამსწლოვანი ბატონობისა და განთავისუფლების შემდეგდროინდელი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აჭარის მოსახლეობამ ოსმალო დამპყრობთა მკაცრი ასიმილაციური პოლიტიკის მიუხედავად, შეურიგებელი ბრძოლის ქარცეცხლში გამოატარა და სრულად შეინარჩუნა ეროვნული თვითშეგნების მაღალი იდეალები. „ჩვენ ... ვიცით, თუ ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები. ჩვენ ქართველები ვართ გვარტომობით“ – წერდა ისმაილ კაიკაციშვილი 1914 წელს გაზეთ „ახალ ივერიაში“ (№ 32). თურქეთის უღლიდან ახლად გამოხსნილ აჭარელთა ქართველობის შეგნებას არაერთხელ უსვამდა ხაზს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ჰაიდარ აბაშიძე. „ჩვენ ... ქართველები გახლავართ ... მაშ სადაურია ჩვენი დედა ენა, ჩვენი გვარი, რა არის ეს ისტორიული ნაშთები, რომლებიც ღაღადებენ ჩვენ ვინაობას. თვით ქვანიც კი ღაღადებენ თუ ვინ ვართ ჩვენ“ – წერდა იგი „ბათუმის გაზეთში“ 1913 წელს (№ 88) (ჰაიდარ აბაშიძე, 1963:64). თურქ ოსმალოთა უღელქვეშ მოქცეული აჭარის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ფხიზელი დარაჯი მშობლიური ქართული ენის დაცვა შენარჩუნებაზე ბრძოლა იყო. ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა ქართველი ქალის განსაკუთრებული როლი ეროვნული ენის და მამაპაპური ტრადიციების შენახვისა და განვითარების საქმეში. აჭარელი ქალი ამ მხრივ მართლაც რომ სანიმუშო მაგალითია. ისლამის მიერ თავსმოხვეულმა ჩადრმა და საზოგადოებისაგან იზოლაციამ აჭარელ ქალში ვერ ჩაკლა ქართველი დედის პატრიოტული სული. რელიგიური ფანატიზმისა და ასიმილაციური მისწრაფებების მძლავრობის ხანაში ეროვნული სულისა და თვითმყოფობის, მშობლიური ენის შენარჩუნების დაცვის ბუდედ იქცა ქართული ოჯახი, რომელსაც, ათასნაირი მცდელობის მიუხედავად, დამპყრობთა მსახვრალი ხელი ვერ

შეეხო. ამიტომაცაა, რომ არა მარტო თურქულმა ენამ, არამედ არაქართულმა ტრადიციებმა საერთოდ ვერ მოიკიდა ფეხი. უფრო მეტიც, ორთოდოქსალური ისლამის სიმკაცრის მიუხედავად, აჭარულმა ოჯახმა სათუთად დაიცვა და შემოინახა, განავითარა კიდევ ქართულ ენაზე შექმნილი პოეზიის და პროზის შესანიშნავი ნიმუშები. ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ხელთუქმნელი მარგალიტები, მათ შორის ქართველი კაცის ვენახისა და ღვინის კულტისადმი მიძღვნილი დიდებული ჰიმნი... „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“, ეს ის ზეპირსიტყვიერებაა, რომელსაც ყოველივე ქართულისა და ქართველობისადმი ღრმა ნოსტალგიის სევდიანი, მაგრამ უადრესად ოპტიმისტური მოტივი გასდევს (რობაქიძე ალ., 1973:3-5).

აჭარაში ქართული ენის შემონახვისა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში მისი დიდი როლის შესახებ არაერთხელ აღუნიშნავთ ზაქარია ჭიჭინაძეს, დიმიტრი ბაქრაძეს, თედო სახოკიას, გიორგი ყაზბეგს, იაკობ გოგებაშვილს და სხვებს. მეტად საგულისხმოა 1874 წელს, აჭარის განთავისუფლებამდე სულ რაღაც 4 წლით ადრე, დ. ბაქრაძის მიერ დაბა ქედის ახლოს ს. ასანურში მოხუცი დიასამიძისგან ჩაწერილი სიტყვები, რომლის მიხედვითაც აჭარის მოსახლეობამ სათუთად დაიცვა და სათუთად შემოინახა ქართული ენა. სწორედ ამ საუბრის დროს შემოესმა დ. ბაქრაძეს თითქოსდა მცხოვანი აჭარელის დამადასტურებელი, გულში ჩამწვდომი ქართული მაყრული, რომელსაც შავშეთიდან გამოთხოვილი ქალის ამაღა აგუგუნებდა (ბაქრაძე დ., 1987:50).

უცხოელ დამპყრობელთა უღელქვეშ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის აჭარელთა წარმატებულ ბრძოლაზე მიუთითებს ყოფის სხვადასხვა სფერო. ქართველ ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა და ფოლკლორისტთა მრავალწლოვანი კვლევებით დადასტურდა, რომ აჭარაში არ არის კულტურისა და ყოფის არცერთი სფერო, რომელიც არ გვაძლევს დამაჯერებელ საბუთს ამ განსაცდელის ჟამსაც კი საქართველოს ამ კუთხის აქტიური და უწყვეტი მონაწილეობისა ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი განვითარების პროცესში, ოსმალეთის სამსაუკუნოვანმა ბატონობამ გავლენა ვერ მოახდინა მატერიალური

კულტურის ისეთ მნიშვნელოვან ელემენტზე, როგორცაა საცხოვრებელი და სამოსახლო კომპლექსი, რომელიც თავისი არსით ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს (რობაქიძე ალ., 1973; მიქელაძე ჯ., 1982). ასევე კულტურის სფეროში თვითმყოფადობის სიმტკიცის მნიშვნელოვან სიმბოლოდ დარჩა ტანსაცმელი – ეროვნული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო კომპონენტი, რომელმაც აჭარაში მტკიცედ შეინარჩუნა ტრადიციული სახე (სამსონია ი., 2005). კიდევ უფრო ღირსშესანიშნავია აჭარული ორნამენტების მსგავსება და ერთობა ზოგადქართულთან – ხეზე იქნება იგი, ლითონზე თუ ქვაზე, გეომეტრიული იქნება იგი თუ ზომორფული თუ ასტრალური (ვარშალომიძე ჯ., 1979), ხოლო როგორც აღინიშნა, ვაზისა და ჯვრის გამოსახულება აჭარულ ორნამენტში, თურქეთის ბატონობის პერიოდში, მათი ასახვა არა მარტო საცხოვრებელ, არამედ აგრეთვე მაჰმადიანურ საკულტო ნაგებობებზე – ჯამეებზე, განსაკუთრებული მნიშვნელოვანი ფაქტია, რომელსაც საგანგებო ახსნა სჭირდება. ვაზისგან ნაკვეთი ჯვარი მთელი ქართული ქრისტიანობის – ქართველობის სიმბოლოდ არის აღიარებული და მის წინააღმდეგ ჩამორჩენილი თურქეთის აქტიური ბრძოლის პირობებში მისი შემონახვა ქართველობისთვის აჭარელთა ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოხატულებად და მიჩნეული. საგულისხმოა ისიც, რომ ჯვრის გამოსახულება, როგორც ქართველობის სიმბოლო, ხშირად გვხვდება იმდროინდელი აჭარის დაწინაურებული პირების საგვარეულო ბეჭდებზეც (რობაქიძე ალ., 1973; ვარშალომიძე ჯ., 1979).

ოსმალ ასიმილატორთა მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არაერთგზის გატარებული ე.წ. აგრარულ-სოციალური რეფორმების მიუხედავად, აჭარაში ეროვნული თვითმყოფადობის თავისებურებებით გამოირჩეოდა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ყოფისა და სოციალური ურთიერთობების ფორმებიც. აჭარაში საქართველოს სხვა კუთხეების ანალოგიური მიწათმოქმედება – მესაქონლეობის სიმბიოზური კულტურის მაღალგანვითარებული ფორმები, მეხილეობა-მეზოსტნეობის, მეფუტკრეობის და შინა ხელოსნობის დაწინაურებული დარგებით ქართული ფეოდალური მეურნეობის აშკარა ნიშნებს ატარებდა. აჭარელთა

მიწათმოქმედების, ალკური მესაქონლეობის, მორწყვის ხალხური სისტემისა თუ მეურნეობის სხვა დარგების გაძლიერების ლოკალურმა ფორმებმა, რომლებიც თავისი არსით ზოგადქართული ბუნების მატარებელი არიან, თურქეთის ბატონობის პირობებში არაერთგზის ნგრევისა და გაპარტახების მიუხედავად, შეინარჩუნა ცხოველმყოფელობა, სიცოცხლისუნარიანობა და მტკიცედ აღუდგა წინ უცხო დამპყრობთა მიერ ძალმომრეობით თავსმოხვეულ, ქართულ ფეოდალურ მეურნეობასთან შედარებით აშკარად ჩამორჩენილ წარმოების წესს (რობაქიძე ალ., 1973; შამილაძე ვ., 1969; ჩიჯავაძე ნ., 1971; კახიძე ნ., 2004).

ფეოდალური ქართული სოფლისთვის დამახასიათებელი ეროვნული თავისებურებები თურქეთისდროინდელ აჭარაში არსებითად იქნა შემონახული ოჯახისა და საოჯახო ყოფის, ქორწინების, გვარისა თუ ნათესაობის სისტემის, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმებისა და სასოფლო თემის მმართველობის სოციალურ ინსტიტუტებში (ავალიანი ა., 1960; მგელაძე ნ., 2004; ჩელებაძე ნ., 2005; აჩუგა თ., 1990). ამის კონკრეტული და მეტად თვალსაჩინო მაგალითია იმავე დ. ბაქრაძის დაკვირვება აჭარულ საქორწინო წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებზე. ქორწინების ინსტიტუტის ისეთი კომპონენტები, როგორცაა „წინასწარი მოლაპარაკება მშობლებს შორის, შუამავლის მეშვეობით, მზითვის პირობა და თვით მზითველი, დაწინდვა და მისი ცერემონია, სიძე-პატარძლის სახელები ქორწილის დროს, მეფე, დედოფალი, ასევე სიძე პატარძლის მხლებელთა სახელები-მაცრები. სიმღერა, რომელსაც ამ დროს ასრულებენ, – მაცრული. მისი სიტყვები და კილო, თვით ქორწილის ზეიმი – სამი დღე ქორწილი, ყველაფერი ეს წმინდა ქართულია და იგი შემონახულია არა მარტო აჭარაში, არამედ ყველა ამ მხარის ქართველ მუსლიმანებში, – წერდა იგი 1874 წლიდან (ბაქრაძე დ., 1987:0–51).

აჭარისა და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის გმირულ წინააღმდეგობას უცხოელმა დამპყრობლებმა განსაკუთრებით სასტიკი პოლიტიკა დაუპირისპირეს. კერძოდ, ყოფის და კულტურის ზემოთ განხილულ სფეროებში იმთავითვე აქტიურად უკუგდებული ოსმალო ასიმილატორთა ძირითადი შემტევი

ძალა ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ იქნა მიმართული, რომელიც დაპყრობთა უღელქვეშ მოქცეულ აჭარაში ეროვნული მეობის, ქართველობის დაცვისთვის ბრძოლის მეთაურად გამოდიოდა. თანადროულ ქართველ და უცხოელ მემატყიანეთა მეტად მწირი და ფრაგმენტული ცნობები ნათლად მეტყველებენ ქართველი ხალხის შეუპოვარ და თავგანწირულ ბრძოლებზე თურქოსმალთა ურიცხვი შემოტევების წინააღმდეგ. შემოტევებისა, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკითა და სიმძაფრით გამოირჩეოდა და რომელიც ქართველობის ფიზიკურ მოსპობას ან ეროვნულ გადაგვარებას ისახავდა მიზნად (ახვლედიანი ხ., 1946:14–15 ბაქრაძე დ., 1987:72; ჭიჭინაძე ზ., 1907:8–11). მძიმე განსაცდელი, რომელიც იმხანად აჭარას, ქართული ქრისტიანული კულტურის ერთ–ერთ ისტორიულ თემს დაუდგა, როგორც ცნობილია, ტრაგიკულად დასრულდა. ტრაგედია კი არა მარტო ამ ძირძველი ქართული კუთხეების დაკარგვაში გამოიხატა, არამედ არნახულ დემოგრაფიულ კატასტროფაში, რომლის დროსაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ბრძოლაში გაწყდა, ნაწილმა იძულებითი მიგრაციებითა და საქართველოს მეზობელ კუთხეებში გახვეწით უშველა თავს, ხოლო ნაწილი ადგილობრივი დიდებულთა და უცხო დამპყრობთა განსაკუთრებული თარეშის, მძიმე სოციალური ჩაგვრის და ტყვეთა სყიდვის მსხვერპლად იქცა (ბაქრაძე დ., 1987:72; ფუტკარაძე თ., 2005:11; თაყაიშვილი ე., 1990:138).

ბუნებრივია, უცხოელ დამპყრობთა ეს კატასტროფული შემოსევები აჭარაში მშრომელი მოსახლეობის ქართველობისთვის თავგანწირული ბრძოლის საერთო ფონს ვერ შეცვლიდა. ალბათ ამით უნდა აიხსნას განთავისუფლებამდე და შემოერთების შემდეგ აჭარელთა რელიგიურ ყოფაზე უშულო დამკვირვებელთა არაერთი განცხადება, რომელთა მიხედვითაც ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი საკმაო ლოიალობით იყო განწყობილი ისლამის ორთოდოქსალური დოგმებისადმი და არ გამოირჩეოდა რელიგიური ფანატიზმით. „აჭარელთა ზნეობრივი თვისებები ამოიწურება მაჰმადიანური რწმენის დოგმატებისა და ჩვევების პასიური ცოდნით“ – წერდა მხარის განთავისუფლების წინ გ. ყაზბეგი (ყაზბეგი გ., 1995:61) საგულისხმოა დ. ბაქრაძის

მიერ 1874 წელს ზემოხსენებული დიასამიძისგან ჩაწერილი მონაცემები, რომლის მიხედვითაც ჯერ კიდევ მის ახალგაზრდობაში მოსახლეობა თამარ მეფის აშენებულ ეკლესიათა ნანგრევებში ძველი ქრისტიანული ჩვეულებისამებრ ლოცულობდა. „ვიციოდით, რომ ჩვენი მამა-პაპანი ქრისტიანები იყვნენ და რომ ჩვენ მოდგმით ქრისტიანები ვართ... ძველი ქრისტიანული ჩვეულებებიდან ზოგი რამ ჩვენში დღემდე შემორჩენილია, მაგალითად, კვერცხების შეღებვა საადდგომოდ, გვახსოვს წინანდელი ქრისტიანული დღესასწაულებიც“ – დასძენდა მოხუცი აჭარელი (ბაქრაძე დ., 1987:46). მართლაც მანიშნებელია, რომ ზემო აჭარაში განთავისუფლებამდე სულ რაღაც 40-მდე, ხოლო ბათუმში 15-ოდე წლით ადრე აშენებულმა პირველმა მეჩეთებმა და დამპყრობთა ძალმომრეობამ, ხოლო შემდეგ დედასამშობლოსთან დაბრუნებულ აჭარაზე ოსმალთა ასიმილაციონითა და ცარიზმის მოხელეთა მიერ თავს დატეხილმა ახალმა უბედურებამ – რელიგიური ფანატიზმის ნიადაგზე ინსპირირებულმა მუჰაჯირობამ, რასაც ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის მამა-პაპური მიწებიდან აყრა და ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება მოჰყვა, საბოლოოდ ვერ ამოძირკვა ქართველი კაცის ქრისტიანული სული და გული. ამასთან ერთად კი არსებითად შეურყეველი დარჩა ეროვნული თვითშეგნებისა და თვითმყოფადობის ის ბალავარი, რომელიც არსებითად განსაზღვრავდა აჭარელის ქართულ ეროვნულ იერსახეს, მის ფსიქიკას, საბოლოო ჯამში კი მის ეროვნულ ხასიათს.

ლიტერატურა:

1. აბაშიძე ჰაიდარ, წერილები, თბ., 1963.
2. ავალიანი ა. მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში (XIX ს. 40-70-იანი წლები), ბათუმი, 1960.
3. ახვლედიანი ხ. აჭარა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ბათუმი, 1946.
4. აჩუგა თ. ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, ბათუმი, 1990.
5. ბექაია მ. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974.

6. ვარშალომიძე ჯ. ორნამენტი ხეზე. აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ბათუმი, 1979.
7. თაყაიშვილი ე. სამუსლიმანო საქართველო, „მნათობი“, № 8, 1990.
8. კახიძე ნ. ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა, ბათუმი 2004.
9. მგელაძე ნ. აჭარული ნოგრო და გვარი, ბათუმი, 2004.
10. მგელაძე ვ. ზემოაჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973.
11. მიქელაძე ჯ. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, ბათუმი, 1982.
12. რობაქიძე ალ. რედაქტორისაგან, კრებ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, I, თბ., 1971.
13. რობაქიძე ალ. მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, II, თბ., 1974.
14. სამსონია ი. ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.
15. ფუტყარაძე თ. აჭარის მოსახლეობის მიგრაცია და ეთნოდემოგრაფიული პრობლემები პოლიეთნიკურ რეგიონებში, ბათუმი, 2005.
16. ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქათველოში, ბათუმი, 1995.
17. შამილაძე ვ. ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969.
18. ჩელეზაძე ნ. ქალი და ოჯახი, აჭარის ეთნოგული მონაცემების მიხედვით, თბილისი, 2005.
19. ჩიჯავაძე ნ. სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971.
20. ჭიჭინაძე ზ. ქართველების გამაჰმადიანება, თბ., 1907.
21. Бакрадзе Д.З. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб., 1878.
22. Казбек Г.Н. Три месяце в Турецкой Грузии, Известия Кавказского отдела Имиера-Торского Русского географического общества, VII, № 1, 1881.
23. Лисовский В.Я. Чорохский край, вып. 1-2, Тифл., 1907.

**ტრადიციული ქართული მენტალობის
ისტორიიდან
(სამხრეთ-დასავლეთ საქართველო)**

ტრადიციული ქართული მენტალობის ბევრი მახასიათებელი დღემდე შემონახული საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, მათ შორის, სამხრეთ-დასავლეთ ქართველთა ყოფა-შიც.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ, მიუხედავად დამპყრობელთა მხრიდან გამოვლენილი სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური აგრესიისა, შეინარჩუნა ძველქართული ტრადიციული მენტალობის მრავალი ელემენტი.

ტრადიციული ქართული მენტალობის ამა თუ იმ მოტივს სამხრეთ-დასავლეთ ქართველთა შორის არაერთი მკვლევარ-მოგზაური აღწერდა. მასალა ძირითადად XIX საუკუნის ამსახველია. XIX საუკუნის მიწურულისა და მთელი XX საუკუნის ეთნოგრაფიული ინფორმაცია კი, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილს – აჭარას – ეხება, მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ იგი ოსმალური უღლისაგან თავდაღწეული ქართველების ტრადიციულ ქართულ ფასეულობებთან ღიად და დაუფარავად დაბრუნების პროცესს წარმოაჩენს. ხოლო საქართველოს ხელახალი გათავისუფლების შემდეგ (1991 წ.), საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობის შედეგად, შესაძლებელია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის მოპოვება თურქეთის ეთნიკურად ქართულ მოსახლეობაშიც.

ტრადიციული მენტალობის კვლევისას იკვეთება ერთი საყურადღებო ტენდენცია, რომელიც ყოველ ეთნოსში იჩენს თავს, უცხო ეთნოსის მხრიდან გამოვლენილი აგრესიის საწინააღმდეგოდ. ეს არის *თვითგადარჩენის ერთგვარი მექანიზმი და იგი ტრადიციული (ეთნიკური) ცხოვრების წესისა და მენტალობის, ეროვნული ფასეულობების დაცვასა და მომავალი თაობები-*

სათვის გადაცემას ემსახურება. ამგვარი მექანიზმი მოქმედებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც. დამპყრობელთა მხრიდან გამოვლენილ სოციალურ-რელიგიურ წნეხს სამხრეთ-დასავლეთ ქართველებმა არანაკლებ ძლიერი, თვითგადარჩენისა და ქართველობის შენარჩუნებისაკენ მიმართული ე. წ. *მენტალური კედელი დაახვედრეს, რომლის სიმყარე და სიმკვრივე სამასწლოვანმა ოსმალურმა და საუკუნოვანმა რუსულმა რეჟიმმაც კი ვერ გაარღვია.*

ტრადიციული ქართული მენტალობისადმი ერთგულებას ავლენს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფის მრავალი ნიუანსი, რაც გამოხატულია როგორც მატერიალურ და სულიერ, ასევე, სოციალურ კულტურაში. *მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალა, –* და აქ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეთნოგრაფიულად ყველაზე ამომწურავად სწორედ აჭარაა შესწავლილი, თუმცა არც ესაა შემთხვევითი ფაქტი, აქაც ეთნიკური თვითგადარჩენის ცნობილ ფაქტორებთან გვაქვს საქმე, თვითმყოფადი ეთნიკური კულტურის ყველაზე ერთგული მსახური ხომ უთუოდ ეთნოლოგიური მეცნიერებაცაა, – *წარმოაჩენს უძველესი ქართული კულტურის თითქმის ყველა ნიშნის არსებობას ამ მხარეში.*

ქართული ტრადიციული მენტალობის უმთავრესი ელემენტები, მათ შორის *ქრისტიანული მოტივებიც*, ხშირად შენიღბული, მაგრამ მაინც არსებული და თუნდაც გაუცნობიერებელ დონეზე შემონახული, – ლაიტმოტივად მოჰყვება აჭარის ყოფას: ამის შესახებ ბევრი დაწერილა და ჩვენი ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობის იმედსაც სწორედ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა და თანამედროვე ვითარება გვინერგავს.

ცნობილია ქრისტიანული რელიგიის დიდი გავლენა ტრადიციული ქართული მენტალობის ფორმირების თვალსაზრისით. რელიგია ეხმარებოდა მუდმივად საომარ მდგომარეობაში მყოფ ქართველებს ეროვნული იერსახის შენარჩუნებაში, რისი ერთ-ერთი მაგალითი იმ 130 ხიხაძირელი მოწამის ცხოვრებაცაა, რომელთაც გამუსლიმებას სიკვდილი არჩიეს, მათ, გადმოცემით, ერთ დღეს მოჰკვეთეს თავი. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ

სამხრეთ-დასავლეთ ქართველთა ყოფამ წარმოაჩინა სხვა საგულისხმო მომენტიც: საქართველო და ქართველობა უმთავრეს ფასეულობას წარმოადგენდა იძულებით გამუსლიმებულ ქართველთა შთამომავლებისთვისაც, ქართველობისთვის თავგანწირვის საოცარი მაგალითია, თუნდაც ეროვნული გმირის, სარწმუნოებით მუსლიმის, სელიმ ხიმშიაშვილის ქმედება, რომელიც დაუპირისპირდა უძლიერეს ოსმალურ იმპერიას და შეეწირა თურქეთისაგან საქართველოს ერთი ნაწილის – ე.წ. ახალციხის საფაშოს გათავისუფლებას. *სამხრეთ-დასავლეთ ქართველთა ტრადიციული ქართული მენტალობის ნათელი დასტურია სამშობლოსთვის თავგანწირვის არაერთი სხვა მაგალითი.* ამ მხრივ საგულისხმოა უცხოელის თვალთ დანახული აჭარა, ტრაპიზონში ინგლისის კონსული ჯ. პალგრევი, (1867-1872 წწ.) წერს: “მათ სძულთ საერთოდ ოსმალთა მთავრობა, ზოგჯერ აშკარად ჯანყდებიან მის წინააღმდეგ” (ი. ბექირიშვილი, 1981, 109). აღსანიშნავია, რომ ფოლკლორისტთა დაკვირვებით, ცნობილი ხალხური ლექს-სიმღერა “*თამარ მეფე და ხონთქარი*”, რომელშიც ასახულია თამარ მეფის საბრძოლო გამარჯვებები, სწორედ *აჭარაშია* შექმნილი:

“თამარ მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშო ხომალდი,
ზედ აღმასები დაჰკიდა.
ზედ დასხა ქართველთ ლაშქარი,
მრავალ წყალობას დაჰპირდა”

(სიხარულიძე ე., 1949, 72).

სიმღერაში მნიშვნელოვანი მენტალური მახასიათებელია შემონახული – ოსმალთაგან დაპყრობილ და იძულებით გამაჰმადიანებულ ქართველთა შთამომავლები – *სამხრეთ-დასავლეთ ქართველები თავიანთ მეფედ თამარს მიიჩნევენ და არა ხონთქარს, თამარის ძლევა მოსილებას შეჰხარებენ და არა ხონთქარისას. თამარ მეფის ხსოვნა, დროთა განმავლობაში, მათი ქართველობის მარკერად ჩამოყალიბდა, დასტურად იმისა, რომ ისინი, სარწმუნოების შეცვლის მიუხედავად, მაინც ქართველებად რჩე-*

*ბოდნენ და ქართულ ეთნიკურ კულტურას – წარმოდგენილს
თამარ მეფის ხატებაში – მიეკუთვნებოდნენ.*

მენტალური მახასიათებლების გამოვლენის თვალსაზრისით საგულისხმოა იძულებით გამაჰმადიანებულ ქართველთა ყოფაში შემონახული ქრისტიანული კულტურის სხვადასხვა ელემენტი – ცნობილია, აჭარიდან განათლდა დანარჩენი საქართველო (დია-სამიძე ბ., 1999) – ტოპონიმიკა; ფოლკლორი; საოჯახო ყოფის ქართული ხასიათი, ისლამური კულტურისათვის დამახასიათებელი მრავალცოლიანობის არარსებობა (ქართველთა შორის მრავალცოლიანობა მხოლოდ დიდგვაროვან ან ოსმალეთის სამოხელეო აპარატში დაწინაურებულ მოხელეთათვის იყო დამახასიათებელი); ძველი ქართული გვარების ხსოვნა; სტუმართმოყვარეობა (“სტუმარი ღვთისაა”); ქართული ტანსაცმელი; ქრისტიანული სიმბოლიკის გამოხატვა საცხოვრებლებელ და სამეურნეო ნაგებობებზე, ავეჯზე და თვით არაქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა ინტერიერზეც; ზოგიერთი ქრისტიანული დღეობისა და წეს-ჩვეულების არსებობა (აღდგომა, ბზობა/ ”გზობა” ლაზარობა/”ნაზარიობა”, ფერიცვალება, “ზიარეთობა”); ხალხურ მედიცინაში შემონახული გადმოცემა – სამკურნალო მცენარეულობის ბაღის სახელი – “მარიამის ბაღა”; ურთიერთდახმარების ძველი ქართული ფორმები (ნადი); ქალის მაღალი უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობა და სხვა. ალბათ ამიტომაც ფიქსირდებოდა ეთნოგრაფიული ფაქტები, როდესაც უკვე გამუსულმანებული ქართველი ქალები მამაკაცების მალულად ჯვარს ატარებდნენ, კეცებზე ჯვრებს ამოღარავდნენ და სააღდგომოდ წითელი კვერცხებით გადიოდნენ სასაფლაოებზე (კახიძე ნ., 1975, 153). ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვრის, მუსულმანი დამპყრობლისაგან დევნილი – ვაზისა და მისი პროდუქტის ღვინის მონატრების, – *ტრადიციულ რელიგიასთან და მეურნეობის დარგთან იძულებით გაწყვეტილი კავშირის ტკივილიანი მოტივები* მოჩანს მთელ აჭარაში გავრცელებულ ლექს-სიმღერაში:

“ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,
სად წადი და რომელ მხარეს,
მამა-პაპურო ვენახო,

სად წადი და სად მოგნახო,
მოგნახე და აგაყვავე,
შენს ძირ-ფესვებს ვენაცვალე”

(ჩხეიძე ჯ., 1961, 65).

მსგავსი მენტალური მომენტები უფრო სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს. ერთი რამ კი ცხადია, ქართული კულტურის ცხოველმყოფელობა თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ზოგადად, მთელ სამხრეთ-დასავლეთ ქართველეთა შორის, განსაკუთრებით კი აჭარის ქართველთა მენტალობაში. ცხადია, ხეზე კვეთილობისა და მოხატულობების ნიმუშებში, მუსიკალურ ფოლკლორში, აგრეთვე სხვა ყოფით პასაჟებში თავჩენილი ფსიქოლოგიური და ესთეტიკური მოტივები გარკვეული მენტალური მახასიათებლის – ძველი ქართული ქრისტიანული სარწმუნოებისადმი პატივისცემის გამოძახილია და იგი ამ მასალის ფიქსირების დროისათვის (XIX–XX საუკუნეთა მიჯნა) უკვე მიმქრალი რელიგიური შეხედულებების ერთგვარი რეკონსტრუქციის შესაძლებლობასაც იძლევა.

ძველქართული მენტალობის მნიშვნელოვანი პასაჟი – *ერთგულება მეფისადმი* – შემონახულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც. საგულისხმოა, რომ თვით პირველივე ფოლკლორული ნიმუში, რომელშიც მეფის ხოტბაა აღვლენილი, აჭარაშიცაა (ახვლედიანი ა., 1970) ჩაწერილი:

*“ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა”.*

უკვე ამ პირველივე სიუჟეტურ ქარგაში თავმოყრილია უმთავრესი მენტალური მოტივები, რომლებიც “მეფე”–სთან მიმართებით იკვეთება ტრადიციულ ქართულ კულტურაში: *მეფე ღვთისგან ნაკურთხია, შესაბამისად, კი დიდი ზებუნებრივი ძალის მქონეა და, რაც მთავარია, მეფე ერისთვის, ქვეყნისთვის თავდადებულია*. ეს ელემენტები ოდინდელია, ისინი უთუოდ ბიბლიიდან მომდინარე და საისტორიო ტრადიციით განმტკიცებულია. ხოლო თამარ მეფესთან დაკავშირებული მასალა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფოლკლორის უდიდეს ნაწილს

შეადგენს. დიდი, წმიდა მეფის თამარის შესახებ არსებული გადმოცემები – კოლექტიური ხსოვნის გასოცარი ხანდაზმულობისა და დროში გამძლეობის იშვიათი ნიმუშებია. ეთნოგრაფიული მასალით, თამარის აგებულად ითვლება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქრისტიანულ სიწმიდეთა, ციხე-სიმაგრეთა და ხიდთა უდიდესი ნაწილი: სხალთის ეკლესია, ეფრატის ეკლესია, ხერთვისის ეკლესია, ხიხანის ციხე, ვარდციხე, გონიოს ციხე, გვარას ციხე, ეკლესიათა და ციხეთა დამაკავშირებელი საიდუმლო გვირაბები მაჭახელში; გოგნარის ციხე მურღულში, დიობნის ციხე იმერხევში და სხვა (ჭიჭინაძე ზ., 1911; სახოკია თ., 1950; ახვლედიანი ა., 1970; ფუტყარაძე ტ., 2007; მალაყმაძე რ., 2008). მშენებლობებთან დაკავშირებული სიუჟეტები თითქმის ერთგვაროვანია, მსგავსია, მაგალითად, ხიხანის ციხის აგების ლეგენდისა: ხიხანის/ხირხანის ციხის მშენებლობისას გვირგვინოსანს ხიხაძირის ციხესა და დანდალოს შუა სიგრძეზე ხალხი ჩაუმწყვრივებია, რომლებიც საშენ მასალას ხელიდან ხელში აწვდიდნენ ერთმანეთს (სახოკია თ., 1950, 200). 1917 წლის ეთნოგრაფიული მასალით, იშხანში, ხახულში, ოთხთა ეკლესიასთან და პარხალში მცხოვრებნი ამ ეკლესიების აშენებას თამარ მეფეს მიაწერდნენ, გადმოცემით, “თამარს ჰყავდა თეთრი რაში ისეთი, რომ ერთს დღეს შეეძლო მოეგლო ოშკი, იშხანი, ოთხთა ეკლესია და პარხალი. კობაკის მახლობლად უჩვენებენ კლდეს ხელისგულის გამოსახულებით და ამბობენ, ეს თამარ მეფის ხელის ნაშთიაო” (თაყაიშვილი ე., 1991, 220-221). ეკლესიების, ციხეებისა და ხიდების გვერდით, ცნობილია თამარ მეფისეული სარწყავი არხები, წყაროები და მინერალური სამკურნალო წყლები: პარხლისწყლის ხეობის ზემო სოფლებში “დღემდის დარჩენილია ძველი გრძელი არხი... გაჭრილია კლდეში რამოდენიმე ვერსის სიგრძეზე... ამას მიაწერენ თამარ მეფეს” (თაყაიშვილი ე., 1991, 221); ცნობილია ფურტიოში – “თამარის წყარო” (ზემო აჭარა), კირნათში – “ნეფე-წყალი” (ქვედა მაჭახელი), ხოფასთან, ბუჯალში – “მეფა წყარი” (ლაზეთი), ოთინგოს აბანო ლიგანის ხეობაში და სხვა (სახოკია თ., 1950; ჭიჭინაძე ზ., 1911; ყიფშიძე ი., 1939; მალაყმაძე რ., 2008). შავშური და მაჭახლური გადმოცემებით, თამარ მეფის აგებული და გამშვენიერებულია მაჭახლის მთავარი ეკლესია – ეფრატის

ტამარი (ჭიჭინაძე ზ., 1911, 22). (მაჭახლელოთა დედა-ეკლესია დღეისათვის მხოლოდ სამირკვლის სახით არის შემონახული). თამარ მეფის დროინდელ კულტურულ აღმშენებლობას ეძღვნება მთელ საქართველოში და მათ შორის, აჭარაში გავრცელებული ლექსი “უბისს ავაგე საყდარი”, რომლის მეტად საინტერესო ვარიანტი ა. ახვლედიანს ჩაუწერია ხინოში (წერაქვეთში) 1962 წელს 85 წლის ახმედ ქათამაძისაგან:

“უბისს საყდარი ავაგე,
უწყლოსა წყალი გავიღე,
ისპანს ბეგარა დავსდევი,
სტამბოლს ხარაჯი ავიღე.
თეთრ ზღვაში რკინა ჩავაგდე,
ხმელეთი ჩემკენ მოვიღე,
ამდენი საქმის მოქმედმა რომელიც
ცხრა ადლი ტილო წავიღე”

(ახვლედიანი ა., 1970).

“ჩვენებურთა” ისტორიულ მეხსიერებაში დავანებულ წმიდა მეფის თამარის ნათელი ხატებაში, ცხადია, კონკრეტული ქრისტიანული რელიგიური ცოდნა დაკარგულია, მაგრამ ტოპონიმები, ლეგენდები და ძველი დიდების მატერიალური ნაშთები (ციხეები, ხიდები, ნაეკლესიარები) *ქართველობასთან იდენტობის მასულდგმულელებელი მომენტებია. დიდი მეფის ხატებაში ფოკუსირებულია ყველა მხარისა და რელიგიური აღმსარებლობის ქართველის იდენტობა ქართველობასთან და ქართულ კულტურასთან. წმიდა მეფის ხსოვნაში საქართველოს დიადი წარსულით გამოწვეული სიამაყე, ნაკლებ სახარბიელო თანამედროვეობა და უთუო ნათელი მომავლის რწმენა გადაჯაჭვულია და შეიძლება ითქვას, თამარ მეფის ხსოვნა ქართველთა მენტალობის უშრეტი წყაროა, რომელიც, ამავე დროს, ჩვენი ეროვნული კულტურისა და დღევანდელი ქართველის მიერ ძველ, ტრადიციულ ქართველთან, ტრადიციულ მენტალობასთან გადებული ხიდის სიმბოლოსაც წარმოადგენს და რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს თურქეთის ეთნიკურ ქართველთა ინტეგრირება და ადაპტირება თანამედროვე ქართულ კულტურულ სივრცესთან.*

ცალკე აღნიშვნის ღირსია შემდეგი მენტალური მომენტები: მკვლევარ-მოგზაურები ხაზგასმით აღნიშნავენ *სამხრეთ-დასავლეთ ქართველთა ფიზიკურ სილამაზეს და სათუთად შემონახული ქართული ენის სიწმინდეს*: “აჭარლებს რომ აკვირდებით, უნებლიეთ გოცებთ მათი წმინდა ქართული ტიპი” (ბაქრაძე დ., 1987, 61), მიზეზი კი, ცხადია, იმ ობიექტურ გარემოებაშია საძიებელი, რომ “არ ყოფილა ქობულეთ-აჭარას სხვა ტომის ქალი ცოლად შერთო და ამის მეოხებითაც ხალხიც არ გადავკარებულა. ქობულეთ-აჭარლები ნამდვილი ტიპია ქართველი ხალხისა” (“სახალხო გაზეთი”, 1914). “ქართული დაცულია მათ შორის და უფრო უკეთესიც, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეში” (სახოკია თ., 1950, 112). ხოლო ის თუ როგორ უვლიდნენ და პატრონობდნენ აჭარლები ქართულ ენას, თვალსაჩინოდაა ასახული ერთი რიგითი აჭარლის (XIX ს.) ბრაზიან გამონათქვამში: *“ქართული ლაპარაკის დაკარგვა ჩემმა მტერმა თქვა... მას თუ საჭირო გახდება, ფიშტოთი და მაჭახლითაც დავიცავთ, მას ცოცხალი თავით არავის დავაჩაგვრინებთ და დავანებებთ”* (დონაძე ვ., 1981, 93). ამ მხრივაც აღსანიშნავია სამხრეთ-დასავლელი ქართველი ქალის დიდი ღვაწლი. “ოჯახში ყველა ქართულად ლაპარაკობს. მეტადრე ქალები არიან წმინდად დამცველნი ჩვენი ენისა” (სახოკია თ., 1950, 235). ბუნებრივია, მაღალ ქართულ ფეოდალურ კულტურას, თუნდაც “ვეფხისტყაოსნის” იდეალებს ნაზიარები ქართველი ქალი ადვილად ვერ შეელოდა ტრადიციული, მშობლიური ყოფისაგან მოწყვეტას და იგი თაობიდან თაობას გადასცემდა ქართულ ენასა და ადათ-წესებს.

სამხრეთ-დასავლეთ ქართველებმა შემოინახეს *ქართული მენტალობის კიდევ ერთი მახასიათებელი – სტუმართმოყვარეობა*. თ. სახოკია ხაზგასმით აღნიშნავდა: “ყოველივე უსასყიდლოდ შემომთავაზეს. საჭმლისა და სტუმრის პატივისცემისათვის სასყიდლის შეძლევიტ აჭარელს საშინელ შეურაცხყოფას მიაყენებ” (სახოკია თ., 1950, 115). აჭარის ყოფამ შემოგვინახა ტრადიციული ქართული კულტურის სხვა ნიშანიც – *ე. წ. სასტუმრო სახლები და ოთახები*, სადაც ყოველ მოგზაურს გულუხვი მასპინძლობა ელოდა. “აჭარელს, თუკი რამ აზადია, სტუმრის პატივისცემა

დიდ ნეტარებად მიაჩნია. სტუმარს ღვთის კაცადა სთვლის” (სახოკია თ., 1950, 175). დღესაც, აჭარისა და ისტორიული საქართველოს ამა თუ იმ სოფლის ყოველი სტუმარი, ასეთივე სტუმართმოყვარეობის მხილველი ხდება და ძველი ქართული მენტალობის ამ გამოძახილმა მადლიერებითა და სიამაყით აგვავსო აჭარის, იმერჯევის, ტაოს, ლიგანისა და მაჭახლის ხეობების სტუმრები.

ქართული ქრისტიანული კულტურის გამოძახილია თედო სახოკიას მიერ აჭარაში შენიშნული ჩვეულება: *“უყვართ გაჭირვებული მეზობლის გაკითხვა. რაც არ უნდა უჭირდეს აქაურ გლეხს, სხვა ერის კაცივით, შარაგზაზე არ გამოდგება და გამკლავ და გამომვლელს მოწყალებასავით ხელს არ გაუშვებს... ყველა გლეხი თავის წმინდა მოვალეობადა სთვლის... მეზობელს რამე უწილადოს... და სისაწყლეს არ დააჩავგრინოს”* (სახოკია თ., 1950, 173-174).

საგულისხმოა შემდეგი მენტალური მახასიათებლებიც: *“აჭარელი მეტად თავაზიანია, ზრდილი და პირად მთქმელი... ერიდება კაცის შეურაცხყოფას, მაგრამ ერიდება იმასაც, რომ სხვებმაც არ შეურაცხყოს იგი”* (სახოკია თ., 1950, 204); *“აქ ვერ გაიგონებთ... უწმაწურ სიტყვა-პასუხს, ლანძვრა დიდ სირცხვილად მიაჩნიათ”* (სახოკია თ., 1950, 118).

ქართული ფეოდალური ხანის სახელმწიფო და კანონიკური სამართლის სიცოცხლისუნარიანობის დასტურია *აჭარის ჩვეულებითი სამართალი*. მასში მრავალი საერთო ქართული კანონმდებლობიდან მომდინარე ძველქართული მენტალური ნიშანია შემონახული. შარიათმა თითქმის ვერ შეაღწია აჭარელთა საშინაო ყოფაში და ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება ძირითადად ქართულ საოჯახო ტრადიციებს ეფუძნებოდა ოსმალური მმართველობის პერიოდშიც. *“უნდა ახლო გაიცნო კაცმა აჭარელი, რომ... დააფასოს მისი რაინდული ხასიათი. თუ კარგი გული უჩვენეთ, თქვენთვის თავის დადებას ნეტარებად ჩასთვლის ეს მთის შვილი. მაგრამ თუ, ერთი ბეწოც არის, მუხანათობა შეგატყოთ, დაუნდობელია. შეურაცხყოფა, მისი აზრით, მარტო სისხლით მოიბანება”* (სახოკია თ., 1950, 131). განვიხილოთ ზემო აჭარაში მოარული ერთი ისტორია: ცნობილია, სისხლის აღების

წესი ქართველ მთიელებში გვიანობამდე არსებობდა. შურისძიება აჭარაშიც ღირსების საქმედ ითვლებოდა და “სისხლის შექმა” – აუღებლობა სირცხვილად მიიჩნეოდა. ერთი აჭარელი ჩასაფრებია მოსისხლეს სახლთან, ფანჯარასთან და ყური მოუკრავს საუბრისათვის. ცოლის შეკითხვაზე, – არ გეშინია შინ მოსვლის, მტერი მოგკლავსო, – ქმარს უპასუხია, – მე ისეთი ვაჟკაცი მტერი მყავს, ცოლის თვალწინ არ მესვრისო. ფანჯარასთან დადარაჯებულ მოსისხლეს ორი ტყვია რაფაზე დაუტოვებია იქ ყოფნის ნიშნად, თვითონ კი იქაურობას გარიდებია და სისხლის ადებაზეც ხელი აუღია. (ქართული ჩვეულებითი სამართალი, 1991, 179). ამ ყოფით ისტორიაში წარმოჩენილი ტრადიციული ქართული მენტალიტეტი, *თავმოყრილი რიგითი ქართველის (ზემო აჭარლის) მსოფლადქმაში*, მთელი სისრულით გამოხატავს *ქართულ რაინდულ კოდექსს*, ქალისადმი პატივისცემასა და ქალის მაღალ უფლებრივ მდგომარეობას.

დასკვნის სახით მომაქვს დიდი ილიას სიტყვები, მიძღვნილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსადმი, რომელშიც შემაჯამებელი სახითაა წარმოდგენილი სამხრეთ-დასავლეთ ქართველთა მენტალობის უმთავარესი მახასიათებლები: *“საკვირველს მედიდურ სანახაობას წარმოადგენდა იგი საქართველოს ისტორიაში... ჩვენი ყოველი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავის სახელგანთქმული დროშა... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას და ერთ დროს... ქრისტიანობამ იქ, მოიკიდა ფეხი და იქიდან იწყო მან გავრცელება დანარჩენ საქართველოში”* (ილია ჭავჭავაძე, 1941, 310).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თანამედროვე ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა (2007 წლის კომპლექსური ექსპედიცია იმერხევში, – ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის ინსტიტუტი, ხელმძღვანელი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე; 2007 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია ხიხაძირის ხეობაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელმძღვანელი პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი; 2008 წლის ეთნოგრაფიული ექსპე-

დიცია მაჭახლის ხეობაში, ხელმძღვანელი ოსმან ოზქეთი) ადასტურებს ტრადიციული ქართული ღირებულებების სიცოცხლისუნარიანობას ამ მხარეში, ვგულისხმობ არა მხოლოდ აჭარას, არამედ სამხრეთ-დასავლეთ ქართველთა იმ ნაწილსაც, დიდი ხნის წინ რომ მოწყდა საქართველოს; ეს ძირძველი ქართული ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული თემები/ჯგუფები დღემდე ინახავენ ტრადიციული ქართული ყოფის ისეთ ნიუანსებს, ისეთ წმინდა ქართულ მენტალურ პასაჟებს, თვითმყოფადი ქართული კულტურის გასაოცარი მობილობის და სიცოცხლისუნარიანობის კიდევ ერთ დასტურად რომ გვევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი ა., 1970 –ახვლედიანი ა., თამარ მეფის სახე აჭარულ სიტყვიერებაში, – აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი, 1970.
2. ბაქრაძე დ., 1987, _ ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.
3. ბექირიშვილი ი., 1981, _ ბექირიშვილი ი., ჯიფორდ პალგრევი აჭარის შესახებ, _ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IX, თბ., 1981.
4. დიასამიძე ბ., 1999 _ დიასამიძე ბ., ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999.
5. დონაძე ვ., 1981 _ დონაძე ვ., ნიკო ნიკოლაძე ბათუმის შესახებ, _ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IX, თბ., 1981.
6. ვარშალომიძე ჯ., 1974 _ ვარშალომიძე ჯ., ორნამენტი ხეზე ზემო აჭარაში, _ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, II, თბ., 1974.
7. თაყაიშვილი ე., 1991, _ თაყაიშვილი ე., სამუსულმანო საქართველო, _ ქართული ემიგრანტული ლიტერატურა დაბრუნება, ტ. I, თბ., 1991.
8. კახიძე ნ., 1975, _ კახიძე ნ., ხელოსნობა მაჭახლის ხეობაში, _სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, III, 1975.
9. მალაყმაძე რ., 2008, _ მალაყმაძე რ., ლიგანის ხეობა, თბ., 2008.

10. რობაქიძე ა., 1973 – რობაქიძე ა., რედაქტორისაგან, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, I, თბ., 1973.
11. სახალხო გაზეთი, 1914, – სახალხო გაზეთი, №1177, 1914.
12. სახოკია თ., 1950, – სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბ., 1950.
13. სიხარულიძე ქ., 1949, – სიხარულიძე ქ., ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949.
14. ფუტყარაძე ტ., 2007, – ფუტყარაძე ტ., იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი, ქუთაისი, 2007.
15. ფუტყარაძე შ., 1993 – ფუტყარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წ. I, ბათუმი, 1993.
16. ქართული ჩვეულებითი სამართალი, 1991 – ქართული ჩვეულებითი სამართალი, III, თბ., 1991.
17. **ყიფშიძე ი., 1939, – ყიფშიძე ი., ჭანური ტექსტები, ტფ., 1939.**
18. ჩხეიძე ჯ., 1961 – ჩხეიძე ჯ., შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარაში, ბათუმი, 1961.
19. ცეცხლაძე ნ., 2004 – ცეცხლაძე ნ., ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან, ბათუმი, 2004.
20. ილია ჭავჭავაძე, 1941 – ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, თბ., 1941.
21. ჭიჭინაძე ზ., 1911 – ზ. ჭიჭინაძე, თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ზეპირის ცნობებით, ტფ., 1911.

Розета Гуджеджиани

**Из истории традиционной грузинской ментальности
(Юго-Западная Грузия)**

Резюме

В историческо-этнографических краях Грузии по сей день сохраниены многие характерные черты традиционной грузинской ментальности. В статье рассмотрены основные вопросы древне-грузинской ментальности в Юго-Западной Грузии.

ზოგიერთი ქართული ეთნოგრაფიული რეალია შავშეთში, კლარჯეთსა და ტაოში

ბოლო დრომდე ქართველი მეცნიერი ეთნოლოგებისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, რომლებიც თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიან, მიუწვდომელი იყო. უპირველეს ყოვლისა შავშელ-იმერხველთა, ლიგანის ხეობელთა და ტაოში შემორჩენილ ეთნიკურ ქართველთა ყოფასა და კულტურას ყურადღება ბათუმში მოღვაწე ეთნოლოგებმა მიაქციეს (თამაზ ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელეზაძე...). ქუთაისის უნივერსიტეტის ექსპედიციამ, რომელსაც ტარიელ ფუტკარაძე ხელმძღვანელობს, ჩვენც მოგვცა საშუალება (როზეტა გუჯეჯიანსა და ნოდარ შოშიტაშვილთან ერთად) თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა ყოფას, ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს გაცნობოდით. ტაო-კლარჯეთ-შავშეთში ეთნიკურ ასიმილაციას გადარჩენილ ქართველთა ეთნოლოგიური შესწავლა მომავლის საქმეა. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ წინასწარი დაკვირვების შედეგებია წარმოდგენილი.

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ეთნოგრაფიული რეალიები და ქართული ენა უმეტესად შავშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში მაცხოვრებლებმა შემოინახეს. შავშეთი სამხრეთით უშუალოდ აჭარას ესაზღვრება. შავშეთში იყო X ს-ში დაარსებული ტბეთის მონასტერი, სადაც ტბელი ეპისკოპოსი იჯდა. 1547 წელს შავშეთი თურქებმა დაიპყრეს, ხოლო 1878 წელს რუსეთმა შეიერთა. შემდგომ კვლავ ოსმალეთმა დაიპყრო. შავშეთის ძველი სოფლები იქ მოსახლე ძირითადი გვარის სახელს ატარებდნენ. გვართა უმეტესობა -ძე სუფიქსს ირთავდა. 1886 წ. რუსეთის ხელისუფლებამ აღწერა შავშეთშიც ჩაატარა. აქ მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი ქართველ მაჰმადიანადაა ჩაწერილი. 1874 წელს სამხრეთ საქართველოში იმოგზაურა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელიც წერდა: „ამ საუბრის დროს

ქართული მაყრული შემომესმა. და მართლაც, ზენდიდელი ბეგი თურმე შავშეთელი ბეგის ქალზე ქორწინდებოდა და შავშეთიდან მას სიმღერით მიაცილებდა კარგა მოზრდილი მაყრიონი“ (ბაქრაძე დ.). შავშეთში, კლარჯეთსა და სხვა ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონებში ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა არაერთი ქართული ტრადიციული ყოფითი რეალია. იმავე ავტორს თუ მოვუსმენთ, ამაში უდავოდ დავრწმუნდებით: „აქაური საქორწინო წეს-ჩვეულება ბევრ რამეში ჰგავს ქართულს. მაგალითად, წინასწარი მოლაპარაკება მშობლებს შორის შუამავლის მეშვეობით, მზითვის პირობა და თვით მზითევი, დაწინდვა და მისი ცერემონია, სიძე-პატარძლის სახელები ქორწილის დროს – მეფე, დედოფალი, ასევე სიძე-პატარძლის მხლებელთა სახელები – მაყრები, სიმღერა, რომელსაც ამ დროს ასრულებენ – მაყრული, მისი სიტყვები და კილო, თვითონ ქორწინების ზეიმი სამ დღეს – ქორწილი, – ყველაფერი ეს წმინდა ქართულია და იგი შემონახულია არა მარტო აჭარაში, არამედ ყველგან ამ მხარის ქართველ მუსლიმებში.“ შავშეთის ნაწილი იყო იმერხევი. ქართული მეტყველება დღეს ძირითადად აქაა შემორჩენილი. სხვათა შორის, დღეს იმერხეველები შავშეთელებს „გადაბრუნებულ ქართველებს“ უწოდებენ. 1886 წლის საოჯახო სიებით შავშეთელები უკვე თურქებად იყვნენ აღრიცხული, თუმცა ეთნოგრაფიული მონაცემებით, XX საუკუნეშიც შავშეთში მოხუცებმა ქართული იცოდნენ. აღნიშნული აღწერით შავშეთში გათურქებული ქართველების რაოდენობა 9401 სული იყო. რაც შეეხება თვით ქართველთა რაოდენობას, ის 7556 კაცს შეადგენდა (მთლიანად ართვინის ოკრუგში ქართველების რაოდენობა 17802 სული იყო). 1907-1908 წლების სტატისტიკური მონაცემებით იმერხევში ქართველების რაოდენობა 6896 კაცი იყო. ოცი წლის განმავლობაში კლება აშკარაა (-562). 1907 წლის მონაცემებით, შავშეთის ერთ-ერთ სოფელში, კერძოდ სოფორაში მოსახლეებს ქართული ეთნიკური თვითშეგნება ჯერ კიდევ ჰქონდათ შემორჩენილი: სხვა სოფლის მკვიდრთაგან განსხვავებით ეთნიკურობის გრაფაში მათ „ქართველი-მაჰმადიანი“ აქვთ მიწერილი (სხვათა შორის, ამავე დემოგრაფიული მასალით, ართვინის ოკრუგის, რომელშიც ართვინის, არტანუჯის და

შავშეთ-იმერხევის უბნები შედიოდა, რამდენიმე სოფლის მცხოვრებთ მიწერილი აქვთ არა „ქართველი-მაჰმადიანი“, არამედ „ქართველი“, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მათ ისლამი არ ჰქონდათ მიღებული. ასეთ სოფელთა შორის შეიძლება დავასახელოთ *მანატბა* და *ბაზგირეთი* – იმერხევეში, *ანაგერტი* და *მეცაგილი* – არტანუჯის მხარეს, ე. ი. კლარჯეთში, *ბეშაული* და *კაბარჯეთი* – ართვინის მხარეს). ველზე მუშაობისას დასტურდება, რომ შავშეთში ოიკონიმები (სოფლის სახელები) მთლიანად ქართული იყო: *ანკლია*, *ვერხნალი*, *ზენდაბა*, *მოქეთა*, *მოროხოზი*, *მოხოზანი*, *სინგოთი*, *ხანთუშეთი*, *ცეცხლაური*, *ცორცელი*, *სათაფლია*, *გარყლობი*, *ახალხაბა*, *დაბაკეთილი*, *ტბეთი*, *თურმანიძე*, *ცივეთი*, *ციხისძირი*, *ჭვარები*, *დაბაწვრილი*, *მერია*, *სხლოზანი*, *ციხია*, *შავქეთი*, *ქვათეთრისი*, *ოქრობაქეთი*, *ვანთა*, *ველი*, *გურნათელი*, *საბუდარა*, *სათლელი* და სხვა. დღეს ოფიციალურად ეს ქართული სოფლის სახელები უკვე თურქული სახელებითაა შეცვლილი. მოსახლეობამ კი ქართული ტოპონიმები კვლავ იცის. უფრო მეტიც – შავშეთის მიკრო-ტოპონიმის (დეღეების, მთების, სახვნელების, სათიბების) დიდი ნაწილი კვლავ ქართულია. შავშეთშია ტბეთის შესანიშნავი ტაძარი, რომელიც 1960-იან წლებში დაუნგრევიათ. იმერხევეშია ტოპონიმი „ხანცთა“ – სოფელ უბესთან. გადმოცემით აქ ეკლესია და სასწავლებელი ყოფილა. დღეს ხანცთის მონასტრად ფორთის გუმბათოვან ტაძარს მიიჩნევენ. მიგვაჩნია, რომ ხანცთის მონასტერი იქ იყო, სადაც ტოპონიმი „ხანცთაა.“ არქიტექტურულმა ძეგლმა უბრალოდ ჩვენამდე ვერ მოაღწია – აქ ხომ სხვა არაერთი ეკლესია და ტაძარი მოისპო. „დიობნიდან უბეში რომ გადავიართ ძველად ავადმყოფების სახლი ყოფილა და ხანცთა იმიტომ დაურქმევიათ.“ ადგილობრივები ბევრ სოფელში ნაეკლესიარებს მიუთითებენ. ცნობილია, რომ ეთნოსის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ისტორიის მახსოვრობაა. შავშელ-იმერხეველებს თამარ მეფე ახსოვთ; მას უკავშირებენ ყველა ხიდის, ციხის, რუს აგებას. ისევე როგორც საქართველოს ყველა მხარეში, მიაჩნიათ, რომ თამარ მეფის საფლავი აქ არის. იმერხეველი მთხრობელი გვარწმუნებდა, რომ „სხლოზანს წევს თამარა. ველიდან უნდა შეიარო სხლოზანს. წამალი უჭამია და იქ დაწოლილა.“

შავშეთ-იმერხევი ეთნოგრაფიულად ძალიან ჰგავს მთიან აჭარას. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ სამეურნეო ყოფა თითქმის ანალოგიურია. ხნავდნენ ხის სახვნელით, რომელსაც აქ „არუნას“ უწოდებდნენ. მასში უღელ ხარს აბამდნენ (კორდის ხვნის დროს – ყვეარს). მესაქონლეობა ყიშლების და იაილების სისტემის იყო. მათის თვეში ერთი თვით ჯერ ყიშლებში ადიოდნენ, რომელიც სოფელთან ახლოს იყო, შემდეგ იაილებში ადიოდნენ. კოტორობამდე (სიმინდის მოჭრამდე) ისევ ყიშლებში ბრუნდებოდნენ.

ძირითად სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა მარხილი, რომლის ნაირსახეობას „ხიზეკი“ ეწოდებოდა. ზოგიერთ ადგილას მთლიან ხეში გამოჭრილი ბორბლიანი (გოგორიანი) ურემიც გვხვდება.

საცხოვრებელი სახლები ხისაგან იყო და დღესაც არის აშენებული. მისი პირველი სართული საქონლისათვის იყო განკუთვნილი. მას ახორი ეწოდებოდა. მეორე სართული საცხოვრებელი იყო, ხოლო მესამე დაბალი სართული ორი ნაწილისაგან შედგებოდა – ერთ ნაწილს ერქვა „მარანი“, მეორეს – „ბეღელი“. ძველად სახლები მთლიანი ძელებისაგან უკეთებიათ, ახლა სახლის კედლების ფიცარი „დახეულია“ (დახერხილია). დასახლება აჭარულს ჰგავს – თითოეულ სახლს ირგვლივ ეზო-კარმიდამო აკრავს. განსხვავებული დასახლების ტიპი მხოლოდ სოფელ ბაზგირეთშია. სოფელი ზღვის დონიდან 1900 მეტრზეა და ფერდობზე საცხოვრებლები ერთმანეთის მიჯრითაა განლაგებული. საყურადღებოა, რომ სამცხე-ჯავახეთის მსგავსად, იმერხევიც ჰქონიათ სამალავი დარანები. მაგალითად, სოფელ იფხრევლში ასეთი სამი დარანი ყოფილა, თითოეულში კი დაახლოებით 60 კაცი ეტეოდა. სოფლებში აუცილებელი სამარხილე გზები ჰქონდათ. ღობეები „წკნელით დაწნული“ იყო, თუმცა ქვისაგან გაკეთებული ღობეებიც იშვიათობას არ წარმოადგენდა. ხისაგან ჰქონდათ აგებული ორ-სამსართულიანი ნაგებობები – „ქორები“, რომლებშიც თივას ინახავდნენ. ქორი თითოეულ ოჯახს რამდენიმე ჰქონდა, ჭალებში ანუ სათიბ ადგილებში და სახლებთან. სათიბები, ისევე როგორც სვანეთსა და აჭარაში, ირწყვებოდა (რწყვაზე რიგი ჰქონდათ დაწესებული.

ვისაც დიდი მიწის ნაკვეთი ჰქონდა, მას წყალი უფრო დიდხანს ერგებოდა). ამის გამო აქ ორჯელ თიბავდნენ. პირველ მოთიბულს „თივას“ უწოდებენ, მეორედ მოთიბულს – „მორჩვს“ („შეკონილ, მოკოჭილ თივას ღორომი“ ერქვა). თიბვის დროს იცოდნენ ურთიერთდახმარება. იმის გამო, რომ ბალახსა და მორჩვს ქორებში ინახავდნენ, იმერხევის ლანდშაფტისათვის თივის ბულულები დამახასიათებელი არ არის. ერთადერთი გამონაკლისი, ამ თვალსაზრისით, სოფელი მანატბაა.

იმერხევში ბოლო დრომდე აკეთებდნენ ჭურებს. მას ძირითადად მწნილის ჩასადებად იყენებდნენ. სხვათა შორის, აქ რამდენიმე ჯიშის მსხალი (კვირისთავა, კალოპირული, მერულა, თავრიჟული, მარიობა, იშილა...) იყო გავრცელებული და ერთ-ერთი მათგანიდან („სართულა“) მწნილსაც აკეთებდნენ. ჭურებში ინახავდნენ თაფლსაც, ბექმეხსაც. ბექმეხი თუთის სქელი მოდუღებული წვეწია, ძალიან გემრიელი. ხილისაგან – ქლიავის, ვაშლის და მსხლისაგან ძირითადად დიდი რაოდენობით აკეთებდნენ ჩირს. შავშეთ-იმერხევში ორი სახის ყველს ამზადებდნენ – ერთი იყო „ფშვნილა“ და მეორე – „ჩეჩილი“ (მაჭახლელები ფშვნილას „ფუნჩხას“ უწოდებდნენ, ხოლო დაწულ ანუ ჩეჩილ ყველს „ჭიჭიკონს“). ყველი ძირითადად ძროხის რძისაგან უკეთებიათ, თუმცა სცოდნიათ თხისა და ცხვრის რძის შერევაც. ფშვნილას ხის ვედროებში – *კროჭებში* (დიდ კროჭებს *ქილაკს* უწოდებდნენ. კროჭი წყლის ჭურჭელიც იყო. მას თავსახურიც ჰქონია. ფშვნილას სდებდნენ ასევე ხისაგან გაკეთებულ ოვალურ და დაბალ ჭურჭელში, რომელსაც „კანდრას“ უწოდებდნენ) მთელი წლის განმავლობაში ინახავდნენ. დიდხანს ინახავდნენ ჩეჩილ ყველსაც. იცოდნენ ყველის გუდაში შენახვაც. გუდებს, ჩვეულებრივ, თხის ტყავებისაგან აკეთებდნენ. შავშეთ-იმერხევში პურს, ჩვეულებრივ, კეცებში აცხობდნენ, მაგრამ როგორც ირკვევა, ჭოროხის ხეობაში მცხოვრები ქართველებისათვის არც ვერტიკალური საცხობი იყო უცხო. მართალია, აქ ტერმინი „თორნე“ ვერ დავაფიქსირეთ, მაგრამ მთხრობელების თქმით, „ჭურში აცხობდნენ პურს. აცხელებდნენ და ისე. პურის ასეთი გამოსაცხობები არტანშიც იყო. კეცები მერე გამოსულა. მე არ მოვსწრებურვარ ჭურებში პურის გამოცხობას, მაგრამ დედების

დროს აცხობდნენ“ (მასალა ჩაწერილია სოფელ მაჩხატეთში). შავშეთში კერამიკული წარმოების ცენტრი სოფელი სინქოდი ყოფილა – აქ, გარდა ჭურებისა, კეცები, დერგები (მაწვნის შესადედებელი), კოკები და სხვ. უკეთებიათ. იმერხვევლებისათვის ტრადიციული საჭმელი იყო ფეტვისაგან გამომცხვარი მჭადი. პოპულარული იყო იაღში ჩაფშვნილი მჭადი ან პური, რასაც *ჭიმურს* უწოდებდნენ (სხვათა შორის, სოფელ ბაზგირეთში ერთ ნათესაურ გაერთიანებას „ჭიმურები“ ერქვა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, „ჭიმურები“ იმიტომ შეერქვათ, რომ ბევრ ჭიმურს ჭამდნენ). იმერხვევლები გარე სამუშაოზედაც დადიოდნენ. არტანში და კოლაში (გოლაში) ისინი სათიბად მიდიოდნენ, თან ხილი მიჰქონდათ. რაც შეეხება არტანელებსა და კოლაელებს, თავის მხრივ, ისინი იმერხვევში შეშის მოსაჭრელად მოდიოდნენ, რადგან ისტორიული საქართველოს ამ ეთნოგრაფიულ მხარეებში ტყე არ იყო.

შავშეთ-იმერხვევში დასტურდება ისტორიულად შორი ადგილებიდან საცხოვრებელ სახლამდე წყლის გამოყვანა როგორც კერამიკის, ისე *ხის მილებით*. საგულდაგულოდ შენახული ხის მილები სოფელ უბეში მოლიძეების (ახლა ალთუნები) ოჯახში აღმოვაჩინეთ. 1,8 და 2,0 მეტრის სიგრძის და 20-25 სმ. დიამეტრის ხეები შუაგულში გახვრეტილი იყო და ისინი ისე იყო მჭიდროდ შეერთებული, რომ წყალს არ უშვებდნენ. ყველა სოფელში რამდენიმე წყაროა. ჩვეულებრივ, წყაროს წყალი ავაზანში ჩაედინება, რომელიც ამოდარული დიდი ხეა.

ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება დიდი ოჯახების არსებობა. „ოთხი ძმა ერთ ოჯახში ვიყავით. ყველას თავისი ოდა (ოთახი) ჰქონდა დასაწოლი. სახლის უფროსი იყო ასაკით უფროსი ძმა“. იცოდნენ უმძრახობის ჩვეულება. რძალი დედამთილ-მამამთილს არ ელაპარაკებოდა. „დედამთილს უსულოდ ელაპარაკებოდა. ბავი რომ ეყოლების ერთი, ორი, მერე დაელაპარაკებოდა“. ოთახში მამამთილის ყოფნის დროს რძალი არასდროს აქედან ზურგშექცევით არ გამოვიდოდა. კარებისაკენ აუცილებლად უკანასვლით უნდა წასულიყო. როგორც მუსლიმები, იმერხვევლები ნათესავებზეც ქორწინდებოდნენ, მაგრამ, როგორც ირკვევა, ასეთ ქორწინებებს ისინი არ მიესალმებოდნენ.

ერთ-ერთი მთხრობელის თქმით, „თუ ახლობლები დაქორწინდებიან, სახადი გამოა“. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძველად ქორწილი, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, სამი დღე სცოდნიათ. ხარის დაკვლა აუცილებელი იყო. საქორწილო სუფრებს მრგვალ, დაბალ ტაბლეთზე აწყობდნენ. იცოდნენ სათავნო. რძალს ცხვარს დედამთილიც აძლევდა.

მაჰმადიანობის მიუხედავად, იმერხევში შემორჩენილი იყო ზოგიერთი ქრისტიანული ტრადიცია. მაგალითად, სოფელ ბაზგიერეთში აპრილის ბოლო რიცხვებში ბებიები შვილიშვილებს კვერცხებს წითლად უღებავდნენ. „ახალ წელს ვებნებით. ახალწელს მოიკრიბებოდნენ ბაღნები და ერთად ჭამდნენ. ხოჯები გვიშლიდნენ: ახალ წელიწადი გააურების არისო. ნაძვის ტოტს ახორში მივიტანდით, ახალ წელს ბევრი საქონელი წამოვიდესო“. იმერხეველებს სცოდნიათ „ბერობის“ დღესასწაული: „კაცს შეკაზმავდნენ ვირად, ცხენად, ყოჩად, გახდება ბერობანა, ისამებდნენ (ე. ი. იცეკვებდნენ – რ. თ.). წვერს გააბავდნენ, კუდს გააბავდნენ. ცეკვას „ხელგაშლილას“ ეუბნებიან. ხორუმი სხვაა. ხორუმში მეებმებოდნენ. ხელგაშლილაში ერთმანეთის პირდაპირ დგებოდნენ“.

მართალია, დღეს იმერხეველი ქართველები თურქულ გვარებს ატარებენ, მაგრამ ბევრს კარგად ახსოვს ძველი ქართული გვარი. სოფლების უბნები ხშირად გვარის სახელსაც ატარებდა, რაც 1886 წლის საოჯახო სიებშიცაა დაფიქსირებული: სამხარაძე, კოპაძე, ხილაძე, ირემაძე, ფუტკარაძე, თულაძე, დევაძე (დევაძეები მაჭახლიდან მოსულან. მათი ძველების გვარი კიბორიძე ყოფილა. „დემურჩი უსტა ყოფილა ჩვენი ძველი. უკეთებია თოხი, წალდი, ეჩო, დანა. დევაძეებში მოსულა და დასახლებულა. ჩვენს მეჰელებში მჭედელას ეტყოდნენ. ამიტომ მჭედელოლებიც ვიყავით“), ჯარბიძე, ჩიკირიძე, დავითიძე, გორგაძე, ჭივიძე, აბრამიეთი, აბნაძე (დღეს ოზნიეთს უწოდებენ), ზიალიძე, მაჩხატიძე (დღეს – მაჩხატეთი), კუმაშიძე, იმნაძე (დღეს – იმნიეთი), ნიოლიძე (ნიოლეეთი) და სხვ. იმერხეველ ქართველებს დღესაც ახსოვთ თავიანთი ძველი ქართული გვარები. ეს გვარებია: დაბელიძე, ზურაბიძე, ფილიპიძე, იშხნელიძე (ამ გვარისანი აჭარაში, ხიხაძირის ხეობაშიც არიან. გადმოცემით

როგორც ერთნი, ისე მეორენი ტაოს სოფელ იშხანიდან არიან მოსული. აქ მოსვლამდე იშხნელიძეებს, ზურაბიძეებთან ერთად, ჯერ კოლაში უცხოვრიათ), შარაბიძე, ზაქრამე, ბაბელიძე, ციცი-ნაძე, კარალიძე, ურბენიძე, ლაიკიძე, ყარალიძე, კაკაბიძე, კვირიკაძე (ამ გვარის უბანს კვირიკეთს უწოდებენ), ხატიძე, ბუტიძე, ჭურკვესიძე, კორტოხიძე, ჯაფარიძე, ლოლაძე, გოგელიძე, კოსოლიძე, ჯიჯანიძე და მრავლი სხვა. სოფელ მაჩხატეთში გვარებს ერთგვარად „მეტსახელით“ მოიხსენიებენ. ესენი არიან ჩახმაჩები, მეორე და მესამე გვარი აქ მელმაძე და „დარბაზიეთ“ სახელით არიან ცნობილი. ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, შავშეთ-იმერხევეშიც სცოდნიათ ზესიძედ მისული კაცის სიმამრის გვარზე გადასვლა. სოფელ იმნიეთში მთხრობელი გადმოგვცემს: „ბუტიძეები ვართ, მაგრამ იმნაძე გავხდით, ჩემი ბაბა ზესიძედ მოვიდა და რადგან იმნაძის მამულზედ გაჩნდა, იმნაძედ ვართო“. ხოხლევიში ჩაწერილი მასალით, „გორგიეთ ერთ კვამლს ვეტყვით და გორგიძეებს – ბევრს ერთად. გაბევრებულებს გორგაძეები ჰქვიათ“.

იმერხეველ ქართველებში, საქართველოს დღევანდელი ეთნოგრაფიული მხარეებისაგან განსხვავებით, სიტყვა „ღორი“ სიძლიერის, სიკარგის, ვაჟკაცობის სინონიმია (მაჰმადიანურ გარემოში პირიქით უნდა იყოს). საქართველოს მკვიდრ ქართველებს ისინი ამ ლექსიკური ერთეულით მოიხსენიებენ. მთხრობელის თქმით, „*ქართული წერა-კითხვა რომ ვიცოდეთ, ჩვენც ღორი გურჯები ვიქნებით*“.

ისევე როგორც აჭარაში, შავშეთ-იმერხევეშიც ისტორიულად ძირითადი მუსიკალური ინსტრუმენტი იყო *ჭიბონი*.

იმერხევეში სოფელ სურევანის ერთ ნაწილს რაბათი ერქვა, სადაც ერმენლებს (სომხებს) უცხოვრიათ, რომლებიც ქართულად ლაპარაკობდნენ. „მათი ენა აქაური ქართული იყო. ცოტა გაგრძელებულად ლაპარაკობდნენ“.

ვახუშტი ბაგრატიონი შავშეთს, რომლის ფართობიც 1218კვ. კმ.-ს შეადგენდა, შემდეგნაირად ახასიათებს: „და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორა-მთიანი, ღელე-ღრანტოიანი, იწრო და მაგარი, ვენახ-ხილიანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, თუნთიერ ბრინჯ-ბამბისა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი

მრავალნი. და ნოყოფიერებს ფრიად მიწა ამისი, რაოდენაც იკმარების სივიწროვედ“.

შავშეთის სამხრეთით კლარჯეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. კლარჯეთს გასასვლელი ჰქონდა შავ ზღვაზე. მდ. ჭოროხის დინების აუზში მდებარე კლარჯეთის „ქვეყანა“ მოიცავდა მურღულის, ეგრის, არტანუჯის, ნიგალის და სხვა ხევებს. კლარჯეთი ძველი ქართლის (იბერიის) სამეფოში საერისთავოს სახით შედიოდა. ერისთავის რეზიდენცია არტანუჯში იყო. ვახტანგ გორგასალს აქ ეკლესია-მონასტრები აუშენებია. VIII საუკუნეში აქ დამკვიდრდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტია, რომელთა მეფობა საქართველოში XIX საუკუნემდე გაგრძელდა. VIII საუკუნეში არაბებმა კლარჯეთი გააპარტახეს. გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილი ეპიდემიამ მოსპო. IX საუკუნის დასაწყისში მეფე აშოტ I-მა მხარე აღადგინა და აქ დიდი სამონასტრო მშენებლობა გაიშალა გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით. კლარჯეთში არაერთი ქართული ეკლესია-მონასტერი იყო აშენებული. XVI საუკუნეში კლარჯეთი, სხვა ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან ერთად, თურქებმა დაიპყრეს. XX საუკუნის დასაწყისში კლარჯეთში იმოგზაურა ნიკო მარმა, რომელმაც ქართულად მოლაპარაკე კლარჯელები საკმაოდ ნახა. 1886 წლის საოჯახო სიებით კლარჯეთში ქართველების რაოდენობა 9246-ით განისაზღვრებოდა (ართვინის უბანში – 6913 კაცი, არტანუჯის უბანში – 2333). ხოლო 1907-1908 წლების მონაცემებით მთლიანად კლარჯეთის ქართული მოსახლეობა 16425 კაცით განისაზღვრებოდა, შესაბამისად ართვინის უბანში 7741 სული და არტანუჯის უბანში – 8684 სული. არტანუჯის მიდამოებში დღეს ფაქტობრივად ეთნიკური ქართველები აღარ მოსახლეობენ. როგორც ირკვევა, ისინი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბურსაში გადაასახლეს. არტანუჯის მიდამოების სოფელთა სახელწოდებები იყო: ბიჯა, ვარტელია, ვართხელი, გელაშენი, გორაშეთი, ანაგერთი, ანჭკორა, ახარშია, ახიზა, ბაცა, გულიჯა, გულიკა, ენირაბათი, ყუგო, იშკინარი, კაპტახორი, კარენია, კაშუხტი, ქვამჭირეთი, კლარჯეთი, ქორენია, ლონგოთხევი, მაცა-ლახეთი, მეცაგილი, მუქერი, ნორგიელი, ოფისჭალა, ორთოხი, ფეტობანი (ამ სახელწოდებით სოფელი ფოცხოვშიც იყო), საღარა, სამსხარი, სახრე,

სუაგორა, სხლობანი, ხარაული, ხევა, ხემოდრეთი, ხერთვისი და სხვა. XIX საუკუნეში კლარჯეთს ტაოსთან ერთად, უფრო სწორად, მთელ ჭოროხის ხეობას „ლივანად“ მოიხსენიებდნენ, რომლის შესახებ XIX საუკუნის 70-იან წლებში წერდნენ: „საერთოდ ლივანაში ძალიან ბევრია ძველი ეკლესია. ზოგი მთელია და დღემდე შემორჩენილა კედლის მხატვრობა ბერთაში, არტანუჯის ახლოს, ართვინიდან რვა საათის სავალზე, არის თამარ მეფის დროინდელი ციხე ეკლესიითურთ... ბერთაში რამდენიმე სხვა ეკლესიაც არის, ერთ მათგანს ახლა მეჩეთად ხმარობენ“. „ლივანელ მუსლიმებს შემორჩენიათ წასული ქრისტიანული დროის მოგონება. 30-ოდე წლის წინათ მათში ქრისტეს ფარულ აღმსარებელსაც შეხვდებოდით; ახლა ასეთები აღარ არიან. ქართულად მთელ ლივანაში ლაპარაკობენ, თუმცა არც ისე წმინდად. ქართული ყველაზე მეტად გავრცელებულია სოფლის მოსახლეობაში“ (დ. ბაქრაძე). იგივე ავტორი კლარჯელთა და ტაოელთა ეთნოგრაფიული ყოფის ზოგიერთ რეალიაზეც წერდა: „რაც შეეხება ლივანას, იგი ყველაზე უფრო ნაყოფიერად ითვლება ლაზისტანის საფაშოს უბნებს შორის. აქ აწარმოებენ ცვილს, რომელიც ადგილზე 18 მან. ღირს ფუთი, აბრეშუმს, მოყავთ ზეთისხილი, ჩინებული მსხალი და ვაშლი; აქ ყველა ჯიშის ყურძენი მოდის... ლივანაში ვაზი ხეებზეა გაშენებული. მუსლიმები მას მეტწილად ფოთსა და ახალციხეში ყიდიან. ქრისტიანები კი ღვინოს აყენებენ, წურავენ ქართულად – შიშველი ფეხებით საწნახელში და ინახავენ ქვევრებში, რომლებიც ბლომდაა შემორჩენილი“. „მისთვის ცნობილი ლივანის დასახლებული პუნქტებიდან ნეგაშევა (დიმიტრი ბაქრაძის მთხრობელი - რ.თ.) დაასახელა ისეთები, რომელთაგან ზოგი აღნიშნულია ახლანდელ რუკებზე, ზოგიც არა და თითქმის ყველა მათი სახელწოდება ქართულია. ასეთები: *მარადიდი, კათაფხია, ბორჩხა, მამაწმინდა, ბარი, სვეტი, ლომამენი, სინგოთი, წყალოქრო, არტანუჯი, ბერთა, გვერდა, ორჯახი, ანჩა, ანაკერტი, ხლითი, პარხალი და უთავი*. მათგან *ართვინი* ლივანის მთავარი ქალაქია“. 1886 წლის საოჯახო სიებით ართვინის უბნის სოფლები იყო: ბერთა (მისი უბანი იყო ოპიზა), დაბა-ჯიმერკი, დოლისყანა, ფორთა, წყალთეთრა (მისი უბანი იყო გორდა), აგარა,

ბოსელთა, გასყანა, გურჯანი, ხემორი, სვეტი, სვეტი-ბარი (მისი უბნები იყო: ლომამენი, მახლუძე, ჭარბიეთი), წრია – ყველა ამ სოფელში ამ დროს თურქები იყვნენ აღრიცხულნი. ქართველები იყვნენ განსახლებულნი: ბეშალში, ირსა-ახალდაბაში, ქვაცხანაში, სინკოთში (უბნები – ბაღათი, ვაკე, სავაილი), ადურჩაში, მანსულში, დურჩაში, კაბარჯეთში, კორიდეთში, ავანოში, არხოაში, გიავილში, დამპალაში, ქართლაში, ორჯაში, ტრაპენში, თხილა-ზურში (მისი უბანი იყო ლომამენი), ნაჭვიაში, ურძუმაში, ხადილაში (ამ სოფლის უბანთა სახელწოდებები იყო – დეპანიძე, იმედიძე, მუხნარა, ნაყევარი), ხოდში, ბაგაში, გოგლიეთში, ჯოლაულში, ჯუვანში, ყვამჭირეთში, ზემო ყურაში, ქვემო ყურაში, პოროსეთში, ჩხალეთში, ერელუნში და სხვა.

კლარჯეთი რუსეთის ხელისუფლების დროს ორი უბნისაგან შედგებოდა, ესენი იყო არტანუჯისა და ართვინის უბნები (ბორჩხის 11 სოფელი ბათუმის უბანში იყო შეყვანილი). ორივე ზემო აღნიშნული უბნის – არტანუჯისა და ართვინის – საერთო ფართობი 2053 კვ. კმ.-ს აჭარბებდა.

ვახუშტის დახასიათებით „და არს ეს ლივანის კეობა, თვნი-ერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით, ბროწეულით, ლეღვთ, ვენახით, ხილით შემკობილი, და ქებულნი მუნებურნი ყოველნივე. მარცვალი ყოველნი ნაყოფიერებს, გარნა სივიწროვით ვერ სთესვენ ბრინჯ-ბამბას“.

კლარჯეთი ტაოსთან ერთად ხშირად ერთ რეგიონად გაიაზრებოდა: „ტაო-კლარჯეთი“, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი ეთნოგრაფიული ერთეულები იყო. ტაო მდ. ჭოროხის შუა დინების აუზშია. ძვ.წ. 401 წ. ბერძენი ქსენოფონტი ამ კუთხის მოსახლეობას ტაოხებად მოიხსენიებს. ძვ.წ. I ათასწლეულში ტაო კოლხეთის სამეფოში შედიოდა. ისევე როგორც კლარჯეთში, ტაოშიც თავდაპირველად დასავლურ-ქართული ელემენტი მკვიდრობდა. აქ ძალიან ადრე მოხდა აღმოსავლურ-ქართული ტომების ინფილტრაცია. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნისთანავე (ძვ.წ. IV-III სს.) ტაო მისი ორგანული ნაწილი გახდა. ტაოს ძვ.წ. II ს. სომხეთი დაეუფლა. ახ.წ. I-II საუკუნეებში კვლავ ქართლის სამეფოში შედიოდა. შემდგომ კვლავ სომხეთმა

მიიერთა და მამიკონიანთა ფეოდალური სამფლობელო იყო. ამიტომ ტაოში ქართულ მოსახლეობასთან ერთად, განსაკუთრებით იმიერტაოში, სომხურიც გაჩნდა. ქართველებსა და სომხებს შორის საეკლესიო დაპირისპირების დროს, ტაოში დიოფიზიტობამ გაიმარჯვა და ის დიოფიზიტობის ძლიერ ცენტრს წარმოადგენდა. VIII-IX საუკუნეებში ტაოში ფართო სამონასტრო მშენებლობა იყო გაჩაღებული. აქ აიგო ქართული საეკლესიო არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშები (*ბანა, ხახული, ოშკი, იშხანი, ოთხთაეკლესია, პარხალი*...). დღესაც კი გამოგნებულ მთაბეჭდილებას ტოვებს თორთუმის ციხე-სიმაგრის ნანგრევები.

კლარჯეთთან ერთად, ტაოში მიეცა დასაბამი ზაგრაციონების სამეფო დინასტიას. ტაოში მოღვაწეობდნენ ქართული საეკლესიო კულტურის მოღვაწეები – იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები. XII-XIII სს-ში ტაო საქართველოს ფეოდალური მონარქიის სანაპირო ქვეყანა იყო. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, ტაო სამცხე-საათაბაგოს სამთავროში შედიოდა. XVI ს-ის 50-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ეთნოგრაფიული ერთეულები და, მათ შორის, ტაოც ოსმალეთმა დაიპყრო. ტაოში, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, პარხლის ხეობაში სამ ქართულ სოფელში შემორჩენილია ქართული ენა. ბევრ ტაოელს თავიანთი ქართული გვარი ახსოვს. ადგილობრივთა თქმით, აქ „ორი ასი“ ქართველის სახლია. ტაოელ ქართველებში უკვე ოცი წელია მესაქონლეობის ტრადიციული ფორმა – იაილები მოიშალა, რადგან „გენჯები“ ქალაქებში წავიდნენ. ძველ ტაოელებს აგებული აქვთ უნიკალური ტერასები, რომლებიც 40 საფეხურზე მეტს მოიცავს. უძველეს ტერასებზე დღესაც ხილის ბაღები და ვენახებია გაშენებული. პარხლის ხეობაში ბევრი დიდი ოჯახი ყოფილა. დასტურდება ვაზის ისეთი ჯიშები, რომლებიც აქამდე ცნობილი არ იყო, მაგალითად, *კვირტაი, ჩაჩხაი, თურვანდა, კარული, თხისძუძუ*. ძველ ტაოელებს მოჰყავდათ ქერი, ჭვავი, ცერცვი, ფეტვი, ღომი, დიკა. ხის ვედრო ტაოელებმაც იცოდნენ. იმერხევში თუ მას კროჭი ერქვა, ტაოში ის „კოდის“ სახელით იყო ცნობილი. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ტაოელები ერიდებიან ახლო ნათესავებზე დაქორწინებას. მართალია, ტაოელები

პატარა ოჯახებად ცხოვრობდნენ, მაგრამ აქ იშვიათი არ იყო დიდი ოჯახებიც.

ტაოში მესაქონლეობა იაილების სისტემის იყო. XX საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში ტაოში იმოგზაურა ინგლისელმა დ. ს. ჰილზმა. იმ დროს საქართველოს ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე თურქეთის ხელისუფალთა მიერ კვლავ ჩაკეტილი იყო. ტაოელი ქართველების შესახებ ის წერდა: „შავგრემანმა ლამაზმა ქართველებმა, მსხვილძვლიანი ნაკვებით და მათმა წელში გამართულმა ქალებმა, რომელთა წითელი კაბები ყაყაჩოსავავით გამოკრთოდა ყვითელ ხორბალში, შეცვალეს ქერა ლაზები, მათი გამგმირავი მზერით და ტანსაცმელ-შემოგლეჯილი, შრომაში ქანცგაწყვეტილი ქალებით“. ინგლისელი დაწვრილებით აღწერს ტაოს ქართულ ტაძრებს და დასძენს, რომ მათი გადარჩენა ძირითადად მეჩეთებად გადაკეთებამ განაპირობაო. პარხლის აღწერისას წერს: „ხეობაში გაფანტულია ბევრი სხვა ქართული ეკლესია, (მოჰყავს მთხრობლის სიტყვები) „მაღალი კოშკებით და სურათებით ქვებზე, ისინი ქართველების ძველმა მეფემ ააგო თავისი ასულებისათვის“. „ამზობენ, აღმოსავლეთ თურქეთის დღევანდელი ქართული მოსახლეობა გამუსლიმანებული შთამომავლობაა წარმოშობით ქრისტიანი ხალხისა, რომელთა ქვეყანა ერთ დროს კავკასიონიდან ჭოროხის მდინარემდე და შენაკადამდე იყო გადაჭიმული. მე არ დავუწყებ გამოკითხვა ამ აგენტს (მხედველობაში ჰყავს ტაოს ადმინისტრაციული ცენტრის – იუსუფელები ფინანსური აგენტი, რომელიც ასევე ქართველი იყო – რ. თ.), რადგან ის აუცილებლად უარყოფდა ყოველგვარ კავშირს ქრისტიანობასთან. მაგრამ ის წუხდა, რომ განათლებისა და ემიგრაციის წყალობით ქართული ენა იკარგებოდა“. პარხალში ქართველთა საცხოვრებელი სახლები ხისა იყო. განვითარებული იყო მეთევზეობა და ხშირად იკვებებოდნენ კალმახით. ზემოხსენებულ დ. ს. ჰილზს ტაოში ცნობილ ეკლესია-მონასტრებთან ერთად სხვა დანგრეული ტაძრებიც მოუნახულებია. მაგალითად, სოფელ ნიკომში მას უნახავს დანგრეული ეკლესია: „პატარ-პატარა ქოხებს ზემოთ აღმართულიყო მაღალი, ყვითელი ეკლესიის ჩონჩხი შესანიშნავი მოხატული სვეტებითა და ძალიან დაზიანებული გუმბათის ყელით.

ახლომდებარე სამლოცველოში, რომელიც ძროხების სადგომს უერთდებოდა, რამდენიმე კარგად შენახული წმინდანთა ფრესკა ვიპოვნე, ქართული წარწერებითა და მინა-წერებით“. თორთუმის ახლოს კი სულ ახლად, სამი წლის წინ აფეთქებულ ექექის კლესიას აღწერს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.
2. ბაგრატიონი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა – „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973.
3. მალაყმაძე რ. ლიგანის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 2008.
4. ფუტყარაძე თ. ქართული დიასპორა თურქეთში. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, I, ბათუმი, 2007, გვ. 74–81.
5. ფუტყარაძე ტ. იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი, ქუთაისი, 2007.
6. ცეცხლაძე ნ. ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან, ბათუმი, 2004.
7. ჰილზი. მოგზაურობა... თსუ-ის მიმომხილველი, №5-6, 197?
8. Кавказский календар. 1910 г. ч. 1.
9. Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886, Тф., 1893.

Роланд Тофчишвили

**Некоторые грузинские этнографические реалии в Шавшети, в
Кларджети и в Тао**

Резюме

На территории сегодняшней Турции грузинские этнографические реалии и грузинский язык в основном сохранили жители Шавшетского историческо-этнографического региона. В статье рассмотрены вопросы традиционно-бытовой культуры, сохранившиеся до сегодняшних дней, среди Шавшетского и Тао-кларджетского населения.

ერთი საქორწინო ტრადიციის შესახებ თერმეს (თურქეთი) ქართველებში

(ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

საქორწინო ურთიერთობები ადამიანების მიერ გავლილი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მისგან მიღებული შთაბეჭდილება ძნელად თუ ავიწყდება ადამიანს. ეს გარემოება კი მეტ საფუძველს ქმნის ქორწინების ინსტიტუტის სრულყოფილი შესწავლის საქმეში, რომელიც თავის მხრივ საზოგადოებრივი და საოჯახო ცხოვრების არაერთ მნიშვნელოვან საკითხთან არის დაკავშირებული. ამ ინსტიტუტის შესწავლამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენებურთა ეროვნული ცნობიერების მყარად შენარჩუნებასა და საიმედოობაში.

საქართველოში საქორწინო ურთიერთობის შესწავლას, ვახუშტი ბატონიშვილიდან მოყოლებული, არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა. უკანასკნელ პერიოდში ამ მიმართულებით კვლევის არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა და ისტორიულ ქართულ ტერიტორიაზე თუ უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა შესახებ რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევაც იქნა მომზადებული.

თერმე თურქეთის ტერიტორიაზე სამსუნის ვილაიეთის შემადგენლობაში შემავალი საკმაოდ დიდი დასახლებაა, სადაც XIX საუკუნის II ნახევარში, მუჰაჯირობის პერიოდში, ბევრი ქართველი დასახლებულა. სადღეისოდ ქართულ მეტყველებასთან ერთად მათ მყარად აქვთ შესისხლხორცებული მშობლიური ადათები და ზნე-ჩვეულებები. მათ შორის ყურადღებას იქცევს ქორწილი, რომელიც საქორწინო ურთიერთობების მრავალსაფეხურიან ციკლში დამაგვირგვინებელ ეტაპს წარმოადგენს.

საკვლევ რეგიონში საქორწინო ჩვეულების შესწავლიდან ჩანს, რომ მთლიანობაში მისი ძირითადი ეტაპები თანხვედრილია

ზოგადქართულ ტრადიციულ ქორწინებასთან, გარდა იმ გამო-
ნაკლისისა, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ეს საინტერესო
ჩვეულება საქორწილო ნადიმის დამთავრებისას სრულდებოდა.
ინფორმატორთა თქმით, შუა ქორწილის დროს აუცილებლად
უნდა შესრულებულიყო შემდეგი რამ: აივნიდან გაიქნევდნენ
ქორწილზე დაკლული საქონლის ტყავს, ანუ „ქოჩხოს“, რომელიც
მოზვრის უნდა ყოფილიყო. ტყავი სველი იყო და ხელში
სრიალებდა. „ჩხუბობდნენ ერთმანეთში, გაათრევდნენ ერთმა-
ნეთს: ხან სახლის ქვეშ, ხან წყალში, ხან ხეზე, ხან ახორშიც
გადადიოდა დავა და ბოლოს რომელიმე ცხენით გაიტაცებდა
მას.“. ინფორმატორები ამ ტრადიციას არაერთგვაროვნად ხსნიან,
თუმცა მას თამაღობასთან არ აკავშირებენ. ჩვენს მიერ მოპო-
ვებული სავლე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, აღნიშ-
ნული საქორწილო ჩვეულება ზემო აჭარამაც შემოგვინახა. აქაც
საქონლის ტყავი აუცილებლად მოზვრის, ბუღას უნდა ყოფი-
ლიყო, რომლისგანაც ტიკს ამზადებდნენ. ამის წინაპირობა ასეთი
იყო: ქორწილის დამთავრებისას თამადა, ანუ სუფრის თავკაცი
იტყოდა: „ქორწილის ჩვეული წესი ასეთია - თამაღობისთვის
მებრძოლი ვაჟკაცები გარეთ გავიდეთ და მოვაწყოთ შეჯიბ-
რება“. გამარჯვებულს მოგებული საქონლის ტყავი თან მიჰქონდა
და მისგან დამზადებული ტიკით მომდევნო ქორწილში ღვინო
უნდა მიეტანა. შეჯიბრის მთავარი პირობა კი ის იყო, რომ გა-
მარჯვებული მომდევნო ქორწილში თამადად ინიშნებოდა. ჩვენე-
ბურთა ეთნოგრაფიული მონაცემებით აღწერილი საქორწინო
ტრადიცია, ფაქტობრივად, შესაბამისობაშია ხულოში ჩატარებუ-
ლი ეთნოგრაფიული კვლევის შედეგებთან. ე.ი. მასში ჩანს ერთ-
გვარი ტრანსფორმაცია ძველი დროიდან მომდინარე თამაღობის
ინსტიტუტისა. წარმოდგენილი მასალები აჭარაში თამაღობის
ტრადიციების დადასტურებას წარმოადგენს. ეს გარემოება კარ-
გად ჩანს დასავლეთ საქართველოში თამაღის გავრცელებული
სახელწოდების „ტოლუმბაშის“ მნიშვნელობაში, რომელიც თურ-
ქულად „ტიკის თავს“ ნიშნავს. რაც შეეხება ღვინის ჭურჭელს –
ტიკს, იგი, როგორც აღვნიშნეთ, ზემოაჭარულ ქორწილში
თამაღის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. სამეცნიერო
ლიტერატურაში მიღებული ტერმინი თამადა, რომელიც აშკარად

არაქართულია, გვიანაა ჩვენში შემოსული და დამკვიდრებული, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ „თამაღობის“ ინსტიტუტი ჩვენში არ არსებობდა.

ამრიგად, თურქეთში მცხოვრები თერმეს ქართველების საქორწინო ტრადიციების შესწავლამ წარმოაჩინა ამ ინსტიტუტის ქართული საქორწინო ტრადიციებიდან მომდინარეობა და მათი შემონახვა. ყოველივე ეს კარგად ვლინდება ქორწინების ციკლის ძირითადი ეტაპების თანმიმდევრობაში, საქორწინო ლექსიკაში, ქორწილთან დაკავშირებული გართობა-მხიარულების ქართულ ხალხურ ტრადიციებში. ამასთან, ამ ტრადიციასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალით ერთგვარად შეივსება ის დეფიციტი, რომელიც არსებობს თამაღის ინსტიტუტის წარმოშობის შესახებ, რომლის პირველწყაროდ სადღეისოდ მხოლოდ ეთნოგრაფიული მონაცემები არის მიჩნეული.

Наи́ла Чу́лубадзе, Хе́иратии Шени (Цива́дзе)

Ободной свадебной традиции Грузии Терма (Турция)

Резюме

Изучение свадебных традиции грузин, проживающих в Термеском районе Турции, показало происхождение этого института от грузинских традиций и их полная сохранность. Все это хорошо проявляется в последовательности основных этапов свадебного цикла, в свадебной лексике и в грузинских народных традициях. В месте с этим, эта традиция, или связанный с ним материал, восполнит тот дефицит, который существует в вопросе института тамады, первоисточником которого на сегодняшний день признаны этнографические данные.

ტოპონიმ “მარეთის” ეტიმოლოგიისათვის

აჭარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, მდინარეების - ჩირუხისწყლისა და უჩამბისწყლის აუზის გაერთიანებას-მარეთის ხეობას უწოდებენ. მას სამხრეთით შავშეთის ქედი, ხოლო აღმოსავლეთით სხალთისწყლის ხეობა ესაზღვრება.

ხეობა ოთხი მხრით შერთულას//სხალთის, არსიანის, შავშეთისა და ღომა-წინაველის ქედებს შორისაა მოქცეული და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო დასავლეთისკენ მიემართება.

არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მარეთის სახელწოდება სხვადასხვა ფორმითაა დამოწმებული: მირეთის ხევი (ყაზბეგი გ., 1960:97), მარატი (სახოკია თ., 1985:265), მირატის კუთხე (ჭიჭინაძე ზ., 1911:3), მარიტი (ჭიჭინაძე ზ., 1911:93), გირატი (გაზეთი “ივერია” 1983:№10), მართი (რუსიძე შ., 1957, ქამადაძე მ., 1992), მარეთი (მაძულაძე 1993, გოგიტიძე, ასეედ, 1993, რვ. №1) და ა. შ.

ადგილობრივი მოსახლეობა თანამედროვეობაში იყენებს ტერმინს “მარეთი”. ხეობაში ჩამავალი მდინარის სახელწოდებაც როგორც მკვიდრ მოსახლეობაში, ასევე მარეთის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართა შრომებში სხვადასხვა სახელწოდებითაა და-მოწმებული: მარატის ხევი, მართის წყალი (ბაქრაძე, 1987), ჩირუხისწყალი (მგელაძე 1962:113); ყარადერე (მგელაძე ნ., 1962:113); მარეთის წყალი (გოგიტიძე ზ., ასეედ, 2005, რვ. №2). მარეთის ხეობის მოსახლეობის ეთნოლოგიურ ყოფაში შეკრებილი მასალებით მდინარის სახელწოდების ყველაზე გავრცელებულ ფორმად ჩირუხისწყალი დასტურდება. ოსმალთა ბატონობის პერიოდში ჩირუხისწყალი ყარა-დერედ იწოდებოდა, თურქეთის გავლენით დამკვიდრებული ამ სიტყვის ქართული შესატყვისია შავი დელე, ყარა თურქულში “შავს” ნიშნავს, ხოლო დერე - “დელეს”. 1942 წლიდან მას თავისი სახელწოდება დაუბრუნდა.

სხვადასხვა წყაროს ანალიზის საფუძველზე შესაძლებლობა გვეძლევა ხეობაში ჩამავალი მდინარის ერთ-ერთ უძველეს სახელწოდებად ჩირუხისწყალი მივიჩნიოთ. შეკრებილი ეთნოგრაფიული

მასალა ცხადყოფს, რომ მდინარის სახელწოდება წარმოშობილი უნდა იყოს ტერმინ ჭირ+უხვი-საგან (ჭირუხვი-ჭირუხი-ჩირუხი). თავდაპირველად ამ სახელწოდების გავრცელების არეალი შედარებით მცირე იყო და იგი მოიცავდა ხეობის საწყის ტერიტორიას, იმ ადგილს, სადაც თანამედროვე იაილა ჩირუხია გაშენებული. ამ ტერმინის წარმოშობის საფუძველი უნდა ვეძიოთ სამხრეთ-აღმოსავლეთ აჭარაში ერთ დროს გავრცელებულ ფორმად სენში, რომელიც “ჭირი”-ს სახელწოდებას ატარებს. შესაძლებელია ტერმინი დაკავშირებული იყოს ამ ხეობის სათავეში მკვიდრი მოსახლეობის უბედურებებთან, რადგანაც “ჭირი” ზოგადი სახელია საზოგადოებაზე თავსდამტყდარი უბედურებისა.

ზემო აჭარაში გავრცელებული ხალხური გადმოცემა გვაფიქრებინებს იმ გარემოებაზე, რომ ხეობაში მცხოვრებთ ბრძოლა უხდებოდათ არა მარტო გარეშე მტრებთან არამედ, ბუნებრივ პირობებთანაც. გადმოცემა უკავშირდება საქართველოში, კერძოდ, აჭარაში, ისლამის ფუძემდებელთა - არაბთა შემოსევებს. გადმოცემის თანახმად, მუსლიმანური სარწმუნოების ძალით გავრცელების მიზნით, თვითონ ამ რელიგიის ფუძემდებლის –მაჰმადის (მუხამედის) ჯარების სარდალს ალის (ხეზრეთ ალის) გადმოულახავს არსიანის ქედი, როცა თვალი მოუვლია ზემო აჭარის რელიეფისათვის, განუცხადებია: “აქაურ მცხოვრებ ხალხს ღმერთმა მოეხმაროსო”-ო და უბრძოლველად გაშორებია იქაურობას. აღნიშნული გადმოცემა ხალხური ეტიმოლოგიის ნაყოფია, თუმცა ის მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ტერმინ “ჭირუხი”-ს ახსნა გარეშე მტერთაგან თავსდამტყდარ უბედურებასთანაა (დიდჭირიანობასთანაა) დაკავშირებული.

მართალია, წარმოდგენილი ხალხური ახსნა ეჭვს ბადებს და სინამდვილეს არ გადმოგვცემს, მაგრამ მისი გათვალისწინება აუცილებელია ხეობის სახელწოდების ეტიმოლოგიურ კვლევაში. მოსახლეობაში შემორჩენილი გადმოცემები და ხეობაში ფიქსირებული არქეოლოგიური მასალები ნათელყოფენ, რომ ხეობის სათავეები - ჩირუხის მიდამოები უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა დასახლებულ პუნქტს. შემდგომში სხვადასხვა მიზეზის გამო (უხვჭირიანობა//ჭირვობა, მასობრივი დაავადება, გარეშე მტრების მოძალება, კლიმატის შეცვლა, რასაც მარცვლეული კულტურების

მოსავლის შემცირება მოჰყოლია) მომხდარა მკვიდრი მოსახლეობის მიგრაცია, რის შედეგად აქაური დასახლებული პუნქტები გადაქცეულა ნამოსახლარებად, ნაციხარებად, ნაფუძვარებად.

ზემოთ წარმოდგენილი ვერსია ჭირუხის//ჩირუხის სახელწოდების შესახებ ვერ აკონკრეტებს, თუ რომელ ისტორიულ პერიოდში გაჩნდა ეს გეოგრაფიული სახელი. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტერმინს მოიხსენიებენ სხვადასხვაგვარად, სავსებით სწორი უნდა იყოს ვლ. მგელამის მოსაზრება მდინარის ჭირუხისწყლად სახელების თაობაზე. მისი ცნობით, მდინარე “ჭირუხს” ზოგჯერ ჩირუხსაც უწოდებენ (მგელაძე ვლ., 1962:113). ეს გარემოება შესაძლებელია თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ აჭარაში რუსული მმართველობის გავრცელებით ავხსნათ. ამ პერიოდიდან ადგილებისა და ტოპონიმების აღწერა რუსულ ენაზე წარიმართა და დასაშვებია ტერმინი ჭირუხი გაფორმდა ჩირუხ-ად (რუსულში “ჭ”-ს ნაცვლად მივიღეთ “ჩ”. ჭოროხი-ჩოროხ(ი)).

ამდენად, მდინარის და მდინარის სათავის ტერიტორიის სახელწოდების თავდაპირველ ფორმად “ჭირუხი” გვესახება, რომელიც შემდგომში “ჩირუხ”-ადაც იწოდა. შემოთავაზებული მოსაზრებები შესაძლებელია უცილობელი გაგვხადა, თუ არა აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერი, სადაც ადამიანის საკუთარი სახელი “ჩირუხელა” დადასტურდა. იქვე დაფიქსირებულია ხალხური ლეგენდაც.

“ყავადლული (იგივე ყავ-დად-ლული//ნაომარი მდებარეობს იაილა ჩირუხის დასავლეთით, მდინარე ჩირუხისწყლის მარჯვენა ნაპირზე, იგი ძველ დროში ციხე-ქალაქს წარმოადგენდა. ამჟამად შემორჩენილია ციხის ნანგრევები) ბატონი ღრმა მოხუცებულობაში გარდაიცვალა, დარჩენილა მოხუცი დედაბერი და ორი ვაჟიშვილი - ჩირუხელა და ცხვირკოხელა. უფროს ძმას ძლიერ ლამაზი მეუღლე ჰყოლია; ერთ დღეს ძმები ყალაბონში (ხეობაში ციხეს წარმოადგენდა) იყვნენ წასული. მაშინ მათ ოჯახს მტრები დასცემიან, მცხოვრებლები გაუჟღეკიან და უფროსი ძმის მეუღლე გაუტაცნიან; დედაბერი გაქცეულა მაღალ მთაზე გამწარებულს ისე ძლიერ დაუყვირია, რომ ყალაბონში შვილებს გაუგონიან, მაგრამ დედაბერი ყვირილისაგან მომკვდარა. ამ მთას ამის შემდეგ კუნტის

ჯვარს ეძახიან. ძმები გამოქცეულან, მთელი სოფელი დადევნებია მტერს, დასწევიათ არდაგანის ახლოს, გამართულა დიდი ბრძოლა, ორივე მხარეზე დიდი ყოფილა მსხვერპლი, მაგრამ ქართველებს მაინც გაუმარჯვიათ და ქალაქი დაუბრუნებიათ. ბრძოლის ადგილზე ქართველებს ქალაქი გაუშენებიათ, ჯანქალაქი ანუ წმინდა ქალაქი დაურქმევიათ” (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №115). ასეთივე შინაარსის გადმოცემა ამ მხარეში მოგზაურობის დროს ჩაწერილი აქვს თედო სახოკიას (სახოკია თ., 1985:270).

ლეგენდით ცნობილი ხდება ანთროპონიმი ჩირუხელა. ტოპონიმ “ჩირუხი”-ს ეტიმოლოგიის გარკვევაში ადამიანის მოცემულ საკუთარ სახელს უმთავრესი როლი უნდა მივანიჭოთ და იგი შეიძლება მივიჩნიოთ გეოგრაფიული სახელის - ჩირუხის მაწარმოებლად, რადგან ზემო აჭარის ტოპონიმიკაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებს (ქამადაძე მ., 1992:46), თუმცა გამორიცხული არაა და გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურება ის, რომ გეოგრაფიული სახელი “ჩირუხი”(ჭირუხი) პირველადი იყოს, ხოლო ადამიანის საკუთარი სახელი - “ჩირუხელა” მეორადი და მიუთითებდეს პიროვნების ჩირუხიდან წარმომავლობაზე.

გადმოცემით ხევის სახელწოდება - მარეთი უძველესი წარმოშობისაა. მისი ისტორია უნდა უკავშირდებოდეს ხელოსნური წარმოების განვითარებას, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და მათ შორის ამ ხეობაშიც.

პროფ. ი. სიხარულიძე თავის წიგნში “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა” (ტ. I) ასახელებს მარეთის ხევს. ავტორი ამ ტოპონიმს „მარანთან” აკავშირებს. ამ სიტყვის ფუძეში გამოიყოფა - ”მარ”. მკლევარის აზრით, მარი ჭურჭლის სახელია. იგი წყაროებშიც გვხვდება და თანამედროვე ქართულის ზოგიერთ სიტყვაშიც შემოინახა. ქართული ოთხთავის ორ ვარიანტში “მარ” საწნახელთან არის გაიგივებული.

მ. გეგეშიძე წერს: საკითხის ამ მიმართულებით შემდგომი კვლევა უნდა დაუკავშირდეს მარის, როგორც მისი თავდაპირველი მომცრო გულამოღებული ჭურჭლის დადგენას... ასეთი ადრინდელი ჭურჭელი უნდა ყოფილიყო მომდევნო ხანაში მეღვინეობაში

გამოყენებული, მაგრამ “მარი”, ამასთანავე, თიხის დიდ ჭურჭელსაც ეწოდებოდა, რომელშიც მიცვალებულს მარხავდნენ (დადასტურებული აქვს ბერძენიშვილს).

პროფ: ი.სიხარულიძის აზრით, “მარი” ხისაც შეიძლება ყოფილიყო და თიხისაც. პირველი მათგანი ალბათ ღვინის დაყენების პროცესში და მისი მიწაში ჩაუფლავად შენახვისთვის გამოიყენებოდა, ხოლო მეორე ძირითადად მიწაში დასამარხავად იყო გამოიზნული. თუ სიტყვა “მარანი” ასეთი თიხის მარებს უკავშირდება, მარეთის ხეობის ტოპონიმიკური ახსნაც ხისა და თიხის მარებს უნდა უკავშირდებოდეს. მარეთის ხეობის ხისა და თიხის დამუშავების ოსტატები ცნობილი ყოფილან უძველესი დროიდან. ცხადია, ამას ხელს უწყობდა ცაცხვის, ლეკის, თელის და სხვა ხეების და თიხის დიდი მარაგი. ცაცხვისა და ლეკის ხეებისაგან ამზადებდნენ კონებს (კოდანა), ანუ მარებს, ხის გულამოდებულ ჭურჭელს, თიხისგან - დერგებს, ჭურებს.

რადგან სიტყვა მარანში ფუძე “მარი” - მარებს უკავშირდება და ასეთი მარების წარმოება-დამზადებით ცნობილი ყოფილა მარის ხეობაც, განსაკუთრებით მისი უძველესი სოფლები ჯუმუშაური, ოლადაური, დარჩიძეები და სხვა, ამიტომ შესაძლებელია სიტყვა “მარეთში” ფუძე “მარ” მარებთან (მარების წარმოების მხარესთან) იყოს დაკავშირებული, ალბათ ამიტომაც შეურქმევიათ ჩვენს წინაპრებს ხეობისთვის მარეთის ხეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ), თარგმნა ა. ტოტოჩავამ, ბათ.,1987.
2. გოგიტიძე ზ., ავტორის საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები (ასევე) - მარეთის ხეობა, აჭარა რვ.№1, 1993.
3. გოგიტიძე ზ., ავტორის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები (ასევე) – მარეთის ხეობა, აჭარა, რვ.№2, 2005.
4. გოგიტიძე ზ., მარეთის ხეობა: სოფელი გოგინაური, კრებული - კულტუროლოგიური და ისტორიულ ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, I, ბათუმი, 1996.

5. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.
6. მგელაძე ვლ., სოფელ დარჩიძეების დასახლების სტრუქტურისათვის. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, თბ., 1962.
7. მგელაძე ნ., ხელნაწერი მასალები და ჩანაწერები, 1993
8. რუსიძე შ., ნარკვევი მარეთის ხეობის ისტორიული ძეგლების შესახებ, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 115, 1950.
9. სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბ., 1985.
10. სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, წიგნი I, ბათუმი 1958.
11. ფუტყარაძე თ., აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, ბათუმი 2006.
12. ქამადაძე მ., ზემო აჭარის ტოპონიმთა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII, თბ., 1992.
13. ყაზბეგი გ., აჭარის შესახებ, ბათუმი, 1960.
14. ჭიჭინაძე ზ., ქართველთა კათოლიკენი და საქართველოს დაკარგული სოფლები, თფ., 1904

Нана Футқарадзе

Для этимологии топонима «Марети»

Резюме

Ущелье Марети с историко-этнографической точки зрения очень интересный регион. Народные предания, существующие в ущелье, и археологические материалы подтверждают, что ущелье с древнейших времен было населено и состояло из территориально локально населенных объединений – общин.

რუსეთ – საქართველოს 1877–1878 წლების ომი და ქართული საზოგადოებრივი აზრი

რუსეთის იმპერიის მე-19 საუკუნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენდა შავი ზღვის აუზში გამოკვეთილად უპირატესი მდგომარეობის მოპოვება, განმტკიცება და შენარჩუნება. უნდა ითქვას, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა ამ მხრივ საკმაოდ იყო გააქტიურებული. მე-19 საუკუნის 20-30-იანი და 50-60 წლებში იმპერიის პოლიტიკური მიზანსწრაფულობის სერიოზულ გამოხატულებად იქცა ოსმალეთის მიერ ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ამიერკავკასიაში მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებისათვის სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლა. რუსეთის იმპერიაში საქართველოს ტერიტორიების გაერთიანების პროცესი ერის კონსოლიდაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. გამომდინარე აქედან, ტერიტორიული გამთლიანება, თუნდაც კოლონიური სტატუსით, პროგრესულ აქტად უნდა მივიჩნიოთ. ყირიმის ომში განცდილი მარცხის მიუხედავად, ცარიზმისათვის კვლავ აქტუალურობას ინარჩუნებდა ოსმალეთის ტერიტორიების გადანაწილების პროცესში მონაწილეობის მიღება. გარდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლის დაწესებისა, სტრატეგიულ საკითხად განიხილებოდა კავკასიაში ოთომანთა იმპერიის მაქსიმალური შევიწროება. ამ შემთხვევაში ქართველი ერის ინტერესთა თანხვედრა რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკისადმი სრულიად ლოგიკური ჩანდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა უღლიდან გამოხსნას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ახალი ომის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი იყო 1875 წელს ბალკანეთში მიმდინარე ანტიოსმალური აჯანყება. ამავე წლის სექტემბერში აჯანყდა ბულგარეთის მოსახლეობა. ცხადია, ოსმა-

ლეთის მხრივ აჯანყებულთა წინააღმდეგ რეპრესიებმაც არ დააყოვნა. ეგრეთ წოდებული „აღმოსავლეთის საკითხი“ ქმნიდა იმ წინააღმდეგობით კვანძებს, რომელშიც აისახებოდა ინგლისის, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის პოლიტიკური ინტერესები.

გერმანიის საგარეო უწყება ჯეროვან ყურადღებას უთმობდა „აღმოსავლეთის საკითხის“, ამასთანავე იგი ცდილობდა მაქსიმალური შედეგი მიეღო რუსეთის, ოსმალეთის და ავსტრია-უნგრეთის ინტერესთა შეჯახებიდან.

ინგლისის აშკარა მხარდაჭერის იმედით, ოსმალეთმა უარყო რუსეთის ყველა მოთხოვნა – შეეჩერებინა სადამსჯელო ღონისძიებები ბალკანელ სლავებზე. ეს გახდა საბაზი რუსეთ-თურქეთის ახალი ომის დაწყებისათვის. 1877 წლის აპრილში რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს.

რუსული გენერალიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოსმალეთის საკითხის მოწესრიგებაში კავკასიის ფრონტს. ასე, მაგალითად, გენერალი კომაროვი კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილეს გენერალ-ლეიტენანტ ნ. სვიატოპოლკ-მირსკის მოახლოებულ ომთან დაკავშირებით მოახსენებდა: „სიადვილე და სიმწელე ჩვენი ოპერაციებისა დიდადაა დამოკიდებული იმ გარემოებაზე, თუ რა პოზიციას დაიკავენს ჩვენს მიმართ აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობა“ (მეგრელიძე, 1963:116).

აჭარის მოსახლეობის განწყობილების შესწავლის მიზნით, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ყაზბეგმა, გიორგი წერეთელმა, ივანე კერესელიძემ და სხვებმა. უნდა აღინიშნოს, რომ მათ ექსპედიციებს ჰქონდა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ მეცნიერული და პატრიოტული მნიშვნელობაც. პირველად სწორედ ამ პიროვნებათა პუბლიცისტურმა და მონოგრაფიულმა ჩანაწერებმა შეუქმნა საზოგადოებას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე სწორი წარმოდგენა, ნათლად წარმოჩნდა რეგიონში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა და გამოიკვეთა ხალხის დამოკიდებულება რუსეთ-ოსმალეთის ომისადმი; იგი ნათლად ჩამოაყალიბა ივანე კერესელიძესთან საუბარში ზემო აჭარის მმართველმა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილმა: “ ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს

ომი. მე მზად ვარ მაშინათვე ჩემი ქვეყნის ქართველ შვილებს შევეურთდე და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს” (ჭიჭინაძე, 1912:230).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აზვირთებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში ედგნენ გულო კაიკაციშვილი, დედე ნიჭარაძე, ახმედ ხალვაში, ახმედ ხალიფაშვილი (სურმანიძე) და სხვები. რუსეთ-ოსმალეთის ომის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეული სამუსლიმანო საქართველო მღელვარების და სახალხო მოძრაობის ალში გაეხვია. ქართული საზოგადოებრიობა რუსეთ-ოსმალეთის მომავალ ომს იმედის თვალთ შეჰყურებდა. იმდროინდელი ქართული პრესა სისტემატურად აქვეყნებდა თანამომხეთა მხარდამჭერ მასალებს. ქართველი ხალხი მზად იყო თავისი წვლილი შეეტანა თანამომხეების ოსმალური უღლიდან განთავისუფლების საშვილიშვილო საქმეში. აქტიურად დაიწყო სახალხო რაზმების ჩამოყალიბება.

რუსეთ-ოსმალეთის ომი 1877 წლის 12(24) აპრილს დაიწყო. ამიერკავკასიაში რუსეთის არმია 180 ათას კაცს მოითვლიდა. ომის დასაწყისისათვის, ადგილობრივი მოსახლეობის მხარდამჭერის მიზნით, რუსეთის არმიის სარდლობამ აჭარაში გააერცელა პროკლამაცია: “მშვიდობიან მცხოვრებთა შეურაცხყოფისათვის, უიარაღოთა შეწუხებისათვის როდი ამოიღო ხმალი ხელმწიფემ. ის მიმართავს ამ ხმალს შემავიწროებელთა ასალაგმავად”.... “ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი ჯარის მზადყოფნას, ერთმანეთის სიძულვილი და მტრობა კი არა, ჩვენსა და თქვენს შუა, შვილნო კეთილშობილნო ქართველთ ტომისანო, ერთმანეთის დაახლოება და სულიერი კავშირი დაემყარებინოს” (“დროება”, 1877), აღნიშნული იყო მიმართვაში.

ბათუმის კორპუსის სარდალი დევრიშ-ფაშა ცდილობდა გამუსლიმანებული ქართველი ფეოდალების მოსყიდვას. ცხადია, იმდროინდელ აჭარაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა აბაშიძეების, ხიმშიაშვილების, ბეჟანიძეების, თავდგირიძეების ფეოდალური გვარები. ამიტომაც მნიშვნელოვანი იყო თუ რა პოზიციას დაიჭერდნენ საომარ ოპერაციებში ადგილობრივი მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები.

მიუხედავად პრივილეგირებული ფენის დიდი ნაწილის პატრიოტული განწყობილებისა, იყო გამონაკლისიც – ის ვინც ბოლომდე ერთული დარჩა სულთნის მთავრობისა, მათ შორის ყველაზე დიდი აქტიურობით გამოირჩეოდნენ ქობულეთელი ბეგები – ძმები ოსმან და ალი თავდგირიძეები. სერგეი მესხი, რომელიც პირადად შეხვდა ამ ბეგებს, მათ განწყობილებას ასე გადმოგვცემს: “სამჯერ იყო აქეთკენ ჩხუბი, სამივეჯერ ერთგულად ვემსახურეთ ჩვენს ხონთქარს, სამივეჯერ დამარცხებული გაგიშვით აქედამ, მაგრამ ბოლოს მაინც თქვენს ხელში დავრჩით! რა გაეწყობა! ალბათ, ღვთის ნება ყოფილაო და უნდა დავმორჩილდეო”. ოსმან ფაშა თავის განწყობილებას შექმნილი მდგომარეობის შესახებ და თავიანთი პრინციპების ძირითად არსს შემდეგნაირად გადმოგვცემს: “ისე ბრძოლა და შეტაკება არ ყოფილა აქეთკენ, რომ ჩვენ წინ არ ვყოფილიყავით და ბრძოლაში არ ვრეულიყავით; თორმეტი წლის ყმაწვილები გამოვიყვანე, რაც ღონე და შეძლება მქონდა, ყველაფერი ხონთქარს ვანაცვალე და ამის შემდეგ დერვიშ-ფაშა ჩვენი ხელმწიფის ღალატსა და თქვენს მომხრობას გვწამებს!... – ახლა მე მეტი არა მინდა რა, რომ მხოლოდ ჩემ ხონთქართან პირნათლად და შეურცხვენლად გამოვიდე. წავალ სტამბოლში, წარუდგენ ჩემს ერთგულ სამსახურს, ყველა დამტკიცებას და თუ გამამტყუნეს, რაც სასჯელი მერგება მივიღებ...”(მესხი, 2000: 124-125).

საბედნიეროდ, მუსლიმან ქართველთა დიდი ნაწილი არ იზიარებდა ზემოაღნიშნულ პოზიციას და კეთილგანწყობით ეგებებოდა რუსეთის არმიას. მოსახლეობის ეს განწყობილება კარგად აისახა ქართული პრესის ფურცლებზე: “თითქმის დღე არ გაივლის, რომ ქობულეთითგან არ მოვიდნენ ჩვენს ბანაკში უბრალო მცხოვრებლები და არ მოიტანონ კარაქი, ერბო, გამომცხვარი პური და სხვა ხორაგეული და ხილეულობა. რამდენიმე საათს რჩებიან ხოლმე ჩვენს ბანაკში, დიდის სიამოვნებით გვემასლაათებიან სხვადასხვა ამბებზე და შემდეგ მეგობრულად გვშორდებიან და მიდიან”, – აღნიშნავდა გაზეთი “დროება”.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ციხისძირთან გამართული საომარი შეტაკებები (1877 წლის 11 (23) ივნისი), რის შემდეგაც

ბათუმის მიმართულებით წარმოებული ბრძოლები წარუმატებლად განვითარდა.

1878 წლის 18 (30) იანვარს განახლდა ციხისძირის მიმართულებით შეტევა. სამწუხაროდ, მასაც არ მოჰყოლია შედეგი. გიორგი წერეთელი აღნიშნავდა: “იმ დროის კონტრიშის გამოდმა ქვეყანა, ოცდარვა ვერსი სიგანე და ოცდაათი ვერსი სიგრძე, ქობულეთის მხარე გავერანებული იყო. ხელისგულსავით მოწმენდილი, მდიდარი სოფლების მაგივრად აქა-იქ ტიტველი ბუხრის მილებს ამოეყოთ თავი, თითქოს საზოგადო აოხრების მდუმარე მოწმედ ყოფილიყვნენ დარჩენილნი.... აქა-იქ შიმშილით მოწაკწაკე ძაღლები ნაოხარ სოფლებში დაწოლილიყვნენ, თითქოს იქ სურდათ სამარის გათხრა, ძველი პატრონისთვის ერთგულების დასამტკიცებლად. ისინი აქ უყარაულებდნენ გადახვეწილს, ან ჩვენი ტყვიით სადმე გაციებულს მეპატრონის ნაოხარს” (წერეთელი, 1973:230).

ბერლინის კონგრესზე (1878 წ. 1 (13) ივნისი-1 (13) ივლისი), რომელიც სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას ითვალისწინებდა, რუსეთმა შეძლო ძირითადი ტერიტორიული მონაპოვრების შენარჩუნება. ამრიგად, აჭარა მრავალსაუკუნოვანი ქართული ორგანიზმიდან იძულებითი მოკვეთის შემდეგ, კვლავ დედა საქართველოს წიაღს დაუბრუნდა. ქ. ბათუმი პორტო-ფრანკოდ, ე.ი. თავისუფალ სავაჭრო ქალაქად ცხადდებოდა.

ადგილობრივი მოსახლეობის სიხარულს, იმედებსა და ხვალინდელი დღის რწმენას გამოხატავდა გულო კაიკაციშვილის პატრიოტული მიმართვა: „ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ, ჩვენი ძველი ძმები... აქ ქობულეთში დაგინახათ.

ძმებო, ძია კაცებო და ჩვენო საყვარელო ქართველებო, გისურვებთ მშვიდობით შესვლას ბათუმის ქალაქში. ღმერთმა გააძლიეროს ქართველი მხედრობა” (სურგულაძე, 1973:3-4). ძმებო, ძია კაცებო და ჩვენო საყვარელო ქართველებო.... და დანარჩენი სიტყვები ჯიშითა და ჯილაგით, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით, დიდი ნენეს გენეტიკური ქართული კოდით შემონახული სიტყვები იყო აჭარაში.

25 აგვისტოდან (6 სექტემბერი) 2 (14) სექტემბრის ჩათვლით დასრულდა ბათუმში ქართლი ჯარის შესვლა. 1878 წლის 2 (14) სექტემბერს ბათუმში აზიზიეს მოედანზე გაიმართა საზეიმო სადილი. გენერალმა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილმა, რომელიც იმ დღეს სუფრას ხელმძღვანელობდა თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა : “ესეც იმათი სადღეგრძელო იყოს, ვინც ამ ომში მონაწილეობა მიიღო და ჩვენ ძველი და ახალი განაწილებული ქართველები შეგვაერთა! ვისურვოთ იმათი ბედნიერება და სიცოცხლე! არც ჩვენგან და ჩვენი შთამომავლობისაგან დავიწყებული არ იქნება მათი შრომა” (“დროება”, 8.IX.1878). ქართველი ხალხის სიხარული აისახა ილია ჭავჭავაძის შემდეგ სიტყვებში: “ჩვენი ძმები, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, – დღეს ჩვენ შემოგვიერთდა”(ჭავჭავაძე, 1955:18). ამ სიხარულის დაგვირგვინებას წარმოადგენდა ქ. თბილისში მუხრანსკის სასახლეში 1878 წლის 20 ნოემბერს (2 დეკემბერს) გამართული საზეიმო ბანკეტი. მას ესწრებოდნენ: შერიფ-ბეგ და ნური-ბეგ ხიმშიაშვილები, ხუსეინ-ბეგ აბაშიძე, ახმედ-ეფენდი მარადიდელი, სული-ბეგ მაჭახელი, ხუსეინ-ბეგ და ხასან-ბეგ ბეჟანიძეები და სხვები. მასპინძელთა რაოდენობა 90 კაცამდე მოითვლიდა. აქ იყვნენ: გრიგოლ ორბელიანი, კ. მამაცაშვილი, ი. ანდრონიკოვი, დ. ფურცელაძე, ა. წერეთელი, ი. კერესელიძე, პ. უმიკაშვილი, ნ. ავალიშვილი და სხვები.

ქართველთა სულიერი ერთიანობის ნათელ ნიშანსვეტად იქცა აღნიშნულ ბანკეტზე აკაკი წერეთლის სიტყვები: “... დღეს ჩვენ შეგვიძლიან მივიდეთ ჩვენის წინაპრების საფლავებთან და ჩავსდახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია! და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი?... დედა ენა და ერთობა!...”

რუსეთ თურქეთის 1877-1878 წლების ომი თავისი შედეგებით ქართველი კაცისათვის ყოველთვის იქნება სიმბოლო დიდი ძმობის, ვაჟკაცობის, სიყვარულისა და მოყვასთა პატივისგებისა, როგორც ჩაუქრობელი კელაპტარი. არასდროს მიეცემა დავიწყებას ის დიდი თავდადება, რაც ამჟამად ჯარისკაცთა სამშო საფლავებშია შეფუთული

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაზ. "დროება", 23 VII.1878.
2. გაზ. "დროება", 20. IV.1977.
3. გაზ. "დროება", 8. IX. 1878.
4. შ. მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიდან, ბათ., 1963.
5. შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობი-საგან, ბათ. 1956.
6. სერგეი მესხი, წერილები აჭარაზე, შეადგინა, კომენტარები, შენიშვნები და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, ბათ., 2000
7. აბ. სურგულაძე, გულო კაიკაციშვილი, თბ. 1973.
8. გ. წერეთელი, პუბლიცისტიკა, თბ., 1973.
9. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I., თბ., 1955.
10. ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი, ბათ., 1912.

Ц. Катамадзе, Н. Зосидзе

Русско - Турецкая война 1877-1878 гг. и Грузинская общественная мысль

Резюме

Важнейшим вопросом истории Грузии XIX века явилось воссоединение исторических грузинских территорий. Правда, в тот период не было единой грузинской государственности, но в рамках Российской империи процесс объединения территории Грузии с точки зрения консолидации грузинской нации поистине была весьма важным.

რელიგიური სინკრეტიზმი, როგორც წეს-ჩვეულებათა ტრანსფორმაციის ფაქტორი

რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები არის ხალხის სულიერი კულტურის დინამიური ნაწილი. იგი საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება და ეგუება ახალ რეალობას, ამავე დროს, თვითშენარჩუნების მექანიზმების მეშვეობით, ინახავს საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შექმნილ ფასეულობებს. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალნათლივ აისახა აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაზე, რადგან საქართველოს ეს ძირძველი კუთხე საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნოკულტურათა და რელიგიურ კონფესიათა შეხვედრისა და ურთიერთგავლენის სარბიელს და ხასიათდება რელიგიურ რწმენათა და კულტურულ ფასეულობათა სიჭრელითა და სინთეზით. რელიგიათა ურთიერთგავლენა სინკრეტული ფორმით აყალიბებდა წეს-ჩვეულებებს. მათში სამი რელიგიის – ქრისტიანობამდელი, ქრისტიანული და მუსლიმანური დანამრეკები გამოიყოფა. შრეების განცალკევება ძალზე ძნელია, რადგან წეს-ჩვეულებები ყალიბდებოდა ხანგრძლივად, საუკუნეების მანძილზე, რელიგიური აზროვნების სხვადასხვა საფეხურზე. ყველა პერიოდს თავისი კორექტივები შეჰქონდა რიტუალებში, მაგრამ არსებული მასალის მიხედვით აჭარაში რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში ყველაზე უკეთ არქაული, ქრისტიანობამდელი ფენაა შემონახული და მათში აისახება ქართველთა წარმართული რელიგიის ძირითადი საწყისების – მიწის, წყლის, მზის, ცეცხლის, კერისა და სხვ. კულტმსახურების ნიშნები. შემდგომმა რელიგიებმა ვერ მოახერხეს არქაული წეს-ჩვეულებების აღმოფხვრა ხალხის მეხსიერებიდან, მაგრამ მოხდა წეს-ჩვეულებათა გადააზრება, შეგუება ახალ რელიგიურ აზროვნებასთან, არქაული კულტების ქრისტიანული წმინდანებით ჩანაცვლება და სხვ. აჭარის სამეურნეო წეს-ჩვეულებებში ქრისტიანული შრე შედარებით ძნელი გამოსაყოფია, რაც ისლამის გავლენითა და

წეს-ჩვეულებებში ისლამური ელემენტების შექრითაა გამოწვეული. ეს შრე ძირითადად შემონახულია ტოპონიმებში, საკულტო ლექსიკაში (დღესასწაულების სახელწოდება, შელოცვების ტექსტები, რიტუალის ტექსტუალური ნაწილი, სიტყვიერი ფორმულები) და ზოგიერთი რიტუალის ფრაგმენტში. რაც შეეხება ისლამს, მან აჭარაში ყოფით ჩვეულებებსა (საქორწინო, დაკრძალვის წესები, ნათლობა და სხვ.) და, საერთოდ, საოჯახო ყოფაში უფრო ადვილად შეიტანა კორექტივები, ვიდრე სამეურნეო წეს-ჩვეულებებში. ამიტომაც სამეურნეო წეს-ჩვეულებებზე მისი გავლენა მინიმალურია. სამაგიეროდ, სამეურნეო წეს-ჩვეულებებში ყველაზე უკეთ იკვეთება რელიგიური სინკრეტიზმით გამოწვეული ტრანსფორმაციები. რელიგიური სინკრეტიზაციის შედეგად წეს-ჩვეულებებმა რამდენიმე მიმართულებით განიცადეს ტრანსფორმაცია:

1. შეიცვალა წეს-ჩვეულებათა არსი, აზრობრივი დატვირთვა;
2. ცვლილება განიცადა წეს-ჩვეულებათა ფუნქციონალურმა დანიშნულებამ;
3. ტრანსფორმირდა შესრულების ფორმები და ხასიათი.

სოციალური განვითარების ყველა ახალ საფეხურზე წეს-ჩვეულებები განიცდიდა სახეცვლილებას, იძენდა ახალ შინაარსს. აჭარაში დღემდე მოღწეული და ყოფაში შემონახული რიტუალების უმრავლესობის თავდაპირველი დანიშნულება შემდგომი რელიგიური პლასტების ზეგავლენით მივიწყებულია და დღემდე მხოლოდ თაობიდან თაობაზე ტრადიციის გადაცემის გზითაა მოღწეული. ხალხური რწმენით ესა თუ ის ჩვეულება „დაცდაა“ ან „ძველებიდან მოდის და მას არ უნდა მოშორდე“. ასეთ ძველ ტრადიციაზე ამბობენ „ნაქართლიაო“ ან „ქართველები რომ იყვენ აქა, იმდროინდელიაო“. ნაქართლს გამუსლიმანებამდელ წეს-ჩვეულებებს ან ქრისტიანულ კულტმსახურებასთან დაკავშირებული ძეგლების ნაშთებს ემახიან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარაში თუ რაიმე გადაავიწყდათ, მეხსიერებიდან ამოუვარდათ, იტყვიან „გადამქართულდაო“ ე.ი. გადამავიწყდაო. აჭარაში შემორჩენილია ტერმინი „ნაურიალიც“. ასე ემახიან უძველეს, არქაულ, ქრისტიანობამდელ ჩვეულებას ან მატერიალური კულ-

ტურის ძეგლს (მაგალითად, ანტიკური ხანის ნამოსახლარს, ან სასაფლაოს) (ნ.ჩიჯავაძე, 1969:47; დ.ხახუტაიშვილი, 1963:116).

სარწმუნოებრივი თუ ყოფითი ფაქტორების ზეგავლენის შედეგად, ინფორმატორებს აღარ ახსოვთ არა მხოლოდ ამა თუ იმ რიტუალის არსი და მნიშვნელობა, არამედ, მივიწყებულია ის რწმენა-წარმოდგენებიც, რასაც ეს რიტუალები ეფუძნება. ხაზს უსვამენ მხოლოდ იმას, რომ იგი «ძველებიდან მოდის» და ამიტომ «ბრძნილობენ». ბრძნობა, ბრძნა იგივე ტაბუა. საბრძნელი, საბრძნელი აკრძალული, ტაბუირებული რამაა, რისი დარღვევის შემთხვევაშიც ოჯახსა და მეურნეობას დიდი საფრთხე ელის და ამიტომაც მისი დარღვევა აკრძალულია. ამიტომაც, რომ ბრძნილობები და აკრძალვები ერთმანეთის გვერდით გვხვდება.

რელიგიური სინკრეტიზმის ზეგავლენით ზოგჯერ ერთი წეს-ჩვეულების ცალკეული კომპონენტი ფრაგმენტების, ნამსხვრევების სახით გაბნეულია სხვადასხვა წეს-ჩვეულებასა და რიტუალში. მაგალითად ბერიკაობა-ყეენობა აჭარაში სრულყოფილი სახით არ გვხვდება, მაგრამ მისი ცალკეული ელემენტები შემონახულია შუამთობის, ფადიკოს, დათვობიას რიტუალებში (ლომთათიძე თ., 2002) ბარბალობის ფრაგმენტები კი შემორჩენილია "ცხემლის ჭრისა" და დადგის ჩვეულებებში (ლომთათიძე თ., 2002:2007) ან პირიქით, რიტუალების ნაწილი იმდენად ფრაგმენტულად და ცალკეული ელემენტის სახითაა შემორჩენილი, რომ ზოგჯერ თავდაპირველად სრულიად დამოუკიდებელი წეს-ჩვეულებები ერთნაირი შინაარსისა და აზრობრივი დატვირთვის გამო ერთ საერთო დღესასწაულშია გაერთიანებული. მაგალითად, თავდაპირველად დამოუკიდებლად არსებული ისეთი რიტუალები, როგორცაა კვირკობა//ჩურუგაი, ელიობა, ზახურა მსგავსმა ელემენტებმა და საერთო მიზანმა (მოსავლის დაცვამ მიწის სამუშაოების ტაბუირების გზით) გააერთიანა და თანამედროვე ყოფაში ერთი დღესასწაულის სახითაა წარმოდგენილი (ლომთათიძე თ., 2004).

რელიგიური სინკრეტიზაციის შედეგად წეს-ჩვეულებათა ტრანსფორმაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა არა მხოლოდ წეს-ჩვეულებათა შინაარსის შეცვლა, არამედ ცვლილებები მათ ფუნქციონალურ დანიშნულებაში. როგორც ცნობილია, ზოგიერთ-

მა წეს-ჩვეულებამ ტრანსფორმაციის შედეგად დაკარგა საკულტო შინაარსი და გარკვეული ისტორიული გზის გავლის შემდგომ საბავშვო თამაშობად და გასართობად იქცა. აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალი უძველესი რწმენა-წარმოდგენის კვალი სწორედ საბავშვო თამაშებშია შემონახული და მათი შესწავლა ზოგჯერ საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ აჭარაში ამა თუ იმ წეს-ჩვეულების არსებობა ან დანიშნულება. მაგალითად, ბოსლობის დღესასწაულის არსებობა აჭარაში საბავშვო თამაშების მოკუჭალიებისა და ბუღობია//ეწრობიას ანალიზის მეშვეობით დასტურდება, რადგან სწორედ ამ თამაშებმა შემოინახა დღეობა ბოსლობის ელემენტებიცა და ღვთაება ბოსლას ფონეტიკური სახეცვლილებაც «ბოლა» (ვ. შამილაძე, 1971:33; მისივე, 1973:49.) რიგი თამაშები რომ სერიოზული საკულტო ქმედების გადმონაშთს წარმოადგენენ და უძველეს მსოფლმხედველობას ასახავენ, კარგად ჩანს აჭარაში გავრცელებულ თამაშში - წყვედობილა//გაგლეჯილა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული თამაშის „ნიშხა-ნიშხა ბარბალუკას“ იდენტურია და მის მსგავსად ასახავს კოსმიურ-მითოლოგიურ სცენას მნათობი მზისა და შავ-ბნელი ძალის – გველემზაპის დაუცხრომელი ბრძოლისა (ბარდაველიძე ვ., 1941:37). ასეთივე ტიპის ტრანსფორმაცია განიცადა თამაშმა ცეცხლობია ანუ ათეშოინი, ართოშანი (ათეშ (თურქ.) ცეცხლი). თამაშის ამოსავალი წერტილია ცეცხლის დაცვა. ცეცხლობიაში ჩანს ცეცხლის გაღმერთებისა და მასზე განსაკუთრებული ზრუნვისა და დაცვის კვალი. «ცეცხლობია» მიჩნეულია ამირანის მიერ ღმერთებისათვის ცეცხლის მოტაცების მითოლოგიური სიუჟეტის განსახიერებად (ნოღაიძეილი ჯ., 1971:126).

ამგვარად სინკრეტული ფორმით არსებობის შედეგად მაგიურ ქმედებათა თავდაპირველი დანიშნულება დაკარგულია, მაგრამ თამაშებში რიტუალების ბევრი არქაული ფორმა შემორჩენილი.

ტრანსფორმაციას განიცდის წეს-ჩვეულებათა შესრულების ფორმებიც. საქართველოს სხვა კუთხეების ანალოგიური მასალა მიუთითებს, რომ სამეურნეო წეს-ჩვეულებათა დიდი ნაწილი საერთო-სასოფლო ან საერთო-სათემო იყო, აჭარაში კი ისინი

უმთავრესად საოჯახო დღესაწაულის სახითაა წარმოდგენილი. თუმცა ჩაღრმავებულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ ადრე აჭარაშიც უნდა არსებულებოდა საერთო-სახალხო დღესასწაულები. მაგალითად, ქაშატობა, კანულის გაღება, «ცხემლის ჭრა», საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, საერთო-სათემო დღეობები უნდა ყოფილიყო, მაგრამ დღეს საოჯახო რიტუალის დონეზეა წარმოდგენილი აჭარაში. შესაძლოა საერთო-სახალხო დღესაწაულების საოჯახო დღესასწაულებად გადაქცევა გამოიწვიოს ჯერ ქრისტიანობისა და შემდგომ ისლამის მიერ მასიური ხასიათის არქაული დღესასწაულების აკრძალვამ და ისინი აჭარაში შემორჩნენ მხოლოდ საოჯახო დონეზე, სადაც მათი შესრულება გაბატონებული იდეოლოგიისაგან მოფარებულად შეიძლებოდა.

ამგვარად, რელიგიური სინკრეტიზმი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც იწვევს წეს-ჩვეულებათა ტრანსფორმაციას, სახეცვლილებას, მაგრამ რელიგიათა ურთიერთდაპტაციის პროცესში შეინიშნება საპირისპირო ტენდენციაც: რელიგიური სინკრეტიზაციის პირობებში ამოქმედებას იწყებს თვითშენარჩუნების მექანიზმი, ხდება არქაული ელემენტების დაკონსერვება. ამიტომაც ის, რაც საქართველოს დანარჩენ რეგიონებში ქრისტიანობის გავლენით დავიწყებთ მიეცა, აჭარაში შენარჩუნდა. ამიტომაცაა აქ დაკონსერვებული ზოგიერთი რიტუალის უძველესი ვარიანტი. მაგალითად, საქართველოს სხვა კუთხეებში რიტუალურ კერძებად უმეტესწილად პურეული, კვერები, სხვადასხვასართიანი ტაბლები, განატეხები გამოიყენება, აჭარაში კი რიტუალური დანიშნულება უფრო მეტად ფაფას აქვს დაკისრებული (ლომთათიძე თ., 2008). საწესო ფაფის მოხარშვის ტრადიცია კი, როგორც ცნობილია, უფრო ადრინდელია, ვიდრე კორკოტის ან რიტუალური პურების დამზადების ჩვეულება. ხორბლეული კულტურების საფუძველზე მიღებული ფაფისეზური კერძების სახეობები (წანდილი, კოლიო, კორკოტი და სხვ.) საზოგადოებრივი განვითარების იმდროინდელი საფეხურის წარმონაქმნია, როცა ჩვენი წინაპრებისათვის ხორბლის კერძები ძირითად საკვებს წარმოადგენდა. ისინი პურმა და მისმა სახესხვაობებმა შეცვალა მოგვიანებით, პურის საცხობი საშუალებების სრულყოფის შემდეგ. საქართველოშიც, შესაძლოა, პურ-

მა შესაწირავთაგან ფაფა გამოირცხა ქრისტიანობის გავლენით (ბერიაშვილი ლ., გოცირიძე გ., 1988:74.).

აჭარაში გავრცელებული წეს-ჩვეულებები შენარჩუნებული აქვთ ასზე მეტი წლის წინ აჭარიდან გურიის სოფლებში ზოტსა და ჩხაკურაში გადასახლებულებს. მაგალითად, ქაშატობა, რომელიც აჭარის გარდა სხვა რეგიონში და მათ შორის გურიაშიც არაა გავრცელებული, აქაურებს კარგად ახსოვთ და გასული საუკუნის 70-იან წლებში იცავდნენ კიდევ ქაშატობის უქმეს. ასევე კარგად ახსოვთ და მრავალი უძველესი წეს-ჩვეულება აქვთ შენარჩუნებული თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს. აქ ყველა ძირითადი ჩვეულება (ქაშატობა, ლაზარობა, კვირკობა, კანულის გაღება, შუამთობა და სხვ.) აქვთ შენარჩუნებული და ბევრი ისეთი რიტუალიც აქვთ შენახული, რომლებიც დღევანდელი აჭარის მოსახლეობას მივიწყებული აქვს, მაგრამ საქართველოს სხვა კუთხეების წეს-ჩვეულებების იდენტურია. მაგალითად ბერიკაობა-ყენობის ისეთი საინტერესო ელემენტი, როგორიცაა საქანელაზე ქანაობა, რაც ყველიერის კვირაში სრულდებოდა, მივიწყებულია აჭარაში, მაგრამ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს კარგად ახსოვთ. საქანელაზე ქანაობის ჩვეულებას თურქეთში მცხოვრები ქართველები ექვს მაისს – ხიზირელიასის//ხიდირილეზის დღესასწაულზე მიმართავენ. სამეცნიერო ლიტერატურაში საქანელაზე ქანაობა ნაყოფიერების დასაბეველ და ბუნების ძალებზე ზემოქმედების ერთ-ერთ უპირველეს საშუალებადაა მიჩნეული. ამავე დროს, არსებობს მოსაზრება, რომ საქანელაზე ქანაობა ერთიანდება იმ რიტუალურ ქმედებათა რიგში, რომელთა მიზანია უწყვეტი წრიული მოქმედების გადმოცემა (ბარდაველიძე ვ., 1939:159; რუხაძე ჯ., 1989:178, სურგულაძე ი., 1987:149). ხიზირელიასის//ხიდირილეზის დღესასწაული წმინდა ილია წინასწარმეტყველს ეძღვნება, რომელსაც თურქეთში ხიზირ ელიას – მხსნელ ელიას ეძახიან. ეს დღესასწაული იქაურთა რწმენით „პურების წინ წამოწევიტვინ მობრძანდება“ – ე.ი. მოსავლიანობისთვისაა განკუთვნილი. ნაყოფიერების გაზრდის მიზნით სცოდნიათ ამ დღეს სალინჯას//საკორწიალას (საქანელა) ჩამობმა და ქალების ქანაობა. მსგავსი რიტუალები თავად თურქებისთვის

უცნობია. აქაურმა ქართველებმა ისიც კარგად იციან, რომ «ეს ადეთი გურჯულია, თურქებმა მემრე გეიგონეს». ისინი ამ დღეს ოცდაათამდე დასახელების კერძს აკეთებენ და თურქ მეზობლებს ეპატივებიან (ფუტკარამე შ., 1993:114, 345, 673). აჭარაში, განსაკუთრებით ქვემო აჭარაში, ხიდირელეზი მხოლოდ ტერმინის სახითაა შემორჩენილი. მისი რიტუალური მხარე არ ახსოვთ. წმ. ელიას სახელი აქ ტოპონიმებსა და ელიოზის უქმეშია შემორჩენილი. სხვა რაიმე რიტუალური მხარე ამ დღესასწაულისა არ ახსოვთ. ასევე ფართოდ იყენებენ ყოფაში «სალინჯალს»-საქანელას, მაგრამ არა რიტუალური დანიშნულებით. როგორც ჩანს, ეს ბერიკაობა-ყენობის ის ელემენტია, რომელიც თავად აჭარაში არ შემონახულა, მაგრამ აქედან თურქეთში გადასახლებულების მეხსიერებასა და ყოფას კარგად შემოუნახავს, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს რწმენა-წარმოდგენათა არქაული პლასტების მდგრადობას.

წეს-ჩვეულებათა სინკრეტული ფორმით არსებობა განსაკუთრებით შესამჩნევია მეზობელ გურიის რეგიონთან მოსაზღვრე ქობულეთის რაიონში. აქ ყველაზე მეტადაა წეს-ჩვეულებებში შერწყმული სამივე რელიგიური პლასტი (საღმრთოს გამართვის ჩვეულება ხოჯისა და მოლას მონაწილეობით, კვერცხის შეღებვა სააღდგომოდ, გზობის, იგივე ბზობის დღესასწაულის აღნიშვნა წარმართული და ქრისტიანული ელემენტების შერწყმით და სხვ.).

ამგვარად, რელიგიური სინკრეტიზმი, ერთი მხრივ, წეს-ჩვეულებათა ტრანსფორმაციის შედეგია, ხოლო, მეორე მხრივ, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რამაც სხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორებთან ერთად აჭარაში განაპირობა წეს-ჩვეულებათა ტრანსფორმაცია საფეხურებრივად – თავდაპირველად ქრისტიანობის გავლენით არქაულის არსის, ფუნქციონალური დანიშნულებისა და შესრულების ფორმების შეცვლა, ხოლო შემდეგ ისლამის გავლენით ქრისტიანულის უკანა პლანზე გადაწევა და არქაულის წარმოჩენა, საკულტო ლექსიკაში (დღესასწაულების ტექსტუალური მასალა, სახელწოდებები, შელოცვები) თურქულის შეჭრა, წეს-ჩვეულებებში არქაული და ისლამური ელემენტების შერწყმა. აჭარაში თავდაპირველად ქრისტიანობა დევნიდა

წარმართული ხანის მასიურ დღესასწაულებს, რომლებიც შეუ-
თავსებელი იყო ქრისტიანულ მორალთან, შემდგომ კი ისლამი
ცდილობდა დაემორჩილებინა ისინი საკუთარი კანონებისათვის.
ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში ქრისტიანული წესები
თითქმის მთლიანად გამოდევნილი იქნა მუსლიმანობის მიერ,
სამაგიეროდ, უფრო მეტად შემორჩა არქაული ფორმები, რაც არა
მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ ისლამი სდევნიდა
ყველაფერ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურს, სხვა რელიგიებსა
და ადათ-წესებში კი ნაკლებად ერეოდა, არამედ იმითაც, რომ
თავად თურქეთის ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში ისლამური
ელემენტების გვერდით ფიქსირებულია უძველესი კულტურისა
რეზიდა და რელიგიურ-მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენათა კვა-
ლი. ეს კულტები და მითოსური არსებები სემანტიკურ მსგავ-
სებას ავლენენ ქართულ მითოლოგიურ სამყაროსთან, რასაც
იმით ხსნიან, რომ თურქულ მითოლოგიასა და წეს-ჩვეულებებზე
დიდი იყო ბერძნული და იმ ხალხებისა თუ ტომების არქაულ
რწმენა-წარმოდგენათა ზეგავლენა, რომლებიც დახვდნენ თურქ-
სელჩუკებს მცირე აზიაში ან რომლებთანაც ოსმალებს ურთიერ-
ობა ჰქონდათ ისტორიულად (Гордлевский В.А., 1960:321-361;
Курьелъ В.П., 1976:131; Еремеев Д.Е., 1971:243). ამ ხალხებთან
ეთნიკური შერევისა და მათთან კულტურული კონტაქტების
შედეგად თურქულმა ტომებმა შეითვისეს ამ ხალხების უძვე-
ლესი სამიწათმოქმედო კულტურის თითქმის ყველა ელემენტი.
ამან წარმოშვა ბევრი მსგავსი მომენტი რწმენა-წარმოდგენებსა
თუ წეს-ჩვეულებებში. შესაძლებელია, სწორედ ასეთი მონათესავე
რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების არსებობის გამო
ისლამი ნაკლებად ებრძოდა ძველს, არქაულს და კმაყოფილ-
დებოდა მათთვის მხოლოდ მუსლიმანური შეფერილობის მიცე-
მით. იქნებ ამიტომაც აჭარაში XIX ს-ის 90-იან წლებამდე ისლამი
კლასიკური სახით არც არსებობდა. ის სარწმუნოებრივი ელემენ-
ტები, რაც აქ ყოფაში გვხვდებოდა, უფრო ე.წ. “ხალხურ ისლამს”
განეკუთვნებოდა და ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ის-
ლამური ელემენტების შერწყმით იყო მიღებული. საერთო ჯამში
კი აჭარის ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს ზოგადად

ქართველი ხალხის რელიგიურ შეხედულებათა სინკრეტულ ხასიათს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარდაველიძე ვ., სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ტფ., 1939.
2. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ზაზარ), თბ., 1941.
3. ბერიაშვილი ლ., გოცირიძე გ., ქართლის 1985-86 წწ. ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, საველე ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ., 1988.
4. ლომთათიძე თ., სოლარული სიმბოლიკა “ცხემლის ჭრის” რიტუალში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, IV, ბათუმი, 2002.
5. ლომთათიძე თ., ბერიკაობა-ყვენობის ელემენტები აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის “საისტორიო მაცნე”, XI, ბათუმი, 2002.
6. ლომთათიძე თ., მიწის სამუშაოთა აღკვეთის ჩვეულება აჭარაში (ქაშატობა), ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, ბათუმი, 2004.
7. ლომთათიძე თ., “ცეცხლის დღეობების” კვალი დადგის დღესასწაულში, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, V, ბათუმი, 2007.
8. ლომთათიძე თ., მარცვლის საკრალური დანიშნულება სარიტუალო კერძებში (აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, VI, ბათუმი, 2008.
9. რუხაძე ჯ., ზუნების ძალთა აღორძინების დღესასწაული, თბ., 1989.
10. სურგულაძე ი., სივრცობრივი ასპექტები ქართველთა რელიგიურ და მითოსურ წარმოდგენებში, მსე, XXIII თბ., 1987.
11. ფუტყარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
12. შამილაძე ვ., აგრარულ-რელიგიური დღესასწაულის ისტორიიდან, აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები, თბ., 1971.
13. შამილაძე ვ., კორიდას ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973.
14. ჩიჯავაძე ნ., მემინდვრეობა აჭარაში, აჭარის სოფელი, თბ., 1969.

15. ხახუტაიშვილი დ., ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის, მოამბე, თბ., 1963.
16. Гордлевский В.А., Избранное сочинения, т.1, М., 1960
17. Еремеев Д.Е., Этногенез турок, М., 1971
18. Курылёв В.П., Хозяйство и матерьяльная культура турецкого крестьянства, М., 1976

Типы поселения и строительная техника Приморья Юго-Западной Грузии в эпоху Бронзы - Раннего Железа

Своеобразие естественных условий и исторических традиций являются тем фактором, который определяет не только формы поселений и их топографию, но и характер материалов, применяемых в строительной технике.

Данные, полученные в процессе археологических исследований, проведенных в приморской полосе Юго-Западной Грузии, подтверждают, что хуторная форма заселения, практикуемая в данном регионе со средних веков, отсутствовала в древности. Не исключено, что она возникла в связи с ускорением и распространением определенного вида хозяйствования или вследствие сдвигов в социальных взаимоотношениях.

При разведочных раскопках подторфного поселения Испани (в районе г. Кобулет) выяснилось, что в приморской полосе раннебронзовой Колхиды уже существуют поселения, для топографии которых характерна компактность (А. Инаишвили, 1977: 67-75; Д. Хахутаишвили, 1995: 33-45; Н. Хахутаишвили, 1986: 94-113). По-видимому, компактные поселения в данном регионе бытовали еще со времен новокаменного века. Свидетельством сказанного является поселение начального этапа новокаменного века в Кинтришском ущелье, в селе Кобулет, у правого берега реки, а также в селе Хуцубани и Махвилаури (Бердзенишвили Н., Небиеридзе Л. 1964: 7-16). Неолитическое поселение с. Кобулет занимает площадь в 12000 м². Почти вся эта территория покрыта развалинами и культурными слоями. Этот ранний памятник производящего хозяйства, по общему признанию, свидетельствует о хозяйственном развитии населения Западной Грузии этого времени. Заслуживает внимание тот факт, что к 1980 году на этом поселении было добыто 15 000 единиц орудий и полуфабрикатов, сделанных рукой человека (нуклеусы, отщепы, ламеллы, резцы, шила, пилообразные зубчатые инструменты и т. д.) (Гогитидзе С. 1983: 3-39). Концентрация материалов на определенной площади является косвенным указанием на компактность поселения.

Компактность неолитического поселения, концентрация населения в определенных точках, по всей вероятности, была обусловлена обстоя-

тельствами, позволяющими человеку решить борьбу за существование в свою пользу. По-видимому, коллективная (групповая) форма защиты была характерна для человека еще с эпохи древнекаменного века (Каландадзе А. 1970: 77-118). И впоследствии факторы, диктовавшие необходимость коллективной защиты, еще долго сохраняли актуальность.

Сосредоточение людей в определенном пункте было вызвано также необходимостью успешного ведения хозяйства. В эпоху каменного века решающим фактором была в основном коллективная охота, в эпоху металлов – оборона (защита), а в классовом обществе – ремесло и торговля (города).

Таким образом, тип поселений, их топографию диктовал комплекс факторов, содержание которых определялось уровнем социального и хозяйственного развития данного общества. Вместе с тем в некоторых случаях немаловажное значение имело окружение, в котором приходилось жить данному коллективу.

Хотя в приморской полосе Юго-Западной Грузии до сих пор не выявлены поселения среднебронзовой эпохи, мы знаем топографию поселений предыдущего и последующего периодов. Их сравнение выявляет определенную генетическую преемственность и дает возможность судить об устойчивости традиции, определенном консерватизме форм поселения.

В эпоху поздней бронзы мы находим сравнительно небольшие, компактные поселения, которые, по всей вероятности, представляли собой обиталища отдельных общин. На территории Юго-Западной Грузии в настоящее время выявлены и изучаются лишь несколько таких поселений данного периода, в том числе поселения Намчедури VI (XV-XIV вв. до н.э.) и Намчедури V (XIII-XII вв. до н.э.), также ряд поселений, расположенных там же и входящих в группу памятников Пичвнари-Чолоки (Микеладзе Т., Хахутаишвили Д. 1985). Как отмечал проф. О. Джапаридзе, «облик поселения этого периода мало изменился по сравнению с поселениями предыдущего периода, продолжая традиции предшествующих периодов в строительной технике, в планировке жилья и поселений. По-видимому, в условиях влажного климата на колхидской долине оформился особый тип поселений с характерной для них техникой строительства и типом помещения. В богатой лесами Колхиде древесина занимала ведущее место в строительстве; жилые и подсобные помещения строились на уровне грунта, на площадках, выложенных круглыми бревнами и предназначенных защитить обитателей и продукты от грунтовых вод и сырости. Трудно судить о

характере поселения и помещения. По всей вероятности, здания имели вид сруба (Джапаридзе О. 1982: 69).

В данном регионе сравнительно хорошо представлены поселения эпохи раннего железа (определенные слои поселений группы Пичвнари-Чолоки, Намчедури IV и Намчедури III (Микеладзе Т., Хахутаишвили Д. 1985: 13-18), поселение Цихисдзири, дюнные поселения) (Рашишвили А. 1974: 103-111; Рашишвили А. 1975: 36-44). Относительно дюнных поселений, отметим, что независимо от функциональности назначения этих стоянок, они принадлежат к числу компактных поселений. Таковы они почти во всем Восточном Причерноморье, особенно в приморье Юго-Западной Грузии (Уреки, Пичвнари, Чакви, Бобоквати, Гонио и др.).

В эпоху раннего железа формируется новый тип поселения. В частности, в период широкого хозяйственного освоения железа, совпавшего по времени с первой четвертью I тысячелетия до н.э., появляются крупные, поселкового типа поселения, в составе которых представлены один или несколько ремесленных участков. Такую картину в данную эпоху мы констатируем не только в Колхиде, но и на территории Восточной Грузии и других регионов со схожими условиями хозяйственной деятельности (Хахутаишвили Д. 1966: 62-72).

В приморье Юго-Западной Грузии подобные поселения представлены в Кобулет-Пичвнари (Микеладзе Т., Хахутаишвили Д. 1985: 20-21) и Уреки (Хоштария Н. 1955: 25-43). Из них сравнительно лучше изучено крупное поселение, представленное на северной окраине курорта Кобулет, в местности Пичвнари-Чолоки; топография его, по видимому, оформилась в первой четверти I тысячелетия до н.э. Поселение возникло вследствие слияния (синойкизма) рядовых общин, обитавших в мелких поселениях, в зоне слияния рек Чолоки и Очхамури. Эти поселения, как полагают, объединялись вокруг той общины, которой принадлежало поселение Намчедури, и, следовательно, она являлась гегемоном общин, расположенных вокруг ее поселения. Мы знаем немало примеров с территории расселения картвельских племен, когда на территории поселения общины - гегемона возникает общеплеменное святилище (храм) (Уплисхихе, Ховле и др.) (Хахутаишвили Д. 1966: 176-180). Как показывает ряд мест «Анабасиса» Ксенофонта, картвельское население Юго-восточного Причерноморья, особенно его приморской зоны, также имеет крупные, поселкового типа поселения, которые образовались вследствие объединения мелких поселений вокруг центрального поселения. В этой связи определенный интерес представляет описание страны дрилов, приве-

денное в «Анабасисе» Ксенофонта: «Когда уже нельзя было доставать провиант так близко, чтобы в тот же день возвращаться в лагерь, Ксенофонт взял у жителей Трапезунта проводников и повел половину войска на землю дривов, а другую половину оставил для охраны лагеря, ввиду того, что колхи, изгнанные из своих жилищ, собрались в большом числе и засели на вершинах гор... когда эллины появились в этой горной стране, дривы стали поджигать и покидать свои укрепленные поселения, которые, по их мнению, могли быть захвачены... Одно укрепление было у них главным пунктом; в нем-то и собрались все. Оно было окружено очень глубоким оврагом, и доступ к нему был труден... (эллины – Н.Х.) не могли взять укрепления, потому что вокруг него был проведен широкий ров, а вдоль насыпи была сооружена ограда и выстроено множество деревянных башен... спускаться с укрепления в овраг можно было только поодиночке... укрепления на вершине невозможно было взять (Микеладзе Т. 1967: 90-96).

Из приведенного отрывка ясно, что и в южной Колхиде отмечается та же ситуация, какую мы несколько позже засвидетельствовали на территории центральной Колхиды и Иберии.

Ситуация, выявленная нами для данного периода в зоне слияния рек Чолоки и Очхамури, является наглядной иллюстрацией сказанного. Здесь, вокруг поселения Намчедури, являющегося, как уже отмечалось, ведущим общинным местожительством, выявлены остатки синхронных поселений Намчедури IV и Намчедури III. В слоях этих поселений наряду с материалами сельскохозяйственного производства представлена и продукция ряда отраслей ремесленного производства. Из них документально засвидетельствовано наличие металлолитья, ткачества, добывание металлосоуры и т. д. (Микеладзе Т., Хачутаишвили Д. 1985: 23-29). Вместе с тем такая разновидность хозяйственной деятельности представлена на сравнительно ограниченной территории. Отдельные участки крупного поселения, возникшие из бывших самостоятельных общинных поселений, по-видимому, сохранили свой «почерк» ведения хозяйства.

Крупное поселение в зоне слияния рек Чолоки и Очхамури в VIII-VII вв. до н. э. охватывало область слияния этих двух рек, а также территорию до новочерноморской террасы и место слияния рек Очхамури и Цавгеле. На юге дюнные поселения представлены скоплениями в Цихисдзире-Бобоквати (от реки Кинтриши до крепости Петра) и Чакви, а на севере – Уреки (от устья р. Натанеби до устья р. Супса) (Хоштариа Н. 1955: 25-34; Джапаридзе О. 1950: 118-124; Рамишвили А. 1964: 119-125; Тавамаишвили Г.-----). Подобные стоянки в виде

отдельных «гнезд» мы находим как на юге этой зоны (у крепости Гонио), так и на севере (окрестности Очамчире и Сухуми) (Иессен А. 1937: 251-252; Соловьев Л. 1947: 23-50; Соловьев Л. 1950: 265-274; Куфтин Б. 1950: 174-180), и везде они содержат материалы первой четверти I тысячелетия до н. э. К тому же эти материалы по своему составу одинаковы (рогообразные подставки, ваннообразные четырехугольные сосуды изготовленные из грубоструктурной глины и плохо обожженные, а также овальной формы «дома»-навесы, жертвенники и т. д.). Эти стоянки, по-видимому, были связаны с определенным видом хозяйственной деятельности, что должно было найти свое отражение в соответствующих религиозных культах (Рашишвили А. 1975: 36-45; Кахидзе А. 1971: 32-33).

Как известно, существуют разные точки зрения относительно назначения дюнных поселений. Одни полагают, что здесь выпаривали соль (Л. Соловьев и др.); по мнению других, здесь добывали сырье для железопроизводства (Н. Хоштария, А. Рашишвили и др.); третьи считают их местом исполнения религиозных церемониалов (А. Кахидзе и др.).

Если вопросы назначения дюнных поселений рассматривать сквозь призму исторического опыта развития общества, то можно будет сделать вывод, что в дюнных поселениях Восточного Причерноморья «занимались» всеми тремя сферами древнего быта, в частности, добывали сырье для железоплавильных мастерских, варили соль и исполняли различные языческие ритуалы. Не исключено, что каждое из этих занятий было сезонным. В частности, летом выпаривали соль, а зимой добывали магнетит. По письменным источникам раннежелезного периода мы знаем, что добыча металлов на Ближнем Востоке являлась сезонным занятием (Gurney O. 1954: 83-84; Zaccagnini C. 1971: 11-14). Подтверждением сказанного должно быть и письмо царя Хаттусиля III (1304-1280 гг. до н.э.) ассирийскому царю, в котором он сообщает адресату, что пока не сможет выполнить его просьбу о посылке стальной продукции, так как еще не настал сезон выплавки железа, а запасы металла прошлогодней выплавки израсходованы (КВО, I, 14).

Таким образом, крупное поселение, выявленное в полосе слияния рек Чолоки и Очхамури, имело сложную топографию; в нем представлены участки, занятые в разных отраслях хозяйственной деятельности, в том числе и площадки для исполнения языческих религиозных ритуалов. В эпоху раннего железа подобные крупные поселения существовали в Уреки и Цихисдзири-Бобоквати.

Археологические раскопки последних лет (А. Инаишвили, Д. Хахутаишвили, Н. Инаишвили, Г. Тавамаишвили) подтвердили, что к северу от цитадели Петра-Цихисдзири существовал довольно масштабный комплекс поселений, объединявший как дюнные, так и обыкновенные поселения; в раннеантичный период он стал эмпорием. Позднее оно оформилось в лазский город-крепость. Несколько иначе сложилась судьба крупного поселения в Уреки, которое хотя и оформилось в античную эпоху как эмпорий, но не получило дальнейшего развития. По-видимому, возникновение и благополучие крупного поселения в Уреки было обусловлено существованием производственного очага древнеколхидского центра металлургии железа, выявленного в ущелье р. Губазеули (сёла: Аскана, Мзиани, Нагомари, Мшвидобаури и др.) (Хахутаишвили Д. 1981: 3-36). Этот очаг, по всем данным, снабжался сырьем из Уреки. Надо полагать, здесь же находился и рынок сбыта металлов. Упадок очагов железопроизводства вызвал и ослабление этого ряда крупных поселений; если крупное поселение не имело какую-нибудь стратегическую ценность, то оно со временем становилось рядовым поселением. Так произошло с крупным поселением Уреки. Расцвет крупного поселения Цихисдзири-Бобоквати был обусловлен выгодным стратегическим местоположением. Оно оказалось настолько удачным, что фортификационная система, построенная там, сохранила свое значение с III-IV веков н.э. вплоть до 70-х годов XIX в.

Что касается крупного поселения Пичвнари-Чолоки, то оно в VI-V вв до н. э. оформилось в поселение городского типа (Хахутаишвили Д. 1960: 187-190; Хахутаишвили Н. 1986: 100-103). В V в. до н. э. здесь налицо безымянное крупное городского типа поселение, определенную информацию о топографии которого содержат выявленные здесь археологические материалы, в частности, некрополи греческой и местных общин (Кахидзе А. 1975; Кахидзе А. 1981). В античную эпоху меняется статус центрального поселения, которое взяло на себя функцию акрополиса. Вокруг него, в том числе по правую сторону р. Чолоки, располагались городские кварталы. Данные поселения в это время прекратили существование, хотя продолжалась добыча магнетита для железопроизводства. В позднеэллинистическую эпоху прекратил существование и город (Кахидзе А. 1971: 140-141), что как полагают, было обусловлено геоморфологическими изменениями, вызванными новой морской трансгрессией (лазская или нимфейская трансгрессия). Именно на рубеже старого и нового летоисчисления началось повышение уровня морской глади (Джанелидзе Ч. 1980: 59), вызвавшее заболачивание тех территорий, которые составляли сельскохозяйственную

область городов приморской полосы аккумуляционных долин и являлись основой их благополучия и существования (Хахутаишвили Д. 1984: 149-151). В то же время, по всем данным, центр железопроизводства из Восточного Причерноморья переместился в Юго-Восточное Причерноморье. Это подтверждает полное отсутствие у античных авторов данных о наличии в Восточном Причерноморье производства железа и их реальные сведения (Ксенофонт (Микеладзе Т. 1967: 106), Аполлоний Родосский (Аполон Родосский. 1970), Страбон (Каухчишвили Т. 1957: 204)) о мастерстве в металлопроизводстве некоторых картвельских племен Юго-Восточного Причерноморья (Микеладзе Т. 1974: 114-120).

Таким образом, в изменениях топографии поселений отразились не только процессы социального развития, но и геоморфологические изменения. Вместе с тем меняется не только топография поселений, но и их география.

Наряду с социальными факторами один из решающих условий формирования топографии поселения, ее стабильности или же, напротив, ее сравнительно быстрого изменения являлись также уровень строительного искусства и свойства применяемых в строительстве основных строительных материалов (камень или древесина).

Информация о материалах, применяемых в приморской полосе Юго-Западной Грузии при строительстве жилых, хозяйственных и ритуальных помещений, у нас имеется еще с раннеолитического времени. В частности, на неолитической стоянке в с. Кобулети при постройке домов, во всяком случае для их каркасов, применена древесина (Гогитидзе С. 1983: 7). Эта традиция сохранена в строительстве зданий подторфного поселения Испании, датированного эпохой ранней бронзы. Здесь уже представлены срубные строения, где применены совершенно новые, отличные от предыдущих, строительные приемы. В частности, уже отработан прием сруба бревен, который, по-видимому, вытеснил более ранний, примитивный прием возведения стен круглыми балками – закрепление балок без насечек кручеными прутьями (Хахутаишвили Д. 1979: 11).

Строители энеолитического времени Центрального и Южного Закавказья (Джавахишвили А. 1973: 1-14), очевидно, продолжали придерживаться тех строительных традиций, какие засвидетельствованы на неолитической стоянке с. Кобулети (овальные или круглые дома с вертикальным каркасом) (Гогитидзе С. 1983: 3). Такие строительные приемы и форма домов в то время, по-видимому, были довольно распространены. Но, с другой стороны, в передовых областях

Ближнего Востока мы уже встречаем прямоугольные в плане строения, свидетельствующие об окончательной победе оседлого образа жизни (Хасуна, Иерихон, Мерсин, Чатал-Хуюк и многие другие) (Джавахишвили А. 1973: 276-270). Компактное, состоящее из ранних, прямоугольной формы жилищ поселения шида Картли, в частности, поселение раннебронзовой поры в Урбниси, Квацхелеби, отчасти сохранило элементы форм более древних жилищ, а именно срезанные (округлые углы) (Джавахишвили А. Глонти Л. 1962: 44-45); от них впоследствии развилось строительство прямоугольных зданий правильной формы.

Поселениям Центрального Закавказья куро-араксского периода в междуречье Чолоки-Очхамури хронологически соответствует подторфное двухслойное поселение Испани, где в качестве строительного материала применены круглые бревна. Если в это время в Шида Картли применялись выстроенные на столбах и обмазанные глиной каркасы (Квацхелеби и другие памятники), то в Колхиде раннебронзового периода, в частности в приморье Чолоки-Очхамурского двуречья, на поселении Испани, жилища возведены круглыми бревнами, расположенными горизонтально и закрепленными с помощью сруба (среза) (Хахутаишвили Д. 1980: 17-18). Следует отметить, что в данное время указанный строительный прием известен и поселению Восточной Грузии: в одном из курганов Самгори, раскопанном проф. Г. Ниорадзе в 1950-1951 гг., под земляной насыпью была выявлена деревянная погребальная камера, построенная из бревен в виде сруба (Ниорадзе Г. 1959: 92-93). Хотя мы лишены возможности установить точную дату открытия и распространения этого строительного приема, мы знаем, что в раннебронзовый период в Закавказье, во всяком случае в Центральном и Западном Закавказье, этот прием, если он и не был распространен широко, был уже известен и применялся при строительстве деревянных сооружений.

Строительный прием, установленный на поселении Испани, в частности строительное искусство постройки срубных помещений, видоизменялись постепенно, но основные его элементы сохранились и в современной грузинской народной архитектуре (Микеладзе Дж. 1982: 20-25).

В междуречье Чолоки-Очхамури, в частности в приморской полосе, выявлены материалы, позволяющие утверждать, что население данного региона в эпоху поздней бронзы и раннего железа традиционно строило срубные жилые, хозяйственные и ритуальные помещения. Вместе с тем жители поселения Намчедури VI уже в XV-XIV вв. до н.э. строили многокомнатные помещения, функциональное назначение которых не

всегда ясно (Микеладзе Т., Хахутаишвили Д. 1985: 23). В строительстве применялись тщательно подобранные и отшлифованные топором бревна, абсолютный возраст которых по радиоуглероду определяется 1430 ± 50 годом до н.э. (Кавтарадзе Г. 1981: 27). Такого уровня строительного искусства на равнине Колхиды достигли еще в период средней бронзы, когда дома строились из специально отобранных и обработанных топором бревен. Свидетельство этому – древнее поселение Анаклия II (Д. Мухелишвили, Т. Микеладзе) (Микеладзе Т. Барамидзе М. 1976: 97-98; Кавтарадзе Г. 1981: 30). К тому же, как выясняется, поселение Анаклия II значительно моложе подгорфного поселения Испани и несколько древнее, чем самое раннее поселение группы Намчедури (Намчедури VI.). Такой вывод обоснован серией радиоуглеродных дат, приведенных ниже:

- Подгорфное поселение Испани:
 - А. Нижний уровень $5175 \pm 283 = 3225 \pm 283$ г. до н.э. (ТБ-233)
 - $5125 \pm 287 = 3175 \pm 287$ г. до н.э. (ТБ-82)
 - Б. Верхний уровень $4567 \pm 333 = 2617 \pm 333$ г. до н.э. (ТБ-232)
 - В. Перекрывающий поселение слой торфа $3601 \pm 258 = 1651 \pm 258$ г. до н.э. (ТБ-231)
- Поселение Анаклия II:
 - $4208 \pm 308 = 2258 \pm 308$ г. до н.э. (ТБ-274)
 - $4302 \pm 316 = 2352 \pm 316$ г. до н.э. (ТБ-275)
 - $4058 \pm 360 = 2108 \pm 360$ г. до н.э. (ТБ-276)
- Поселение Намчедури VI (:
 - $3380 \pm 267 = 1430 \pm 267$ г. до н.э. (ТБ-81)
 - $3283 \pm 279 = 1333 \pm 279$ г. до н.э. (ТБ-230)

(Кавтарадзе Г. 1981).

В эпоху поздней бронзы и раннего железа в строительном искусстве данного региона намечается ряд новшеств. Заслуживает внимание тот факт, что строители V слоя (XIII-XII вв до н.э.) поселения Намчедури уже не довольствуются глинобитным полом и вырабатывают навыки мощения булыжником полов жилья, преддверий и двора. Следует отметить, что такую практику мы наблюдаем и в Шида Картли (поселение Ховлегора) (Мухелишвили Д. 1978). Следует отметить, с какой тщательностью колхи-строители отбирали материалы для мощения пола жилья и двора. На берегу моря они специально подбирали дисковидные, почти одного размера камни и укладывали их на полу жилья, в коридоре (в преддверии - сохане) и во дворе. Этот прием благоустройства усадьбы и срубного жилья в приморье Колхиды сохранился еще очень долго.

В эпоху поздней бронзы и раннего железа наряду с практикой мощения полов и дворов, по всей вероятности, был приобретен еще один строительный навык- обмазка срубных построек густым глиняного раствора.

В период Намчедури III (IX-VII вв. до н.э.) жилые дома строили с использованием вертикально посаженных толстых столбов, которые соединялись плетеными из жердей и обмазанными толстым слоем глиняного раствора стенами. Такой же прием возведения стен описан и у Витрувия (Витрувий. 1936; Сумбадзе Л. 1945: 491-502). В научной среде велась острая дискуссия относительно приема возведения стен колхидского жилого деревянного дома, Одни считали, что стены колхидского дома возводились с помощью сруба; другие полагали, что крепление бревен производилось жердями. Следует отметить, что стены всех бревенчатых домов, выявленных археологами на Колхидской долине, начиная с эпохи ранней бронзы вплоть до античного периода, построены с применением сруба (Испани, Намчедури, Диха-Гудзуба II и т.д.). В Западной Грузии этот прием засвидетельствован и в современном этнографическом быту (хранилища кукурузы и сегодня строятся так же).

Еще лет 50 тому назад проф. Л. Сумбадзе высказал мнение, что по Витрувию в колхидском доме бревна стен между собой будто бы закреплялись без сруба. Основным его аргументом для подсобного вывода служило сообщение Витрувия о том, что пустоты между бревнами «заполняли щепками и глиной». По его мнению, при постройке срубом пустоты между бревнами не оставлялись (Сумбадзе Л. 1945: 497-498). Некоторые авторы (Д. Хахутаишвили, Т. Чиковани, В. Гагошидзе) не согласны с таким толкованием у Витрувия (Сумбадзе Л. 1945: 201-210), считая его неаргументированным. Надо отметить, что строительный прием возведения бревенчатых стен без сруба гораздо примитивнее, чем постройка ее срубом. Возникает вопрос: как могло случиться, что на рубеже старого и нового летоисчисления колхи забыли весьма удачный строительный прием, выработанный их предками еще в эпоху ранней бронзы и использовавшийся ими почти до наших дней? Кроме того, те из специалистов, которые знакомы со срубными постройками в современной Западной Грузии, знают, что при возведении срубных бревенчатых стен между бревнами обязательно остаются пустоты (крестьяне Западной Грузии специально не замуровывали пустоты в помещениях для хранения кукурузы и пшена для лучшей циркуляции воздуха). В описании Витрувия, по данным археологии и этнографии, имеется в виду исключительно срубный дом

и ничто иное. При решении таких вопросов имена крупных авторитетов не заменят аргументов. Аргументами могут служить лишь реальные факты о том, как строили или строят в Колхиде (в Западной Грузии) бревенчатые помещения (Джандиери М. 1981: 118-154).

Относительно рассказа Витрувия о перекрытии колхидского дома можно заметить, что оно реально и имеет подтверждение в более поздней практике: «у края (стенки) кладут разводы, которые к центру постепенно делаются все короче, образуя пирамиду, покрытую замещенной как тесто землей, такова обыкновенная для варваров черепахообразная крыша» (Сумбадзе Л. 1945: 497-500). Здания с такой крышей в Западной Грузии, как видно из сочинения Христофоро Каstellи, строили и в XVII в. (Дон Христофоро де Каstellи, 1976: 164).

Применение камня в строительстве распространяется в Колхиде лишь с эллинистического периода. Археологические данные из Пичварского городища и Вани удостоверяют, что в доэллинистический период даже общественные здания строились из древесины.

Предметом специального исследования можно выделить техническую оснащенность строительства, ее ассортимент. Надо полагать, что плотницкие инструменты не претерпели особых изменений в эпоху поздней бронзы и раннего железа. Вероятно, в основном применялись топоры для рубки, тесаки, стамески и долота. Фактически этим и исчерпываются проверенные данные о плотницких инструментах. Можно предположить, что применялись также маленькие ручные топоры (эчо), молотки, в том числе деревянные колотушки и т.д. Не зафиксировано применение металлических гвоздей: лишь в раннеантичный период мы наблюдаем применение стальных гвоздей, и то при сооружении погребений или деревянных крыш погребальных ям (Кахидзе А. 1975: 11, 65-68; Кахидзе А. 1981: 15).

Следует полагать, что уже в эпоху раннего железа появляются плотницкие станки и строгательные инструменты. Свидетельством сказанному могут служить выявленные при раскопках многочисленные формы для отливки строгальных приспособлений.

Литература

1. Аполлонии Родоский. Аргонавтика, Тбилиси, 1970
2. Бердзенишвили Н., Небиридзе Л. Поселения каменного века в Кинтришском ущелье. Сб. Памятники Юго-Западной Грузии, I, Тбилиси, 1964

3. Витрувий. Десять книг об архитектуре. Москва, 1936
4. Гогитидзе С. Неолитическая культура Юго-Восточного Причерноморья, Тбилиси, 1978
5. Гогитидзе С. Результаты полевых исследований, проведенных в 1980 году на поселении новокаменного века в Кобулет. Сб. Памятники Юго-Западной Грузии, XII, Тбилиси, 1983
6. Гагошидзе В. Древнейшие типы жилых домов Западной и Восточной Грузии. Сб. «Мацне», #1, АН Грузинской ССР. Тбилиси, 1965
7. Дон Христофоро де Кастелли, Сведения и альбом о Грузии, Тбилиси, 1976
8. Джавахишвили А. Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа, V-III тыс. до н.э. Тбилиси, 1973
9. Джавахишвили А., Глonti Л. Урбниси, I, Тбилиси, 1962
10. Джапаридзе О. Разведочная экспедиция в в Гурии. Сб. «Вестник» Государственного музея Грузии, XVI-V, Тбилиси, 1950
11. Джапаридзе О. Западная Грузия в эпоху поздней бронзы, «Мацне», #1, Тбилиси, 1982
12. Джanelидзе Ч. Палеогеография Грузии в голоцене, Тбилиси, 1980
13. Джандиери М. Древнее башенное общинное жилище. Сб. ВДИ, #2, Тбилиси, 1981
14. Иессен А. Сухумская экспедиция ГАИМК. СА, III, Москва, 1937
15. Инаишвили А. Результаты работы археологической экспедиции Юго-Западной Грузии 1974 года. Сб. Памятники Юго-Западной Грузии, VI, Тбилиси, 1977
16. Каухчишвили Т. 1957
17. Каландадзе А. Каменный век в Грузии. Очерки истории Грузии, т. I, Тбилиси, 1970
18. Куфтин Б. Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950
19. Кавтарадзе Г. 1981
20. Кавтарадзе Г. К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии, Тбилиси, 1983
21. Кахидзе А. Античные города приморья Грузии, Тбилиси, 1971
22. Кахидзе А. Античные памятники Восточного Причерноморья, Батуми, 1975
23. Кахидзе А. Восточное Причерноморье в античную эпоху (колхидские могильники), Батуми, 1981
24. Лордкипанидзе О. Путуридзе Р. Матиашвили Н. Раскопки в Вани в 1973-1974 гг. КСИА, 151, Тбилиси, 1977
25. Меликишвили Г. К истории древней Грузии, т. I, Тбилиси, 1959
26. Микеладзе Т. Ксенофонт «Анабасис», Тбилиси, 1967
27. Микеладзе Т., Барамидзе М. О некоторых итогах полевых исследований в Колхидской низменности в зонах новостроек. Сб. Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тбилиси, 1976

28. Микеладзе Т., Хахутаишвили Д. Древнеколхидское поселение Намчедури, Тбилиси, 1985
29. Микеладзе Дж. Разыскания по истории древнейшего населения Колхиды и Юго-Восточного Причерноморья, Тбилиси, 1974
30. Муссхелишвили Д. Археологический материал поселения Ховле, Тбилиси, 1978
31. Рамишвили А. Древние поселения приморской зоны в Чаквском районе. Труды Батумского НИИ. Тбилиси, 1964
32. Рамишвили А. К датировке приморских стоянок Пичвнари, «Мацне», #2, Тбилиси, 1974
33. Рамишвили А. Раскопки приморских стоянок в Пичвнари (Кобулет) в 1960-1964 и 1967 гг. СА, I, Москва, 1975
34. Рамишвили А. О назначении стоянок с «текстильной керамикой» Восточного Причерноморья, СА, 4, Москва, 1975
35. Соловьев Л. Следы древнего соляного промысла близ г. Сухуми и г. Очамчире. Труды абхазского государственного музея, вып. I, Сухуми, 1947
36. Соловьев Л. Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии. СА, XIV, 1950
37. Сумбадзе Л. Колхидский дом по Витрувию и проблемы изучения грузинского народного жилища, Сб. «Мацне» АН Грузинской ССР. Тбилиси, 1968
38. Тавамаишвили Г. Дюнные поселения Бобоквати-Цихисдзир-----
39. Хахутаишвили Д. Возникновение грузинского рабовладельческого города в свете новых археологических открытий. «Труды» Института истории им. И. А. Джавахишвили, V, 1, Тбилиси, 1960
40. Хахутаишвили Д. Вопросы истории городов Иберии, Тбилиси, 1966
41. Хахутаишвили Д. Основные результаты археологического изучения Юго-Западной Грузии. Сб. Памятники Юго-Западной Грузии, VIII, Тбилиси, 1979
42. Хахутаишвили Д. Древнейший образец строительного искусства из приморья Юго-Западной Грузии. Сб. Архитектурные памятники Юго-Западной Грузии, Тбилиси, 1980
43. Хахутаишвили Д. Производственный очаг колхидско-халибского горно-металлургического центра в ущелье Супса-Губазеули. Сб. Памятники Юго-Западной Грузии, X, Тбилиси, 1981
44. Хахутаишвили Д. Природа и человек в приморской полосе Колхиды в эпоху голоцена. Сб. Кавказско-Ближневосточный сборник, VII, Тбилиси, 1984
45. Хахутаишвили Д. «Страна» Кобулет, Батуми, 1995
46. Хахутаишвили Н. Приморье Юго-Западной Грузии в эпоху Раннего Железа, Тбилиси, 1986
47. Хоштария Н. Археологические исследования Уреки, сб. Материалы по археологии Грузии и Кавказа, I, Тбилиси, 1955
48. Чиковани Т. Ко взаимоотношениям жилого дома эрдо-гвиргвиниани и колхидского дома Витрувия. Сб. «Мацне» АН Грузинской ССР. Тбилиси, 1966

**სამხრეთ საქართველოს პოლიტიკური
პრობლემები XX საუკუნის 10-იანი წლების
ქართულ მწერლობაში**

1918 წლის 3 მარტს ბოლშევიკურმა რუსეთმა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან სეპარატული ზავი დადო. ამ მოკავშირეთაგან ერთ-ერთმა, თურქეთმა, რუსეთისგან ხონჩით მირთმეულივით მიიღო უკვე კარგა ხნის წინ გამოტირებული ტერიტორიები – ბათუმის, ყარსისა და არტანის ოლქები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაშინ პატრონი არ ჰყავდა: საქართველოს ეროვნულ საბჭოს არც ძალა გააჩნდა და არც სახელმწიფოებრივი ბერკეტები. ამიერკავკასიის კომისარიატს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფორმალურად დამოუკიდებლობა გამოცხადებული; თანაც სეიმი ერთობ ჭრელი ორგანო იყო და სხვებს რომ თავი გავანებოთ, აზერბაიჯანი (რომელიც ძირითადად „მუსავატის“ პარტიით იყო წარმოდგენილი) უფრო ოსმალეთის ორიენტაციას გამოხატავდა, ვიდრე საკუთრივ აზერბაიჯანისას. რაც შეეხება რევოლუციით ისედაც არეულ რუსეთს, ბოლშევიკებიცა და მენშევიკების ნარჩენებიც ამიერკავკასიას რუსეთის საკუთრებად თვლიდნენ და როგორც ბოროტი დედინაცვალი გერს, ისე ექცეოდნენ – აკი დაუნანებლად გაასხვისა კიდევ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოს ლამის ერთი მესამედი საკუთარი ტყავის გადასარჩენად!

თურქეთი დაუყოვნებლივ მოითხოვდა ზემოხსენებული ტერიტორიების დაცლას. ამიერკავკასიის ხელისუფლებამ თითქოს გაიბრძოლა, მაგრამ უგერგილოდ. ტრაპიზონის კონფერენცია უფრო წყლის ნაყვას ჰგავდა. მით უმეტეს, რომ ოსმალეთს დიდად არ აინტერესებდა კონფერენციაზე გამართული პაექრობანი: მათ იმთავითვე შეადგინეს საბრძოლო რაზმები და შეუსიეს სამხრეთ საქართველოს. ომი გარდაუვალი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამიერკავკასიის ხელისუფლებას ომის უნარი არ გააჩნდა. „არაოფიციალურად უკვე 27 მარტიდან (9აპრილიდან)

დაწყებული ომი, 31 მარტს (13 აპრილს) უკვე ოფიციალური ხდება და სამხედრო მოქმედება ოსმალურ ჯარსა და ქართულ-სომხურ ნაწილებს შორის გრძელდება 1918 წ. 9 (22) აპრილამდე. მოუწყობელი ქართულ-სომხური მოხალისე რაზმები ოსმალურ რეგულარულ ჯარებს ვერ უძლებენ. 2 (15) აპრილს 1918 წელს ოსმალებმა დაიკავეს ბათუმი, უკვე 17 აპრილს ოზურგეთი და ბოლოს გაიმართა ბრძოლა ჩოლოქზე, სადაც ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ” (1. 26). თუმცა, ბევრი თვითმხილველი, (უმჯობესია თუ ვიტყვით – საქართველოს საზოგადოებრივი აზრი) „ოსმალეთის რეგულარული ჯარის” ძლიერებაზე მეტად ქართული არმიის უძლებურობას აღნიშნავდა. ამ განწყობას თუ სავალალო ფაქტს ზუსტად ასახავდა მაშინდელი პრესა. კერძოდ, გაზეთი „საქართველო” აღნიშნავდა: „ის, რაც ბათუმში ხდებოდა, პირდაპირ აუწერელია. ასეთ უთაობას, ასეთ შეუგნებლობას, იშვიათად თუ ვინმე გამოიჩენს, ვინ უფროსობს, ვინ განაგებს, „ძალი პატრონს ვერ იცნობსო”, სწორედ ეს იყო.

ვინც რომ ხალხს, ჯარს რამეს დააბრალებს, ის ისტორიის წინაშე იქნება პასუხისმგებელი. ახლა კი ყოველივე პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ პირთ, ვინც მეთაურობენ, ვისაც მინდობილი აქვთ თუ თვითონ „მიინდო”, კანონით თუ უკანონოდ, ამ „დემოკრატიული” ომის წარმოება.

ომი კი გაგონილა, მაგრამ „დემოკრატიული ომი კი არსად გაგონილა. ამდენი ხნის მოლაპარაკებამ ილაჯი წაიღო. ორი საათი ომია, ორი დღე – ზავი. მერე ისევ ომი: „ნუ ესვრით, თორემ ოსმალები გაბრაზდებიან და ჩვენ დელეგატებს არ გამოუშვებენო...” (2).

მაშინდელი პრესა გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „ბათომი ოსმალის ჯარის სამასმა კაცმა აიღო. ნეტავი გენახათ, რა ჯარია, გამხდარი, შავ-ყვითელი, მშიერი, მწყურვალი (სამი დღე-ღამე არა გვიჭამია რაო), ჩამოგლეჯილი. ერთი სიტყვით, გარეგნულად გლახაკნი ყოველი მხრით. ამასთან შედარებით, რა მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდნენ ჩვენი ჯარისკაცები, განსაკუთრებით აფიცრობა? მაგრამ იმათ დასუსტებულს სხეულში სული ღვიოდა, ამათ ძალზედ დანოყიერებულ სხეულში კი – სული სიმდაბლისა და ლაჩრობისა... ჩვენმა სახელოვანმა მეომ-

რებმა რომ შეიტყვეს, თათარი მოდისო, უნდა გენახათ, ვინ როგორ უშველა თავს, რა ამბავი იყო რკინიგზის სადგურზე, რანაირად გაიტენა მატარებელი...” (3).

ამგვარი მწვავე და მწარე შეფასებანი ობიექტურ საფუძველს არ იყო მოკლებული: ბოლოს და ბოლოს, საქართველოს უზარმაზარი ტერიტორია ჩამოაჭრეს გარეშეთა ნებით და ძალით, მენშევიკური მთავრობა კი, კონსტანტინე გამსახურდიას თქმისა არ იყოს, „ჩვეულებრივი მიტინგებითა და გალიმათით ერთობოდა” (4.1), მაგრამ ესეცაა - ისტორიის ჩარხი მაშინ ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ როდი ტრიალებდა და ძალაც, როგორც ყოველთვის, იოლად ხნავდა აღმართს.

ეს ტრაგედია ქართულმა მწერლობამ მიიღო ისე, როგორც უნდა მიეღო ქვეყნის პატრიოტულად განწყობილ ნაწილს, იმათ, ვისაც ქვეყნის ბედი აღელვებდა.

„ბრძანება ისმის და სმენა, ჩქარა
გაშალეთ მზეზე კრიალა ხმლები,
ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა,
ანდა ბათომთან დავტოვოთ ძვლები.
ადრე სულთანს ნუ გაიხარებს,
აღმოსავლეთის ადრეა ტაში, -
ჩვენ დავიბრუნებთ ბათომის კარებს,
მწარე იქნება ჩვენი რევანში,” –

წერდა პაოლო იაშვილი ლექსში „დაცემულ ბათომს” (13.42).

თუმცა მწერლებს მარტო მოწოდებებით და პოეზიით არ გამოუჩენიათ თავი. არაერთმა შემოქმედმა იბრძოლა სამშობლოსათვის. კონსტანტინე გამსახურდია იგონებს:

„ოსმალეთმა გადმოლახა საქართველოს საზღვარი, ბათუმი აიღო და მე იძულებული გავხდი, კალმის ნაცვლად ხმალი ამეღო ხელში და ეს იყო ჩემი სიცოცხლის უბედნიერესი წუთები.

„რევანში”, „რევანში”, - აყვირდა მთელი ახალგაზრდობა.

ტფილისის უნივერსიტეტში მიტინგი გავმართეთ ქრისტეფორე რაჭველიშვილმა, ჯვებე იოსელიანმა და მე. ამ მიტინგზე ჩოხით გამოვედი, ხმალი გავაშიშვლე და ვთქვი:

„საქართველოს ახალგაზრდობის სახელით ომს ვუცხადებ ოსმალეთს”.

ათას ხუთასი სტუდენტი ჩაეწერა იმავე კრებაზე მოხალისედ” (4.1).

კონსტანტინე გამსახურდია, შესაძლოა, სუბიექტური იყოს საკუთარი როლის წარმოჩენისას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი სავსებით სწორად აფასებს მოვლენებს. მწერალი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პრობლემას, თურქეთის ძლევას ეროვნული ღირსების საქმედ მიიჩნევს და მარცხით გამწარებული ქვეყნის უნიათო მთავრობის დაპატიმრებას, დახვრეტასაც კი განიზრახავს (4.2). მისი აზრით, ეროვნული მთავრობა, გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით, შეძლებდა სწორ გზაზე ქვეყნის დაყენებას. სწორედ მაზნიაშვილთან ერთად იომა მწერალმა თურქების წინააღმდეგ და გაიმარჯვა. ეს იყო ერთი იმ იშვიათ გამარჯვებათაგანი, რომელიც ჩვენმა ჯარმა მოიპოვა 1918 წლის აპრილში: „მე იმ ხიდზე ვიგემე უდიდესი ბედნიერება და ახლაც ვხედავ, რა ძლიერია თურმე მამულისადმი სიყვარული. ნაყარ ფუტკარსავით ზუოდნენ ჩემს ყურებთან ოსმალოს ტყვიები, მე მივსდევდი ჩვენს გენერალს, საოცრად ვყიჟინებდი და ვესროდი მტრებს. ახლაც მიკვირს, ერთი ტყვია არ მომხვედრია იმ დღეს. ფრონტიდან მშვიდობით მობრუნებულს დედაჩემმა მაკოცა და მითხრა: „ეს ჩემმა ლოცვებმა გიწიეს, შვილო“.

კ. გამსახურდია კიდევ ერთ წყევლა-კრულვიან საკითხს ეხება „ლანდებთან ლაციცში“. ლალატის თემა, სამწუხაროდ, უცხო არასდროს ყოფილა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამჯერადაც ქართველ მუსლიმანთაგან ზოგიერთს ერთმორწმუნეებისკენ გაუწია გულმა და იარაღით ხელში დაუდგა გვერდით მომხვედურს. ქართველმა საზოგადოებამ და მათ შორის ქართველმა მუსლიმანებმა საკადრისი პასუხი გასცეს მოღალატეთ, ზოგიერთმა კი (6, 7 და სხვა) საზოგადოდ მთელი ამ საკითხის – სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ურთიერთობის, ცნობიერების დეფორმაციის პრობლემის ანალიზი სცადა.

ზემოთ უკვე ვახსენე პაოლო იაშვილი და მისი ლექსი „დაცემულ ბათოშს“. ერთი საინტერესო თემაა კიდევ მოდერნისტების და კერძოდ, „ცისფერყანწელების“ დამოკიდებულება საზოგადოდ ომთან ერთი მხრივ და მეორე მხრივ, თურქების წინააღმდეგ ბრძოლასთან. მოდერნისტებისთვის რევოლუცია და

ომი ძველის რადიკალური ნგრევის, განახლების გზა იყო და რაკილა თავადაც ხელოვნებასა და ლიტერატურაში რევოლუციონერებად, რადიკალური სიახლის დამნერგავად მიიჩნეოდნენ თავს, ომის ჰეროიკა მათთვის სავსებით მისაღები იყო. კონსტანტინე გამსახურდია უკვე ვახსენეთ; 1915 წელს გრიგოლ რობაქიძე გაზეთ „Кавказ-ში აქვეყნებს წერილების ციკლს „ომი და კულტურა“, რომელშიც კულტურის მოღვაწეთა თვალსაზრისია გადმოცემული ამ აქტუალურ პრობლემაზე.

იმავე წელს გაზეთ „საქართველოში“ იბეჭდება ტიციან ტაბიძის ესეე „ომის თემა ქართულ მწერლობაში“.

იგი პაციფიზმის წინააღმდეგაა მიმართული და ამართლებს ომის აუცილებლობას, ქართველთა მებრძოლ სულს, რომელიც წინათ დიდს თუ პატარას გააჩნდა.

„ბერი მემატინე სარდალივით ლაპარაკობს, სენაკშიაც შედის სისხლის აღმური“, - წერს ტიციანი, როცა იხსენებს ძველი ქართველის მეომრულ ხასიათს (9. 70).

სწორედ ამ ჰეროიკული სულის გამოვლენა იყო რამდენიმე „ყანწელის“ გადაწყვეტილება, იარაღით ხელში დაეცვათ თურქებისგან მამული.

თანამედროვეთა ცნობით, პაოლოსა და ტიციანს აწყურთან გამართულ ბრძოლაშიც მიუღიათ მონაწილეობა. ამ მოვლენას ეძღვნება სწორედ პაოლოს ლექსი „ალი არსენიშვილს“ (13,44), რომელსაც ასეთი ეპიგრაფი ახლავს: „ვაგონი ცხენებით. ხუთი გუსარი აწყურისაკენ. აპრილი, 1918 წელი“. ლექსში ბევრი სიმბოლისტური სახეა, ბოდლერიცაა ნახსენები, ლოენგრინიც და სალომეაც, თუმცა, დენტის სუნი აშკარად იგრძნობა:

„გაცოცხლდა შენი უცნაურობა,
გადაქცეული მარჯანის ხვავად;
დარჩება ჩვენი მოგზაურობა
სიკვდილის დღისთვის შესანახავად“.

ამ საომარ განწყობასთან დაკავშირებით შალვა აფხაიძე იგონებს: „ბათუმს საშიშროება მოელოდა. საჭირო იყო მისი დაცვა, ამ დაცვაში მაშინ ქუთაისში მცხოვრებმა პატრიოტულად განწყობილმა, მაგრამ საომრად სრულიად მოუმზადებელმა ახალგაზრდობამაც მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენ რაზმს მეთაურობდა

ჩვენი სასიქადულო მწერალი დავით კლდიაშვილი, რაზმი იდგა ხულოსთან... დავითი გახარებული იყო ახალგაზრდობის პატრიოტული აღზნებით, მაგრამ როგორც მხედარმა, ისიც კარგად იცოდა, თუ რისი მაქნისი ვიყავით, მალე ჩვენი რაზმი შეცვალა ჯარის პატარა ნაწილმა” (5. 23).

თავგანწირვისთვის მზადაა კიდევ ერთი ცისფერყანწელი ვალერიან გაფრინდაშვილი. იგი მოუწოდებს ქართველებს მოქალაქის მოვალეობის აღსრულებისკენ, მტერთან რაინდული ბრძოლისკენ და ასე მიმართავს სამშობლოს:

„სამშობლო, შვილებს ნუ ეხათრები,
იყავი მკაცრი და მიუდგომი;
გემუქრებიან შმაგი თათრები,
მაგრამ ახსოვდეთ ასპინძის ომი,
როცა ქართველმა მედიდურ ხმალით
სძლია მტერების ბრბო უამარი,
როცა ერეკლემ თავისი ხმალით
კვლავ ასახელა დიდი თამარი.

პოეტი მზადაა თავგანწირვისთვის და იმასვე მოუწოდებს სხვებსაც:

„მაშ, ძმებო, ერთად გავწიროთ თავი,
ნუთუ გვიმტყუნებს ბედი მასხარა,
ან გამარჯვება და ან საფლავი,
მტერს შევებრძოლოთ, თოფები ჩქარა! (14. 67)

ტიციან ტაბიძე ბათუმის ტრაგედიას გამოეხმაურა ლექსით „ორი აპრილი“. ორი აპრილი, მოგეხსენებათ, ბათუმის დაცემის დღეა და ამ ლექსში, შალვა აფხაიძის არ იყოს (5.24), უფრო ქვითინი ისმის, ვიდრე იმედის ნაპერწკალი:

„ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი,
ატმის ყვაველით სისხლიანი სტირის აპრილი.
ყვითელ სატურნის უბედობით ავად გამხდარი,
პოეტის სულიც საქართველოს კუზად დახრილა”.

შთამბეჭდავი პოეტური სახეა საქართველოს კუზად დახრილი სული პოეტისა. ის კუზი თითქოს თვალნათლივ იზრდება. სწორედ ახლა დგება ახალი დრო. საბედისწერო წუთი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, როგორი იქნება საქართველოს

ხვალინდელი ცხოვრება:

„უახლოვდება საუკუნის მას მეოთხედი,
ჰგონია, თითქოს საქართველოს წინ დაიბადა
საბედისწერო წუთს ელოდი, წუთო, მოხვედი,
პიერო წუთით წითელ ქუდში გაგარიბაღდა“.

ღირსეული ქვეყანა ოცნებით (პიერო) არ შეიქმნება, ბრძოლაა საჭირო (გარიბაღდი). გარიბაღდი – იტალიის სახალხო გმირი - ხომ თავისუფლებისთვის, ერთიანობისთვის ბრძოლის და გამარჯვების სიმბოლოა. ისიც გავიხსენოთ, რომ ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეს სურდა იტალიაში წასვლა და გარიბაღდის რაზმში ჩაწერა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ეს სახე უფრო გვიან, 1927 წელს დაწერილ ლექსში „... და გარიბაღდის წითელი ქედი“ კიდევ ერთხელ გაიელვებს:

„ცხრაასთვრამეტის ვიგონებ აპრილს
და თათრებისგან დაქცეულ ბათომს.
ვხედავ ქართველ ჯარს იარაღაყრილს
და ეს სირცხვილი დღესაც ძვალს ათბობს.
გვიდუღდა სული შურისძიების,
ამ ცა და ქვეყნის გადარევაში,
ჩვენი წყურვილი იყო – ეგების
აგველო თათრის ერთი რევანში“.

მაგრამ დავუბრუნდეთ „ორ აპრილს“; თავმოყვარე კაცის გოდებაა ამ ლექსის უკანასკნელი სტრიქონი:

„საკუთარ თავის და ქალდეას ახალ შერცხვენის
ტანჯული ფიქრით სამუდამოდ მოვიქანცები.
ახ, მეგობრებო ჩემი სული მჭვარტლია სხვენის,
ცრემლით სავსეა ჩემი წილი ჩვენი ყანწების“ (15,31).

სხვათა შორის, ორ აპრილს სხვა ლექსშიც („ტანიტ ტაბიძე“) ახსენებს – აქ სხვა თემაა, სათქმელიც სხვაა და სულაც არ მინდა, ფაქტებზე მოძალემა გამოვიდეს, მაგრამ თუ საერთო განწყობას დავაკვირდებით, შეიძლება გაჩნდეს „ორი აპრილის“ ასოციაციაც:

„ მე ასე გიწერ, შვილო, ორ აპრილს,
არ ვიცი კიდევ რამდენი დამრჩა.
ვიგონებ დროშას, კართაგენს დახრილს,

რომ შეაგინეს ტანიტის ფარჩა...” (15,51)

თუ მოვლენებს მცირედით გავუსწრებთ წინ, ვნახავთ, რომ ქართულ მწერლობას და მთელ ქართველ ხალხს ეწერა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაბრუნებით გამოწვეული სიხარულის განცდა: II მეორე მსოფლიო ომში გერმანია და მისი მოკავშირეები (შესაბამისად, თურქეთიც) დამარცხდნენ და ისტორიის ჩარხი ისე დატრიალდა, რომ საქართველომ შეძლო დაკარგული ტერიტორიების ნაწილის დაბრუნება.

ზემოთ უკვე ვახსენე ტიციან ტაბიძე და საზოგადოდ, ქართული ნაციონალური ჰეროიკა, ომთან დამოკიდებულება და აღტაცებული პატრიოტიზმი. ცხადია, ყველა წარმატებულ ნაბიჯს სიხარულით ეხმაურებოდა ქართული მწერლობა, ვთქვათ, ვარლამ რუხაძის ლექსით:

„კმარა მონობა! მშობლის ალერსმა
თავისუფლების მზე დაგვაფაროს,
რომ გაიხაროს გულმა ნალესმა
შეეხმატკბილოს შვების სამყაროს”. (11.)

ან მოხუცი შიო მღვიმელის სიტყვებით:

„შავ დღეს დავაყრით ჩვენს მტერსა,
შინაურსა თუ გარესა,
გინდ ტკბილად მომსალმებელსა,
გინდ ავად მოუბარესა...” (12)

მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ წარმატებები უკვე ვეღარ ავსებდა ქართულ სულს. ომი ამ შემთხვევაში ისტორიული სამართლიანობის აღდგენის გზად იქნა გაგებული და ამიტომ იყო, პოეტები კვლავაც რომ ცდილობდნენ სამხედრო საქმეებში გარეეკას, გულისტკივილით საუბრობდნენ ქართველი ჯარის არაორგანიზებულობაზე – რაკიდა ჯერ კიდევ მტრებით ვართ გარშემორტყმული, „რესპუბლიკის მთავრობამ მერყეობას თავი დაანებოს, მან უნდა შეჰქმნას დისციპლინირებული ჯარი, ანდა დაილუპოს!” – წერდა ტიციან ტაბიძე 1918 წელს (16). ჯარი და არმია თითქოს რა პოეტის საქმეა, მაგრამ ამ წერილებს და სურვილებს სხვა მისწრაფება, სხვა ოცნება კვებავდა: ოცნება დიდი საქართველოს აღდგენისა. თუ 1918 წელს ბათუმის დაბრუნების სურვილიც მეტისმეტად თამამ ოცნებად გამოიყუ-

რებოდა, სულ ცოტა ხნის შემდეგ მწერლები და საზოგადოდ, საქართველოს პატრიოტული წრეები, სავსებით სამართლიანად და საფუძვლიანად, ყველა ქართული ტერიტორიის გაერთიანებაზე მსჯელობდნენ! მხედველობაში მაქვს ისევ ტიციან ტაბიძის წერილი „ირრიდენტისათვის“ და ვიდრე მცირე მონაკვეთს მოვიტანდე ამ საოცარი პატრიოტული აღმაფრენით დაწერილი წერილიდან, განვმარტავ, რომ ირედენტისმის სახელით ცნობილია პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოძრაობა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის იტალიაში, რომელიც მიზნად ისახავდა იტალიელებით დასახლებული სასაზღვრო მხარეების იტალიასთან შეერთებას. ასე რომ, სათაურიდანაც გასაგებია საითკენ მიისწრაფოდა ოცნება პოეტისა, რომელიც წერდა:

„ბათომის დაბრუნების შემდეგ შეწყდა პატრიოტული აღტაცება.

მხოლოდ ჩვენთვის, პოეტებისთვის დიდი ხანია დაწყებულია სხვა ირრიდენტი: ბიზანტიელი მექრონიკენი აღნიშნავენ, რომ საშუალო საუკუნის პოეტებს ხშირად უყვართ გამეორება ხმოვანი სიტყვის: „ტრაპიზონი“.

ეს სიტყვა უნდა გაისმას ქართულ პოეზიაში და უნდა ადგეს უფრო მეტი ბრწყინვალეობით.

რესპუბლიკური ზღვარი ვერ გაჩერდება იმ ზღვარზე, რომლის იქითაც იწყება ლაზისტანი და ტრაპიზონი.

ტრაპიზონი პირდაპირი გზაა საქართველოსი აზიის სიღრმეში და ამ გზას დაიპყრობს ქართველი ჯარი...

ტრაპიზონში აშენდება უზარმაზარი ვერფები და ის იქნება ახალი სიღონი.

ქართულ ჯარს ახალი ომის საგანი აქვს,

ქართველ პოეტებს ახალი ომის და სიმღერისა:

- სამუდამო ირრიდენტი!

- ლაზისტანი და ტრაპიზონი” (17).

ამ წერილს მაშინ ბევრი გამოეხმაურა. ზოგი აღფრთოვანდა, ზოგმაც – ნაადრევად მიიჩნია („ლაზისტანის საკითხს იცნობს ქართველი ხალხი, მის გადასაჭრელ გზასაც გამონახავს, მაგრამ ლაზისტანის ირრიდენტის წადმა-უკუღმა სროლას, რომელსაც ამ

დროს ჩვენი ერისთვის ზიანის მოტანა შეეძლო, მეტიჩარა ნოვატორები უნდა ერიდებოდნენ” (18)). მაგრამ ეს ყველაფერი ნაკლებად არსებითია; მთავარი ის იმედია, რომელსაც ასრულება ეწერა; ერთხელაც დავიმოწმებ ვიქტორ ნოზაძეს:

„1920 წლის დასასრულისათვის ქართული ტერიტორია გაერთიანდა და გამრთელდა: შეიქმნა დიდი საქართველო, თავის ძველ საზღვრებში, თავისი ქართული მიწა-წყლით, რომელიც ჟამთა სიავის სრბოლაში და ისტორიული უკუღმართობით მოსწყდა მას. აღსდგა საქართველო!” (1.73)

მაგრამ, სამწუხაროდ და სავალალოდ, საქართველოს აღზევების დრო ჯერ კიდევ არ დამდგარიყო: საფრთხე – საბჭოთა რუსეთი და ქემალისტური ოსმალეთი – უკვე კარზე იყო მომდგარი.

ვაი, რომ ტრაპიზონამდე გადაჭიმული საქართველო პოეტების ოცნებად დარჩა მხოლოდ...

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ. 1989 წ.
2. ფალავანდიშვილი კ., ბათუმის დაცემა, გაზ. „საქართველო“, №84, 1 მაისი, 1918 წ.
3. ი. ი., ბათუმის დაცემა, გაზ. საქართველო, №82, 15 (28) აპრილი, 1918 წ.
4. გამსახურდია კ., „ლანდებთან ლაციცი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“; 1. №27 (5 ივლისი); 2. №28 (12 ივლისი), 1991 წ.
5. აფხაიძე შ., მახსოვს მარადის, თბ. 1988 წ.
6. სანგანიძე (გრძელაშვილი ა.), სამაჰმადიანო საქართველო, გაზ. „საქართველო“, №230, 12 მაისი, №236, 21 მაისი, 1918 წ.
7. გოლლენდ გ., დამაფიქრებელი, გაზ. „საქართველო“, №70, 31 მარტი (13 აპრილი), 1918 წ.
8. სიგუა ს., ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002 წ.
9. გაზ. ერთობა, №148, 1 ივლისი, 1920 წ.
10. გაზ. „სახალხო საქმე“, №784, 23 მარტი, 1920 წ.
11. გაფრინდაშვილი ვ., ლექსები..., თბ, 1990 წ.
12. ტაბიძე ტ., სონეტები, რჩეული ლექსები..., თბ., 1999 წ.
13. იაშვილი პ., საიუბილეო-საარქივო გამოცემა ორ წიგნად. წიგნი

პირველი, თბ. 2004 წ.

13. ტაბიძე ტ., ჯარის ორგანიზაცია, „საქართველო“, №187, 6 ოქტომბერი, 1918 წ.

14. კასრაძე დ., პოეტები და ირრიდენტი, „საქართველო“, №103, ენკენისთვის 19, 1920 წ.

15. იმერელი დ., ქართული ლიტერატურა, გაზ. „ბათუმის ცხოვრება“, №16, 23 იანვარი, 1921 წ.

М. Чохарадзе

Традиция юго-западной Грузии 1918 года и грузинская литература

Резюме

По Брестскому договору 3 марта 1918 года большевистская Россия передала Турции часть территории юго-западной Грузии – Батумскую, Карсскую и Артвинскую области.

Грузия не имела сил защитить свои земли, ее армия не могла победить турецких аскеров. 2 апреля турки захватили Батуми.

Эти трагические для Грузии явления достаточно широко отразились в грузинской художественной литературе. В данной статье анализируется отношение писателей Грузии к указанной трагедии, а также художественные произведения Константина Гамсахурдия, Паоло Иашвили, Тициана Табидзе, Валериана Гаприндашвили и др., в которых отразились события 1918 года.

Статья затрагивает и более поздние явления (1920 г), когда демократическая Грузия преодолела кризис и сумела восстановить исторические границы.

ჭანები (ლაზები) თანამედროვე თურქეთის ენობრივ სივრცეში

ჭანები (ლაზები) უძველესი დროიდან ცნობილი არიან, როგორც დასავლურ-ქართლური (კოლხური) ტომის ხალხი. მათ შესახებ მოგვითხრობს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX საუკუნის ურარტული ლურსმნული წარწერები (მელიქიშვილი გ, 19, 95-107).

ჭანეთი (ლაზეთი) მრავალი საუკუნის განმავლობაში რომისა და ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში შედიოდა და მათი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. მე-15 საუკუნიდან, ტრაპიზონის იმპერიის დაცემის (1461 წ.) შემდეგ, იგი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და თურქული ენისა და კულტურის ზემოქმედება განიცადა.

ენობრივი თვალსაზრისით ჭანური (ლაზური) დიალექტი მიეკუთვნება ზანურ ენას. ზანური ენა ქართულ და სვანურ ენებთან ერთად ქმნის ქართველურ ენათა ჯგუფს, რომელიც შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ზანურ ენასთან დაკავშირებით გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისი. მეცნიერთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ მეგრული და ჭანური (ლაზური) ცალკე ენებია. ამ აზრს მხარს უჭერენ: ნ. მარი, ი. ყიფშიძე, გ. კარტოზია და სხვები. არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურის მიაჩნიათ, რომ მეგრული და ჭანური (ლაზური) ზანური ენის კილოებია. „ორ ენად მიჩნეული მეგრული და ჭანური, მათი ურთიერთობის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ, ორ კილოდ არის გამოცხადებული, ხოლო ენას, რომლის კილოებსაც ისინი წარმოადგენენ, ზანური ენა ეწოდება“ (თოფურია ვ., 1963). „ზან“ ტერმინი ისტორიულად „მეგრელსაც“ უკავშირდება და „ჭანსაც“ (ჩიქობავა ა., 1963). ჭანები თავის თავს ლაზებს უწოდებენ. ზანურ ენას, გეოგრაფიული პრინციპიდან გამომდინარე, კოლხურსაც უწოდებენ.

ზანური ენის ჭანურ (ლაზურ) დიალექტში სამი კილოკავი გამოიყოფა: ხოფური, ვიწურ-არქაბული და ათინური. რადგან ჭანურს (ლაზურს) ძლიერი დიფერენციაცია ახასიათებს, ამიტომ კილოკავებიც იყოფა ცალკეულ თქმებად. კერძოდ, ხოფურში გამოკვეთილია ჩხალური, ვიწურში - ვიწური და არქაბული და ათინურში-ბულეფურ-ართაშენული თქმები. შენიშნულია, რომ ჭანურის (ლაზურის) კილოკავები „ზოგჯერ იმდენად სხვაობენ ერთმანეთისაგან, რომ თვით ლაზებს, რომლებიც ორ სხვადასხვა კილოკავზე ლაპარაკობენ, ერთმანეთისა არ ესმით“ (მარი ნ., 1910).

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონებს შორის განგებამ ყველაზე მძიმე ხვედრი არგუნა ჭანეთს (ლაზეთს) და ჭანებს (ლაზებს). დღევანდელი საქართველოს შემადგენლობაში ჭანეთის ძალიან მცირე ტერიტორიაა დარჩენილი. მისი უდიდესი ნაწილი თანამედროვე თურქეთის შემადგენლობაში რჩება.

დღეს ჭანები (ლაზები) კომპაქტურად ცხოვრობენ თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კერძოდ, ისტორიულ ჭანეთში (ლაზეთში). ჭანების (ლაზების) განსახლების არეალია ჭოროხის აუზის მხარეები, კერძოდ - ნიგალის ხეობა, მურღულის, ართვინის რაიონები, სპერი, ბაიბურთი და სხვ.

ჭანები (ლაზები) ცხოვრობენ თურქეთის შიდა პროვინციებში, ანატოლიაში, მსხვილ ქალაქებში - ანკარაში, სტამბოლში, ტრაპიზონში და სხვ.

ისტორიულად ლაზებს სხვადასხვა სახელმწიფოებრივ, კულტურულ და ენობრივ სივრცეში უხდებოდათ ცხოვრება.

მხოლოდ სარფში მცხოვრები ლაზები არ მოწყვეტილან ქართველურ კულტურულ-სახელმწიფოებრივ სივრცეს. ჭანთა (ლაზთა) საკმაოდ დიდი ნაწილი უცხო ენისა და კულტურის (ბერძნული, თურქული...) ზემოქმედების შედეგად გაბერძნდა ან გათურქდა. დაკარგა ენა, კულტურა, თავისთავადობა. ეს ძირითადად ეხება თურქეთის შიდა პროვინციებში მცხოვრებ ჭანებს (ლაზებს). ამ მხრივ სასიკეთო მდგომარეობა არც ლაზეთის დასავლეთ რაიონებშია (რიზე, ტრაპიზონი). მხოლოდ თანამედროვე ართვინის ვილაეთის ხოფის, არქაბეს რაიონებში და ჭოროხის აუზის

ცალკეული რეგიონების სოფლებში მცხოვრებმა ჭანებმა (ლაზებმა) შეინარჩუნეს ენა, წეს-ჩვეულება, კულტურა.

დღეს სუფთა ჭანური (ლაზური) მეტყველება ისმის ხოფის რაიონის შემდეგ სოფლებში: აბუ-ისლარში (აზლალაში), კისეში, პანჩოლში, პირონითში, ორთა ხოფაში, მხიგში, ლიძანში და სხვ.

რიზეს და ტრაპიზონის ვილაეთებში მცხოვრებ ჭანთა (ლაზთა) მეტყველებაში მოჭარბებულია თურქული და ბერძნული ძირის სიტყვები.

განსხვავებული ვითარებაა ჭანებში (ლაზებში) თვითშეგნების თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, დღეს თურქეთი უნიტარულ სახელმწიფოს წარმოადგენს. თურქეთის კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყანაში მცხოვრები ყველა ხალხი თურქებად ითვლება. არადა თურქეთში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვა ხალხები - ქურთები, ბერძნები, სომხები, არაბები, ქართველები და ა.შ.

დღევანდელ თურქეთში არაოფიციალური ცნობით 1,5 მილიონი ჭანი (ლაზი) ცხოვრობს, მათ შორის 300-400 ათასი ლაზი მეტყველებს დედაენაზე. სარფიდან დაწყებული მაფავრამდე (დღევანდელი ჩაილი) კომპაქტურად დასახლებულ ლაზთაგან თითქმის ყველამ იცის ჭანური (ლაზური), მაგრამ ქ. რიზეს დასავლეთით ქ. სინოპანდე ჭანური ძალიან შეზღუდულია.

წლების განმავლობაში თურქეთში ყალიბდებოდა აზრი, რომ ჭანები (ლაზები) თურქული მოდგმის ხალხია. ამ თვალსაზრისს ყალბი არგუმენტებით ხსნიან. საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში თურქეთის მოწინავე საზოგადოებრივ წრეებში გამოიკვეთა აზრი, რომ ჭანები (ლაზები) ქართული მოდგმის ხალხია, რომ ჭანური და მეგრული ერთი ენის სხვადასხვა განშტოებაა.

დღეს თურქეთში მცხოვრები ჭანები (ლაზები) პირობითად შეიძლება დავყოთ:

1. ჭანები (ლაზები), რომლებმაც იციან ჭანური (ლაზური) და თავს მიიჩნევენ ლაზებად;

2. ჭანები (ლაზები), რომლებმაც არ იციან ლაზური (ისინი ე.წ. „რიზელებია“). მაგრამ ჭანებად (ლაზებად) თვლიან თავს;

3. ჭანები (ლაზები), რომლებმაც არ იციან ლაზური, დაკარგული აქვთ ეროვნული თვითშეგნება, იციან, რომ ოდესღაც ლაზები ყოფილან, მაგრამ დღეს თავს თურქებად მიიჩნევენ.

საინტერესო ვითარებაა დღეს თურქეთში ტოპონიმის თვალსაზრისითაც. ლაზეთის სოფლების მიკროტოპონიმია ლაზურია. მაგრამ ოიკონიმების (დასახლებული პუნქტების) სახელები შეცვლილია თურქული სტრუქტურისა და სემანტიკის სახელებით. მაგალითად, მაკრიალის დღევანდელი სახელია - ქემალ-ფაშა, ვიწეს - ფინდიქლი, მაპავრას - ჩაილი, ათინას - ფაზარი, ჯარჯვათის - მექითი, მელესკურის-ორთაოღლუ, პაპილათის-სესოზდერე, ჯუბათის-სუბაში და ა.შ. (ბაქრაძე. 2003).

ძველი სახელები შემორჩა: სარფს, ხოფას, რიზეს, ტრაპიზონს... არქაბეს დღევანდელი სახელია არხავე.

ოსმალეთის მიერ ჭანეთის (ლაზეთის) თავის პროვინციად გადაქცევის შემდეგ ქრისტიანული რელიგიის აღმსარებელი ლაზების ნაწილმა ისლამი მიიღო, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა XVI-XVII სს-მდე შეინარჩუნა ქრისტიანობა. მაგრამ XVIII ს-დან ისლამი მყარად იკვიდებს ფეხს ჭანურ (ლაზურ) მოსახლეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაქრაძე რ., საქართველოს მიღმა; ბათუმი, 2003 წ.
2. მელიქიშვილი გ., ურარტუ, თბ. 1951
3. თოფურია ვ., ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III ტ. თბ. 1963
4. ჩიქობავა ა., ჭანურის გრამატიკული ანალიზი. ტფილისი, 1936
5. Н. Я. Марр-Грамматика чанского (лазского) языка, СП. 1912

Chanebi (Lazebi) in the Language Field of Modern Turkey

Summary

This scientific research deals with the description of Lazian (Chani) dialect's spreading scopes in the Language field of modern Turkey.

Chaneti (lazeti) is the oldest historic Georgian region, which has been in the borders of ancient Rome, Bizantium and Osmals during the centuries.

One part of Lazians (Chanebi) could preserve their language, culture and habits; The other part has been assimilated. They became Greeks and Turkish but sense and spirit of being Lazians they have still maintained.

ნიგალის ხეობა, ეთნოგრაფიული ჩანაწერები

გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მატერიალური თუ ეთნოკულტურული წარსულით, ჩვენებურთა მეტყველებით არაერთი მკვლევარი დაინტერესდა.

ნიგალის ხეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონია. იგი „მოხერხებული ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობითა და ბუნებრივი რესურსების წყალობით თითქმის მთელი ჭოროხის ქვემო დინების სახელად იქცა“^(1,3)

ნიგალის ხეობა მოიცავს *ბორჩხას, მურღულს, ართვინს*, (როგორც ძველ, ისე დღევანდელ ადმინისტრაციული ცენტრებს), *ხების, დევესქელის, ქლასქურის, ჩხალის, ბელღევანის მურღულის ხეობების სოფლებს, აგრეთვე – ზედა მარადიდს, კირნათს, ქვედა მარადიდს, მაჭახლისპირსა და მირვეთს* (ეს ოთხი უკანასკნელი საქართველოს შემადგენლობაშია).

ჩვენი მიზანი ნიგალის ხეობის ტოპონიმის ადწერა-შესწავლა იყო, მაგრამ, ამასთან ერთად, მოგვეცა საშუალება გაგვეკეთებინა ეთნოგრაფიული ჩანაწერები. შეგვეგროვებინა დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალა, რომელთაგან თემატური თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ: 1. სახასიათო-სატრფიალო ლირიკული ლექსები, 2. საოჯახო კულინარიის ამსახველი ტექსტები და ტერმინები, 3. მუჰაჯირობა და მისი კვალი დღევანდელობაში, 4. საქორწინო რიტუალი და მასთან დაკავშირებული ლექსიკა, 5. სამშენებლო დიალექტური ლექსიკა.

ბორჩხა ოთხი ხეობის – ჭოროხის, დევესქელის, ჩხალისა და მურღულის შესაყარზე, კარჩხლისა და პონტოს ქედებს შუა, ხეობაში და ფერდობებზეა გაშენებული, კლდეებში შესმული და ფერდობებში შედგმული მრავალსართულიანი სახლებით, რომელთაც ეზოები და ტროტუარები თითქმის არა აქვთ. ართვინი კი, დაახლოებით 2 კმ სიგრძის ერთ ხვეულ ქუჩაზე, მრავ-

ვალსართულიანი სახლებით, სავაჭრო ცენტრებით გაშენებული ქალაქია, რომელიც სულ უფრო მალლა მიიწევს მთის კალთებზე.

1874 წელს ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა და სამხედრო სპეციალისტმა გ. ყაზბეგმა, რომელიც დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებდა, ცხენით შემოიარა ეს მხარე და თავის ნაშრომში „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ ვრცლად მიუთითა საშინელ უგზობაზე და ამ მხარის საერთო გაჭირვებისაგან თავის დაღწევისათვის გზების გაყვანის პერსპექტივაზე. იგი წერს: „ასეთმა ხასიათმა თავის მხრივ ქვეყნის საუკუნოვანი უმრაობა განაპირობა“ (2, 104-108) რაც, სავარაუდოა, ბევრ სხვა რამესთან ერთად აქ, ქართული ელემენტის შენარჩუნების საფუძველიც გახდა. რუსეთის ხელისუფლებას 1880-1920 წლებში სოფელთან დამაკავშირებელი და ბათუმისკენ მიმავალი გზები ხეობის მთების მწვერვალებში გაუყვანია, დასახლების მიხედვით. თურქეთის ხელისუფლებას კი მთავარი გზა ჭოროხის გასწვრივ აქვს გაყვანილი, საიდანაც შეიძლება შეხვიდე ყველა სოფელში. ცნობილია, რომ თურქეთის რესპუბლიკა გამოირჩევა მსოფლიოში საუკეთესო ავტობანებით, გვირაბებითა და სავტომობილო გზებით; აქვთ საუკეთესო სასოფლო გზებიც. ბევრგან ჩვენი მოგზაურობის დროსაც მიმდინარეობდა გზების გაფართოებისა და გზის განაპირა კედლების გამაგრებითი სამუშაოები. ყველგან, მუშახელად, ვხვდებოდით ქურთებს, რომლებიც 1-1,5 მეტრი სისქის ქვისა და ცემენტის მყარ ყორეს აშენებდნენ.

ექსპედიციის სამი დღე დავეყავით *დევესქელის ხეობის* იაილებში, სადაც ხის სახლთა ნაწილი ბოსლებზე დგას, ნაწილი, – ახლად აშენებული, ცალკე და ნაწილიც სახლებისა ბეტონითაა აშენებული და კეთილმოწყობილია სველი წერტილებით, საწოლები ფიცრებით აქვთ გაკეთებული. იაილაში ბევრ ოჯახში ჰქონდათ ტელევიზორი.

ალაგ-ალაგ ბეტონის ავზები აქვთ გაკეთებული საქონლისათვის წყლის სასმელად. ზოგიერთ ოჯახს პატარა ბოსტანი აქვს შემოღობილი. ქალების უმრავლესობა თავისუფალ დროს საქსოვად იყენებს. ქსოვენ მთასა და ბარში, წუთსაც არ კარგავენ.

თეთრი წყლის იაილაში არის სასტუმრო ტურისტებისათვის. აგრეთვე იუნესკოს პანსიონი. იაილაში იღებს სათავეს *მდ. მაჭახ-*

ლის ერთ-ერთი მარცხენა შენაკადი - თეთრი წყალი, ხოლო აქედან 7-8 კმ-ზე, წამომართულია 3000 მეტრზე მეტი სიმაღლის კარჩხალის კბილოვანი მთები, ხოლო მისი ერთ-ერთი მწვერვალის ძირში არის ვარსკვლავის ტბა – “მასკავგოლი”, როგორც აქ უწოდებენ.

წარმოგიდგინთ ექსპედიციის დროს ჩაწერილ რამდენიმე ფოლკლორულ ნიმუშს.

ჩვენ მიერ შეკრებილ ფოლკლორულ ნიმუშთაგან ყურადღებას იპყრობს ისეთი ტექსტები, სადაც ადამიანის ხასიათის თავისებურება და ინდივიდუალობა კარგად იხატება. მათში იკვეთება ცალკეული პირის მისწრაფება, მისი სურვილი, შეხედულებანი და ყოფისთვის დამახასიათებელი ლაღი იუმორი. მთქმელმა სელაათთინ ალფაიდინმა ჩაგვაწერინა ასეთი ლექსი:

„როც რომ მქონდა ფულებიო,
ვჭამდი ხაჭოპურებიო,
როცხა რომენ დემელია,
ჩამოვყარე ყურებიო“.

ისა ათარ მელეგოლიმ (მელეგაშვილმა) სატრფიალო პოეზიის ნიმუშები მოგვაწოდა, სადაც ახალაზრდა ადამიანის ოპტიმიზმი და წრფელი განცდებია გადმოცემული:

„თელას ტყავი გავამერ,	ჭიშკარი გავაკეთე,
ხიდან ხეზე გავაბი,	ყაზული ექანება,
მე აქავრი გოგვები	მე შენ გოგოს ვუკბინე,
თავკაპებზე დავაბი	კბილი მექანება.

ფეხზე ფოთინი მაქვა	გოგოვ, გოგოვ, კისკისა,
ოდენ წამოდებული,	წყალი მინდა ლიტრისა,
იმდონი აშილი მყავს	გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
დუნიაში მოდებული“.	კოცნა მინდა ლოყისა.”

ამ სტრიქონებიდან აშკარაა ცხოვრების ხალისიანი და ახალგაზრდული მხარეებით ტკბობის სურვილი, როცა ადამიანი მომავალს იმედიანად შესცქერის და საყვარელ ადამიანს შორიდან არჩევს. ქართული ფოლკლორი მდიდარია ამგვარი

განწყობის სატრფიალო ნიმუშებით და ნიგალის ხეობაც ამ ერთიანობის აშკარა მაჩვენებელია.

დედები, ხშირად, ქალიშვილებს სათუთად ექცევიან, რადგან გათხოვების შემდეგ ისინი სხვა ოჯახში სახლდებიან, ნიგალელი ქალიც სწორედ ამის გამო აძლევს დედას გაფრთხილებას:

„წმინდა ძივი დემეჰნა,
ამსხმელი ვარ ამსხმელი,
დედიკო, ნუ მიყვირავ,
წამსლელი ვარ წამსლელი“.

ამ ხეობის ქართველობა ინარჩუნებს მსგავსებას თავის ძირძველ ფესვებთან.

ერთ-ერთ სტროფში კი ქალისადმი ერთგვარი მითითებარჩევა გამოხატული, რომ მან თავისი თვალების ელვარება და სილამაზის შუქი უნდა დამალოს, არავის უნდა დაანახოს:

„წვანე-წვანე თვალები
შენ თვალებში გიყურე,
ვინმე არ დიგინახოს
თავი ბოლო დეიბურე“. (მთქმელი: ნაზიმე ყარა)

აშკარაა, რომ მოკრძალებასა და თავმდაბლობასთან ერთად, აქ რელიგიური ადათ-წესებიც არის მოაზრებული. დეტალებშიც და ფრაგმენტებშიც შეიძლება მსგავსება-განსვავების კარგად შემჩნევა და მათი თვალსაჩინოდ გამომზეურება. ეს ერთი პატარა ლექსი მთლიანად იტევს არა მარტო ცალკე აღებული ხეობის, არამედ მთელი ბოლო საუკუნეების ისტორიისათვის დამახასიათებელ პერიპეტეებს და ყოფით რეალობას.

მეუღლისადმი ერთგულებასა და სიყვარულში გაჯიბრებაა ალფაიდინისა და ნერმინ გეჩის მიერ წარმოთქმულ სტროფებში (ლექსებში, შაირებში). ამ სიყვარულსა და ერთგულებაში იკვეთება რწმენა მეუღლისა, ვაჟკაცისა, მაღალი ზნეობა ქალისა, სიმტკიცე ოჯახისა.

„წისქვილზე მირი დავაყარე
ბენდი გადაგდებული,
ჩემ იაიროს მე ვიცნობ
კისერ გადაგდებული.

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქით აქეთ მექცევა,
იარო შენი დანახვა
და ჯენეთი მომექცევა.

მომწვანო თვალიანი
თითზე ბეჭედი მაქვა,
ჩემ იაროს მე ვიცნობ,
ჟუჟუნა თვალები აქვა

გაღმა თეთრი ქათამი
გამოდმისკენ უხტება,
ჩემ იაროს რომ დევნახავ,
გულში რაცხა მომხტება“.

ირონია და შორიდან მაყურებლის შემფასებლობითი დამოკიდებულება ჩანს 65 წლის მთქმელის მიერ მოწოდებულ სტროფებში (ილმაზ შენთურქ, მარადიდიდან):

„ბაბავ, გიმიში აჭარისტანში,
კოლექტივს დევნებარები პურისჭამაში“.

მაშინ, როცა ჩვენში საბჭოური პატრიოტიზმი, ნებისთ თუ უნებლიეთ, ყვავდა და სავალდებულო სახობო პოეტურ ნიმუშებს ამხეურებდა, ნიგალის ხეობის საზრვარგრეთ დარჩენილი ნაწილის ქართველობა პრაგმატულობის და მსუბუქი ირონიის ნაზავს ქმნიდა და ითავისებდა. და თავისთავადობასა და ეროვნულ ცნობიერებას უნარჩუნებდა [3, 100]

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეს რეგიონი ტოლს არ უდებს საქართველოს სხვა მხარეებს სტუმარ-მასპინლობაში. მართალია ცხოვრების თურქული წესებიდან გამომდინარე, ეს კლასიკური ქართული ფენომენი რამდენადმე შეიცვალა, მაგრამ თავისი ძირითადი ფუნქცია დღემდე შეინარჩუნა.

საოჯახო ყოფაში, ძირითადად, დამკვიდრებულა სტუმრისათვის სადილის მისართმევად მაღალფეხა სკამების და მაგიდების გამოყენება, ნაცვლვად ძველებური დაბალი სუფრისა (თუმცა, ისიც აქტიურად არის ხმარებაში). სუფრა აქვთ მეტ-ნაკლებად მრავალფეროვანი, მაგრამ არ გამოირჩევა სიუხვით. ოჯახში საჭმელს ძირითადად პატარა მაგიდიდან მიირთმევენ, პატარა სკამებზე დამსხდარნი. ბევრგან ისევ შენარჩუნებულია სუფრასთან მუხლმორთხმული მისხდომა და ერთი საერთო თევშიდან კერძის მიერთმევა. შეხვდებით კერძების ჩამორიგებით მიერთმევა-საც, მაგ., სოფ. დამფალში.

სტუმარ-მასპინძლობისათვის გადაგებული ჩვენებურები იყვნენ, თურქები კი ამ მხვრივ თავშეკავებულობას იჩენდნენ.

ისლამის ტრადიციის მიხედვით, მიცვალებულს უხდიან გარდაცვალებიდან შვიდსა და ორმოცდათორმეტს. ჩვენს საკვლევ ტერიტორიაზე დავაფიქსირეთ არაერთი ფაქტი, როცა მიცვალებულს გარდაცვალებიდან შვიდსაც უხდიან, ორმოცსაც (ოჯახთან მიცვალებულის სულის განშორების, მისი ძვალისა და რბილის განცალკავების დღეს) და ორმოცდათორმეტსაც და სასაფლაოებიც მარმარილოთი აქვთ გაკეთებული. როგორც ცნობილია, ორმოცის გადახდის წესი ქრისტიანული რელიგიის მიხედვით სრულდება. საქართველოში მცხოვრები მუსლიმანები კი, მხოლოდ შვიდისა და ორმოცდათორმეტის რიტუალს ასრულებენ და არ თვლიან აუცილებლად სასაფლაოს ჩამოსხმასა და განსაკუთრებულ მოწყობას. გარდაცვლილს, თუ დილას გარდაიცვალა, საღამოს კრძალავენ და თუ შუადღიხან, ან საღამოს, მეორე დღეს კრძალავენ. ოჯახებში შესვლისას აქ მიღებულია ფეხზე გახდა, გასვენებაში მისვლის დროსაც კი იცავენ ამ წესს.

საქართველოში ყვავილების გვირგვინი გარდაცვლილის პატივსაცემად მიაქვთ, თურქეთში კი იგი ათეულობით მიიტანეს მარკეტის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ კუთხის სახალხო დღესასწაულები, რომელთაგან დღეს მხოლოდ სამია შემორჩენილი: “შუამთობა”, “კავკასორი” და “მემხლიანობა” (4) შუამთობას აღნიშნავენ აჭარაში (5), ამ დღესასწაულს თავისი ფორმა შეცვლილი აქვს შავშეთ-იმერხევეში და ზოგადად “ფესტივალად” იწოდება, თუმცა ბევრი საერთო ელემენტი აქვს შუამთობასთან.

მეტად საინტერესო დღესასწაულია ნიგალის ხეობაში კავკასორი, რომელიც ტრადიციულად ტარდება ართვინიდან 8 კმ-ის დაშორებით, ტრიალას მთაზე იგნისის ბოლო კვირას. დღესასწაულის ძირითადი მომენტია ხარების შეჯიბრი, თუმცა ბოლო დროს საზაფხულო სახალხო ზეიმს დაემატა სპორტულ-სანახაობითი ღონისძიებებიც, ასეთი დღესასწაულები ცნობილია ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში (4).

გამეგონა და წამეკითხა კიდევ, რომ თურქეთში ქურდობა არ იცოდნენ. ამაში თავადაც დავრწმუნდით. ბორჩხაში, მრავალსართულიან სახლში, ბუჰრან ჯიგანაძის ოჯახში გავათიეთ ღამე, ფეხსაცმელები სადარბაზოში დაგვატოვებინეს, გავიკვირვეთ, მი-

ზეზს მიხედნენ: გვიპასუხეს – აქ ხელს არავინ ახლებსო. ასე, ღიად ელაგა ფეხსაცმელები მეზობელ მოზინადრეთა კარებთან. სოფლებში, ბევრ ოჯახში ვნახეთ სხვადასხვა სახის სამონადირეო იარაღი, რომელსაც შეუზღუდავად ისროდნენ გასახალისებლად, გასამხნეველად, გასახმიანებლად, შესაგულიანებლად.

ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა აქედან ჩასული იაფი ქართველი მუშახელი. გავესაუბრეთ იქაურ ქალბატონებს მათ საქმიანობაზე, გვითხრეს, რომ არ არიან მძიმე შრომაში, რომ ჩაისა და თხილს (სოფლის მეურნეობის ძირითად საშემოსავლო პროდუქტს) აქაურ ჩვენებურებს აკრეფინებენ და თვითონ ოჯახში და ეზო-კარში მუშაობენ. ხშირია ქართველ ქალთა თურქეთში გათხოვების შემთხვევები. ჩვენ შევხვდით რამდენიმე ოჯახს. მაგ. ხელვაჩაურელ დალი კომახიძეს, რომელიც გათხოვილია ბორჩხაში, სოფ. შუახევში, სელიმ ათარზე; ხაშურელ მარინა ცაბაძეს, ასევე, შუახევში, ქენან ილმაზზე, ქედელ ნაზი ბოლქვაძეს, – ბორჩხის რაიონის სოფელ თხილაზროში, დილავერ ოზბაირაქზე, და ეს მაშინ, როცა ადგილობრივი ქართველობა თავისი ტრადიციების, ადათ-წესებისა და ეროვნულობის შესანარჩუნებლად საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა და ძირითადად ახერხებდა კიდეც, მხოლოდ ქართველთან, თავისი მოდგმის წარმომადგენელთან, შესულიყო ქორწინებაში. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ყველაფერი (ზემოთ მოყვანილი ფაქტები), დრომ მოიტანა და ისევ დრო წაიღებს.

ვახუშტი თავის ნაშრომში “აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს: „და არს ეს ლიგანის ჳეობა თჳნიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმოთი, ჳეთისხილით“(6). (ნარინჯებისა და თურინჯების რა მოგახსენოთ, მაგრამ ნიგალის ხეობა, ვაშლით, მსხლით, ყურძნით, ატმით, ჳეთისხილით, ჳღმარტლით, ბროწეულით, თხილით და სხვა მრავალი სახის ხეხილით რომ იყო გადახუნძლული, ამას ჩვენც ვადასტურებთ, ვაშლი კი – სიუხვის გამო ულპებოდათ და შემოსავლის წყაროდ ვეღარ ექციათ.

ხეობაში მეურნეობის გავრცელებული დარგია მეფუტკრეობა, ხოლო თავლი სუფრის ძირითადი საკვები პროდუქტი. მთასა და

ბარში შეხვედებით ხის კენწეროებსა და კლდეებში გამოკიდულ სკებს. ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავდა მეფუტკრეობის შესახებ ამ რეგიონში (7). კლარჯეთის მეფუტკრეობიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ლივანური თაფლი, რომელზედაც დიდი მოთხოვნილება იყო, რომლის შემცირების მიზეზად ფუტკრის სხვადასხვა ავადმყოფობასთან ერთად მისი წარმოების დიდ შრომა-გარჯასაც ასახელებენ (8).

სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანია ტყეები, ხეებს პეპელა და ჭია მოდებოდა, შესაბამისად ხე-მცენარეთა დაცვის ღონისძიებანი გაეტარებინათ მათთვის ტყის მთელ მასივებში ხეთა ტოტებზე “მახე” გაეკეთებინათ ჭია-პეპელათა მისატყუებლად.

ჩვენებურთა გულდია საუბრებსა და ადათ-წესების, ტრადიციების, ყოფა-ცხოვრების, მუჰაჯირობის, კვების პროდუქტების დამზადებისა და მშენებლობისა შესახებ ჩაწერილ ტექსტებში შეხვედებით მყარ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, იუმორს, ანდაზებს, “ფასაფორტის” გაკეთებისა და საქართველოში წამოსვლის სურვილს, ოცნებას. ამ ჩანაწერებში თვალნათლივ ჩანს ჩვენებურთა ეთნოკულტურული ყოფა;

მაგალითისათვის – მთქმელი: ნაფიე ქესკინ (50 წლის) სოფ. ბაგინი:

„ბერ-დედაბერი ერთად მეიყარენ და თქვეს უწინდელი რაცხაები ვიპარაკოთო, ვიჭუჭუნოთო. შენ რომ მოგიყვანე გოგო არ იყავი, იციო?! დედაბერსაც უთქმია კ(ქ)ი, ძირიდან არ დეიწყო, ზეიდან დეიწყო. არ ეამა ბერს კ(ქ)ი“.

დედოფლობისათვის მზადება და მეზობელი თერძი ქალისადმი მაღლიერების გრძნობაა გამოხატული შემდეგ ტექსტში:

„მუუტანდი ჩვენ ურბას, დაჭრევდა კარგათ, შემიკერებდენ, ჩამცმებდენ, დედოფალი დავდგებოდით. ძველათ ენ კაი თერძი იყო გოგვებისა, მეტი გამახარებდენ, ფულსაც ცოტა ამართმებდინ, პატინა რაცხას მივცემდით, ლოცვას მეიგებდა ბევრს“.

– ავადები გავხდებით, ვაკითხიავთ, მეტი კაი ქალია. გონჯი უზრი ის აქ იშტი, კაცსა არას უძახის.

– დედაბერი ქალი ადექი და ტანი იბანე, რა ზორი.

მოყვანილ ტექსტში: „5 ყათი გენილი ყავს, ერთი მეიყვანა შეიშალა, ამელიათი გახდა, მეორე მეიყვანა, ამელიათი გახდა,

რძალი თლათ მეიყვანა, თლათ ამელიათი გახდა“, გამოხატულია დედის პასუხისმგებლობა, ოჯახში ახალი წევრების, რძლების შემოყვანის დროს, როგორც ეს არის ჩვენთან და არა როგორც მუსლიმანურ საზოგადოებაში (ოჯახში რძლის არასრულფასოვან წევრად მიღება).

ქვემოთ მოყვანილ ტექსტში კი ნაფიე ქესკინი აღწერს, თუ როგორ მკურნალობს მოტეხილობას.

1. „რავი ვაგდებ, თუ მოტეხილია შევხედავ, შევხედავ იშტე, გავაკეთავ, იმას შუუხვევ, კვერცხის ფქილით გავთქიფავ, გავლესავ, ფალაზზე დავასხავ, შუუხვევ, ის ალჩისი გახდების, გახმება, 15 დღე შეხვეული იქნება, იმის მემრე მოძრება, ხელიც გუუკეთდება“.

მთქმელი: ჰაჯერ ათამან (48 წლის) სოფ. დევესქელი.

აღვიწერდნენ თუ როგორ ამზადებენ კერძებს:

„ჭიჭური, გოგოვ, სიმინდ იცი, ჭადი გამააცხე ლამაზი, ცხელ კი ამიღებ დიდ თეფში, ლამაზათ ჭად დადებ, ერთი ყაშული გინდა, ორი ყაშული გინდა, იმა დაადებ და ჩაბლუჯავ, ჭადი არნა გაცივდეს, მალ-მალენა ქნა იადი, გადნეს შიგან, იანზე აირანი მორეკე ხელით, იშიც შუაში ჩადე ლამაზათ, მოყარე ღარჭები, გუუდექ და ჭამე“.

ე.წ. ჰასუთა

„ერთი თაბადი (თასი) ქვილი ჩაყარე, ერთი თასი შექერი, 3 თასი წყალი, ბითუმნა რეკო, ეგერ თუ სქელი ქნა, წყალს გეიგნებ იშტე, სქელი და თხელი ონაგორა იქ იშტა, ცუტ-ცუტა წყალ მიცემ, ბევრ არა, შენნა გააფერო, ჭკუა გაქვან იმდენი, თუ გინდა სამი ყაშულის ბეთმეზი ჩაასხი, თუ გინდა ბოინი, ჰამა ლამაზინა დააშუშუ, სული არ ედინოს, ქვედაიც არნა დახრაკო, სული არნა მუაღებო მენჯერაზე“.

ტექსტებიდან ამოღებული გამონათქვამებია:

1. პირ კოცნა თუ გინდა ცხვირმა არ დიგიშალოს
2. თაფლი დიგიკავებს (თაფლი უჭმელობას კარგა ხანს გაგადლებინებს)
3. მაღალი ხერხები არი (მაღალი კბილოვანი, ხერხისებური მწვერვალები არის)
4. ფარა დააწვინა (ფული გადაიხადა, ფული ბანკში ჩადო, ფული გაუუფასურდა, როგორც იტყვიან, დაეწვა).

5. ღმერთმა წორეთ მათქმევიე და ა.შ.

და ბოლოს: ჩვენი კონფერენცია რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომსა და მისი შედეგების განხილვას ისახავს მიზნად, ბუნებრივია ეს ომი რუსეთის დამპყრობლურ მიზნებს ემსახურებოდა, მაგრამ ჩვენთვის იგი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ნიშნავდა, რუსეთ-თურქეთის სამხედრო დაპირისპირების ეპიზოდია სებაათტინ ალფაიდინის მონათხრობში: „ჩხუბი გასკდა თავიდან, სავაში, თელი ხალხი, ვინ-ვის. მეემშიენ ასკრებსა, დედაბერთან მივდენ მეგერე, დედაბერსა საჭმელი მოთხვა, საჭმელი დუუდვა, მიაართვა.

რუსები ძულდებიან ჩვენ ქართველებსა. მეგემ დევსქელში იყვენ, მუცლიანი ქალები დახიშტეს, თელი ღარჭები გამაგდებიეს და ძულდენ ისინი. ქალმა უთხრა, საჭმელი გინდებიანო თუ, ეშინიოდა, ჭამეთო და, ღმერთმა რა გაჭამონო. მეგერე ერთთანე შიან ქართველი არ ყოფილა ასკერ, ნენევ მე კაი ვჭამე ჰამაო, მეს ქართველი ვარო და, ვოომე, ესენიც ქართველი ყოფილანო და ჩემი ხალხი ხართო და უტირია მაშინ. ჰამა რუსებსაც დიდი ბითური საქმე უქნიან, გაიგენ და რუსები ზულდენ“.

ომს ყოველთვის ახლავს შემზარავი დ ხშირად გაუთვალისწინებელი შედეგები, რუსეთი ქართულ მოსახლეობას ათავისუფლებდა თურქეთის საუკუნოვანი მონობისაგან, მაგრამ ომის შედეგებისა და თურქული პოლიტიკის გამო, ჩვენებური, რუსი ჯარისკაცის სიძულვილს განიცდიდა..... მაგრამ გული შესტკი-ვოდა თავისიანზე და სამშობლოზე. 1878-1921 წლები ჩვენებურთა მეხსიერებას მათი ქართველობის ნათელ კვალად აჭდევია.

შეიძლება დავასკვნათ:

თურქეთში მცხოვრებ ნიგალისხეობელთა აქ წარმოდგენილი სამეტყველო და ფოლკლორული ნიმუშები ღირსსაცნობია არა მარტო თანამედროვე კუთხური თავისებურებით, მისი მახასიათებლებით, ფიგურალური გამოთქმებითა და ისტორიული დიალექტოლოგიით, არამედ ეთნოკულტურული საერთო ქართულის ჩვენებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სიხარულიძე ი., ნიგალი (საისტორიო გეოგრაფიის მასალები), ბათუმი, 1985.
2. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995, გვ.104—1108.
3. შიოშვილი თ., ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო. წიგნი მეორე. ბათუმი, 2004
4. მალაყმაძე რ., სახალხო დღესასწაულები ლიგანის ხეობაში, სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, IV, ბათუმი, 2002.
5. თანდილავა ზ., შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, თბ. 1980.
6. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941, გვ
7. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.
8. ბერიძე ე., საველე მუშაობის მასალები, ბათუმი, 2007 (ხელნაწერი) თანამედროვეობა, თბ. 1980.

Этер беридзе

Этнографические записи в Нигали

Резюме

Нигальское ущелье – одно из самых интересных мест с этнографической точки зрения. В работе рассматриваются фольклорные образцы и тексты, характеризующие речь жителей ущелья, народные праздники, а также отдельные наблюдения, касающиеся быта. Отмеченное позволяет представить этнокультурное состояние местного грузинского населения.

**ეთნიკური პროცესები თურქეთის ქართულ
მოსახლეობაში**
*(სტატია შესრულებულია რუსთაველის ფონდის ფარგლებში,
გრანი №180-08-1-030, „შავშეთი“)*

ისტორიული განვითარების შესაბამისად, მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხს მეტ-ნაკლები ინტენსივობით შეეხო ეთნიკური ასიმილაციისა თუ ეთნოტრანსფორმაციის პროცესები. აღნიშნულ მოვლენებს, ცხადია, ვერც ქართველები გადაურჩებოდნენ. ეთნიკური პროცესები ზოგჯერ ეხება საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნოსებსაც. ამიტომაცაა, რომ საქართველოში დღესაც გვხვდება გასომხებული, გააფხაზებული, გაბერძნებული ქართველი. უფრო მეტიც, გვაქვს ქართველის გაქურთების მაგალითიც. ცხადია, ადგილი ჰქონდა უკუპროცესებსაც.

ქართველები ერთ-ერთი მსხვილი ეთნიკური ჯგუფია პოლიეთნიკურ თურქეთში, რომელთა ნაწილი ცხოვრობს თურქეთის პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეულ საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე – ტაო-კლარჯეთში, ნაწილი კი გაბნეულია ქვეყნის შიგა პროვინციების ქალაქებსა და სოფლებში. ისინი დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფოებრივ იერარქიაში. ბურსაში, სტამბოლში, ანკარაში, იზმირში ფუნქციონირებს ქართული სათვისტომოები. მათი ძალისხმევით გამოდის ჟურნალი “ჩვენებურები”. მიუხედავად ამისა, თურქეთში მცხოვრებ ქართველთა დიდ ნაწილს ბუნდოვანი ან არასწორი წარმოდგენა აქვს საკუთარ ისტორიაზე, საკუთარ სამშობლოზე. ძალიან ცოტაა მათ შორის ქართული წერა-კითხვის მცოდნე, ბევრმა აღარ იცის მშობლიური ენა, თუმცა შავშეთის, კლარჯეთის, ტაოს ბევრ სოფელში (ზიოსი, ზაქიეთი, ბაზგირეთი, ხევწრული, უბე, დაბა, ხევკი...) საოჯახო ენა წმინდა ქართულია. ქართულად საუბრობენ კომპაქტურად მცხოვრებ მუჰაჯირ ქართველთა ოჯახებშიც. ისტორიული სა-

ქართველოს სოფლებში ბოლო დრომდე შენარჩუნებულია ქართული ტიპონიმები.

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შესახებ ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა სარფის კარის გახსნის შემდეგ. ბევრ ოჯახს შორის აღსდგა ნათესაური კავშირი, გაადვილდა მიმოსვლა, დაიბეჭდა ცალკეული ნაშრომებიც. მაგრამ ერთმანეთის შესახებ ცოდნის დეფიციტი არაა აღმოფხვრილი, ჯერ კიდევ ყველას არ ესმის იქ დარჩენილი ქართველობის და მათდამი ჩვენი დამოკიდებულების მნიშვნელობა, მათი ღირსებისა და ეროვნული სიამაყის დანახვა, უერთმანეთოდ დარჩენილი იქეთ-აქეთა ქართველების სულიერი განცდები.

ბოლო პერიოდში თურქეთში შეიცვალა ხელისუფლების დამოკიდებულება არათურქული წარმოშობის მოსახლეობის მიმართ. ქართველ მკვლევრებსაც მიეცათ იქაური ქართველების მონახულებისა და მათი ტრადიციულ-ყოფითი კულტურის შესწავლის შესაძლებლობა.

ჩვენი დაკვირვებით, თურქეთის ქართულ მოსახლეობაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი კატეგორიები: ა) ქართულენოვანი და ქართული ცნობიერების; ბ) თურქულენოვანი და ქართული ცნობიერების; გ) გაორებული ცნობიერების (“თურქი ვარ, ჰამა გურჯი ვარ”); დ) ასიმილირებული ქართველები. ნიშანდობლივია, რომ ქართული ენა, ტრადიციულ, ყოფითი კულტურა ყველაზე მეტად შემორჩენილია იმ ოჯახებში, სადაც ქორწინება ეფუძნება “სისხლის სიწმინდის” დაცვის პრინციპს.

ისლამის მიღების შემდეგ თურქეთში მცხოვრები ქართველების ცხოვრების წესმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, მაგრამ ეთნიკურად მათი დიდი ნაწილი მაინც ქართველებად დარჩა. ძირითადად ქართულია მათი ტრადიციულ-ყოფითი კულტურა. ქართული ეთნოგრაფიული რეალიები და ქართული ენა უმეტესად შავშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში მაცხოვრებლებმა შემოინახეს. რუსეთის ხელისუფლებამ (1878 წელს შავშეთი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, თუმცა შემდგომში კვლავ ოსმალეთმა დაიპყრო) 1886 წელს აღწერა შავშეთის მოსახლეობაც. აღნიშნული აღწერის მონაცემების მიხედვით, შავშელთა უდიდესი ნაწილი ქართველ მაჰმადიანადაა ჩაწერილი.

დიმიტრი ბაქრაძის მონაცემებით, 1874 წელს აქ ქორწილში „მაყრულსაც“ მღეროდნენ (თოფჩიშვილი რ. 2008:154). 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით შავშეთელები უკვე თურქებად არიან აღრიცხულნი. გათურქებული ქართველების რაოდენობა აღნიშნული მონაცემების მიხედვით შეადგენდა 9401, საკუთრივ ქართველების რაოდენობა კი - 7556 კაცს (თოფჩიშვილი რ. 2008:155). მთლიანად ართვინის ოკრუგში ცხოვრობდა 17802 ქართველი. 1907-1908 წლების მონაცემებით, იმერხევში ქართველების რაოდენობა შეადგენდა 6896 კაცს (თოფჩიშვილი რ. 2008:155). 1907 წლის მონაცემებით, შავშეთის ერთ-ერთ სოფელში – სოფორაში მოსახლეებს შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული ეთნიკური თვითმეგნება. ეთნიკურობის გრაფაში მათ „ქართველი მაჰმადიანი“ ჰქონდათ ჩაწერილი, ხოლო მანატბელებსა და ბაზგირეთელებს (იმერხევი), ანაგერტელებსა და მეცაგილელებს (კლარჯეთში-არტანუჯის მხარეს), ბეშაულელებსა და კაბარჯეთელებს (ართვინის მხარე) ამ დროისათვის, როგორც ჩანს, ისლამი ჯერ კიდევ არ აქვთ მიღებული, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ეთნიკურობის გრაფაში პირდაპირ უწერიან „ქართველი“ (თოფჩიშვილი რ. 2008:155). მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ტოპონიმთა აბსოლუტური უმრავლესობა დღეისათვის თურქიზირებულია, მოსახლეობა ადგილთა სახელებს მაინც ძველი ქართული სახელით მოიხსენიებს.

შავშეთის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს კლარჯეთი. ნ. მარს XX საუკუნის დასაწყისში აქ მრავლად შეხვედრია ქართულ ენაზე მოლაპარაკე კლარჯები. 1886 წლის საოჯახო სიებით ამ მხარეში 9246 ქართველი იყო აღრიცხული (6913 – ართვინის უბანში, 2333 – არტანუჯის უბანში) (თოფჩიშვილი რ., 2008:161). 1907-1908 წლების მონაცემებით კლარჯეთში იყო 16425 ქართველი (თოფჩიშვილი რ., 2008:161). დღეისათვის ქართველები აქ ფაქტობრივად აღარ სახლობენ. ისინი თურქეთის ხელისუფლებას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბურსაში გადაუსახლებიათ. დ. ბაქრაძის ცნობით, ზოგიერთი აქ ფარულად ქრისტიანულად ლოცულობდა.

ქართული ენა თითქმის დაკარგულია აგრეთვე ტაოშიც (თუ მხედველობაში არ მივიღებთ პარხალის ხეობის სამიოდე სო-

ფელს), თუმცა ბევრს ახსოვს წინაპართა გვარი და ქართული გადმოცემები, განსაკუთრებით თამარ მეფის შესახებ.. აღარ იციან ქართული არტანსა და კოლაშიც. ინგლისელი მოგზაური დ. ჰილზი XX ს. 60-იან წლებში აქ შეხვედრია ქართველებს, რომლებიც უარყოფდნენ ყოველგვარ კავშირს ქრისტიანობასთან, მაგრამ წუხდნენ, რომ განათლებისა და ემიგრაციის წყალობით იკარგება ქართული ენა (თოფჩიშვილი რ., 2008:165).

ისტორიული საქართველოს მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობამ, მატერიალურმა კულტურამ, ოჯახმა, ქორწინებამ, სულიერი კულტურის ცალკეულმა ელემენტებმა შეიძინეს ეთნიკური ფუნქცია, რაც რეალურად არის ისლამის წინააღმდეგ ბრძოლის გზა და ემსახურება ქართული ეთნიკური თვითმყოფადობის, ქართველობის დაცვის ინტერესებს.

ქართველები ტრადიციულად ყველაფერს თვითონ აკეთებენ: ურემს, მარხილს, ანუ ხარი არაბას, სახლს, ნალიას, წისქვილს, ხდიან ყავარს, რომელსაც იყენებენ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების გადასახურავად (1960-1970-იან წლებამდე ყავარი ამ დანიშნულებით გამოიყენებოდა აგრეთვე აჭარის მთიან სოფლებში), თხილის წნელისაგან ქსოვენ კალათებს, გოდორს. აჭარის მოსახლეობის მსგავსად ამზადებენ კეცებს და აცხობენ მჭადს, მზადდება აჭარასა და საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული კერძები (ერიშტა, სინორი, ბორანი, ფხალი, ლობიო, შორვა, ბეთმეზი...), ერთმანეთის დასახმარებლად იყენებენ შრომის ორგანიზაციის ისეთ ფორმებს, როგორცაა ნადი ანუ მეჯი (ისევე როგორც საქართველოში). ერთ-ერთი რესპონდენტის მონათხრობით პარხალსა და მის ახლომდებარე სოფლებში დიდხანს იყო შემონახული ძველი ქართული “აგუნას” და “ზახუსის” მსგავსი რიტუალი, რომლის მიხედვით მოსავალის აღების დროს, რთველის დღესასწაულზე ტანგახდილ ჭაბუკებს ტანზე ყურძნის მტევნები ჰქონდათ ჩამოკიდებული და ფერხულს უვლიდნენ, რასაც ხოჯა-მოლები სასტიკად ეწინააღმდეგობდნენ. აღნიშნული რიტუალი საქართველოში დღემდე არსებული “აგუნას” კულტის ვარიაციული სახესხვაობა უნდა იყოს. საყურადღებოა აგრეთვე ე. თაყაიშვილის ცნობა, რომლის მიხედვით გამაჰმადიანებული ქართველები ყურბან-ბაირამის დღესასწაულზე

ღებავდნენ კვერცხებს და მიჰქონდათ ეკლესიის ნანგრევებთან (თაყაიშვილი ე. 1991, 217). აქაური ქართველობა (ისევე როგორც აჭარის მოსახლეობა) სამეურნეო-ყოფითი კულტურის მაღალი დონით გამოირჩევა და საქართველოს სხვა მთიანი რეგიონების მოსახლეობასთან შედარებით აშკარა უპირატესობით სარგებლობს. ეს თავის დროზე შენიშნა კიდეც დიმიტრი ბაქრაძემ. იგი წერდა: "თუ ახლანდელ აჭარლებს შევადარებთ ჩვენს მთიელ თვისტომებს რუსეთის საქართველოში, სახელდობრ სვანებს, ხეცსურებს, ფშავეებს, თუშებსა და მთიულებს, შეუძლებელია კულტურის მხრივ უპირატესობა არ მივანიჭოთ პირველთ მეორეთა წინაშე"(დ. ბაქრაძე, 1987, 7).

იქაურმა ქართველებმა დღემდე მოიტანეს ქართული ლექსები, სიმღერები, თქმულებები, ცეკვები. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ სიმღერები: "ჯინველო", "მაცრული", "თეთრო მამალო", მგზავრული, ჯაყდანანაი, თარიანინაი, ცეკვები: ბაზგირულიაი, ხორუმი, ხელგაშლილაი, შემორბენილაი, დუხხორუმი, გაზრომილაი და ა.შ. ცეკვა "ხორუმი" სრულდება მოცეკვავეთა გრძნობების ემოციური გამოხატვის ფონზე. ამავე დროს შეუძლებელია არ შევნიშნოთ ქართველთა ისტორიული ბედით განპირობებული ტკივილი და სევდა, რაც აშკარად გამოიხატება თითოეული მოცეკვავის გამომეტყველებაში. ცეკვა სრულდება შესაბამისი ჟესტიკულაციით და აზარტული შემახილებით: "მისცხე-მისცხე", "მოდო გადატყდი", "იანზე-განზე" და ა.შ.

დედასამშობლოს მონატრებით გამოწვეული სევდა და ტკივილი ჩანს ჩვენს მიერ იქ ჩაწერილ არაერთ თქმულებაში. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ჭოროხი იმიტომაცა ჩქარი მდინარე, რომ გურჯისტანში ჩაიტანოს ჩვენი სულები და ფიქრებიო. გურჯისტანს ისინი "დიდმემლექეთს" ეძახიან. მეორე თქმულების თანახმად, იქაური ქალები ქმრების ჩუმად ტირიან, ცრემლებს ეწ. გუგუმებში (თუნგი) აგროვებენ და ზაფხულში, ჩურუგას (ივლისი) თვეში გვალვების დროს უწყვეტად ადიან კოლადან, არტანიდან, შავშეთიდან, კლარჯეთიდან, სპერიდან, ერუშეთიდან, სხვა ქართული პრივინციებიდან მტკვრის სათავესთან, მიაქვთ დაგროვილი ცრემლი და უმატებენ თითქმის

დამშრალ მტკვარს, რომელსაც დედასამშობლოში ჩამოაქვს იქაურთა დარდი და ტკივილი.

ქართველები ცხოვრობენ არა მარტო თურქეთის პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეულ საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე, არამედ ქვეყნის სიღრმეში. ისინი ძირითადად მუჰაჯირი ქართველების შთამომავლნი არიან. მათ წინაპრებს სახნავ-სათესი მიწების შეუზღუდავი არჩევანის უფლება ყვეკვან ჰქონდათ, გარდა ისტორიული ტაო-კლარჯეთისა, რათა სამშობლოსთან ურთიერთობის შანსები შეემცირებინათ. ამიტომ მუჰაჯირები მშობლიურ ადგილებს მიმსგავსებულ ტერიტორიებს არჩევდნენ და კომპაქტურად, ერთანეთთან ახლოს სახლდებოდნენ. ამ მაცდური დიპლომატიის წყალობით აღმოჩნდნენ ისინი ქვეყნის შიდა რაიონებში. ჩაქვიდან წასულმა ქავჯარაძეებმა, ქიბაროღლებმა, ასევე დღვანიდან, ოლადაურიდან, შუბნიდან, დარჩიძეებიდან, ხიხაძირიდან, შუახევ-ჭვანიდან, მაჭახლიდან წასულებმა მათი მთა-გორების მსგავსი ტერიტორიები აირჩიეს და ასე დაარსეს სოფლები: სულხიე, თეფექი, ყონალი, ყარაჯაყაია, ბახჩაყაია, ბაზარალანი, ჰილმიე, ბაჰარიე, ხაირიე, დერეჩათი, ყარაყადი, გულბახჩა, ფეიზიე, ჩიფთლიგი, ფუნდუღლი, ვენე, ქესტანე, ბათახლი... ამ სოფლებსაც ან ადამიანთა, ან მუჰაჯირთა პროფესიის აღმნიშვნელი სახელები ჰქვია. მაგ., თუფექიკონალი – მეთოფეების ადგილია, ფევზიე – ადამიანის სახელი, ხოლო სოფლის ადგილებს მათი პირველსაცხოვრისისათვის დამახასიათებელ ტოპონიმებს არქმევენ. მაგ. თუფექიკონალში: ორდუბიები, წისქვილები, ორწყალი, ჩარხიღელე, სუბასნები, მაღალყანიები, კატრიანსერი, სოჭიანვაკე, კლდისძირები, წაბლნარი და ა.შ. მათ არა მარტო ადგილთა სახელები, არამედ მცენარეთა სხვადასხვა ჯიშიც გადაუტანიათ ახალ საცხოვრისში, უხარებიან სხალთაფლა, ხეჭეჭური, ბოქშვა, შაქარვაშლა, ბოტიავაშლა, კახამბალი და ა. შ. (ე. დავითაძე, 2003, 174,175; სვანიძე მ. 1996, 5-16). მთხრობელი სუმმან გიუმში წუხს, რომ ქართველებმა უნაყოფო ადგილები აირჩიეს საცხოვრებლად: “გურჯებმა არჩიეს კარგი ტყე, კაი წყალი, კაი ბუნება, ჰამა სუსტი (უნაყოფო) ადგილები; ხას (კარგ) ადგილებში კი ლაზები, ჰემშილები და-

სახლდენო”. მთხრობლითვის მიუღებელია, როცა ზოგიერთი თურქი გურჯებს “ჯიმრის ხიზნებს” ეძახის.

ქართველთა რაოდენობის შესახებ თურქეთში დღეს არსებობს ერთმანეთისაგან განსხვავებული სტატისტიკა. 1950 წლის აღწერით თურქეთში ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველთა რაოდენობა 72604-ს კაცს უდრიდა, 1955 წელს-51982, 1965 წ.-34330. 1965 წლის აღწერით ართვინში 17698 ქართველი ცხოვრობდა, ორდუში – 4815, საქარიაში – 2755, სამსუნში – 2350, გირესუნში – 2029, ბოლუში – 1543, ამასიაში – 1378, ბალიქესირში – 1281, სინოპში – 1144, სტამბოლში – 846, თოქათში – 412 და ა.შ. (რ. ბაქრაძე, 2003, 73)

ქართულენოვანი მოსახლეობის რაოდენობა თურქული აღწერის მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ქართულენოვანი მოსახლეობა თურქული აღწერების მიხედვით: (გაჩეჩილაძე რ. 1972, 536)

აღწერის წლები	1935	1950	1960	1965
ქართული დედა ენა	57325	72604	32944	34330
მეორე ენა	16255	-	49175	48976
ლაზური დედა ენა	63253	70423	21703	26007
მეორე ენა	5061	-	38267	59101
ს უ ლ	141894	143027	147841	168414

მიუღებელია ცალკეულ ავტორთა მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვიდაც თურქეთში 4-5 მილიონი ქართველი ცხოვრობს. გენეტიკურად შესაძლოა ბევრია ქართველი, მაგრამ ცნობიერებით ქართველი შედარებით ცოტაა. შესაძლებელია ქართველთა რაოდენობა 1,5-2 მილიონს აღწევდეს. დანარჩენებმა განიცადეს ეთნიკური ასიმილაცია. დღეს თურქეთში ღრმადაა წასული ეროვნული უმცირესობების ასიმილაციის პროცესი. ქვეყნის ხელისუფლება წლების განმავლობაში მიზნმმართულად ატარებდა ქართველთა ასიმილაციის პოლიტიკას.

რესპონდენტ ისა ალთუნის (შავშეთი, სოფ. შერთული) თქმით, თურქების მიზანი იყო ქართველების გათურქება. “ენა

აკრძალეს, წიგნი გურჯების აკრძალეს და აქამდე მოვედით. ჩვენთან იტყვის : “თურქი ვარ, ჰამა გურჯიც ვარო”, ოსმალოს ბადიში ვარო. საიდან ხარ მისი ბადიში მეთქი, ვერ მეზნევა. აქ არიან ხიმშიაშვილები, ათაბეგები. არ იციან გურჯული. გუნდუ-ზას (შავშეთში მცხოვრები, გვარად ათაბაგი) ვებნევი: შენ ათა-ბაგი ხარ, ქართველი, არ იჯერებს. ადრე რომ თავრობის აკრძალულობა არ ყოფილიყო, არ გადატრიალდებოდნენ” (გა-დატრიალებას ჩვენებურები ქართველობის დაკარგვას ემახიან). ერთი რესპონდენტი არ მალავდა აღშფოთებას იმის გამო, რომ შვილებს დასაქმების თვალსაზრისით შეუქმნეს პრობლემები მათზე შერქმეული “ქართული სახელების” გამო. რესპონდენტებს არც ის დაუმაღავთ ჩვენთვის, რომ ადრე ქართველ ბავშვებს სკოლებში მკაცრად აკონტროლებდნენ და ვისაც წამოცდებოდა ქართული სიტყვა, სასტიკად სჯიდნენო. მისივე თქმით, სას-ტიკად იკრძალებოდა ქართველთა ერთად შეყრის ყოველგვარი გამოვლინება. “ფესტივალ ადრე ჩუმად ვაკეთებდით, თავრობა გვიშლიდა, გურჯის სამა (ცეკვა) იყო, ჰამა ართვინის სამას ვამბობდით – ქართველს ვერ იტყოდი. ფესტივალ ჩუმად ვაკეთებდით, რომ გურჯებ ერთმანეთი გეგვეცნო. პირველად ფესტივალი 1980 წ. გაკეთდა ახმედ მელაშვილის უფროსობით. მან ჩუმად ჩამოიტანა ქართული ანბანი, ტყეში, უჩუმალად შეკრიბა ჩვენი ხალხი და უთხრა: ამა და ამ დღეს შევყაროთნა სამა-სიმღერაზეო”. როგორც ცნობილია, ახმედ მელაშვილი თურქეთის სპეცსამსახურებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

ქალაქებში ქართველთა გააქტიურებულმა მიგრაციამ ხელი შეუწყო ქართველთა ასიმილაციის პროცესს. რესპონდენტი წუხს, რომ ქართული ანბანის შესწავლის მსურველთა რაოდენობა დღითი დღე მცირდება.

ამჟამად ჩვენებურებმა ისტორიული ტაო-კლარჯეთის ცალ-კეულ რეგიონებში ცუდად იციან მშობლიური ენა. განსაკუთ-რებით ეს ითქმის ახალგაზრდობაზე. ვ. ლორთქიფანიძის მონა-ცემების მიხედვით, წინა თაობამ გაცილებით უკეთ იცოდა ქართული, ვიდრე შემდგომმა თაობებმა. უფრო მცირეა ქართუ-ლი წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა:

ქართული ენის ცოდნის ხარისხი თურქეთის ქართულ მოსახლეობაში (ვ. ლორთქიფანიძე, 1998:130)

	ლაპარაკობს და კითხულობს ქართულად			ლაპარაკობს ქართულად			ქართული ცუდად იცის			ქართული არ იცის		
	სულ გამოკითხულები		მათ შორის	სულ გამოკითხულები		მათ შორის	სულ გამოკითხულები		მათ შორის	სულ გამოკითხულები		მათ შორის
	ქალაქად	სოფლად		ქალაქად	სოფლად		ქალაქად	სოფლად		ქალაქად	სოფლად	
გამოკითხულთა მშობლები	5,4	-	9,5	89,2	87,5	90,5	-	-	-	5,4	12,5	-
უშუალოდ გამოკითხულები	-	-	-	55,3	64,7	47,6	18,4	5,9	28,6	26,3	29,4	23,8
გამოკითხულთა შვილები	-	-	-	22,2	42,8	9,1	19,4	7,2	27,3	58,4	50,0	63,6

ქართული ენის დავიწყების პროცესი სოფლად უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ქალაქად, თუმცა ადრე სოფელი უფრო მეტად ინარჩუნებდა თავის თვითმყოფადობას. ამ თვალსაზრისით ჩატარებული კვლევების შედეგად გამოიკვეთა, რომ სოფლად გამოკითხულთაგან (სულ გამოკითხვა 235 რესპონდენტი, ძირითადად შავშეთის რაიონში) 51 პროცენტისათვის საოჯახო ენა არის თურქული, მხოლოდ 39 პროცენტისათვის - ქართულ-თურქული. ქართული ენის მდგომარეობის შესახებ ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა ვ. ლორთქიფანიძე (ლორთქიფანიძე ვ., 1998:132) და გ. კარტოზია (კარტოზია გ., 1993:368). გამოიკვეთა აგრეთვე, რომ თითქმის ყოველი მესამე ქართველი ქორწინდება თურქზე. ქართველი ქალები უფრო მეტად ქორწინდებიან თურქებზე, ვიდრე ქართველი მამაკაცები თურქი ეროვნების ქალებზე (ლორთქიფანიძე ვ., 1998:132)

აღნიშნული პოლიტიკის მიუხედავად, ქართველთა ნაწილმა დღემდე მოიტანა მშობლიური ენა, ყოფისა და კულტურის

ძველქართული თავისებურებები. უსტამისელი (შავშეთის სოფელი) ჯგერალ დემირი ქართველებთან შეხვედრით აღფრთოვანებული სიამაყით ამბობს: “თქვენთან ერთად ჯეჰენემშიც (ჯოჯოხეთი) წამოვალ. აგზე რომ გაჭრა (და მიუთითა მკლავზე), ჩემი სისხლი ქართულად დაწერავსო”. ჩვენებურები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ არ აქვთ მათი სახელმწიფო: „გურჯები კაი ვიყოს, ჩვენი დევლეთი (სახელმწიფო) გვექნებაო”, აღნიშნავს რესპონდენტი. ამ ისივე თქმით, ახალგაზრდობის დღეს - 23 აპრილს საქართველოდან ჩასული ბავშვების მიერ ჩატარებულმა კონცერტებმა დიდი აღფრთოვანება და მოწონება დაიმსახურა, „იყო ტაშუნობა, ხალხი გაბეჭდა”, რამაც გააღიზიანა ადგილობრივი ხელისუფლება, „იმის მერე გურჯი ღარჭები არ გადმეიყვანეს ჩვენთანო”. ბორჩხელი მურხან ალბაირაქი არ მალავს აღშფოთებას იმის გამო, რომ თურქეთში დაანგრის ქართული ეკლესია-მონასტრები, მაშინ როცა საქართველოში უამრავი ახალი მეჩეთი ააშენესო. „რუსებმა აზერბაიჯანელებ, უკრაინელებ გუუხსნეს სკოლები, ჩვენთან რატომ არაა გურჯების სკოლა? – აღნიშნავს რესპონდენტი. ამასთანავე, ხაზს უსვამს სახელმწიფო ინტერესების დაცვის აუცილებლობას. მისი თქმით, თურქეთში არის ავტოკონტროლი. ყველა სახელმწიფო მოხელე თანამდებობაზე დანიშნვისას დებს ფიცს, „რომ არ იქნება სეპარატისტი და ფაშისტი.”

ისტორიული მახსოვრობა ეთნიკური ცნობიერების ერთ-ერთი უმთავრესი გამოხატულებაა. ჩვენებურებს კარგად ახსოვთ საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხები. ყველგან იციან თამარ მეფის დროინდელი საქართველოს დიდება და ძლიერება, ამიტომაცაა, რომ ხიდის, ეკლესიის, სარწყავი არხის, ციხის თუ სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული ნაგებობის მშენებლობას ამ დიდი მეფის სახელს უკავშირებენ. მათი რწმენით, თამარ მეფე სწორედ მათ მხარეშია დასაფლავებული.

ეთნიკური თვითშეგნების ასეთი მაღალი დონე, ეთნოკულტურული თავისებურებების შემონახულობა ხორციელდება კულტურის ეთნოდამცავი მექანიზმების საშუალებით. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და უნივერსალური ეთნოდამცავი მექანიზმის მატარებელია ოჯახი, რომელიც თაობათა აღწარმოე-

ბასთან ერთად განაპირობებს კულტურის უწყვეტობას და თაობიდან თაობაზე გადაცემას. ოჯახის ეს ფუნქცია კარგად აქვთ გაცნობიერებული თურქეთში მცხოვრებ ქართველებს. ამიტომაცაა, რომ ოჯახის შექმნისას უპირატესობას ანიჭებენ სისხლის სიწმინდის დაცვას, დასაქორწინებელთა ეროვნულ კუთვნილებას. “დაქორწინებისან გურჯინა ითხოვ და ოჯახი გურჯი დარჩებაო” – მოგვითხრობს რესპონდენტი.

თურქ მოსახლეობასთან თანაცხოვრება მომავალში ვერ დაიცავს ჩვენებურებს უცხო ყოფითი ელემენტების შემოჭრისაგან, მაგრამ არც საკუთარი ტრადიციები იქნება მივიწყებული. ამის თქმის საშუალებას იძლევა ჩვენებურთა ყოფაში დღემდე შემონახული არქაული ელემენტები, წარმართული, ქრისტიანული და ისლამური სამყაროსათვის დამახასიათებელი თავისებურებების სინთეზი, ძველისა და ახლის სიმბოიზი. თუმცა ჩვენებურებს ხშირად უჭირთ თურქული და ქართული ყოფითი ტრადიციების გარჩევა ერთმანეთისაგან. ამის გამო, გაუთვითცნობიერებულ ადამიანს შეიძლება ეჭვი გაუჩნდეს და დასვას კითხვა: ქართველობა იქ ცნობიერებაა, თუ ტრადიცია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. დაკვირვებული თვალი მაშინვე შენიშნავს საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე თუ ქვეყნის სიღრმეში მცხოვრები ქართული მოსახლეობის მიერ ძირძველი ტრადიციების შემონახულობას, დედასამშობლოსთან განშორებით განპირობებულ სევდასა და ტკივილს, რაც ნათლად ჩანს მუჰაჯირი ქართველების ერთ-ერთ ლექსში:

“გაღმაში დარჩა ჩვენი სახლები,
მოკდენ ძველები, დარჩნენ ახლები,
ლამაზო ქალო, რატომ არ ტირი,
თეთრო მამალო, რატომ არ ყივი?”

მსგავსი დამოკიდებულება უფრო ემოციურად გამოხატა გოგინაურელ (შუახევის რაიონი) გოგიტიძეთა შთამომავალმა დურსუნ ოზდილმა: “საქართველო ჩვენი დედამიწა არი. აჭარაში გამრავლებულან ჩვენი ხალხი. ექვსი ძმიდან ერთი მაქ დარჩენილა, ხუთი თურქიეში წასულა. წასულა ჩვენთანაი რამდენი? ბევრი ძალიან, თლათ თურქიეში მოდენილან, ამსილან, გურჯი სოფლები გუუხსნიან, დედის ენა ყველთვინ ულაპარკნიან...”

ღმერთმა ჩვენ ჰუქუმათებსა იმფერი ჭკუა მისცეს, რომ გააყო-
ლავონ წასლა-მოსლა, ხისიმი ხისიმის ნატრული არ დატიონ” (შ.
ფუტკარაძე, 1993, 19).

თურქეთში ქართულ დიასპორასთან დაკავშირებული ბევრი
პრობლემა მოითხოვს შემდგომ ძიებასა და სამეცნიერო ექსპე-
დიციებს. ჩვენს მიერ დაწყებული კვლევა მხოლოდ დასაწყისია
შემდგომი რთული და საინტერესო მუშაობისა. ერთი რამ კი
დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ისლამურ გარემოში ცხოვ-
რების მიუხედავად, თურქეთის ქართველობამ ბოლომდე დაიცვა
ქართული ყოფისა და კულტურის ზოგადქართული თავისებუ-
რებანი, ძირძველ ტრადიციებს დააკისრა ეთნიკური ფუნქცია და
დაუპირისპირდა ისლამის მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულ
ოსმალური ცხოვრების წესს. ეს იყო და არის ქართველობის
შენარჩუნების უმთავრესი წინაპირობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში,
ბათუმი, 1987.
2. ბაქრაძე რ., საქართველოს მიღმა, ბათუმი., 2003.
3. გაჩეჩილაძე რ., ქართული მოსახლეობა თანამედროვე თურქეთში,
“მიმოხილველი”, ტ.,6. 9. 1969-1972. თბ. , 1972.
4. დავითაძე ე., სოფლის აღმაშენებელი, წ., 4-5. ბათუმი, 2003.
5. თაყაიშვილი ე. სამუსლიმანო საქართველო, ქართული
ემიგრანტული ლიტერატურა, „დაბრუნება”.ტ. I. თბ., 1991.
6. თოფჩიშვილი რ., საქართველოს ეთნოლოგია, თბ. 2008
7. კარტოზია გ., ლაზური ტექსტები, II, თბ.,1993
8. ლორთქიფანიძე ვ., ისტორიული მესხეთი, დემოგრაფიული განვი-
თარების პრობლემები, თბ. 1998
9. სვანიძე მ. ქართველები თურქეთში, თბ., 1996.
10. ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

Т. Путкардзе

Этнические процессы грузинского населения Турции

Резюме

Грузины представляют одну из крупнейших этнических групп в полиэтнической Турции. Их определенная часть проживает на собственной этнической территории, но в политических границах Турции, в частности – Тао-Кларджетии, а другая часть – во внутренних провинциях страны. В труде изложены основные вопросы быта и культуры, национального самосознания и этнические процессы.

საზოგადოებრივი მდგომარეობა აჭარაში ოსმალთა ბატონობის შემდგომ პერიოდში

ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ დიდი ზეგავლენა მოახდინა აჭარის მოსახლეობის საზოგადოებრივ სტრუქტურაზე, ყოფასა და ცნობიერებაზე.

ოსმალთა დამპყრობლების მხრიდან ისლამის რელიგია საზოგადოებაზე მანიპულირების მიზნით გამოიყენებოდა. მოსახლეობის ცხოვრების ნორმები მთლიანად რელიგიური ელფერით შეიმოსა. ამან სრულიად სხვა, ტრადიციულისაგან განსხვავებული სიტუაცია შექმნა საოჯახო ყოფაში, განათლების სფეროში, ქალისა და მამაკაცის უფლებრივ დამოკიდებულებაში, საზოგადოებრივი მართვის საკითხებში და ა.შ. საზოგადოებაში, უცხო და გაუცნობიერებელი, მაგრამ უკვე დამკვიდრებული სიტუაცია ოსმალთა ბატონობის შემდგომაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა.

ოსმალთა იდეოლოგიურმა მეთოდებმა და შარიათის კანონებმა განსაკუთრებული ცვლილებები შეიტანა აჭარის მოსახლეობის საზოგადოებრივ სტრუქტურაში.

აჭარაში ისლამის ძალდატანებითი გავრცელების პირობებში წარმატების მისაღწევად ოსმალთა დამპყრობლები გადასახადებს უმსუბუქებდნენ იმას, ვინც თავისი ნებით მიიღებდა ისლამის სარწმუნოებას. ზემო აჭარის ლივის ვრცელ დავთარში, რომელშიც ასახულია აჭარის მოსახლეობაზე დაწესებული ოსმალური საგადასახადო სისტემა, ნათლად ჩანს, რომ სხვადასხვა ოდენობით იყო განსაზღვრული გადასახადები ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობისათვის (შაშიკაძე ზ. 2002:218) ნებაყოფილებით გამუსლიმანებულები თანამდებობრივი პრივილეგიებიდან სარგებლობდნენ. ოსმალური წესით, მიწათმფლობელიც აუცილებლად მუსლიმი უნდა ყოფილიყო.

ასე თანდათანობით, იკვეთებოდა საზოგადოების დაწინაურებული ჯგუფები, ადებისა და ბეგების სახით, რომლებიც დამპყრობთა მთავარ საყრდენ ძალას წარმოადგენდნენ. შესაბამისად, მართვის სადავეებიც მათ ხელში გადადიოდა.

საზოგადოებაზე ზემოქმედების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა, ასევე, ისლამური სამართალი „შარიათი“, სასამართლოს მოხელეს წარმოადგენდა სოფლის მამასახლისი ანუ მუხტარი და იმამი, ანუ მოლა (ybarova, 1881: 170). შარიათის კანონის თანახმად, ჯამეებისა და მედრესეების მფლობელობაში გადადიოდა ე.წ. „სავაკუფო“ მიწები, რომელსაც უსასყიდლოდ ამუშავებდა ადგილობრივი მოსახლეობა. მაგალითად, აჭარის ცსა-ში დაცული მასალების მიხედვით, ბათუმში მხოლოდ აზიზიეს მეჩეთის კუთვნილი სავაკუფო მიწა შეადგენდა 1034 საჟენს. დაახლოებით ამავე რაოდენობის იყო ახმედიეს და მუფთიეს მეჩეთების კუთვნილი მიწა (აჭარის ა/რ ცსა, ფონდი ი-6, აღწ.1, საქ. 332, ფ.1-5). სავაკუფო ქონებაზე არ ვრცელდებოდა სახელმწიფო გადასახადები, იგი კონფისკაციისა და სასამართლოს სხვა სახის ძიებისაგან განთავისუფლებული იყო. ამ მიზეზებით მიწების უმეტესი ნაწილი გადადიოდა მეჩეთების მფლობელობაში. ამით, ერთი მხრივ, მოსახლეობა თავისუფლდებოდა სახელმწიფო გადასახადებისაგან, მეორე მხრივ, სასულიერო წოდების ზეგავლენაში ექცეოდა. საზოგადოების ნდობით აღჭურვილ პირებად ხოჯა-მოლები იქცნენ. მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტა ხოჯების ჩარევის გარეშე არ ხდებოდა. ხოჯა არეგულირებდა როგორც რელიგიურ, ასევე საერთო საზოგადოებრივ საქმეებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მოსახლეობამ აღნიშნულ რთულ პირობებში მაინც შეინარჩუნა ზოგადქართული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, ოსმალთა ბატონობის შემდგომ პერიოდშიც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ისლამისა და შარიათის ზეგავლენის გარკვეული კვალი ჩანდა.

დიდი ოჯახების არსებობას, რომლებიც ფიქსირდებოდა როგორც ზემო, ასევე ქვემო აჭარაში, მკვლევრები მიიჩნევენ არა როგორც უშუალოდ ოსმალური ზეგავლენის შედეგად, არამედ პატრიარქალურ გადმონაშთებად, თუმცა ისლამმა ამის

კონსერვაციას შეუწყო ხელი. შარიათის მიხედვით, ოჯახი მამაკაცის განუსაზღვრელი უფლებების ქვეშ მოექცა. ის შარიათის კანონებით მართავდა ოჯახს, რომლის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო დამოკიდებულება ოჯახის წევრებს შორის, ქალის უფლებები, ქონებრივ-მემკვიდრეობითი საკითხები და ა. შ. (ნოლაიდელი ჯ., ხელნაწერთა ფონდი, №332-5) .

აჭარაში ზოგადქართული ხასითის მიუხედავად, გარკვეული დარღვევები შეინიშნებოდა საქორწინო ურთიერთობებშიც. კერძოდ, ეგზოგამიის დარღვევა – კუხენური ქორწინება, ლევირატის წესი და ა. შ. მართალია, მსგავსი ფაქტები საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება (ბექაია მ., 1972:81), რაც უმეტესად გამოწვეული იყო სოციალ-ეკონომიკური მიზეზებით, მაგრამ დროთა ვითარებაში სხვადასხვა სასჯელის ზომებით შეიზღუდა. აჭარაში, ისლამისა და შარიათის პირობებში კი ამ დარღვევას სათანადო საფუძველი გაუჩნდა, რადგანაც ყურანითა და შარიათით არათუ იკრძალებოდა, არამედ ნებადართულადაც კი ითვლებოდა (Народы кавказа – этнографические очерки, 1960.368).

ოსმალთა ბატონობის საზოგადოებაზე ზეგავლენის ყველაზე ნეგატიური ფაქტორი იყო აჭარაში სწავლა-განათლების ქართული კერების მოშლა. მხოლოდ მეჩეთი და მედრესე წარმოადგენდა სწავლა-განათლების დაწესებულებებს. XIX საუკუნის 90-იანი წლების მონაცემებით, მთელს აჭარაში დაახლოებით 270-ზე მეტი მედრესე იყო (ახვლედიანი, ნარკვევები აჭარის ისტორიიდან, ბათუმი, 1944:122). სწავლა არაბულ ენაზე ტარდებოდა დაზეპირებით და არა წერა – კითხვის შესწავლით. ქართული წერა – კითხვა ქართული სკოლების გახსნით კი შედარებით გვიან დაიწყო. პირველი ქართული სკოლა ბათუმში გაიხსნა 1882 წლის მარტში, ქართველთა შორის წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით თუმცა მოსახლეობა კვლავ ხოჯებისა და სასულიერო წრეების იმდენად დიდ ზეგავლენაში იმყოფებოდა, რომ თუ ხოჯა ვერ დაესწრებოდა გაკვეთილებს, უნდობლობის თვალსაზრისით, სკოლაში არც ერთი შეგირდი არ ცხადდებოდა. ქართულ სკოლაში ისწავლებოდა მაჰმადის რჯულიც (სცსა ფონდი 481, აღწ. საქ.2. ფ. 29,1381).

აჭარის მუსლიმანური სასულიერო წოდება რუსული მმართველობის პირობებშიც ინარჩუნებდა თავის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იურიდიულ უფლებებს, თუმცა განსხვავებული იდეოლოგიის პირობებში. რუსეთის ხელისუფლებამ, თავისი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, მუსლიმანურ სასულიერო წოდებას შეუწარმუნა უფლებები და საკუთარ თავზე აიღო მათი მომზადების ორგანიზაცია. ამით საშუალება გამონახა განესაზღვრა მათი როლი საზოგადოების მართვის საქმეში.

აჭარაში მუსლიმანური რელიგიის დამკვიდრებამ ძირეულად შეცვალა აჭარელი ქალის მდგომარეობა საზოგადოებრივ და საოჯახო ცხოვრებაში. აჭარაში, ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში, ქალს განსაკუთრებული როლი ეკავა არა მარტო ოჯახში, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. რეალური ფაქტია და ამას მოწმობს ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროები, რომ ოსმალთა მიერ დამკვიდრებულ არაქართულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, ისლამის გავრცელებას განსაკუთრებით აჭარელი ქალები ებრძოდნენ და ხშირად იარაღითაც კი გამოდიოდნენ. ამის მიუხედავად ყველაზე უუფლებო და დამცირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქალები. ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია ასე აღწერს გამაჰმადიანებული ქართველი ქალის მდგომარეობას: „სამინელია აქაური დედაკაცის მდგომარეობა, სახლშია ჩაკეტილი, არ შეუძლია გარეთ, საზოგადოებაში გაიაროს“. ქალის უფლებებისადმი განსხვავებული მიდგომა ჩანს დაკრძალვისა და ქორწინების წესებში, ჩაცმულობაში.

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ თითქოს ქალი უფლებრივად მამაკაცის თანაბარი გახდა. 1917წ. ოფიციალურად გამოიცა კანონი ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ და გაუქმებულად გამოცხადდა საოჯახო ქორწინების ძველი წეს-ჩვეულებები, მაგრამ გარკვეული წლების განმავლობაში ამას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. მუსლიმანური რელიგიის მიერ განსაზღვრული ცხოვრების წესი უკვე ტრადიციად იყო ქვეული.

ხელისუფლება ცდილობდა კანონმდებლობის ძალით აღმოეფხვრა მოსახლეობაში არაქართული ჩვევები. ამ პროცესებმა

განსაკუთრებით აქტიური ხასიათი მიიღო XX საუკუნის 20-30-იან წლებში. მასიურად დაიწყო სამაზრო კონფერენციებისა და კრებების ჩატარება. დღის წესრიგის მთავარი საკითხები იყო ჩადრის ახდა, მედრესეების გაუქმება, ქალის უფლებრივი მდგომარეობის ზრდა. ჩადრის ახდის კომპანია ხულოს მაზრაში დაიწყო 1928 წლის 26 ივლისიდან. ამ დღეს ჩატარდა ჩადრის ახდის საზეიმო მიტინგი, რომელსაც 120 ქალი დაესწრო. მიტინგზე ჩადრი აიხადა თითქმის ყველა ქალმა, მაგრამ ამით პრობლემა არ გადაწყვეტილა, რადგანაც ამას ჰქონდა მხოლოდ ფორმალური და დროებითი ხასიათი.

მუსლიმანური წესის თანახმად ქალებს ეკრძალებოდათ სოფლად ჩატარებულ კრებებზე მამაკაცებთან ერთად დასწრება. ჩადრის ახდის კამპანიების დროს, ძირითადად XX საუკუნის 20-იან წლებში აჭარისტანის თითქმის ყველა მაზრასა და თემში ცალ-ცალკე ტარდებოდა ქალთა და მამაკაცთა კრებები (აჭ. არ. ცსა. ფონდი რ-4, აღწ.1 . საქ. 298.ფ. 172).

1929 წ. აჭარისტანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნა ქალთა მდგომარეობისა და შრომის გამაუმჯობესებელი კომისია. კომისიამ ჩამოაყალიბა დებულება, რომელიც ითვალისწინებდა გარკვეულ სასჯელს აჭარელი ქალის ყოფაცხოვრებაში უცხო წეს-ჩვეულების აღმოსაფხვრელად. მაგალითად, კანონით ისჯებოდა მრავალცოლიანობა, ადრეულ ასაკში ქალის გათხოვება და ა.შ. (აჭ. არ. ცსა, ფონდი რ-4, აღწ.1 საქ. 287. ფ. 13).

შესაბამისი ღონისძიებები ტარდებოდა ასევე ქალის საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართვისათვის. აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული მასალებით გამოვლინდა, რომ XX საუკუნის 20 -იან წლებში სასოფლო – სამეურნეო და საკოოპერაციო კომისიაში 95,5% მამაკაცი იყო, 4,5 % ქალი. აქედან მუსლიმანი ქალი მხოლოდ 1 %-ს შეადგენდა. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა სამუშაო სტრუქტურებშიც. (აჭარის არ. ფონდი რ-4აღწ.1 საქ. 287,ფ 28)

1928 წ. განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გამოტანილ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვითაც მედრესეებში სასწავლებლად არ დაიშვებოდნენ 14 წლამდე ახალგაზრდები,

რომელთაც გავლილი უნდა ჰქონოდათ საერთო სკოლების ორი ჯგუფი მაინც (აჭარის ა.რ. ფონდი რ-4 აღწ.1 საქ. 287,ფ 30).

1924 წ. ბათუმში ქალთა განყოფილების ირგვლივ შეიქმნა აჭარელ ქალთა ჯგუფი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს შემდგომში ქალთა ცენტრალური კლუბის დაარსებაში. მაზრებში გახსნილი იქნა გლეხ ქალთა კუთხეები, რომელთა წევრად 1926 წლისათვის ირიცხებოდა 105 ქალი. მათ შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იურიდიულ სექციას, რომელიც იცავდა აჭარელი ქალის იურიდიულ უფლებებს.

მართალია, ამ ღონისძიებებით აჭარაში ქალის უფლებრივი მდგომარეობის დაბალანსების პრობლემა სრულად არ გადაწყვეტილა, მაგრამ იგი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქალის ემანსიპაციის გზაზე.

ამრიგად, ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ იმდენად ძირეულად შეცვალა აჭარის მოსახლეობის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, რომ ოსმალთა ბატონობის შემდგომაც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, არაქართული წეს-ჩვეულებები კვლავ მძლავრობდა.

Инеза Зоидзе

Общественное положение в Аджарии в период после правления Османской империи

Резюме

В период трехвекового правления Османской империи в Аджарии даже в условиях многостороннего натиска местное население сохранило основные духовные ценности – традиции и обычаи быта, хотя османское правление оставило свой глубокий след на общественную, религиозную и культурную жизнь края. Это влияние было настолько сильным, что даже после османского правления в течение определенного периода бытовали негрузинские обычаи.

ავტორები:

1. ტ. აბულაძე – საარქივო სამმართველოს უფროსი
2. მერაბ ჟვანია – საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
3. ბიჭიკო დიასამიძე – შრუ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.
4. ლუბა სოლოვიოვა - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიკლუხო მაკლაის სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერებათა დოქტორი.
5. კამენ დონჩევი – ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერებათა კანდიდატი.
6. თამაზ ფუტყარაძე - შრუ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი – საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე.
7. ანჯეი იაკუბოვსკი - ლუბლიანის (პოლონეთი) მარია კიური-სკლოდოვსკაიას უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ფაკულტეტის ეთნიკური კვლევების კათედრის პროფესორი
8. მარიანა პისკოვა – ნეოფიტ-რილსკის (ბულგარეთი) უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი.
9. ოთარ გოგოლიშვილი - შრუ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.
10. სერგო დუმბაძე - შრუ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.
11. მარინა ჯინჭარაძე - შრუ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
12. მერაბ მეგრელიშვილი - შრუ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.
13. რევაზ უზუნაძე – ბათუმის სამეცნიერო პედაგოგიური კოლეჯის დირექტორი, ისტორიის დოქტორი.
14. რამაზ სურმანიძე - ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
15. ტარიელ ფუტყარაძე – აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან (ქუთაისი) არსებული დიალექტოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი,

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

16. მალხაზ სიორიძე - შრუ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.

17. ჯემალ კარალიძე - შრუ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.

18. კახაბერ სურგულაძე - შრუ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი.

19. ირაკლი მანველიძე - შრუ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.

20. შოთა მამულაძე - შრუ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.

21. ზაზა შაშიკაძე - შრუ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.

22. ფრიდონ ქარდავა - საარქივო სამმართველოს სამეცნიერო კვლევითი მუშაობისა და პუბლიკაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

23. ვახტანგ შამილაძე - შრუ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი.

24. ნუგზარ მგელაძე - შრუ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.

25. მანუჩარ ლორია - შრუ საიფორმაციო სამსახურის უფროსი.

26. როზეტა გუჯეჯიანი - ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი.

27. ნაილა ჩელებაძე - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი.

28. როლანდ თოფჩიშვილი - ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ - თანამშრომელი.

29. ნანა ფუტკარაძე - შრუ დოქტორანტი.

30. ნოდარ კახიძე - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

31. თამილა ლომთათიძე - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი.

32. მალხაზ ჩოხარაძე – შრუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.
33. ნუგზარ ცეცხლაძე - შრუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.
34. ეთერ ბერიძე - შრუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.
35. ინეზა ზოიძე - შრუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.

შინაარსი

შესავალი სიტყვა	4
ზურაბ ჟვანია ცენტრალური საისტორიო არქივის დოკუმენტები აჭარის საქართველოს შემადგენლობაშიდაბრუნების შესახებ	8
ბიჭიკო დიასამიძე ბათუმის საკითხი XVIII–XIX საუკუნეების რუსეთ-თურქეთის ომებში	16
Камен Дончев Перемены в социально-экономической обстановке и в обычном земельном праве в болгарской деревне после Русско-Турецкой освободительной войны 1877-1878 года	25
Тамаз Путкарაძე Некоторые вопросы исторических и научно-культурных взаимоотношений болгарского и грузинского народа	36
Марияна Пискова Параллели и особенности развития болгарских и грузинских архивов	41
Кристина Попова, Нурие Муратова Архивные следы и деятельность православных женских монастырей в Болгарии	45
Анджей Якубовски Поляки в Грузии	51
ოთარ გოგოლიშვილი ბერლინის კონგრესი და მისი შედეგები	59
სერგო დუმბაძე ქართული ენა - საქართველოს ერთიანობის საფუძველი	65
მარინა ჯინჭარაძე უცხოელ დამპყრობთა ბრძოლები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში	75
Л.Т. Соловьева Родственные объединения в современной социальной жизни адыгов: фамильные сходы	81

მერაბ მეგრელიშვილი რუსეთისა და თურქეთის ინტერესები შავ ზღვაზე გაბატონებისათვის და აჭარა	86
რევაზ უზუნაძე ბათუმის დაუფლებისათვის რუსეთის საზღვაო ბრძოლების ისტორიიდან (1877-1878 წ.წ.)	90
რამაზ სურმანი'ე აჭარის გათავისუფლებისადმი მი'ღვნილი ზეიმი თბილისში ~@) ნოემბერინ !* & * წელი`	101
მალხაზ სიორიძე ილია ჭავჭავაძე ბერლინის კონგრესის შედეგების შესახებ	108
ტარიელ ფუტკარაძე გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში: ბათუმი 1878, 1920, 1991, 2008	111
ჯემალ კარალიძე 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ქართველი საზოგადოებრიობა	137
კახაბერ სურგულაძე, ირაკლი მანველიძე რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის საერთაშორისო ასპექტები	142
შოთა მამულაძე პირველი დაზვერვითი და არქეოლოგიური სამუშაოები აჭარის დედა სამშობლოსთან დაბრუნების პირველ პერიოდში	155
ზაზა შაშიკაძე ოსმალური აღწერის დავთრები, როგორც საისტორიო წყარო	163
ფრიდონ ქარდავა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი ინტერნეტის მონაცემებით	171
ვახტანგ შამილაძე, ნუგზარ მგელაძე, მანუჩარ ლორია ეთნოპოლიტიკური სიტუაცია აჭარაში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში	183
როზეტა გუჯეჯიანი ტრადიციული ქართული მენტალობის ისტორიიდან	191

როლანდ თოფჩიშვილი ზოგიერთი ქართული ეთნოგრაფიული რეალია შავშეთში, კლარჯეთსა და ტაოში	203
ნაილა ჩელეზაძე, ჰეირათინ შენი (ცივაძე) ერთი საქორწინო ტრადიციის შესახებ თერმეს (თურქეთი) ქართველებში	218
ნანა ფუტყარაძე ტოპონიმ “მარეთის” ეტიმოლოგიისათვის	221
ციური ქათამაძე, ნუგზარ ზოსიძე რუსეთ – საქართველოს 1877–1878 წლების ომი და ქართული საზოგადოებრივი აზრი	227
თამილა ლომთათიძე რელიგიური სინკრეტიზმი, როგორც წეს-ჩვეულებათა ტრანსფორმაციის ფაქტორი	234
ნანა ხაჟუთაშვილი Типы поселения и строительная техника Приморья Юго-Западной Грузии в эпоху Бронзы - Раннего Железа	244
მალხაზ ჩოხარაძე სამხრეთ საქართველოს პოლიტიკური პრობლემები XX საუკუნის 10-იანი წლების ქართულ მწერლობაში	257
ნუგზარ ცეცხლაძე ჭანები (ლაზები) თანამედროვე თურქეთის ენობრივ სივრცეში	268
ეთერ ბერიძე ნიგალის ხეობა, ეთნოგრაფიული ჩანაწერები	273
თამაზ ფუტყარაძე ეთნიკური პროცესები თურქეთის ქართულ მოსახლეობაში	284
ინეზა ზოიძე საზოგადოებრივი მდგომარეობა აჭარაში ოსმალთა ბატონობის შემდგომ პერიოდში	297

გამომცემლობის დირექტორი
ნანა ხახუტაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.05.2009
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 19.3
ტირაჟი 100

შასი სახელმწიფოებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35